ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეხუთე

**№ IV**

**აპრილი, 1898**

ტფილისი
სტამბა წიგ.გამ.ქართ.ამხანაგობისა ТИП.ГРУЗ.ИЗД.Т—ВА.
1898

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 мая 1898 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


| | |
|---|---|
| | გვ. |
| I—ბენუარი № 3.—ეკ. გაბაშვილისა . . . . | 1 |
| II—გაზაფხული.—ლექსი ვაჟა-ფშაველასი . . . | 15 |
| III—ინჯილერი ან დოხტური.—კომედია 4 მოქმედებად აზიანისა (ნ. მ. დონდაროვისა) (დასასრული) . . | 17 |
| IV—ამირანის შვილნი.—ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (გაგრძელება) . . . . . | 46 |
| V—ცისკარა.—პოემა ანტონ ფურცელაძისა (დასასრული) . | 87 |
| VI—გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი მესამე.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. . . | 145 |
| VII—„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.—LI, LII.—ალ. ს—შვილისა . . . . . . | 1 |
| VIII—გურია-აჭარა.—მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი | 19 |
| IX—ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—I თ˝დი ალ. ჭავჭავაძე.—კიტა აბაშიძისა . . . | 56 |
| X—ორმოც და ათი წელიწადი ბესარიონ გრიგოლისძე ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ.—ხომლელისა . . . . . . . . | 79 |
| XI—ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი—ივ. ბუქურაულისა . . . . . . . . | 91 |
| XII—განცხადებანი. . . . . . . | 111 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბენუარი № 3

## I

— ავდგეთ, ლიზაკ, როდემდის უნდა ვეყარნეთ ლოგინში! მართალია ჩვენი სახლი ისეა გაყინული, რომ კამბეჩსაც გააშეშებს, მაგრამ თბილ ლოგინში წოლითაც არა გამოვა-რა, უნდა მივდგეთ, მოვდგეთ, საიდანმე ხელი უნდა გავიმართოთ: ხვალ შენი დღეობაა: tout le beau monde sera chez nous!—რენიესთან მიირბინე, შეეხვეწე, შენებურად მიუალერსე, რომ შეკოლადი, კამფეტები, პეროჟნი ბლომად გამოგვიგზავნოს.... დაჰპირდი, დაარწმუნე, რომ ამ სამ თვეზედ სულ გავუნაღდებთ ნისიას; უთხარ, რომ პეტერბურგიდან ტელეგრამა მივიღე-თქო... ხომ იცი, შენებურად, მიხანხლ-მოხანხლე!

— ოხ, maman, რომ იცოდე რა რიგ მეზიზღება, რა რიგ მტანჯავს ყოველთვის თხოვნა, ალერსი, თავის დამდაბლება, ყოველთვის ტყუილი... ტყუილი... მოტყუება! თავის დამდაბლება ვიღაცა რენიესთან, ვიღაცა ჩარახჩიანთან, ვიღაცა მირიმანიან-როტინიანცთან.... თავის დამდაბლება, ფეხთ გაშლა ვაჭრებთან იმისთვის, რომ იმათი დანატყუარის ფართლით თავი მოვიწონოთ შენ სანატრელ beau monde-თან. მერე რისთვის? რა გამოდის, რა? ვის რად უნდივართ, ვინ რად გვაგდებს? ტყუილ-უბრალოდ დავდნი, გავხმი, სამოცი წლის მოხუცებულივით დავჭკნი ამდენი თავის ძალის დატანებით: დღე და ღამ აუარებელი მწუხარება, დარდი, ზრუნვა იმაზედ, რომ სხვას არ ჩამოვრჩეთ, რომ ჩვენც ბარაქაში გავერიოთ, რომ ქვეყანამ არ გაიგოს, არ დაინახოს, რომ ჩვენ ღლახები ვართ და მხოლოდ ხელის

გაშვერით-ღა ვაჩანჩალებთ ჩვენს ღირსებას არისტოკრატობისას. ოხ, maman, რა ცარიელია ჩვენი სიცოცხლე! რა წვრიმალზედ ვახურდავებთ ჩვენს ძალ-ღონეს, ჩვენს მახვილ გონიერებას, ჩვენს ფიზიკურ და გონებრივ სიმდიდრეს! როდემდის უნდა ვწიოთ ეს მძიმე ჭაპანი?!

— როდემდის? მანამდე გაწყდება! დიაღ, მანამდე გაწყდება! განა შენ არ იცი, რომ შეჩერება შეუძლებელია? განა შენ არ იცი, რომ სხვა გზა, სხვა ხსნა არსად არის? რასა იქ, პირი რომ უბრუნო ამ ცხოვრებას, რომელ სხვას აირჩევ? განა მე კი არ ვათენებ ღამეს იმ ფიქრში, რომ ჭაპანი გაწყვეტაზედ არის? მაგრამ რა გავაწყო, საშველი სად ვეძიო? მოჯამაგირე დედაკაცად დავდგე? სარეცხის რეცხვას მოვეკიდო?—გეცინება განა, მწარედ გეცინება, რომ წარმოიდგენ დიდ შთამომავლიანთ ქალს, დიდ-ვეზირიანთ რძალს, ნაზ, ჰაეროვან კუკნას კალთებ დაკარწახებულ მოსარეცხე დედაკაცად... შენ, შენ, ჩემო მედეავ, კარგი გუვერნანკა არ იქნებოდი პატარა შრომაძის ბაღლებისა! მოდი იახელ ჩვენ ნამოურავალს და მოწიწებით მოახსენე: ბატონო შრომაძე, მე მსურს შენს პატარა ძვირფასებს ფრანგული და ინგლისური ვასწავლო და გთხოვ თვეში თხუთმეტი მანათი ჯილდო დამინიშნო-თქო! ხა, ხა, ხა! გადიხარხარებს ბატონი შრომაძე და თავის მეუღლე თებრონიას ეტყვის: „კნიაჟნას სკამი მოართვი, ცივი წყალი ჩააყლაპე, ეტყობა ძარღვების სიდუნე მოსვლიაო. — არა, ლიზაკ, ამ ფილოსოფიურ მსჯელობას თავი დავანებოთ და იმ ფილოსოფებივით მოვიქცეთ, რომელნიც ამბობენ: კაცი თავის ვარსკვლავს ბოლომდინ უნდა ემორჩილებოდესო! ჩქარა ადექი, პირი ელექსირით დაიბანე. მართლა, ამ უკანასკნელ ხანებში შენს სპეტაკ შუბლს ხაზები ძრიელ გაუხშირდნენ! ეგ სულ იმის ბრალია, რომ შუბლი სულ შეკრული გაქვს და პირზედ ღიმილს არ იტარებ.

აბა მე შემომხედე, ორმოც და ათის წლისა ვარ და შუბლი სარკესავით მიპრიალებს, ჩემი გულიანი კისკისი ბევრის გულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურსა სძრავს და შენი მუდამ მოღუშული შეხედულობა კი თაყვანის-მცემლებს გიფთხობს.

აი კნ. ემირხანსკი აქამდინ ათჯერ გაგიკეთებდა „პრელოჟენიეს", რომ შენის გულციობისა არ ერიდებოდეს. ნუ, გენაცვა, ჩემო მშვენიერო, ჩემო ერთად-ერთო იმედო, ნუ ექცევი აგრე ცივად, ამბობენ უთვალავი სიმდიდრე აქვსო: ზაოდები, ფაბრიკები, მთელი გუბერნია შავი მიწის ხნულებით გადაჭიმული....

— Maman, გთხოვთ და ათასჯერ მითხოვნია, მაგაზედ ნუღარას მეტყვით! ემირხანსკი თქვენი მეგობარია და თქვენთვისვე შეინახეთ...

— მეგობარია! მერე რაო რომ მეგობარია! ხომ ხედავ ჩემი მეგობრობა აღარ აკმაყოფილებს, იმას შენი მეგობრობა ენატრება....

— კმარა... კმარა, ხმა აღარ ამოიღოთ, თორემ მართლა „გუვერნანტკად" წავალ და, თუ სახლში არავინ შემიშვებს, წყალს მივეცემი....

—შენი ნებაა! აღარას გეტყვი, მაგრამ კარგად უნდა იცოდე, რომ მეტი გზა არ არის. აქამდინაც იმის მოწყალებით ვცხოვრებდით, ამ ზაფხულს პეტიგორსკში ჩვენი დაჩა ქვეყანას აკვირვებდა თავისის მეფურის მშვენიერებით და მისი მდგმურნი საყოველთაო შურს იწვევდნენ თავის განცხრომით და ფუფუნებით; უპირველესნი არისტოკრატნი, ჩინოვანნი და წარჩინებულნი ცდილობდნენ ჩვენს გაცნობას...

— დიაღ, შურს ვიწვევდით, მაგრამ მე კი იმ დაჩის მშვენიერებას შევწირე საუკუნოდ ჩემი მშვიდობიანობა, სვინიდისის მხილება პირველად იქ ვიგრძენი.... მას აქეთ ჩემი თავი მძულს და მხოლოდ აუცილებელს ვემორჩილები! შენი თქმისა არ იყოს, სხვა გზა არ ვიცი, თორემ სუყველაფერს ვირჩევდი, სუყველაფერს...

— კარგი, კარგი, დაწყნარდი! ნუ აჰყვები ხოლმე შენს მოშლილ ძარღვებს!—ისეთი სისასტიკით და დაცინვის კილოთი უთხრა კუკნამ ლიზას, რომ მას მართლა ხმა ჩაუწყდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სასოწარკვეთილებით ორთავ ხელებით თვალებზე დაიხუჭა.

— მაგრამ პირველი ხომ არ არის შენი აღშფოთება აწმყოთი! — განაგრძო კნეინამ, — ნეტა რად იწუხებ თავს, უდროვოდ იფუჭებ შენს სიმშვენიერეს, შენს ცხოველ-მყოფელს სილამაზეს! ჰაი დედასა, რომ მე არა ვარ შენს ხანში, მე არ მამშვენებს ეგ დიდრონი, ლმობიერებით სავსე თვალები, ეგ ამაყი სპეტაკი შუბლი, ზომიერად ჩამოსხმული წერწეტა ტანი, იშვიათად მოღიმარი, მაგრამ მით უფრო ძვირფასი ბაგე, რომლის ღიმილი სამოთხის სიტკბოებას უდრის! — აბა რას გავხდები ჩემის შეღებილი თმებით, ჩასხმული კბილებით და დღე და ღამე ლუკმა-პურისთვის ზრუნვით ჩამომხმარი გულ-მკერდით, კუკნა ტანით... თუ არ ჩემი ჭკუა, ჩემი მოსაზრება და ჩემი ერთად-ერთი სამკაული პაწაწკინტელა, მაგრამ ცეცხლით და გონიერებით სავსე თვალები, ხომ შიმშილით დავიხოცებოდით, ხომ გამოვწყდებოდით წუთი-სოფელში! მაგრამ ამას თავი დავანებოთ! კიდევ გაგონებ, ადექ, დიდი ხანია შუადღე გადასულია, ათასი საქმე გვაქვს: პოდისკასთან შეიარე, ხომ ხედავ თითონ აღარ მოაქვს კაბა გასაზომად; ნუ კი გაუწყრები, შენებურად ალერსით სთხოვე კვირისთვის გაგითავოს, სირინოზის ბენეფისია, ნაცვამი კაბით ხომ ვერ წახვალ ოპერაში, მთელი ქალაქი იქ იქნება!

— ხა, ხა, ხა! — მწარი ღიმილით გადიხარხარა ლიზამ. — „ნაცვამი კაბით ხომ ვერ წახვალო!“ განა შენ არ იცი, რომ ლოჟებისა ათი თუმანი გვმართებს და მირიმანოვი კასასთან ახლოც არ მიგვიშვებს!

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, შენ შენი საქმე გააკეთე: ჩარახჩიანთან შეიარე, ექვსი წყვილი ფერჩატკი გამოართვი; შენ გრძელი ფერჩატკები მოგინდება, ხომ მოკლე სახლებიანია ის კაბა, ეხლა რომ აკერვინებ!?

— არც მომცემს და არც შევივლი ჩარახჩიანთან!

— მე ნათქვამი მაქვს, რა ფასიანსაც აირჩევ, ის დაუყოვნებლივ მოგართმევს. ჰო, მართლა, ის კი დამავიწყდა, აკოფოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხარი, ორი დუჟინი სათამაშო ქაღალდი გამოგზავნოს; ხვალ საღამოზედ ხუთ-ექვს სტოლზედ ითამაშებენ ქაღალდს, იქნება იმითი მაინც გავისტუმროთ ლაქია გიორგი, რომელიც თავის უზრდელობით სამზღვარს გადადის. მე თითონ შევიშლიდი, მაგრამ ვერ მოვიცლი, ათასგან უნდა გავექანო; მთელი დღე შენს ლაპარაკს მოვუნდი!

ამ სიტყვებზედ კნ. კუკნა თექვსმეტი წლის ქალივით მარდად წამოხტა ძვირფას ლოგინიდან და ზარის ხავერდის ზორტს მძლავრად ჩამოჰკრა. წამზედ შემოსულ მოახლეს უბრძანა შესდგომოდა ამის მოკაზმას.

თუმცა დიდი მოფიქრებით და დიდი შეხამებით გაიწყო შეღებილი კულულ-დალალი, ლოყა-ღაწვს საცხებელი არტისტიული ხელით გადაუსვა, ყელ-ყურს მსუქანი პუდრა ბლომად შეაბურა, მაინც მალე შეიკაზმა, სარკეში რამდენჯერმე შეიხედა ცქრიალით, კმაყოფილების ღიმილით და ხელების ფშვნეტით, რომ კიდევ მიმზიდველი და მომხიბვლელია, სანადიროდ გაემგზავრა.

II

ოპერის ახალი თეატრი სადღესასწაულოდ არის მორთული. ხალხი ფაცაფუცით იკრიბება მის დიდ დარბაზში. მეტადრე ჩქარობენ ქალები, მათი აღელვებული, გაწითლებული სახეები, გაბრწყინვალებული თვალები, მოუთმენლობით სავსე მიხვრა-მოხვრა, ამტკიცებს, რომ საყვარელი არტისტის დღეობაა. მრავალ მათგანს ხელში უჭირავთ ყვავილების თაიგულები, მორთულობა მათი შეეფერება აღგზნებულ პირისახეებს: თეთრი, პირისფერი, ალისფერი, ჩალისფერი, ცისფერი კაბები ძვირფას თაიგულად ხდის თეატრის ლოჟებს. არც ბრილიანტი, ალმასი, ლალ-ზურმუხტი აკლებს ბრწყინვალებას მათ მორთულებას.

თეატრი მთლად აივსო. ორკესტრი მოჰყვა თავის ჩვეულებრივ უსიამოვნო მართვას. მხოლოდ რამდენიმე ლოჟა-ღაა ცარიელი ბენუარში. ვაჟკაცნი, ზურგ-შექცეულნი სცენისკენ,

ლორნეტებით ხელში, ათვალიერებენ ქალებს და ხმა-მაღლა, დარწმუნებულნი, რომ ორკესტრის ღრიჭინში და საზოგადო ხმაურობაში ვერავინ რას გაიგებსო, თავის მეზობლებს ელაზღან-დარებიან, სხვა-და-სხვა, არა-ფაქიზს, შენიშვნებს უკეთებენ ლოჟაში მსხდომ კეკლუცებს.

უცებ გაიღო ბენუარის № 3 ლოჟის კარი და საჩქაროდ გაბრწყინვალებული სახით შემოფრიალდა კნ. კუკნა. მის შავი ბლონდებით მორთული კაბიდან მკრთალად გამოსჭვივის თეთ-რი გულ-მკერდი, გიშრისფერ თმებში გაბნეული აქვს რაღაც ბჭყვრიალა ქინძისთავი და ყოველ მიხვრა-მოხვრაში ვარსკვლა-ვივით მიანათ-მოანათებს. კნეინამ თვალები მოპრუწა, მაგრამ პირველ რიგში მდგომნი კავალერნი ვერ გაარჩია და საჩქაროდ ამოიძრო წელში გამაგრებული გრძელტარა ლორნეტი და მი-თი გაიჭვრიტა; ახლა კი დაინახა, ვინც იყვნენ და მხიარულად, შინაურულად თავი დაუკანტურა, შემდეგ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ერთი წამით აათვალიერ-ჩაათვალიერა ქალთა მორ-თულობა და მრავალს თავის წრის მანდილოსანთ თავი დაუ-კრა. ერთ-ერთ მახლობელ მეზობელს რამდენიმე მოსწრებული, სიმახვილით სავსე სიტყვა გადასტყორცნა, მეორეს რაღაც სა-სიამოვნო ახალი ამბავი უამბო.

არც ერთ წამს მის პირისახეს ბედნიერი, კმაყოფილების ღიმილი, აღტაცებული გამოხატულობა არ მოშორებია, მხო-ლოდ ხანდახან, გაკვრით შეხედავდა ლოჟის კარებს და მაშინ გადურბენდა საშინელი სიანჩხლე მხოლოდ და საჩქაროდ ისევ ტკბილი ღიმილი, შუქმფინავი ღიმილი დაიკავებდა თავის ალაგს.

ორკესტრი გაიმართა, უვერტიურამ გრიალი მოიღო. სუ-ყველანი გასწორდნენ თავ-თავის ალაგზედ, დაგვიანებულებმა გიჟებივით შემოირბინეს ზალაში და საჩქაროდ დაიჭირეს თა-ვისი ალაგები. აი ფარდაც აიწია. სცენაზე გამოვიდა მთელი საზოგადოების საყვარელი, ამ წლის სცენის მშვენება, მომღე-რალი სირინოზი და საერთო ტაშის ზრიალი მოისმა. ორკეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიდან უშველებელი, ძვირფასი ქსოვილით შემოხვეული დაფნის გვირგვინი მიართვეს ამ დღესასწაულის მიზეზს.

კუკნა კი ისევ კარებს უყურებს, იმის ღიმილის ხარისხმა ძალზედ დაიწია, თვალებში მოუთმენლობის ცეცხლი აენთო: „ნუ თუ გაჰბედავს და არ მოვა? ნუ თუ?—კბილების მოჭერით ტუტუნებს,—ნუ თუ?... აბა ნუ მოვა!..“ და ამ მუქარაში ისეთი სისასტიკე და სიმძლავრე იყო, რომ ლოჟის კარები გაიღო და, თითქო შთაგონებით გამოწვეული, ლიზა შემოვიდა და თან ვილაც ღარიბად ჩაცმული ყმაწვილი ქალი შემოჰყვა.

— სად იყავ აქამდინ?—თვალების ბრიალით გადახედა დედამ ლიზას და მერე ფარისევლურის ღიმილით, რომელშიაც უფრო ზიზღი გამოიხატებოდა, ვიდრე სიამოვნება, სტუმარ ქალს ხელი გაუწვდინა და თან მას სადა, არა-ერთხელ ნაცვამ კაშმირის კაბას თვალი ააყოლ-ჩააყოლა და საწყალი ქალი თავითფეხებამდინ გააწითლა.

— მანამ ნინო ჩაიცვამდა, დაგვიგვიანდა,—წაიჩურჩულა ლიზამ და დედის თვალების ისრით გაგმირულმა კისერი მოიღრიკა.

— შენ არ იცოდი, რომ ლოჟაში მარტო ორი სკამი სდგას?

— ვიცოდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ მესამესაც მოუმატებდნენ.

— მერე?!

— ნინოს დავუთმე ის მესამე!—და აქ ლიზამ დედას ისეთი სიძულვილით შეხედა, რომ ახლა კუკნამ დაუშვა ძირს თვალები.

— ჰმ, მოიცა, მოიცა!—გველურად გაისისინა დედამ და თვალებზედ ხელი გადაისვა, რომ არავის შეენიშნა მისი სიკაპასე, მისი სიბრაზით მოღრეცილი ტუჩები, მისი მრისხანედ შეკრული წარბები.

ვიდრე დედა-შვილი ასე ტკბილად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, საზოგადოება გატაცებით უსმენდა თავის საყვარელს არტისტს და დიდი აღტაცებით აჯილდოვებდა ყოველ იმის ნაბიჯს, ყოველ იმის ჰანგს, ყოველ იმის მიხვრა-მოხვრას.

მოქმედება გათავდა. ფარდა დაეშვა. გატაცებულთ საზოგადოების ღრიალი და ტაშის-კვრა უაღრეს ძლიერებამდე ავიდა. მრავალ ქალიშვილს გადაასქდა ხელზე გადაჭიმული ფერჩატკი მომატებული ტაშის-კვრით, ბევრს აღელვებით თმები წამოეწეწა, ბევრს მორთულობა მოებოშა, საყელო გვერდზე მოექცა, მაგრამ ამას ყურს ვიღა აპყრობდა! მთელი არსება აქ მყოფთა შთანთქა მხოლოდ სირინოზმა, ამისმა მართლა და სირინოზულმა ჰანგებმა.

კუკნა ცმუკავდა, ტაშს უკრავდა, თავის მომხიბლავ ღიმილს ერთი-ათად მომხიბლავად ჰქმნიდა; ლიზა, თავის ბუნების შესაფერად, უფრო თავ-დაჭერით იქცეოდა, მაგრამ მისი „ღვთაებრივი ღიმილიც“ არ იყო ჩვეულებრივ დაზოგილი, მის დაწმენდილ, ღმობიერ თვალებშიაც კორიანტელი იყო აღგზნებული.

კავალრები კიდევ ზურგ-შექცეულნი იდგნენ სცენისაკენ, ქალებს შეჰყურებდნენ და ლაზღანდარობდნენ:

— ხედავ ბენუარში № 3, შავებით, პატარა დედა-კაცს, რომელიც დაუყოვნებლივ ცმუკავს?—ეუბნებოდა თვით მუშტის ოდენათ მობღუნძული არაფელ არაფელიჩი თავის მეზობელ სტეფან სტეფანიჩს. რომ იცოდე რა რიგად გამომტყუა გუშინ წინ ეგ ლოჟა? ბრაზით გული ყელში მეჩრება, ლამის ჰკუა დავკარგო და „სკანდალი“ გაუკეთო!—და მართლა ისე იყო გაბრაზებული არაფელა, რომ თითქმის იხრჩობოდა, მის დურმიშხანა პირისახეს შავი ხვითქი გადასდიოდა, მოკლე, მხრებში ჩამძვრალი კისრის ძარღვები ძალზედ გასტენოდა სისხლით და შავ ბრიალა თვალებს, ბოროტებით სავსეს, უფრო აბრიალებდა.

— არაფელ, ჰკვიანათ იყავ, ხომ არ გაგიჟდი, კაცო, ვერა ხედავ შენ გარშემო რა ამბავია: ადმინისტრაცია აქ არის, ერთი ლიტერნი ლოჟისკენ მიიხედე, იქ ვინა ზის და! გულგახეთქილი აშვიდებდა სტეფანე თავის გახელებულ მეგობარს.

— კიდეც ეგ მიშლის ხელს, თორემ სულ აქაურობას დავამტვრევდი! არ იცი, სტეფანჯან, რა ოინი მიყო იმ თილისმა დედაკაცმა, არ იცი და!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო, არაფელ? რა გაქვს იმ კნეინასთან შენ საერთო? ვინ შენ და ვინ ის?

— კიდეც ეგ არის, რომ ვინ მე და ვინ ის და... კნიაზები, გენერლები, გრანიციდან მოსული სოვდაგრები სულ ერთიან ყინულზედ დააცურა და ახლა აქაურებზედაც ცხვირს არ იწევს! გუშინ წინ ჩემთვინ ბულვარზედ მივალ, მთელი ქალაქი კარზეა რაღა, შუა დღის ორი საათი იყო, ვათვალიერებ დართულ ქალებს; ერთი ვნახოთ, კნეინა კუკნა მოკუნცულებს, თავისებურად, გრაციოზნათ კურტუმს მოიქნევს, თვალებს სჭუტავს, ისე შვენის, ისე, როგორც ოცი წლის ჯეელი გოგო და მერე იცი შორიდან როგორ მიღიმებს?! როგორც ძველი მეგობარი, როგორც დოსტი, როგორც ძმა კაცის „დუშინკა“ რაღა. მეც სულმა წამძლია, გავბრიყვდი და თამამად მიველ, გამოწვდენილი ხელი ჩამოვართვი და ხელთათმან ზემოთ, ტიტველა მკლავზედ ვაკოცე, ვაკოცე და თან ხელი მიკანკალებს: სეირი არ იქნება ამ მეიდანზედ ერთი ლაზათიანი სილა მოხლიშოს-მეთქი! შენც არ მომიკვდე, უფრო ტკბილათ გაიცინა და ბაასი დამიწყო: არაფელ არაფელიჩ, თქვენ გაქვთ ლოჟა სირინოზის ბენეფისისთვის?

— მაშ, არ მექნება!—დავიკვეხე მე.—არ მექნება ლოჟა იმ ბენეფისზედ, როდესაც მთელი მშვენიერთა გუნდი დაესწრება, როდესაც...

— წარმოიდგინეთ,—გამაწყვეტინა წუწუნით კნეინამ,—ჩემი უბედურება, მე კი ველარ ვიშოვნე, იმ წყეულ მირიმანოვს გაუყიდია კიდეც ჩემი ლოჟა, ბენუარი № 3. ჩემი ლიზა კი თვალებს ითხრის ტირილით.

— მე დაგითმობთ, მე გაახლებთ ჩემ ლოჟას,—საჩქაროთ ვუთხარ მე კუკნას,—მხოლოდ ერთის პირობით, ანტრაქტში ორი მინუტით ნება მიბოძეთ თქვენთან შემოვიდე.

იმან ჯერ თითქო იწყინა, მაგრამ მალე, საუცხოვო ღიმილით მომმართა და მითხრა: ოჰ, ძვირფასო არაფელ, რა რიგ მოვისვენე, რომ ლიზას ცრემლებს აღარ დავინახავ! ორი მინუტით კი არა, გინდ ნახევარ საათით, დიდად გვასიამოვნებთ. მხოლოდ უბძანეთ მესამე სკამი მიუმატონ ლოჟაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვახლაკი, მაშინვე მირიმანოვთან გავექანე, უთხარ: თუ ძმა ხარ, თუ ჩემი პატივის-ცემა გაქვს, მესამე № ზენუარისა, უთუოთ მიშოვნე-მეთქი და რაც გინდა გადამახდევინე-მეთქი.

— გაყიდულია,—მითხრა იმან.

მახლას, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, პირს ხომ არ შევირცხვენდი, საცა იყო და როგორც იყო მესამე ნომერი ვიშოვნე და კნეინას მე თვითონ მივართვი. კნეინამ სიხარულით კინაღამ არ გადამეხვია, დამსვა, შოკოლადი მომართვა, ერთი ბაასი, ერთი სიცილ-ხარხარი, ერთი „ოსტრი სლოვო“, ქალაქის ახალი ამბების გამოკითხვა გამიმართა. იმის „გოსტინაში“ კი ისე ცივა, ისე ცივა, რომ კბილი კბილს მაცემინებს.

— Ваша квартира ужасно холодная,—ვეუბნები და თან ინდაურივით ვიბუზები, ხელებს ვიფშვნეტ.

— Да, дорогой Арафелъ Арафеловичъ, мы мерзнемъ, შეშაც შემოგველია და არ ვიცი ვისთან ვიყიდო!—თან, ვითომ ახლა გაახსენდა, დაუმატა:—მე მგონი თქვენ შეშით ვაჭრობთ, ნეტა თუ როგორ ფასობს ახლა შეშა?

— შეშა ცოტა გაძვირდა, მაგრამ მე იაფად გაახლებთ,—კიდევ წამოვროშე და იცი, სტეფან ჯან, ლოჟას ნახევარ საჟენი შეშაც ზედ დავუმატე. ახლა მათ მისართმევათ ორ გირვანქიანი „ბანბანერკა“ რენიეს კამფეტიც მიყიდნია, პალტოს ჯიბეში მიძევს, „პრისტავნოი“ სკამშიაც ორი მანეთი და ხედავ იმათ კი ვიღაც გოგო გამოუჭიმავთ, რომ ჩემთვის ალაგი აღარ ყოფილიყო.

— სულელო, სულელო და მერე მარტო ერთი მინუტით ჯდომისთვის ლამაზ ქალთან მაგდენი ფულები წყალში გადაყარე? მე უფრო ჭკვიანი მეგონე, ტუტუცი ყოფილხარ!—დაცინვით უთხრა სტეფანემ არაფელას.

— ვა, ლამაზიც არის და ლამაზიც, ერთი ნახე და, სწორედ მარმარილოსგან გამოჭრილი ღვთაებაა, ამასთან არისტოკრატკა, დიდი შთამოებიანთ გვარის შვილი; მერე დიდ-კაცებთან, დასწყევლოს ღმერთმა, რაღაც უნებლიეთ მოწიწებას, იმათ სამსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურის სურვილსა ვგრძნობ! მინდა რომ სულ ვემსახურო, სასიამოვნო რამ უთხრა!

— კიდევ ვიტყვი, ტუტუც, ტუტუც! რა არის დიდ-კაცობა, კოტრი დიდკაცობა?—გახუნებული ხავერდი, რომელიც ღარიბს უფრო შესაბრალისად ხდის და მდიდარს კი მომეტებულ ბარგად უხდება ოჯახში,—იოხუნჯა სტეფანემ.

— არა, მე კიდენ სხვა აზრიცა მქონდა თავში! მე მინდოდა ჩვენებიანთ კატინკა გამომეჯავრებინა, შემეშინებინა, მეთქვა: თუ შენ ანუას არ მომცემ, ავდგები და ქართველ კნიაჟნას და მასთან მშვენიერ კნიაჟნას, მეხვეწებიან-მეთქი, და შევირთავ-მეთქი.

— ჰო, ეგ კი მესმის! ანუსა მართლა მსუქანი ლუკმაა. ამბობენ, ორი კი არა, სამი ათასიც მეტი აქვს კატინკას ბანკშიო, მაგრამ სუ, ხედავ ფარდა აიხადა.

## III

ახმაურებულ ზალაში წამზედ სიჩუმე ჩამოვარდა. დიდი და პატარა სმენად გადაიქცა.

უდიდესმა თანაგრძნობამ საზოგადოების მხრივ, ქალთაგან მიძღვნილის ყვავილების სურნელობამ, არა ნაკლებ სურნელებით გაჟღენთალმა სატრფიალო ბარათებმა, რომლებიც სირინოზმა ანტრაქტში მიიღო და რომელნიც ეხლა იმის გულისპირში „დუქინობით“ ელაგნენ, მთლად გრძნობად გადააქციეს არტისტი: იმის ჩვეულებრივ ძრიელს, ფოლადივით წკრიალა ხმას რაღაც მომხიბლავი სინარნარე მიეცა, რაღაც თავ-ბრუს დამსხმელმა სირბილემ, სიტკბოებამ, ნექტარისებრივმა ტკბილხმოვანებამ დაათრო მთელი საზოგადოება და ნეტარებით გამობრუებული, ხაშიშ ნაჭამი სპარსელივით, იმ სოფლის ედემში გადასტყორცნა. ბევრი თუ ყმაწვილი, შეგნებული თუ შეუგნებელი, კეთილი თუ ბოროტი ყველა წამით ერთ გვარად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობდა, ერთგვარად სტკბებოდა, ერთ გვარად შთაინთქმებოდა იმ დავიწყების სფერაში, როდესაც კაცი აღარა კაცობს და მხოლოდ თავის სულიერს მაღლა-ფრენას აეტაცებინება.

სირინოზის ანგი თან და თან დაბლდებოდა, ნაზდებოდა, სტკბებოდა და ბოლოს მხოლოდ შორიდან, ძრიელ შორიდან, სიოსაგან მონაბერ ბულბულის ნარნარ, მკვნესარ, სამოთხისებრივ შტვენად გადაიქცა და შეუნიშნავად შესწყდა...

საზოგადოება მკვდარივით მდუმარებდა, მას ძალ არ ეძლო მომხიბლავი გატაცება დაერღვია... საიდანღაც ოხვრამ გაირბინა ჰაერში, მას ტაში მოჰყვა და წამზედ მთელი თეატრი თავით ფეხამდე ათრთოლდა, აზანზარდა, გამოფხიზლდა და რამდენადაც კმაყოფილება ძრიელი იყო, იმოდენადვე მადლობის გამოსახვა უზომო და დაუსრულებელი.

ამ საერთო ლმობიერების დროს მხოლოდ არაფელ არაფელიჩი არ ლმობიერებდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მას არც ერთი ხმა, არც ერთი კრინტი არ გაუგონია, ის მხოლოდ იმას ფიქრობდა, თუ რითი მიეგო კნ. კუკნასთვის სამაგიერო, როგორ ძვირფასად გადაეხდევინებინა იმისთვის ის ბლომა ფული, რომელიც იმან იმაზედ დახარჯა და იმ იმედების გაცრუება, რომლებიც მშვენიერ კნიაჟნასთან ჯდომით უნდა გაეხორციელებინა.

არაფელ არაფელოვიჩი არაფელოვი თუმცა ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში იყო ნამყოფი, მაგრამ არც გარეთად შეხედულობაზედა და არც შიგნითად თვისებებზედ არ ემჩნეოდა განათლების კვალი. პირიქით საბოროტე, გულღვარძლიანობა, შურის ძიების სურვილი კი გამეფებული იყო იმის ბუნებაში.

მაშინ როდესაც უმაღლესის ნიჭის მადლმა მთელ მის გარეშემო დაიმონავა, შეკჰრა, შებოჭა და ქვეყნიური დაავიწყა, არაფელის ბრაზს უფრო ხელი შეუწყო და გაალმასა; მაშინ, როდესაც მთელი თეატრის დარბაზი თრთოდა ტაშის კვრით და ყოველი კერძო წევრი თეატრისა პირზედ ნეტარებას ატარებდა, არაფელის პირმაც გაიღიმა, მაგრამ ის ტკბილის კმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილების ღიმილი კი არა, ბოროტების სატანური ღიმილი იყო: მახლას ვიპოვნე საშუალებაო და საჩქაროდ გავიდა ზალიდან „კორიდორში“, პალტოს ჯიბიდან „ბანბანერკა“ ამოიღო, კამფეტები მოფარებით ჯიბეშივე ჩაიყარა და ცარიელი ყუთით ხელში საჩქაროდ გავიდა თეატრიდან ქუჩაში.

—

ტაშის-კვრა და საზარელი ღრიალი, არტისტის უთვალავი გამოძახილი შესწყდა, მხოლოდ აღელვებული სიზოგადოება, მეტადრე ქალები, შერბიოდ-გარბიოდნენ ერთმანეთთან თავიანთ ნეტარების, აღტაცების გასაზიარებლად; კუკნას ლოჟის კარებიც ღია იყო და შიგ ლოჟაში ათამდე რჩეული ყმაწვილი ქალი და კაცი უმაღლესის წოდებისა ლაზღანდარაობდა ამ საღამოს ბრწყინვალე ვარსკვლავზედ.

ერთმა თეატრის მსახურთაგანმა ზრდილობიანად მისწიმოსწია მშვენიერთა სხვა-და-სხვა ფერად აყვავებული ძვირფასი სამოსელი და კნ. კუკნას წინ წასდგა, რომელიც სხვებზე უმეტესად ჰღელავდა, ხმაურობდა, კასკასებდა, და მაღალი, მკაფიო გამოთქმით მოახსენა: „ეს კამფეტები გაახლათ ბ. არაფელ არაფელოვიჩმა არაფელოვმა!..“—შემდეგ დაბლა თავი დაუკრა კნეინას მსახურმა და გაბრუნდა.

— აბა, ქალბატონებო, არაფელიჩის კამფეტები ვნახოთ,—დაცინვით სთქვა კნეინამ და კოლოფს თავი ახადა; შიგ დამპალი, გამწვანებული ხურმა ეყარა და რამდენიმე ნაჭერი ტალახში ამოსვრილი ყინული ეწყო.

—ოხ, ღმერთო! Какой скандалъ!—კნეინამ გველ-ნაკბენივით გააგდო ხელიდან ყუთი და გულ-წასული ლოჟის ბარიერს გადააწყდა. მოლაზღანდარე სტუმრები წამზედ საცაღა გაჰქრნენ, მხოლოდ კნ. კუკნას კივილზე გარეშე ხალხმა მოიყარა თავი ლოჟის კარებთან; იქ კუთხეში თვალებ-დახუჭული, გულზე ხელებ-წავლებული ლიზა იდგა, მისი გული ისე საშინლად სცემდა, მის სახეს ისეთი სიკვდილისებური ელფერი დასდებოდა, რომ საბრალო ნინო თავზარ-დაცემული, ხელებ-აპყრობილი, რაღაც საშინელებას მოელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იატაკზედ გაღნიობებული არაფერის ნამღვნევი იყო გაფანტული და მხოლოდ ეს ნამღვნევი იპყრობდა მაყურებლების ყურადღებას.

სამი მიწასთან განადგურებული, თავლაფ-დასხმული, ცოცხალ-მკვდრად ქცეული არსება კი არავის შებრალებას და დახმარებას არ იწვევდა.

ეკ. გაბაშვილისა

# გაზაფხული

კიდევ ვეღირსე გაზაფხულს,
ციდამ მანანის დენასა,
ბუნების გამოღვიძებას, —
ფრინველთ საამო სტვენასა;
გუშინ მეგონა, დავმუნჯდი,
დღეს ისევ ვიდგამ ენასა.
ყურს ვიღა უგდებს ამ დროსა
პირად ჭირს, კერძო წყენასა!?
მშორდება, თუ რამ ჭკვაზედა
ან გულზე ჟანგი მდებოდა...
გული აძგერდა სხვა რიგად:
ვნახე ზამთარი კვდებოდა.
მტარვალად გამომცქირალი
მთებზე ყინული დნებოდა;
და, ჰა, სულ-გულის სიცოცხლე
სამარიდამა დგებოდა!
აყეფებულან ხევები,
ცეცხლს აკვესებენ პირითა:
ვის მუქარაზე მიდიან,
ვის აკვნესებენ ჭირითა!
იქნება მაყრები იყვნენ,
მეფე მოჰყვანდეთ ლხინითა?
კართანას უცდის არაგვი—
ვეფხვი ალმასის კბილითა:
«მოვიდეს, ვინაც ვაჟია!»

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღრტვინებულა ყინითა.
ურჩს სცემს სალსა კლდეებსა,
გაუმაძღრებსა ძილითა.
ამდგარა ამირანიცა
კლდეში დაბმული ჯაჭვითა.
დაუბღუჯია ხმლის ვადა
მოუდალავის მაჯითა,
კვლავ სთელავს დედა-მიწასა
თვალ-გაუწვდენის ლაჯითა;
სისხლს იძევს ვინაც ტყვეობის
გმირი აწამა ბაყითა.
საცა გავხედნებ, ყველგანა
ზღვა მოვარდნილა მწვანისა,
გულის გამგულებელი,
დამათრობელი თვალისა.
დღეს სამოთხეში ვნეტარობ,
დარდი არა მაქვს ხვალისა.
იამაც მომცა სალამი,
დამ კვლავ ძმა იცნო თავისა.
გვერდს უდგა დიაგონაი,
როგორ ამაყად ჰყვავისა!..
მონა ვარ, მონა ბუნების,
დონე არა მაქვს დავისა!

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინჯილერი ან დოხტური

კომედია 4 მოქმედებად

## მოქმედება 3.

მოქმედება სწარმოებს ერთი წლის შემდეგ უზარნოვიანთ სახლში. სცენა წარმოადგენს სანდუხტა უზარნოვის გემოვნებით მორთულ ოთახსა. სალომე უზარნოვი ჰგვის ოთახს.

### გამოსვლა 1.

**სალომე** უზარნოვი (მარტო)

**სალომე.** (საზოგადოებას): მეც მითომ რძალი ვიშოვნე!... მეც მითომ რძლის პატრონი ვარ! (კარებისკენ ქოქოლით) უი ჩამისკდი! შენ კი არა მყავდე აი! ერთი მიბძანეთ, ეს ჩემი საქმეა? დედამთილი თუ რძალი უნდა უვლიდეს ოთახებს? აი თითქმის მეორე წელიწადი გარბის, რაც ეგ აქ არი და ჯერამ ჩხირი არ გადაუბრუნებია! თუ დაარიგებ და ეტყვი რასმე ის პასუხებით აგიკლებს! ეგ რა ჩემი საქმეაო! უნდა ლაქია დაიჭიროთო და ოთახებს ის მოუვლისო! ეს „პოვარი“ და „ნანუშკა“ დამიჭირეთო, ეს ესაო, ეს ისაო! ხო, მაშა! დედაშენმა რომ თავის პირობა აასრულა! აგერ მეორე წელიწადი გარბის და იმისი ორასი თუმნის ვექსილი

*) იხ. „მოამბე“ № III.

ისევ ხელში გეიჭირავს! სულ იმას გაიძახის თუ: „პატარა მომითმინეთ, პატარა მომითმინეთ!“ ჩემი შვილიც მოთმინებიდან გამოიყვანეს, ცალკე დედამ და ცალკე ქალმა! დედაკაცმა რომ თავისი შვილი არ გამოზარდოს, ის რა დედაკაცია! იმტელი ქნა, იმტელი, რომ ძიძა დაგვაჭერინა! მარტო ჯამაგირს იმ გასაწყვეტ ძიძას ცამეტ მანათს ვაძლევთ; ახლა ჩაცმა, ახლა ჭამა, დილა-სალამოს წყვილ-წყვილი ჩაგდებული ჩაი! ეს კი ანგარიში არ არი! სუყველა ანგარიშია! იმ გასაწყვეტმა ქეთევანამ ტყუილი კი არა თქვა, რომ „ფულიანიო მეტ-მეტსაც ნდომულობსო!“ მაგის დიდკაცობას ამ ორ წელიწადს მთელი თავის შემოტანილი ფული არც კი ეყოფა და! მე და ჩემმა ღმერთმა, ქეთევანას თქმისა არ იყვეს, კაცმა უნდა ღარიბ ქალს მოსჭიდოს ხელი და ჯვარი გადაიწეროს! ღარიბი თავზე კაკალ მაინც არ დაგანტრევს! რასაც აჭმევ და ჩააცმევ, ყაბულს მაინც იქნება! ეხლა მაგას თუ ყოველ დღე „მაროჟინები“ არა აქვს, აქაურობას ლეწავს! აგრეთვე ტანისამოსი: თვეში სამ კაბას იკერამს! რა ენა და პირი მოსთქვამს, რაც მაგ სასიკვდილეს ფულის ფლანგვა უყვარს! (აჩვენებს ხელით „ეტაჟერკაზე“ დალაგებულ წვრილმანზე) აბა ეხლა ესა, რის მაქნისია, ერთი მიბძანეთ!... განა ემეებში კაცმა უნდა ფული დახარჯოს!... ის გასაშავებელი მაგი დედაც. იმი მაგივრათ რომ ქალი დაარიგოს, დააჭკვიანოს, ქა, პირიქით კიდეც აგიჟებს: ეს ეკიპაჟი გაამართვინეო, ეს დაჩები აყიდვინეო! (ქოქოლით) ი მეხი კი ჩაგასკდა, მეხი! ეკიპაჟი კი არა, მამა გიცხონდა, კალასკა არ გინდა! (საზოგადოებას) არა, ერთი მიბძანეთ, გენაცვა, ვისაც კი ერთი ორი გროში აქუხვია, განა ფაფასავით ერთ დღეს უნდა შეთოხლოს? (ხელებს მაღლა აიშვერს და თავის ქნევით) ღმერთო! გევედრები და გთხოვ, ერთი-ორად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახდევინე იმ პირგასაშავვბელ ბარბარესა ჩემი ამ ცეცხლში ჩავარდნისათვის! ცეცხლი ჩაუვარდეს, ცეცხლი, ჩემი ცოდვით იმასა! (სწმინდავს ეტაჟერკასა. უცბად ეტაჟერკიდან რაღაც პატარა ვაზა გადმოვარდება და გატყდება. სალომე კარებისკენ) უი, შენ კი გაგიწყდეს სახელი, შენა! შენ მოუკვდი შენს პატრონს! (ჰკრეფავს ნამტვრევებს და თან იწყევლება) დედა-შენიც მინახავს შენზე გაგლეჯილი! (უცბად შემორბის მისი რძალი სანდუხტა უზარნოვი).

## გამოსვლა 2.

### სალომე უზარნოვი და მისი რძალი სანდუხტა.

**სანდუხტა.** რა გატყდა? რა ამბავია?

**სალომე.** შენი თავის სიკვდილი და კვნესა, რომ ამისთანა კიწიბიწოებში ფულებს ხარჯამ!

**სანდუხტ.** ეგ რა შენი საქმეა? ისევ შენი თავის სიკვდილიცა და კვნესაცა!... რამდენჯერ უნდა გაგაგდო შენ ჩემ ოთახიდან! გასწი, გადი ამ წუთში აქედან და კვლავ ჩემ დაუკითხავად შენ ფეხი აღარ შემოაწაწანო აქ!

**სალომე.** მაშ არა და შენმა თავის გახეთქამა შენ მოუვლი აქაურობას!

**სანდუხტ.** ისევ შენმა თავის გახეთქამა და კვნესამა, შე ქოფაკო, შენა!

**სალომე.** (ცხვირზედ ხელს ისვამს) მაშ ამ ცხვირს მოვიჭრი, თუ შენ რა დღე დაგადგეს დღესა! ფასად დაგისვამ მაგ სიტყვებსა! მოიცა, მოვიდეს გასპარა! ერთი კარგა თუ არ ჩავაჟეჟინე შენი თავი თვითონ შენ ქმარსა, არ იქნება!

**სანდუხტ.** მეხი შენც ჩაგაყარე და იმასაცა! არც შენი მეშინიან და არც იმისი! ი შენი შვილი რომ პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკვიანი იყვეს, თვითონ შენ მიგბერტყამს, არამ თუ შენ გიჟ ჭკუაზე ივლის!

**სალომე.** (თავის ქნევით) ხო, რაკი პოვრებს არ დაგიჭერს და „პეროჟინებს“ არ გაკუკნებს!

**სანდუხტ.** თქვე უბედურებო, პიროჟნები თქვენ თუ გაგკვირებიათ. თორემ მე შინ ფეხქვეშ გათელილიცა მქონდა!

**სალომე.** გათელილი, მამა გიცხონდა!

**სანდუხტა.** მამაც გიცხონდა და მამაც წაგიწყდა!

**სალომე.** (გაბრაზდება) ე მანდ ხმა ჩაიწყვიტე თორემ!

**სანდუხტა.** თორემ რა? (მიდის ახლო) აბა თორემ რა? აბა ერთი რა გნებამს?

**სალომე.** (ჩამოეცლება) არა, მე შენზე ხელებ რათ გავისვრი, როცა შენ ქმარსაც კარგა მოევაგლევინებ მაგ თავსა!

**სანდუხტა.** (მახარული ღიმილით) ერთი არა მინდა-რა ხელი დამაკაროს და მაშინ შენ სამუდამოთ ამ სიცოცხლეს გამოესალმე!

**სალომე.** (საზოგადოებას) დამიხედეთ რძალსა! (მერე სანდუხტას ხელის ქნევით) არა გევხარ სხვა რძლებსა!

**სანდუხტა.** შენც არ გევხარ სხვა დედამთილებსა!

**სალომე.** აბა, შვილო, მითხარ რა დაგიშავე? ერთი, სხვა დედამთილებივით, პრეწა გრეხას ვუნდები, არ გიგვი, არ გიწმენდამ, საჭმელებს არ გიხარშამ.

**სანდუხტა.** აბა კიდეც მაგაზე მეჯავრები აი! ერთი მითხარ თუ: რა შენი საქმეა ან გვა, ან წმენდა, ან საჭმელების ხარშვა? ხვთის მადლით, გაქვავიათ, პატარა გამოიმეტეთ: „ლაქიაც“ დაიჭირეთ და „პოვარიცა“!

**სალომე.** შენ რომ ცოტა ჭკუა არ გაკლდეს, მაგეებსაც როდი იყბედებ! ჩვენ დედა-შენივით ტუტუცი ნუ გგონივართ რომ „პოვრებში“ და „ლაქიებში“ ფული ვფლანგოთ!

**სანდუხტა.** შე უბედურო, შენ შენი თავი ჭკვიანი გგონია?

**სალომე.** მაშ არა და შენმა თავის გახეთქამა შენა გგევარ!

**სანდუხტა.** ისევ შენმა თავის გახეთქამაცა და სიკვდილმაცა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალომე.** აბა მიიხარ, რომელი ჭკვიანი იტყვის ამასა: სულ დღეს შევჭამოთო და ხვალისთვის ნუ ვიფიქრებთო.

**სანდუხტა.** შე უბედურო! „სულ დღეს“ იქნება, რომ პატარა განათლებულათ ვიცხოვროთ? ხომ გაქუხვიათ! რა ვიცი, წინათ ბარბარეს კარგა შეჰკვეხოდით, რომ თვეში ოთხმოც თუმანს ვიღებთო? ეგ იქით იყვეს, მე თქვენი ფულიდგან კაპიკიც არ მინდა! მაგრამ ი ჩემი ათას რვაასი თუმანი ხომ ნაღდი უდევ ბანკში ი შენ სასიკვდილე შვილსა!

**სალომე.** შე თავსასიკვდილე! ჩემი შვილი რა ყბათ აიღე! (საზოგადოებას და თან ცრემლს იწმენდავს) ამაზე უბედურება გინახამთ: პირში შვილს მიწყევლის! (მერე რძალს) ან შენი ათას რვაასი თუმანი რა ზლვათ გასკდა, შე სასიკვდილე! ჩემ შვილს კაი სამი ათასებიც ეძლეოდა!

**სანდუხტ.** (თავის ქნევით) ხო, ეგეც ვიცით, რაც სამი ათასები ეძლეოდა! აქაური ქალების ფულებს შენა და შენი შვილები, როგორც კაი ვაჭრები, ისე სწონამდით!.. რაკი ჩემმა ფულებმა გადასწონეს....

**სალომე.** შენმა თავის გახეთქამა, დედა-შენმა რომ ის ორასი თუმანიც დეზათ დაგვითვალა!

**სანდუხტ.** ჩემი დედის ჭვლები დაგადგეთ! ძაან კარგი უქნია, თუ არ დაუთვლ..ია! თქვენზე ისიც არამია, რაც მოგცათ! დასამარხად მოგინდეთ შენა და შენს შვილს ის ფულები!

**სალომე.** (მივარდება რძალს) ხმა ჩაიწყვიტე ემ წუთში! ისევ შენა და შენს დედასა!

**სანდუხტ.** (ხელსა ჰკრავს) ემ წუთში გადი, დაიკარგე აქედან! შენი დუხი აქ აღარ იყვეს!

**სალომე.** მე კი ვავალ, მაგრამ ვაი შენ ტყავსა, შე უბედურო! მოიცა, მოვიდეს გასპარა! (გადის).

**სანდუხტ.** (მიაძახებს) შენც მენაცვალე და შენი გასპარაცა!

## გამოსვლა 3.

### სანდუხტა უზარნოვი (მარტო).

**სანდუხტ.** (საზოგადოებას) მაგათ უნდათ, მე ჩამკლან და ერთი ორი ათასიც კიდევ აილონ! (თავის ქნევით) ვნახამთ, მე, თუ თქვენ უფრო წინად გაითხრით საფლავს! ამის იქით მიყურეთ, მე თქვენ როგორ სისხლი გაგიშროთ! სუ ეგ სასიკვდილე, სუ ეგ კუდიანი ბებერი კი ჰრევს ი ჩემ დანთხვეულ ქმარსა! იმტელი ქნა, იმტელი ქნა მაგ ქოფაკმა, რომ საწყალ დედა-ჩემს ფეხი ამოაკვეთინა! (ცრემლს იწმენდავს) რად მინდა თავი ცოცხალი, რომ ჩემი ქმრის შიშით დედასთან ვერ მივდიოდე! იმანაც მითომ სწავლა მიიღო! ისიც მითომ უნივერსიტეტში იყო! სირცხვილით ვერავისთან მითქვამს, რომ ქმარი მცემს! რასაც კი ი თავის გიჟი დედა მიუტუნტულებს, იმისთვის ფეჩატია! ვაცემინებო! (თავის ქნევით) ჰმ!... ჰმ!... ნეტა არ მინდა ერთი ხელი კი დამაკაროს და მერე ნახოს თავის სეირი! მთელ ქალაქს თავზედ დავახვევ! ასე ჰგონია, ერთხელ-ორჯელ რომ დავუთმე და დავფარე, ეხლაც ისე ვუზამ! ერთი ხელი დამაკაროს და მეც ეგ მინდა! გარადავოებს შევაბოჭინებ და პოლიციაში ჩავათრევინებ! აბა მაგას განა ერთი ბეწვა სწავლის ნიშან-წყალი აქვს: დედა-ჩემ ჩასციებია, ეგ ორასი თუმანიც ჩქარა მომეო, თორემ სახლებს აგიწერამო! უი ჩამისკდეს შენი სწავლა! ერთი მაგისი და მაგი ქოფაკი დედის სიკვდილი მაჩვენა ღმერთმა, არა მინდა-რა! ერთი ჩქარა ჩაკვდნენ, რომ მე ჩემი მზითვის ფულით, მაშინ მაინც ვიქეიფო! მითომ ინჟინერი ქმარიცა მყავდა და!... და აი მეორე წელიწადი გარბის და ჯერამ მაგი ხელში პატარა განათლებულათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიცხოვრია; არც კარეტაო, არც პოვარიო და არც დაჩებიო! არა, არა სჯობდა, რომ ისევ ლაკონიძე შემერთო? რაც ეხლა იმი ცოლი ქეიფობს, რაც ლაკონიძეს თავის ცოლის სიყვარული და პატივისცემა აქვს, განა სიზმარში კი ვნახამ მე იმას! დედა-ჩემ დაედოს ჩემი ცოდო, რომ ამ გიჟების ხელში ჩამაგდო! გიჟივით დაეჟინა თუ: „უთუოთ უნდა ინჯილერ მიგცეო!“ ე მცნდა ე შენი „ინჯილერი“, ე! (ამოიოხრებს) ეხ! რაღა თქვას კაცმა! ეხლა გვიანღაა! ერთი სიტყვით, მე როგორც ცხოვრებას ვხედამ, ქალმა მანამ კაცი კარგა არ გაიცნოს, მინამ არც ინჟინერობას უნდა დახარბდეს და არც ჯამაგირსა! დაუჟინიათ თუ: „ინჯილერიო — ან დოხტურიო!“ ემენდა ეგ შენი „ინჯილერი“, ემენდა ეგ შენი „დოხტური“! ერთი ძმა სცემს ცოლსა და მეორე! მაგი ძმა ხომ, ღმერთმა ყოველი ქრისტიანი დაიფაროს, რაც ის საზიზღარი კაცია! (სცენის გარედან შემოდის ხმაურობა და სალომეს მაღალი ხმით ლაპარაკი) უი, ის ქოფაკი ისა! დახე მართლა არ მიუტანა ამბავი! (სცენის გარედან გასპარ მიკირტუმოვიჩის ხმა შემოდის გაჯავრებით: „ეხლავ შევალ და თმით ავითრევ იმ გასაწყვეტს!“) სად დავიმალო? ტახტ ქვეშ შევძვრე? არა, მიპოვნის! (ტრიალებს სცენაზე) შკაფში? ვაი, ტანისამოსი ალაგია! მა სად წავიდე? რა ვქნა! ექ არ მომკლას! (პირჯვარს ისახამს) ღმერთო, მიშველე! (შემორბის გაბრაზებული გასპარ მიკირტუმოვიჩ უზარნოვი).

## გამოსვლა 4.

**სანდუხტა** და მისი ქმარი **გასპარ მიკირტუმოვიჩ უზარნოვი**

**გასპარა.** სად მიდიხარ, სადა? მოიცა, შე თავსასიკვდილე, შე გასაქრობო, შენა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სანდუხტა.** რა გინდა? შენ ვის აგინებ! (გულში) პატარა მაგრათ დავუდგე!

**გასპარა.** შენ კიდეც კითხულობ! შე თავსასიკვდილე, რატო დედა-ჩემს არ მოასვენებ?

**სანდუხტ.** ის თვითონ მე არ მასვენებს, არამ თუ მე! ჩემ ოთახში შემოსულიყო და ვაზა გაეტეხნა!... აი თუ არა გჯერამს, აი! (უჩვენებს ნატეხს) თვითონ გატეხა და პირიქით მე მლანძღამდა!

**გასპარა.** მაშ არ იცი, რომ გასალანძღი ხარ! მაშ არ იცი, რომ სასიკვდილე ხარ! რათა სდგამ ისეთ ალაგას, რომ გატყდეს! ან დედა-ჩემმა რათ უნდა მოუაროს შენს ოთახსა? ეგ გასაქვავებელი ხელები რაპ გაოხრია, რომ შენ თვითონ არ მოუარო სახლსა!

**სანდუხტ.** ხო, დიაღ! აღარას დაგიკლებ! შენ ჩემი ათას რვაასი თუმანი ბანკში გედოს და მე გოვოთ თავს გადგე!

**გასპარა.** შე სასიკვდილე, შენა, შენი ათას რვაასი თუმანი რა გაგიხდა! მე კაი სამი და ხუთი ათასებიც მეძლეოდა! ი შენი ქოფაკი დედისა არ იყვეს!

**სანდუხტ.** (გაბრაზდება) ი შენი კუდიანი დედაა ქოფაკიცა, ძაღლიცა და უზედურიცა! მაიმუნიცა! (თან ფეხს დაატყაპუნებს).

**გასპარა.** (მივარდება და უნდა, რომ ჩაჰკრას. სანდუხტა კარებისკენ გაიწევს) სუ, შე!.. (ორიოდეს ჩაჰკრავს) შე თავმოაშრებულო, შენა! შე თავმოსაკდომო, შენა! შენ ჩემთან როგორ ბედამ, რომ დედა-ჩემს აგინებ!

**სანდუხტ.** (ტირილით) შენ რაღათა ბედამ დედა-ჩემის ლანძღვასა? (ტირის).

**გასპარა.** (დადის სანდუხტას წინ) მაშ არ იცი, რომ მე ნება მაქვს და შენ არა! შენ არ იცი, რომ მე სხვა ვარ და შენ სხვა! მაშ არ იცი, რომ მე შენი ბატონი ვარ!

**სანდუხტ.** (ტირილით) სრულობითაც არა!

**გასპარა.** (მივარდება) სუ! ჩაკმინდე ხმა! (მუშტის ქნევით) Я тебѣ задамъ! მე შენ გაჩვენებ! მე შენ მოგარჯულებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სანდუხტ.** (გაბრაზდება და ტირილით) შენ შენი გიჟი თავი და დე-და მოარჯულე, შე უბედურო, ის გირჩევნიან! (მირბის კარებისკენ. გასპარა მოეწევა და ორიოდეს ლაზათიანად ჩაჰკრავს).

**გასპარა.** შენ კიდევ გაბედე! შენ კიდევ ხმა ამოიღე! ემენდა, ეგ შენა, ე... ე!..

**სანდუხტ.** (დიდი ხმით ტირის) მიშველეთ, მომკლა! მიშველეთ!

**გასპარა.** (მივარდება) დაჩუმდი ემ წუთში, თორემ დაგახრჩობ, დაგახრჩობ! (მუშტს უჩვენებს) დაჩუმდი, თორემ ხედამ! კიდევა იქ? მითხარ, კიდევა იქ? არ გესმის, პასუხი მომეცი, თორემ ხედამ! სთქვი, მივქარე-თქო! სთქვი, თორემ აი! (უღერებს მუშტსა).

**სანდუხტა.** (ტირილით) მივქარე!

**გასპარა.** (მუშტს უღერებს) თავი ქვას ვახალე-თქო!

**სანდუხტა.** (ტირილით) თავი... ქვას... ვახალე...ე!

**გასპარა.** (ხელს უშვერს) ახლა ხელზე მაკოცე! მაკოცე, არ გესმის! მაკოცე და კვლავ აღარა ქნა!

**სანდუხტა.** (ტირილით) რა ვქნა! ღვდელი ხომ არა ხარ!

**გასპარა.** არ იცი, რომ მე შენი ღვდელიცა ვარ და ბატონიცა!... მაკოცე ემ წუთში, ხელზე მაკოცე, თორემ ხომ იცი!

**სანდუხტა.** (დაიღრიჯება და აკოცებს მაინც ხელზედ) ახ, რა ვქნა!

**გასპარა.** (თავზე ხელს უსვამს) აი ეხლა ხარ კარგი ქალი! წადი ეხლა და დედა-ჩემს ბოდიში მოხადე და ხელზე აკოცე!

**სანდუხტა.** დიაღ, აღარას დავუკლებ! (გარბის).

## გამოსვლა 5.

**გასპარ მიკირტუმოვიჩ უზარნოვი** მარტო.

**გასპარა.** (საზოგადოებისკენ მუშტის ქნევით) ცემით, მხოლოთ ცემით მოარჯულებ ეხლანდელ ცოლებსა! (მერე კარებისკენ მუშტის ქნევით) **Я тебѣ задамъ! Я тебѣ!...** ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ გაბედე, მე შენ გაჩვენებ! გესმით, როცა მე გამიგულებს, მაშინ გაგიჟდება ხოლმე! საწყალ დედა-ჩემს ბავშვივით იმსახურებს! (თითებზე სთვლის) ეს ბავშვი მე რათ გავზდიო—ძიძა დამიჭირეთო! ეს საჭმელებს მე რათ მოვხარშამო—პოვარი დამიჭირეთო! ეს კარეტაო, ეს ეკიპაჟიო! საცა ახალ საკაბეს ნახამს, თუ ჩქარა არ მოაჭრევინა, კიდეც მოკვდება! მარტო მაგის შლიაპები და პერჩატკები აჭირებს საქმესა! ისე რომ ჩემი მზითვის ფულიო ერთ დღეს შევჭამოთო! სუ ი ქოფაკი ძაღლი, სუ ი კუდიანი მაგი დედა კი აგიჟებს თავი ტუტუც ქალსა აი! სულ ის არი რაც არი! ერთი თუ იმი სისხლი არ დავლიე, არ იქნება! ის ქოფაკი ისა! აგერ მეორე წელიწადი გარბის და იმისი ორასი თუმნის ვექსილი ისევ ხელში მიჭირამს! ერთი გადმოვიდეს აქა! მაგრამ რაღას გადმოვა, იმ დღეს კისრის ჩეხით გავაგდე აქედგანა! მეტი ჭარი არ არი სახლები უნდა ავუწერო! რა ვქნა, ხალხისაც მცხვენიან!... იტყვიან: ნასწავლი კაცი როგორ კადრულობს, რომ ორასი თუმნისთვის თავის სიდედრს სახლებს უწერამსო! უხ! (შემოდის მისი ძმა ავეტიკა).

## გამოსვლა 6.

**გასპარ მიკირტუმოვიჩი** და მისი ძმა **ავეტიქა**.

**ავეტიქა.** კაცო, რა არის, რა ამბავია? თქვენი ყვირილის ხმა ქუჩაში გამოდის!

**გასპარა.** რაღა რა ამბავია, მაგ თავსასიკვდილემ მეტათ თავი წაიჭამა!

**ავეტიქა.** ვინა? შენმა ცოლმა?

**გასპარა.** კიდეც იმანა!

**ავეტიქა.** პატარა უნდა წაურტყა ხოლმე და!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასპარა. ისე შენმა გასპარამ იხაროს, როგორც კარგა მე ეხლა იმას წაურტყი!.. შენა? შენც კიდევ ისე გეჯავრება ი შენი მზეთ-უნახავი ცოლი?

ავეტიქა. უი დასწყევლოს ეშმაკმა, ისიცა და იმის მზეთ-უნახაობაცა! აი, ეხლა უფრო მაგისთვის მოველი.

გასპარა. რა, ხომ არ გაჯავრებს? ხომ ჩემი ცოლივით მზითვის ფულებს არ გაყვედრის?

ავეტიქა. ეგ და აკლია! როგორ თუ გაჯავრებსო! როგორ თუ მზითვის ფულებს გაყვედრისო! ჯერამ რომ ისე სულს არ უდგამ, აბა მაშინ რა კეთილს დავაყრი! ცოლმა რომ ჩემ წინ ხმა ამოიღოს, სუ ლუკმა-ლუკმა კი არ დავკუწამ! ახლა იმის სიმშვენიერესაან ეგეცა!

გასპარა. სწორე გითხრა, ძიელ მიკვირს, ან აქამდინ კი როგორ უცქეროდი ი მაიმუნსა! კაცო, შენი ცოლისთანა გონჯსა, სანთლით რომ ეძებო, ვეღარ იპოვნი!

ავეტიქა. (ამოიოხრებს) ეხ, შენი თქმისა არ იყვეს, გონჯი ცოლის ცქერა ყოვლად შეუძლებელია!

გასპარა. აკი გირჩიე, ლამაზი შეირთე, თუ გინდა ბედნიერი იყვე-მეთქი!

ავეტიქა. ეგ ყველა კარგი, მაგრამ, შენა, ლამაზი ცოლის პატრონო, ბედნიერი ხარ?

გასპარა. (დაფიქრდება) მე? სწორე გინდა გითხრა, სანდუხტა ძიელ სისხლს მიფუჭებს!.. შენ ეს მითხარი, რა საქმე გქონდა შენ ჩემთან?

ავეტიქა. (სკამზე ჩამოჯდება) დაჯექი და ყური კარგა მიგდე! მე, როგორც შენ იცი, ჩემი მაიმუნი ცოლის ცქერა აღარ შემიძლიან და უთუოდ უნდა გავეყარო! „რაზვოდი" უნდა ავიღო!

გასპარა. იცი, ავეტიქ, რა გითხრა, მე რომ მკითხო, ეგ სულ მეტის-მეტია! მთელი ქალაქი გაიგებს და ისევ შენ გაგამტყუვნებენ!.. არა, ეგ სულ მეტია!

ავეტიქა. (ამაყად) ვისაც რა უნდა, ისა სთქვას! განა განათლებულმა კაცმა ხალხის ყბედობას ყური უნდა უგდოს?

გასპარა. არა, შენ ეს მითხარი, რაზვოდი რათ გინდა, როდესაც ურაზვოდოთაც ცოლთან გაყრილივითა ხარ?.. თვეში ერთხელ სახლში არ შედიხარ! თუ მოგწონს ვინმე და გინდა ჯვარი დაიწერო, ეგ სხვა არის!

ხვეტიქა. აბა კიდეც მთელი საქმე მაგაში მდგომარეობს აი! ეს ორი კვირაა, რაც ერთი ახალგაზდა გასათხოვარი ქალი გავიცანი და...

გასპარა. ფული აქვს? ლამაზია?

ხვეტიქა. ფულიც ბევრი აქვს, ჩემო ბატონო, და ლამაზიც არის და არის! ლამაზია, გასპარ, ლამაზია, რომ ასე გგონია, კალმით ნახატიაო!

გასპარა. მერე? გეძლევა კი ის ქალი?

ხვეტიქა. ბიჭო! როგორ თუ გეძლევაო? ყელს მიწევენ! გაიგეს თუ არა, რომ დოკტორი ვარ, დედა და ქალი ბუზანკალივით მომეხვივნენ!

გასპარა. მაშ, როგორც ეტყობა, იმათ არ იციან, რომ შენ ცოლი გყავს!

ხვეტიქა. აი კიდეც მაგაშია საქმე!.. აი კიდეც მაგისთვის ვეჩქარები „რაზვოდის“ აღებასა! მე ისე მინდა მოვახერხო, რომ ჯვარი მანამდე დავიწერო, სანამ ისინი გაიგებდნენ, თუ მე ცოლი მყავდა!

გასპარა. კარგი და, თუ ცოლი „რაზვოდს“ არ მოგცემს, აბა როგორ გინდა ჯვარი დაიწერო?

ხვეტიქა. აბა კიდეც ეგ უნდა მომიხერხო შენა, ჩემო გასპარ, მე იმასთან ლაპარაკი არ შემიძლიან, რომ ვხედამ, მეზიზღება! ეგება შენ როგორმე მომიხერხო ეგ საქმე!

გასპარა. ეგ კარგი და, ის ხომ თავის ათას თუმანს ისევ უკან წაგართმევს?

ხვეტიქა. ვერაფერსაც ვერ წამართმევს, ის ფული ჩემ სახელზეა დამტკიცებული!

გასპარა. მაშინ ის „რაზვოდს“ აღარ მოგცემს!

ხვეტიქა. ე... ე!.. ნუ კი გააჭირე საქმე და! წადი, შენ ჯერამ მოელაპარაკე, და თუ არ დაჭყაბულდა, მაშინ მე ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი! ჰო, დამავიწყდა, მართლა, ესეც უთხარი, თუ შენი თავის სიცოცხლე გინდა-თქო, ჩემ ძმას „რაზ-ვოდი“ მიეცი-თქო და საცხოვრებლით შენ მშობლებთან გადადი-თქო!

**გასპარა.** კარგი, წამო ვნახოთ, რა იქნება! (გადიან. სცენა პატარა ხანს ცარიელია, მერე შემოდის ანუშკა გულადოვის ცოლი).

## გამოსვლა 7.

**ანუშკა გულადოვი** მარტო.

**ანუშკა.** (აქეთ-იქით მიიხედავს და მერე): ერთი სად არი ის გასაწყვეტი სალომე? სად არი, რომ კბილით დავგლიჯო! (საზოგადოებას) განა ამ დღესაც მოვესწარ, რომ სიძემ ქალი მიცემა! ცემაც ცემაა! თურმე დიდი ხანია, ის ხელებ დასანტრევია, ეგრე სცემს და ის საცოდავი არას მეუბნება! რა ვქნა, დედა, მცხვენიანო, შემომჩივლა იმ საწყალმა! კარგი რომ ემ დროს მოველი და ტირილზე მოვუსწარ! მითომ ეგეც განათლებული კაცია! მითომ ეგეც უნიერსიტეტში ნამყოფია!... (ქოქოლით კარებისკენ) უი ჩამისკდეს შენი სწავლა და უნიერსიტეტი! განა იმ ოხერ უნივერსიტეტში ამას ასწავლიან, რომ „ცოლებსა სცემეთო და სიდედრები სახლიდან აგდეთო!“ ჯერ ორი წელიწადი არ გასულა, რაც მაგ სასიკვდილეს ჩემი ქალი ჰყავს და აგერ ბარე ორჯელაც სახლიდგან გავუგდივარ! დღეის იქით აბა კიდევა თქვან: „გაუნათლებელთან ლხინსაო, განათლებულთან ჭირი სჯობიანო!“ აბა ერთი მითხარით თუ ეხლანდელ დროში ან რომელი გაუნათლებელი კაცი სცემს თაეის ცოლსა? უი, არა მყავდეს ეგა! ჩემ ქალსა, ქა, ჩემ სანდუხტასა, რომელმაც ერთი კალთა ფული შემოიტანა ამ ოხერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დაწყევლილ სახლში, ქმარმა სცემა! (ჩაიკრავს მუხლში) უი, დაუდგეს დედა-შენს თვალები, შვილო! მეც რა კარგი და ჭკვიანი ქალი ვარ: ფულით დარდი ვიყიდე! ათას-რვაას თუმნათ ჭირი და ცეცხლი ვიყიდე! ყველა რო მეფიქრა, ამ ცემას რაღა მამაგონებდა! მაგრამ რა! მაგათ ეგ ზნე მოდგმითა სჭირთ! მაგის გიჟი, ლაპუსტაწი ძმა არ არი, რომ დილა-საღამოს თავის უბედურ ცოლს თავში უტყაპუნებს! საწყალი ქალი დააჭლექა! ნეტა ურიგო ქალი მაინც იყვეს! დღეში სამჯერა სცემდა და ეხლა ის საცოდავი ლოგინათ ჩავარდა! დოხტური კია! ნასწავლი კაცი კია! კაი ათასი თუმანი ნაღდი გამოიკრა, ცოლის ნათესავებმა რა სიკეთე უყვეს და ეხლა კი!... არა, მე ჩემ სანდუხტას იმისეებ ვერ დაგაჭლექებინებთ! მე ვიცი, რასაც გიზამთ! მაგრამ, რაც მომივიდეს კი, ახია ჩემ თავზე! ახია, კიდევაც ცოტაა! არა ერთი, გიჟიანივით ხელზე რას დავიხვიე, თუ ჩემი ქალი ან ინჯილერ უნდა მივცე ან დოხტურსა-მეთქი! ემენდა შენი ინჯილერი, ემენდა ე შენი დოხტური! ერთი სცემს ცოლსა და მეორე! ტყუილათ კი არ მითხრა ქეთევანმა, რომ „ბოლოს ბევრს ინანებო!“ (მუხლზე დაიკრავს) დახე იმის გულისა არ გავხდი! (შემოდის მისი მძახალი სალომე უზარნოვი).

## გამოსვლა 8.

**ანუშკა გულადოვი** და მისი მძახალი **სალომე უზარნოვი.**

**ანუშკა.** ერთი აქ მობძანდი!

**სალომე.** (ჩამოჯდება) რა გნებამს?

**ანუშკა.** ერთი უნდა მითხრა, თუ შენ გიჟ შვილს...

**სალომე.** გიჟები შენ გვარში მოიკითხე! დედა-შენი იყო გიჟი და მამა-შენი! ერთი შეჰკრეს თოკითა და მეორე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუშკა. ისემც მოუწევები შენ იმათა, როგორც ეგ მართალია!..

სალომე. რათა, შენ უმჯრო თავისიანი არა ხარ!

ანუშკა. არა, მე სვინდისზე ხელადებულებს რა ველაპარაკო! შენ მხოლოდ ეს უნდა შემატყობინო, თუ შენ შვილს რა ხელი ჰქონდა, რომ ჩემ ქალს სცემდა?

სალომე. მაშ თუ ქმარი არ დააჭკვიანებს ცოლსა, მაშ...

ანუშკა. თქვე უბედურებო, თქვენ თქვენი თავი დააჭკვიანოთ ჯერამა, ის გირჩევნიათ! თქვენი სიგიჟის ხმა მთელ ქალაქშია გავარდნილი!

სალომე. (წამოხტება) ხმის გავარდნაზე ნუ მივარდება, თორემ, ხომ იცი! შენი ქმარი არ იყო, რომ მთელი ხმელეთი გაცარცვა და ისე შეიძინა იმოტელა სარჩო!

ანუშკა. იმას გამოუდეგ! აბა რა მოგპარა?

სალომე. აი შენც ქმრისაგან გისწავლია სხვის საქონლის დაჩემება! აგერ მეოთხე წელიწადი გარბის და ის ორასი თუმანი...

ანუშკა. რაც მოგეცით, ისიც არამია თქვენზე! ნეტა ისიც არ მომეცა!

სალომე. მაშა ქა! შენ აშარ ქალს რომ უძლებთ!

ანუშკა. შენმა თავის გახეთქამა, შენა გვავს! კარგი, ვთქვათ, ჩემი ქალი ცუდია, ისა, ის მეორე რძალი ხომ კარგია! ი შენი ნასწავლი დოხტური შვილი დილა-საღამოს რათა სცემს? დალაბანდივით თავში რათ უტყაპუნებს?

სალომე. ჯერ ეს ერთი, ეგ რა შენი საქმეა? ალბათ ღირსია და!

ანუშკა. რა ვქნა, რაღა ორთავე რძლები არიან ცემის ღირსი?

სალომე. ალბათ ღვთის წერა ეგრე იყო! ალბათ ღმერთმა ეგრე ინება!.. ჩვენ მხოლოდ ეს უნდა ვთქვათ, რომ რძლებში ბედი არა გვქონდა!

ანუშკა. უი, იმას უნდა ჩავაყარო მეხი, ვინც დღეის იქით სწავლას დახარბდეს და თქვენისთანა გიჟებში ქალი ჩააგდოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალომე.** გიჟი არა ხარ, შე უბედურო! შენზე გიჟი ვიღაა! მთელი შენი ქმრის შეძლება ფაფახავით ერთ დღეს შეჭამე!

**ანუშკა.** მაგას კი სწორე მეუბნები, მე და ჩემმა ღმერთმა! თქვენი გულისთვის სულით ხორცამდინ გავიყიდე, რაც კი მქონდა, სულ მივაგირ-მოვაგირავე და მე კი ეხლა ბევრჯელ თუმანიც მენატრება! უი, არმათ გექცეთ შენა და შენ შვილს ჩემი ამაგი!

**სალომე.** (მივარდება) ისევ შენა და შენ შვილებსა! როგორ თუ შენ ჩემ წინ შვილს მიწყევლი! ჩემმა შვილმა არ გითხრა, ფეხი აღარ გადმოაწაწანო აქაო! რამდელჯერ უნდა დაგითხოვოთ შენ ჩვენ სახლიდგან! გადი, ემ წუთში დაიღუპე შენ ჩვენ სახლიდგან! გადი დაიკარგე, შე თავლაფშიანო, შენა!

**ანუშკა.** მე თუ გავალ, ჩემ ქალსაც თან წავიყვან! და შენმა შვილმა მაშინ ნახოს თავის სეირი!

**სალომე.** მამა გიცხონდა, ნაფუზრის თავები არ ჩაგვიჭამო! (ყვირის) გადი თორემ გაგათრევინებ! (შემორბის სანდუხტა).

## გამოსვლა 9.

იგინივე და **სანდუხტა უზარნოვი**

**სანდუხტა** (თავის დედას) დედა, რა ამბავია?

**ანუშკა.** რაღა რა ამბავია, კინაღამა, მცემა შვილო!

**სალომე.** როგორ თუ მცემაო? რახან ცემა ეგრე მოსწონთ, ეხლა მე ვაჩვენებ, ცემა როგორც უნდა (მივარდება დედამთილს და ჩაჰკრავს) აი ცემა ესე უნდა!

**სალომე.** ერთი ხელობა ხო კარგა ჩავაჟეჟინე შენი თავი შენ ქმარსა, კიდევ გინდა?

**სანდუხტა.** (მივარდება) აი ჩაჟეჟა როგორ უნდა! (კარგა ლაზათიანად ერთი ორიოდეს ჩაჰკრავს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალომე** (ყვირის) მიშველეთ! მიშველეთ, დამახრჩეს!

**სანდუხტა.** დაჩუმდი, შე კუდიანო ბებერო, შენა! ჩაწყვიტე ხმა! კიდევ მიუტან ი შენ გიჟ შვილს ამბავს? კიდევა? თქვი, შე ქოფაკო, შენა! (მუშტს მოუღერებს).

**ანუშკა.** კარგი შვილო, დაეხსენ! ეგ მაგ გიჟმა ხალხი თავს არ დაგვახვიოს!

**სალომე.** (ყვირის) შვილო გასპარ! შვილო გასპარ! მიშველე, მომკლეს! გასპარ! (შემორბის გასპარა).

## გამოსვლა 10.

იგინივე და **გასპარ მიკირტუმოვიჩ უზარნოვი.**

**გასპარა.** (თავის დედას) დედა, რა არი, რა ამბავია?

**სალომე.** (მივარდება შვილს და მოეხვევა) შვილო, მიშველე, მკლამენ! კინაღამ დამახრჩეს!

**გასპარა.** (თვალებს დააბრიალებს) როგორ თუ გკლამენ? როგორ თუ კინაღამ დაგახრჩეს?

**ანუშკა.** ნეტავი შენა, მაგ ტუტუცს ყურს უგდებ!

**გასპარა.** (მახარული ღიმილით თავს უკრავს) შენც აქა ბძანდები! მე დიდი ხანია შენთან საქმე მაქვს! (თავის დედას) დედა, შენ გადი და მე ამათ მოვურიგდები!

**სალომე.** შვილო, გასპარჯან, გენაცვალოს დედა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, ერთი კარგათ ჩაჟეჟე ეგ ორივენი! მეტადრე ეგ კუდიანი ბებერი! (გადის).

## გამოსვლა 11.

იგინივე **სალომე უზარნოვის** გარდა.

**გასპარა.** (გაბრაზებით) ერთი უნდა მითხრათ, თუ დედა-ჩემთან თქვენ რა გესაქმებათ? (მერე სიდედრს) შენ კიდევ ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გაბედე ჩემ სახლში ფეხის შემოდგმა? (ფეხს დაატყაპუნებს) რამტელჯერ უნდა გაგაგდო შენ აქედან!

**ანუშკა.** (ხელის ქნევით) დამიხედეთ ნასწავლ სიძესა! დამიხედეთ ინჯილერ სიძესა! უი, არა მყავდე შენა! უი, გაგიხმეს ძირში ეგ ენა!

**გასპარა.** (მივარდება სიდედრს და უნდა, რომ ჩაჰკრას, მაგრამ სანდუხტა მიეშველება თავის დედას. გასპარა ჩაჰკრავს სანდუხტას) გადით, გადით აქედან! ემ წუთში თქვენი ფეხი აქ აღარ იყვეს!

**ანუშკა.** (გადაეფარება თავის ქალს) მიშველეთ, შვილი მომიკლა! მიშველეთ, ქა, ქრისტიანები არა ხართ!

**გასპარა.** (მივარდება და მუშტს მოუღერებს) ჩაწყვიტე, შე ქოფაკო ძაღლო, ხმა!

**ანუშკა.** (ხელებს მაღლა აიშვერს) მამაზეციერსა ვთხოვ, შვილო, რომ არ მოგყაროს ჩემი ხნით! ქოფაკი ი შენი აძაღლებული დედაა აბა!.. ეხლა ვარ განა ქოფაკი, როცა შენისთანა გიჟსა და ლაპუსტაწს კაი ლამაზი ქალი მივეცი და კაი ათას რვაასი თუმანი დავუთვალე? უი, არმათ და ცეცხლათ გეგცეს ჩემი ამაგი!..

**გასპარა.** (გასპარა მივარდება და უნდა, რომ ჩაარტყას) გადი! გადი, დაიკარგე და თან წაათრიე ე შენი ტუტუცი ქალიცა!..

**ანუშკა.** ნუ გეშინიან, შენც რომ არ მითხრა, მე თვითონაც არ გავუშვებ თქვენისთანა გიჟებში ჩემ ქალსა! (სანდუხტას) წამო, წამო, შვილო! მე ამას ფასათ დაუსვამ ამ სიტყვებს!

**გასპარა.** ერთი უნდა მითხრა, თუ რა ნაფუზრის თავებს ჩამიჭამ?

**ანუშკა.** მე შენ ნაფუზარის თავებთან რა საქმე მაქვს! მე ჩემსას მოვითხოვ!

**გასპარა** (ვითომ იცინის) ხა! ხა! ხა!... იქნება შენა გგონია, რომ ათას რვაასი თუმანი უკან მიირთვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ანუშკა.** მაშ არა და შენა და შენ კუდიან დედას შევანარჩუნებ!

**გასპარა.** ის ფული ჩემ სახელზეა დამტკიცებული და ვერც შენ და ვერც შენი ტუტუცი ქალი კაპიკსაც ვეღარ გაიტანთ!

**ანუშკა.** არა, ჩვენც ორამდინ თვლა ვიცით! ჩვენც ჭკუა გვაქს! ი ფული მე შენ როდი გაჩუქე! მე მოწმებთან მოგეცი, როგორც ქალის მზითები! განა სამუდამოთ, სანამ ქალი უწლოვანია!

**გასპარა.** ვნახოთ, რას წაიღებ! (მერე თავის გულში) ვაი წავხდი! ეგ სულ დამავიწყდა!

**ანუშკა.** (თავის ქალს) წამო, შვილო, წამო! მოშორდი ამ დანთხვეულებს!

**გასპარა.** (მივარდება) როგორ თუ დანთხვეულებსა? (ხელსა ჰკრავს).

**სანდუხტა** (ტირილით) წამო, დედა, წამო, ექ არ მოგკლას ამ გიჟმა! (დედა და ქალი გავარდებიან, გასპარაც მუშტ-მოღერებული გამოუდგება).

(ფარდა)

## მოქმედება 4.

სცენა წარმოადგენს უზარნოვიანთ სახლს. სალომე უზარნოვი წამოწოლილია ტახტზე.

### გამოსვლა 1.

**სალომე უზარნოვი** მარტო.

**სალომე.** (საზოგადოებას) უჰ! ძლივს არ მოვისვენე! ძლივს თავიდგან ჭირი არ მოვიშორე! ერთი კვირეა, რაც იმ გასაწყვეტს აღარ ვუცქერი და ასე მგონია, ახლა დავიბადე-მეთქი! გუშინ შამოეთვალა: უნდა შენ შვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავეყაროვო, ჩემი კაბები გამომიგზავნეო. (მუხლებს ჩაირტყამს) ვუჰ! თუ გაეყარე, მე შენ გითხრა, ან მე და ან ჩემა შვილმა ერთბაშათ თავი არ მოვიკლათ! იმას ეგონა, შევეხვეწებით, კალთებ დავუჭერთ! (თავის ქნევით) მამა უცხონდა, აღარას ჩავუკლებთ! ყველა აშარი და თავსასიკვდილე თავის თავს აზარალებს, თორემ ჩვენ რა? მე შენ გითხრა, ჩემი შვილები ერთი ორი ათასებ ვეღარ აიღებენ! გიჩივლებთო! ხო, მამა გიცხონდათ ან შენ და ან ავეტიქას ცოლსა, ერთბაშათ ნაფუზარის თავები არ ჩაგვიჭამოთ! ბევრიც რომ გვიჩივლოთ, რას დაგვაკლებთ? ე ფულები ჩვენ სახელზეა დამტკიცებული; თუ ქრმებს გაეყრებით, პირიქით მადლობასაც შემოგითვლით! მე შენ გითხრა, ჩემ შვილებს ქალები დაეკვეთებათ! აგერ ჩემ ავეტიქას, ენაცვალოს დედა იმას, სამი ათას თუმნიანი ქალი ეხლავეც ეძლევა!... ოღონც ე თავის მაიმუნ ცოლს კი მორჩეს და! (შემოდის მისი შვილი გასპარ მიკირტუმოვიჩ უზარნოვი).

## გამოსვლა 2.

**სალომე უზარნოვი** და მისი შვილი **გასპარა**

**სალომე.** შვილო გასპარჯან, სად იყავი?

**გასპარა.** (წარბშეკრული) ჯანაბაში! სიკვდილში!

**სალომე.** (წამოვარდება) ჯვარი გეწეროს, ქა! უწინ დედა-შენ დაუდგეს თვალები, ქა! ეგ რა თქვი, გენაცვალოს დედა შენა?

**გასპარ.** (ჯიბიდან რაღაც ქაღალდს ამოიღებს და სტოლზე დააგდებს) აი წაიკითხე და რაცა ვთქვი გაიგებ! (მერე თავის ქნევით) ეს სუ შენგან კი მომივიდა აი!

**სალომე.** (შიშისგან კანკალებს) რა არი, რა, შვილო? ნუ კი მაშინებ-და! რა არი, სამსახურიდგან ხომ არ გამოგაგდეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გასპარა.** (სიბრაზისაგან ფეხს დააბრახუნებს) წაიკითხე და გაიგებ, რაც არი!

**სალომე.** (გაშლის ქაღალდსა და უცბად ხელიდან გააგდებს) უწყება?!.. შვილო, ვინ გიჩივლა?

**გასპარ.** მითომ არ იცი! ერთი, დედა-შვილობას, აქ თავს ნუ იკატუნებ და! (უწყებას აიღებს ხელში და სტოლზე ატყაპუნებს) ეს სუ შენი ჭარტალა ენის ამბავია, სულა!..

**სალომე.** ერთი უნდა მითხრა, შვილო, თუ ეგრე რა გაცეცხლებს, შენ ცოლს უჩივლია, შენთან გაყრა უნდა; ნუ, ადექი და გაეყარე!... აბა მაგაზედ რაღა გაბრაზებს? მე დიდი ხანია ვიცი, რომ თქვენი ცოლ-ქმრობა ეგრე დაბოლოვდებოდა!

**გასპარ.** (მწარედ იცინის) ხა!.. ხა!.. ხა!.. (თავის ქნევით) შენ გგონია, მე იმასა ვწუხარ, რომ ცოლი მეყრება?

**სალომე.** რა ვიცი, მა რა არის! თუ ეგ უწყება გაყრისა არ არის, მაშ სხვა რა უნდა იყვეს?.. ე ფული ხომ შენია!..

**გასპარა.** ვინ მოგახსენა? აი კიდეც მაგ ფულზე მიჩივიან აი! აი კიდეც მაგაზე მეკიდება ცეცხლი და ალი აი!..

**სალომე.** (შიშისაგან თვალებს დააჭყეტავს) რათა, გენაცვალოს დედა? განა ცოლის ფული შენ სახელზე არ არის შეტანილი ბანკში? განა ის ფული შენი არ არის?

**გასპარა.** მეც ეგრე მეგონა, მაგრამ... სრულობით დამავიწყდა, რომ მოწმებთან დამითვალა ი ჩემმა სასიკვდილე სიდედრმა ის დაწყევლილი ფული! სრულობით დამავიწყდა, რომ ჩემი სასიკვდილე ცოლი მაშინ უწლოვანი იყო!... ეს არის ეხლა ადვოკატს ველაპარაკე და იმან მიპასუხა თუ, მე ვერაფერს ვერ გიშველით ეხლაო!... რაკი ქალი წლოვანი გახდაო, როცა უნდა, უკან გამოიტანს იმ ფულსაო! . წადი და ეს არ გინდოდა!.. ე შენ ჭარტალა ენას ეს არ მოსწევდა!

**სალომე.** (პირ-ღია დარჩება) რას ამბობ? რას ტუტუცობ! სოლუაანთ ვანცას ცოლმა ბევრი იდავა, ბევრიც თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იცა, სამ-სამი ადვაკატიც დაიჭირა, მაგრამ თავის ქმრისაგან კაპიკიც ველარ გაიტანა!..

**გასპარა.** (მოთმინებიდან გამოდის) წ!.. ის სხვა საქმეა, როდესაც ქალი წლოვანია და თვითონ უმტკიცებს ქმარს ფულსა, ასე იგი აჩუქებს!

**სალომე.** რას ამბობ, შვილო! მაშ ის ათას რვაასი თუმანი წაგერთმევა?.. მაშ ის ფული შენი აღარ იქნება?.. მაშ ის ათას რვაასი თუმანი დაიკარგა?...

**გასპარა.** ისე, როგორც შარშანდელი თოვლი! ვისგან? შენგან! შენ ჭარტალა ენას ეს მოსწევდა ესა აი!

**სალომე.** შვილო, გენაცვალოს დედა, როგორც იყვეს, ისევ შეურიგდი ი შენ ცოლსა!

**გასპარა.** ხმ! ბევრი ვეცადე, მაგრამ დედა და ქალი დიდ ყარზე დგანან!

**სალომე.** გენაცვალე შვილო, როგორც იყვეს!...

**გასპარა.** (ხელის ქნევით) რას ამბობ, რასა? სულ ერთია, ის ათას რვაასი თუმანი ჩემი ხელიდგან დაკარგულია, დაკარგული!

**სალომე.** (ერთ კაი ლხზათიან სილას შემოიკრავს) უი, დაუდგეს დედა-შენ თვალები!

**გასპარა.** ეხლა გვიანღაა! ეგ მაშინ უნდა გეფიქრა, როცა მაგ ჭარტალა ენას არ აყენებდი! ისე თუ ასე, მაინც შენ დამღუპე! მაინც შენი ხელითა ვარ მკვდარი!

**სალომე.** შვილო გასპარჯან! ჩემი რა ბრალია, გენაცვალოს დედა შენა? (მერე საზოგადოებას) გაგიგონიათ, აქაურობას ლეწამდა, მცემდა, სისხლს მიშრობდა და ხმაც არ ამომელო?

**გასპარა.** თუ ეგრეთიც იყო, მაშ რათ გამირიგე? რათ ჩამაგდე ამ უბედურებაში?

**სალომე.** რა ვქნა. შვილო, აქეს! ახლა მეც ხომ გულთმისანი არ ვიყავ!

**გასპარა.** (ფეხს დაატყაპუნებს) როგორ თუ „გულთმისანი!“ მანამ კარგა არ გამოიძიე, მანამ კარგა არ იწვლილე და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იკითხე, რათ მაგდებდი ამ ცეცხლში და უბედურებაში? რათა? ფული—ფულად მიმდის ხელიდგან, მასხარა—მასხარათა ვხდები ქვეყნისა!

**სალომე.** შვილო, ნუ ხარ გულ-ჩქარი! კაი ადვაკატი დაიჭირე, გენაცვალოს დედა შენა, და როგორც იყვეს ე ფულ ნუ დაანებებ!

**გასპარა.** რას ამბობ, რა ადვოკატი! ახლა ადვოკატებზე გინდა დამლუპო? აქ რაღა ადვოკატი მინდა, როცა თეთრათ ვხედავ, რომ საქმე წაგებულია! (გაბრაზებული სცენაზე დადის) ეს სულ შენ კი შემძლევენ აი! ქვეყნის პამპულა გამხადე, ქვეყნის! (დედის წინ დადგება და მწარე ღიმილით) მითომ დედაც იყავ! მითომ შვილისთვინ გულიც გეწოდა! დღეის იქით შენ ჩემ საქმეში აღარ გაერიო! გესმის!

**სალომე.** შვილო, გასპარჯან, შენ ჭკუას დაუხმე, გული დაიმშვიდე! ჯანი გულადოვის ქალსაც გავარდეს, იმი მეტი ქალი აღარ არი? ქვეყანაზე ხომ მდიდარი ქალი არ გაწყვეტილა!

**გასპარა.** (თავის ქნევით) ხმ! აი თუ არ დაგიშლია, სწორეთ ეხლა კიდევ მომცემს ვინმე ორი ათას თუმნიან ქალსა! გაათავე, ჩამომეხსენ! რა გინდა, ტყუილათ გულს რათ მიშფოთებ! თავში ვახლი იმ ოხერ ფულებს და ამ დაწყევლილ ქალაქიდან გადავიღუპები სადმე!..

**სალომე.** შვილო, მაშ რახან ეგრეა, პეტრებურხში გამწესდი!... ამბობენ, იქ მდიდარი ქალები არიანო, იქ კი კაი ქალს გაგირიგებ!

**გასპარა.** იქნება შენა გგონია, თუ საცა მე გავმწესდე, შენც თან გათრიო? აღარას დაგიკლებ! ახლა იქ გინდა თავი მომჭრა?.. დღეის იქით მე გთხოვ, ჩამომეხსენ!... (დაავლებს უწყებას ხელსა, გავა და თ ნ კარებს გაიბრახუნებს).

**სალომე.** (მიაძახებს) შვილო, გასპარ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოსვლა 3.

### სალომე უზარნოვი (მარტო).

**სალომე.** (დაეცემა ტახტზე და მუხლებში იშენს) უი, დამიდგეს თვალები! უი, მომიკვდეს თავი! შვილი შვილათ გავაუბედურე და თანაც ქვეყნის პამპულა გავხდი! (თავის ქნევით) ახლა რამდონ დამცინებს ის სასიკვდილე ქეთევანა! (მუხლში ჩაიკრავს) დახე, იმის გულისა არ გავხდი! დახე! „ფულის გამომდევარი ბოლოს ბევრს ინანებსო!“ დახე, მართლა არ ამიხდა იმ გასაწყვეტის ქადაგება!.. ჩემი შვილი ტყუილად კი არ მაყვედრის! მე. მე გამოვჭერ უდანოთ ჩემ შვილს ყელი! ქვეყნის პამპულათ მე გავხადე ჩემი შვილი!.. ახია, რაც მომივიდეს!.. კიდევაც ცოტაა!.. ეს იმაზე, რომ რატო კარგა არ ვიწვრილე და ვიკითხე, როცა იმ სასიკვდილეს ჩემ შვილს ვურიგებდი!.. (ხელებს მაღლა აიშვერს) ცეცხლი ჩაუვარდეს, ცეცხლი, იმ გასაწყვეტ ბარბარესა ჩემი ამ დღეში ჩავარდნისთვინ! ისიც მინახამს თავის შვილებზე გაგლეჯილი!.. ისიც... (შემორბის მისი შვილი ავეტიქ მიკირტუმოვიჩი).

## გამოსვლა 4.

### სალომე უზარნოვი და ავეტიქ.

**ავეტიქ.** (სწრაფად) გასპარა სად არის, სადა?

**სალომე.** (შეშინებული) რა იყო, შვილო, რა?

**ავეტიქ.** (მოთმინებიდან გამოდის) სად არის?... მეჩქარება!... მიშველოს რამე, თორემ სულ დავიღუპები, სულა!

**სალომე.** (წამოვარდება და შვილს მოეხვევა) გენაცვალოს დედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის? რა მოგივიდა, შემატყობინე? (მერე იქით) ვაი ჩემ თვალებსა, თუ ამასაც ცოლმა უჩივლა!..

**ავეტიქა.** გასპარა სად არის? მეჩქარება, სად არის?

**სალომე.** დამშვიდდი, გენაცვალოს დედა შენა!

**ავეტიქა.** რა დროს ეგ არი, სად არი გასპარა?

**სალომე.** გასპარა, შვილო? ეს არი ეხლა აქ იყო და არ ვიცი, სად წავიდა!

**ავეტიქა.** (თავზე ხელს წაივლებს) ვაი წავხდი!

**სალომე.** (მივარდება) რა იყო, შვილო, რა იყო? თქვი, არ იტყვი, ნუ კი მტანჯამ და!

**ავეტიქა** (აღშფოთებული) რაღა რა იყო, რაღა რა იყო! ციხეში მსვამენ და ის იყო!

**სალომე.** (უცბად ტახტზე დაეცემა და საშინლად დაიწივლებს) უი, დედაშენს დაუდგეს თვალები!.. რაზე?..

**ავეტიქა.** იმაზე... იმაზე, რომ... დილას უწყება მივიღე და...

**სალომე.** (მუხლში ჩაიკრავს) მაშ შენც უკან გერთმევა ცოლის ფულები?!

**ავეტიქა.** ნეტაი კი მარტო მაგით გადავრჩე და რაღა მინდა!..

**სალომე.** რას ამბობ, რასა!.. ციხეში რაღათა გსვამენ?..

**ავეტიქა.** რით ვერ მიხვდი, რომ ჩემს მაიმუნ ცოლს ჩემთვინ უჩივლია!... წავიღე უწყება, ვაჩვენე იმასა და ვკითხე: ეს შენი უნარია-მეთქი? იმან მიპასუხა: ჩემიო!... როგორცა თქვა, ჩემიო და, მე თვალებში სისხლი მომერია, მივარდი და დავითრიე!.. როდემდინ ვცემე და ვათრიე, აღარ მახსომს; მახსომს მხოლოდ ისა, რომ იმან განგებ გული წაიყვანა, დაიყვირა... შემოცვივდნენ მეზობლები...

**სალომე.** (საშინლად დაიკივლებს) გასკდეს დედამიწა და ჩამიტანოს თანა!... მერე?... მეზობლებმა დაგინახეს, რომ სცემდი?!...

**ავეტიქა.** როგორ არ დამინახეს!... ის გასაწყვეტი იმათ გამაგდებინეს ხელიდან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალომე.** (კანკალით) და ეხლა შენ ციხეში გსვამენ!... უი, რაღათ მინდა თავი ცოცხალი!.. რაღათ!..

**ავეტიქა.** მეზობლებმა ჩემ სიმამრს შეატყობინეს და ახლა ის, ხომ იცი, უჩივრათ არ გაუშვებს!.. მეტადრე, როცა მოწმებიცა ჰყავს!..

**სალომე.** შვილო, რათ მომკალ, ან შენი თავი რათ გააუბედურე!.. ჯანაბას, წაერთვა ის ოხერი ათასი თუმანი, მოწმეებთან რაღათა სცემდი?...

**ავეტიქა.** იქნება შენა გგონია, რომ მე ათასი თუმნის გულისთვინა ვცემე!... მე ისე ის ათასი თუმანი არ მაღონებდა, როგორც ისა, რომ...

**სალომე.** (დაარღვევს) რა, რა? კიდევ არის უბედურობა რამე?...

**ავეტიქა.** მე რომ ეხლა ხანებში მდიდარი, ლამაზი ქალი მეძლეოდა, აბა რაღა თქმა უნდა, რომ ჩემი ცოლის ჩივილს ისინიც შეიტყობდნენ, ესე იგი გაიგებდნენ, რომ მე ცოლიანი კაცი ვარ!

**სალომე.** (მწარედ) ახლა უფრო არ გაიგებენ!.. ახლა უფრო ქვეყნის პამპულა არ გახდები! ეს რა მიყავ, შვილო? ან შენი თავი რათ გააუბედურე, ან მე რათ მომაყენე ეს ცეცხლი?

**ავეტიქა.** უშენოთაც ვიცი, რომ ჩემი საქმე მე თვითონ წავახდინე! უშენოთაც ვიცი, რომ ჩემი პრაკტიკა ეხლა სრულობით დავარდება! მეტადრე იმ გასაწყვეტ ჩემ ცოლს კაი წარჩინებული მამა და ნათესავები ჰყავს! მე უფრო იმას ვწუხვარ, ჩემი ნაცნობები რომ მკითხავენ, რა ვუპასუხო? (პატარახანს დაფიქრდება და მერე) მოდი იცი რას გეტყვი? ჩემი ცოლი ცუდი ქცევისა იყო-მეთქი და!

**სალომე.** (უცბად გაცოცხლდება) შენ ყველას „პროსტათ“ ეს უთხარ: ცუდათ იქცეოდა, სხვა უყვარდა-თქო და!...

**ავეტიქა.** (ისევ დაღონდება) არა, არა! ეგ უფრო ცუდია! მოწმეებს მოითხოვენ! აბა ტყუილი მოწმეები ეხლა სად ვიშოვნო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტადრე იმ გასაწყვეტზე არავინ დაიჯერებს! Однимъ словомъ, დავიღუპე! სამუდამოთ დავიღუპე!

**სალომე.** წადი, შვილო, და, როგორც იყვეს, ისევ შეურიგდი!

**ავეტიქა.** (გაოცებით) ეხლა? ეხლა, როდესაც ყველამ კიდეც შეიტყო! ეხლა, როდესაც იმის მშობლები და ნათესავები ჩემ სისხლსა სვამენ? მე გასპარას იმიტომ ვეძებდი...

**სალომე.** გასპარას თავის დარდი და ნაღველი აწუხებს!

**ავეტიქა.** რა, იმასაც ხომ არ უჩივლა ცოლმა?

**სალომე.** მაშა ქა! მაშა!... მე მაგას ვტიროდი და ეჩიოდი, ზედაც ე შენმა უბედურობამ მომატანა! (ხელებს აიშვერს) ღმერთო! ისეთი რა შევცოდე, რომ ეს უბედურება მომაყენე! მარხვა ყოველთვის წმინდათ შემინახამს, უქმი დღე არა დროს არ გამიტეხნია, კაცი არ მომიკლამს და გამიცარცვნია! რაზედ, რაზედ ეს უბედურება უბედურებაზედ? ეს ცეცხლი ცეცხლზედ! ვინ არი, შვილო? ვიღაც მოდის!

**ავეტიქა.** (ფერ მიხდილი) სს!... მგონი პრისტავია!

**სალომე.** (გაკვირვებით) პრისტავიო? პრისტავიო? პრისტავს ჩემ სახლში რა უნდა, ქა! (შემოდის პრისტავი).

## გამოსვლა 5.

იგინივე და **პრისტავი**

**სალომე.** (მივარდება პრისტავსა) რა გნებავს? რა გესაქმება?

**პრისტავი.** (მდაბლათ თავს დაუკრავს) თქვენთან არაფერი! მე მხოლოთ თქვენ შვილ ავეტიქ მიკირტუმოვიჩ დოკტორ უზარნოვთანა მაქვს законный საქმე!

**სალომე.** (გაცეცხლდება) ან ჩემ შვილთან რა გესაქმება, რა?

**პრისტავი.** ეგ თვითონ იცის! (მერე ავეტიქას) ავეტიქ მიკირტუმოვიჩ! გთხოვთ გამომძიებელთან წამობძანდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალომე.** (ფეხს დაუტყაპუნებს) როგორ თუ გამომძიებელთანაო! გამომძიებელს ჩემ შვილთან რა ესაქმება?

**ავეტიქა.** (პრისტავს) მე კი წამოვალ, მაგრამ ძიენ მიკვირს თუ, გამომძიებელს რისთვის დაუბარებივარ.

**პრისტავი.** მაგას თვითონ გამომძიებელი მოგახსენებთ!

**ავეტიქა.** მაინც უნდა ვიცოდეთ თუ არა!

**სალომე.** თუ შენ რიგიანი კაცი ხარ, უნდა ერთი მითხრა თუ, გამომძიებელს ჩვენთან რა ესაქმება?

**პრისტავი.** თუმცა თქვენი შვილი კიდეც გიამბობდათ, მაგრამ, რახან ეგრე გსურთ, მე გაგიმეორებთ! დღეს დილას, თქვენ შვილ ავეტიქ მიკირტუმოვიჩს იმ ნაირათ უცემნია თავისი მეუღლე, რომ ის საცოდავი ეხლა უკანასკნელ დღეშია!

**სალომე.** სტყუის ის გასაწყვეტი, სტყუის!

**პრისტავი.** მოითმინეთ!

**ავეტიქა.** ის რომ ბუნებითვე ჰლექი იყვეს, ჩემი რა ბრალია!

**სალომე.** გათხოვებამდინაც ის ავათმყოფი იყო!

**პრისტავი.** ეგ მე არ შემეხება! მე მხოლოთ იმას მოგახსენებთ, რაც დღეს მოწმეებმა და დოქტორებმა შეამოწმეს!

**ავეტიქა.** მე თვითონ დოქტორი ვარ და ვამბობ, რომ...

**სალომე.** ჩემი შვილი თვითონ დოხტურია!

**პრისტავი.** (მასხარული ღიმილით) ალბათ თქვენმა შვილმა ექიმობა ცოტა ნაკლებ შეისწავლა!

**სალომე.** (გაბრაზდება) როგორ თუ ნაკლებ შეისწავლაო! რუსეთში კურსი შენ დაასრულე თუ ამანა? „მენდალი“ შენ მიიღე თუ ამანა?... ამას გარდა, მე ერთი ინჯილერი შვილიცა მყავს, იცი შენა?

**პრისტავი.** თქვენი შვილები, თუ გინდა, მინისტრებიც იყვნენ, ჩემთვინ სულ ერთი! მე მხოლოდ ჩემ ვალდებულებას ვასრულებ! (მერე ავეტიქას სასტიკად) ავეტიქ მიკირტუმოვიჩ! გთხოვთ წამობძანდეთ!..

**სალომე.** (გაცეცხლებული ფეხებს დაატყაპუნებს) შენ ვინა ხარ! რა პრავა გაქვს, რომ ჩემ შვილს უბძანებ?!..

ავეტიქა. რადგანაც მე ჩემ თავს დამნაშავეთ არა ვსახავ, ამის-
თვის მე თქვენ თხოვნას ვერ ავასრულებ!

პრისტავი. (მოთმინებიდან გამოდის) მე გთხოვთ, მინამ ძალაზედ
არ მივარდნილა საქმე, თქვენი ნებით წამობძანდეთ!
და თუ ძალაზე მივარდება საქმე...

სალომე. როგორ თუ ძალაზე!.. მართლა ჩემი შვილი რა ავა-
ზაკათ გახადე!.. გაიგე და შეიტყე, რომ ჩემი შვილი
არაფერში სტყუის! თვითონ ამის ცოლია აშარიცა
და ავაზაკიცა!

პრისტავი. უკანასკნელად მოგახსენებთ და გირჩევთ მე თქვენ...

ავეტიქა. კარგი, მე კი წამოვალ, მაგრამ მაინც კიდევ მე ჩემ
თავს დამნაშავეთ არა ვსახავ! (პრისტავი და ავეტიქა გა-
დიან).

სალომე. (პირ-ღია და თვალებ-დაჭყეტილი დარჩება. პატარა ხანს უკან
გონებაზედ მოვა, თავში წაიშენს და თან ტირის) შვილო,
ავეტიქჯან!.. გენაცვალოს დედა, შვილო, შენა!.. ამ
დღესაც მოვესწარ, რომ ციხეში შვილს მისვამენ!...
ავეტიქ, შვილო, ავეტიქ!.. (გაექანება კარებისკენ, კა-
რებში წაიქცევა და გული წაუვა).

ფ ა რ დ ა

აზიანი (ნ. მ. დონდაროვისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამირანის შვილნი

## ისტორიული რომანი

## აფხაზეთის ცხოვრებიდან

### მესამე ნაწილი

### IV*)

ნასადილევს, ცოტა რომ აგრილდა, ორთავ ძმათა შარვაშიძეთა მშვენიერად მორთულ-მოკაზმული მხლებელნი გაიყოლიეს და მიადგნენ დიდს, ჩალით გადახურულს სახლს, სადაც ჩამომხდარი იყო თავადის გაგარინის სახლობა. სახლს ორის მხრით გადახურული აივანი ჰქონდა; სიცხეში ამ აივანზე სულმუდამ გრილოდა. მთელი ოჯახი გაგარინისა აივანზე გამოსულიყო. იქავ იყვნენ ექიმი და თავადი გოლიცინი, რომლებიც გაგარინიანთსას სადილობდნენ ხოლმე.

ახალგაზდა ძმანი შარვაშიძენი და მათი ბრწყინვალედ ჩაცმულნი მხლებელნი რომ დაინახა, ვარია გაგარინისას ალმული აჰვარდა პირისახეზე. გაწითლების მიზეზი ის იყო, რომ დღეისთვის სადილზე შარვაშიძეთა გუშინ არა ვსთხოვეთ მობრძანებულიყვნენ და ექიმი და გოლიცინი კი აქ არიანო. მაგრამ ეს წინადაც იყო განგებ მოხერხებული. სწორედ ისინი არ დაჰპატიჟეს, ვისთანაც ჯდომა უფრო ეამებოდათ. მერე ვინ იყო მიზეზი იმისა, რომ შარვაშიძენი არ მოიპატიჟეს? ვინა და—ცბიერი ვარია, ის ვარია, რომელიც ყველას გულუბრყვილო ბავშვად მიაჩნდათ. ვარიამ პირდაპირ უთხრა დედას: „თუ ახლავე დავპატიჟებთ ჩვენს სახლში, ყველანი იფიქრებენ, ვითომ ჩვენ თხოვნით კალთებს ვაგლეჯდეთ აფხაზეთის მთავარს; ყველაზე ადრე გოლიცინი იფიქრებს ამას და მთელს პეტერბურგს ბუკი-

*) იხ. „მოამბე“ № I, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და ნაღარით შეატყობინებს". დედა დჰყვა ახალგაზდა დიპლომატის რჩევას უფრო იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა სწორედ იმ დიპლომატს, რომელსაც ჯერ მოკლე კაბით სიარული უფრო შეშვენოდა.

ძმანი შარვაშიძენი ცხენებიდან ჩამოხტნენ და აივანზე ამოვიდნენ. სხვა დროს თამამი მიხეილ შარვაშიძე ახლა ისევ დაიბნა ბავშვივით, რაკი უცნობს საზოგადოებაში ამოჰყო თავი. უხერხულ მდგომარეობისაგან ისევ ვარია გაგარინისამ გამოიხსნა.

— გუშინ ვერცკი შევამჩნიე, რომ წმ. გიორგის ჯვარი გკიდებიათ გულზე!—უთხრა ალერსიანად ვარიამ.

— დიაღ, ბატონო,—უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, სირცხვილისაგან გაწითლებულმა.

— რითვის გიბოძეს?—ჰკითხა ვარიამ.

— ჩერქეზების წინააღმდეგ ვიბრძოდი სოფელ სქურჩასთან; ვეკვეთენით მათს ჯებირებს და ისინიც ავიღეთ და მტრებიც უკუვაქციეთ.

ამ დროს ექიმი წამოდგა და მოახსენა ყველას: ავჩქარდეთ, თორემ შებინდებამდე უკან დაბრუნებას ველარ მოვასწრობთო. თავადს გოლიცინს უნდოდა ვარიას მოხმარებოდა ცხენზე შეჯდომის დროს, მაგრამ ამან ქალურის ოსტატობით თავიდან აიცილა და უარჰყო მისი სამსახური.

— თავადო დიმიტრი! ხომ არ დაგვიწყებიათ ცხენზე შეჯდომის დროს ჩემი მოხმარება?—ოსტატურად მიჰმართა უფროს ძმას შარვაშიძეს. დიმიტრი შარვაშიძე გაქანდა და ქალი მარდად შესვა ცხენზე. სხვებიც მოასხდნენ თავ-თავის ცხენებსა და გზას გაუდგნენ.

— თავადო დიმიტრი და თქვენ, ბატონებო, ყველანი საღამოს ჩაიზე გვეწვიენით,—სთხოვა წამსვლელთ თავადის გაგარინის მეუღლემ.

ვარიას იქით-აქეთ ძმანი შარვაშიძენი მიდიოდნენ. თავადი გოლიცინი უმცროს შარვაშიძეს გვერდით მიჰყვებოდა. უკან მისდევდნენ ექიმი და ვარიას უმცროსი და-ძმა კატია და სერიოჟა. მხლებელნი ცოტა მოშორებით მოჰყვებოდნენ.

პარკს რომ გასცდნენ და ვაკეზე გამოვიდნენ, ნარზანის მახლობლად მიხეილ შარვაშიძემ მხლებლებს რაღაც ანიშნა. იგინი ცოტათი დაწინაურდნენ და ჯირითობა დაიწყეს. შეუძლებელია იმის აღწერა, თუ რეები არ აქნევინეს აფხაზებმა თავისს ფეხ-მარდსა და მორჩილს ცხენებსა!... მათს სიმარდეს, ყოჩაღობას და სიჩქარეს რომ უყურებდა კაცი, თავბრუ ეხვეოდა. ასე იტყოდით, ეშმაკები გადარეულ სცხენებს მიაჭენებენო: ჰაერში ხმლებს პრიალი გაუდიოდა, ისმოდა უზანგოების წკრიალი, თოფის სროლა.

ახალგაზდა მთიელს გულმა ვერ მოუთმინა. მიხეილ შარვაშიძე შურდულივით გაჰქანდა და ამ ქაჯთა ფერხულში ჩაერია. ყველას აჯობა: ხან ფეხით შესდგებოდა გაჭენებულის ცხენის უნაგირზე, ხან მუცელს ქვევით მოექცეოდა, ხან კიდემიწიდან ძირს დაგდებულს ფულს იღებდა.

— ღმერთო, რა უშიშარი რამ ყოფილა! კი არაფერი დაემართოს!—ჩურჩულებდა ვარია და შიშისაგან ფერი მისდიოდა.

— პატარაობითვე შეჩვეულია,—ამშვიდებდა დიმიტრი შარვაშიძე.

— მე კი ძალიან მეშიშნიან... მეტად ახალგაზდაა...

— თქვენის კბილისაა—ხუთმეტი წელიწადი შეუსრულდა.

ვარიას უმცროს და-ძმას მეტად შეეშინდა მოჯირითეებისა. კატიამ ტირილი დაიწყო კიდეცა.

ექიმის ბრძანებით აფხაზებმა ჯირითს თავი დაანებეს და წინანდებურად ნელა განაგრძეს გზა.

— მოიხედეთ! მოიხედეთ!—ერთბაშად გაისმა ხმა ექიმისა, რომელმაც ცხენი მოაბრუნა და სადღაც სამხრეთისაკენ დაიწყო ცქერა.

— რა იყო?—იკითხა ვარიამ.

— ბაბუა გამოჩნდა, ქალარა, მოხუცი იალბუზი... აი ხედავთ, ცის კიდეზე თეთრი ღრუბელი რომ გამოჩნდა?...

ყველანი გაჩერდნენ და ცქერა დაიწყეს. ყველას გაუკვირდა და ელცა განმარტოებით, პირქუშადა და მდუმარედ მდგომარე მთა რომ დაინახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველი იყო ეს მთა! მარტო ერთი მისი შეხედვა კაცის გულსა და გონებას ჰზარავდა, შიშსა ჰგვრიდა. მისის ცქერით რომ დასტკბნენ, ცხენოსნები ისევ გზას შეუდგნენ და სულ მაღლა-მაღლა აიწიეს. ელისაბედის მთა სულ წინ ემალათ დასურათებული. ახლა, რომ დაუახლოვდნენ, სიდიადე და სიდარბაისლე მიემატა. მაგრამ ამ მხრივ მისს მწერვალზე კაცი ვერ ავიდოდა. გზა მარჯვნივ მიდიოდა, გარშემო უნდა ევლოთ სულ ზევით და ზევით. გარშემო მეტად ტანაყრილი მცენარეულობა იყო: კაცის სიმაღლე ბალახი, მრავალთა უმრავლესი ყვავილები, მერე ისეთი ყვავილები, რომლებსაც ჩრდილოეთის ბუნება ვერ გაზრდის. ჯაგნარსა და ბალახიდან ხშირად ამოფრინდებოდნენ შავი ჩიტები და ქლავ-ქლუვით მიჰფრინავდნენ შორისაკენ.

— კავკასიის შაშვებია,—აუხსნა ცხენოსნებს ექიმმა.

ერთბაშად უკანიდან თოფი გავარდა და წინ მომავალნი, ვისაც ყური არა ჰქონდათ შეჩვეული, შეკრთნენ. ყველამ მიიხედა. ციდან თითქო გაშლილი ნაბადი დაეშვა ძირსაო. ერთის აფხაზის თოფს კომლი ისევ ასდიოდა.

— საწყალი! რა ლამაზი არწივია!—სთქვა ვარიამ, როცა მივიდა და დაინახა ძირს გაშხლართული არწივი, გაშლილის ნაბადის სახით რომ მოდიოდა ციდან.—მკვდარი ბატკანიცა სჭერია კლანჭებში. საცოდავი!

## V

მთის ბილიკი სულ მაღლა-მაღლა ადიოდა. მერე ცოტა მარცხნივ გაუხვია, შემდეგ რკალივით შემოუარა ერთს ხევს, გაუხვია მარცხნივ და მოსეირნეთა გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, ისეთი სურათი გადაეშალა წინ მათს თვალებს.

—ღმერთო, რა დიადი სურათია!—უნებურად წამოიძახა ვარიამ.

— ეს კავკასიის მთების უდიდესი ქედი გახლავსთ,—ჩუმად უთხრა ექიმმა, ისე ჩუმად, თითქო ერიდება, ვინმე არ შევაშინოვო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ საზღვარია ჩემის აფხაზეთისა.—აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა უფროსმა ძმამ შარვაშიძემ.—ეს თოვლის ქუდიანი მთები—ჩემის ქვეყნის დარაჯები არიან.

ვარიას თვალებზე ცრემლები მოერია. აი, სად ყოფილა ჩემის დიმიტრის სამშობლოვო!... აი აქედან მიდიოდა პრომეთეოსის კვნესის ხმა ოლიმპზე, გულქვა და შეუბრალებელ იუპიტერთან!... ამ მშვენიერ მთებს იქით შეიძლება მეც გამოვსცადო სიამენი ამა სოფლისა, ან და—ტანჯვანი ამა სოფლისაო!...

მთის მოსხლეტილ ქედთან რომ მივიდნენ, ექიმმა უთხრა მოსეირნეთ, ცხენებიდან ჩამობრძანდით და ცოტათი დაისვენეთ ბუსნოზედაო. დასვენება საჭიროაო.

— ბატონო ექიმო,—უთხრა ქალმა:—გუშინ საღამოს პრომეთეოსის შესახებ მითების ლაპარაკს მოჰყევით, მაგრამ არ დაგაცალეს. მოდით ახლა გვიამბეთ: ამ მშვენიერს სურათს რომ ვუცქერით, უფრო ადვილად გავიგებთ თქვენს ნათქვამსა.

— დიდის სიამოვნებით,—უპასუხა ექიმმა.—უნდა მოგახსენოთ, ახალგაზდობაში დიდი თაყვანის-მცემელი გახლდით კლასიკურის წარსულისა და დიდი გულმოდგინებითა ვსწავლობდი თვით ბერძნულს ენაზე დაწერილი წიგნებით. პრომეთეოსის შესახებ დარჩენილი მითები მეტად მომწონდა, ფიქრი და გონება სულ იმაზე მქონდა. მეტად პოეტური რამ არის ეს მითები. მერე, როცა სამსახური კავკასიაში დავიწყე, ხელახლა მომაგონდა პრომეთეოსი. განსვენებულ პოეტს, პუშკინსა და მე ხშირადა გვქონია ლაპარაკი პრომეთეოსზე. იმასაც საშინლად მოსწონდა ტრაგიკული ბედი ამ მდევ-გმირისა, რომელმაც ზეციდან ადამის ძეთათვის წმიდა ცეცხლი მოიტაცა...

— Feu sacré,—შენიშნა თავადმა გოლიცინმა.

— რომელიც თქვენ არ მოგეძევებათ,—ღიმილით უთხრა ვარიამ,—თქვენ თავლა მეტად გიყვართ, ვიდრე პოეზია. ეს თქვენ თვითონა ბრძანეთ, ნუ გადასთქვამთ... გვაპატიეთ, ბატონო ექიმო, რომ ჩვენი ყბედობით სიტყვა გაგაწყვეტინეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასა ბრძანებთ! პედანტი ხომ არ გახლავართ? — სთქვა მხიარულად ექიმმა, — პრომეთეოსი არსად გაგვექცევა. მაშ დავიწყოთ პრომეთეოსზედ ლაპარაკი. პრომეთეოსი ბევრს რომაელსა და ბერძენს მწერალსა აქვს მოხსენებული. ყველაზედ უწინ პრომეთეოსის შესახებ თქმულებას ბერძნების მწერლის ფერეკიდესის ნაწერებში შევხვდებით. ფერეკიდესი ქრ. შობამდე 400 წლით ადრე სცხოვრობდა. ის იხსენიებს არწივს, რომელიც პრომეთეოსის ღვიძლსა სწიწკნიდა. ეს არწივი ტიფონისა და იქედნასაგან იშვაო. როგორცა ხედავთ, არც დედა და არც მამა მისი ნაზი ჯიშის ცხოველები არა ყოფილან. ფერეკიდესი ამბობს, იუპიტერის არწივი პრომეთეოსის ღვიძლს დამით თითქმის მთლად შესჭამდა, მხოლოდ ერთი კიკნა დარჩებოდა, და ეს დარჩენილი ღვიძლი მეორე დღეს ისევ გაიზრდებოდაო. ამნაირად ბევრის წლის განმავლობაში იტანჯებოდაო; ზოგნი კიდევ ამბობენ, მთელი ათასი წელიწადი გასტანა მისმა ტანჯვა-წვალებამაო. უკაცრავად, — თვითონვე გაისწორა თავისი ნათქვამი ექიმმა, — უფრო ძველი და უფრო პოეტურ თქმულება პრომეთეოსზედ ჰეზიოდისა და ესხილის, განსაკუთრებით უკანასკნელის თხზულებებშია აღწერილი. ესხილი თავის ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთეოსი“, ხოლო ჰეზიოდი განსაკუთრებით თავის თეოგონიაში გვაცნობს ამ მდევ-გმირის თავგადასავალსაო. მაგრამ ორივ ეს მწერალი იმიტომ არ მოვიხსენიე, რომ ერთიცა და მეორეც ამბობს, პრომეთეოსი კავკასიის მთაზე კი არ იყო მიჯაჭვული, არამედ სადღაც სკვითიაშიო. მაგრამ ეს სულერთია. ესხილს ისე აქვს აწერილი პრომეთეოსის ტანჯვა-წვალება, რომ კაცს ტირილი მოუვა მის კითხვის დროს. აპოლონი როდოსელი თავის „არგონავტიკა“-ში პირდაპირ ამბობს, რომ როცა არგონავთები კოლხიდაში მისცურავდნენ და კავკასიის ქედს დაუახლოვდნენ, თავის თვალითა ნახეს, იუპიტერის არწივი პრომეთეოსთან რომ მიფრინავდაო... ერთ დილას, — განაგრძობს აპოლონი, — არგონავთებს წარმოუდგათ თვალუწვდენელი მწვერვალნი კავკასიის მთებისა, სადაც პრომეთეოსი რკინის ჯაჭვით ერთს კლდეზედ იყო მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრული და თავის ღვიძლს არწივს აჭმევდა, რომელიც მასთან ყოველ დილას მოფრინდებოდა ხოლმეო. იმ დილას ისიც დაუნახავთ, რომ შუილით გადაგვიფრინა ჩვენი ნავის ზემოდანაო, თითქმის ღრუბლებთან გაკრულმაო. ფრთას რომ დაიქნევდა, ჩვენის ნავის იალქნები იბერებოდა, თითქო მძლავრი ქარი შეუჯდაო; ეს ფრინველი სხვა ფრინველებს სრულებით არა ჰგავდა, მისი ფრთები ნავის ხოპების ოდენები იყო. ცოტაც რომ გაუვლიათ, პრომეთეოსის კვნესაც გაუგონიათ, თურმე არწივი ღვიძლსა სწიწკნიდა. მისი საზარელი კვნესა მანამდე გაისმოდა, სანამ ფრინველი უკან დაბრუნებული არ დაინახეს. იმავე გზით დაბრუნებულა ოლიმპზედ ღამე დასაბუდებლად. მაგრამ უფრო საინტერესო ამბავს მოგვითხრობს კიდევ იგივე აპოლონი,— განაგრძო ექიმმა,—როცა არგონავთები კოლხიდაში გავიდნენ და მათი მისვლა მედეიამ გაიგო, დილას ადრე ადგა და ტანთ ჩაიცვა თუ არა, თავის მოსამსახურე თორმეტ ქალებს, რომლებიც ყველანი მისი კბილისანი იყვნენ, უბრძანა: ჩემს ეტლში ჩქარა ჯორები შეაბით და გექადის ბრწყინვალე ტაძარში წამიყვანეთო. ქალებმა ეტლში ჯორები შეაბეს, მედეიამ ძვირფას კოლოფიდან წამალი ამოიღო, რომელსაც პრომეთეოსის წამალი ერქვა. ამ წამალს ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ვინც ტანზე წაისვამდა, იმას ვერც სატევრით დასჭრიდა ვინმე, ვერც ცეცხლი ავნებდა რასმე; კიდევ სხვა ძალაცა ჰქონდა ამ წამალს— ვინც წაისვამდა, იმ დღეს ღონით ვერავინ მოერევოდა. ეს წამალი მაშინ შეამზადა მედეიამ, როცა კავკასიის მთის მწვერვალს პირველად დაეღვენთა წითელი, ღვთიური სისხლი სვეუბედურის პრომეთეოსისა, ის სისხლი, რომელიც გაუმაძღარმა და სისხლს-მოწყურებულმა არწივმა დაანთხია. ამ სისხლზე ყვავილი ამოვიდა ისეთივე წითელი, როგორიც სისხლი იყო; მისი სისხლი ცოცხალი ადამიანის ხორცსა ჰგავდა. ამ ყვავილის ძირის წვენი გრძნეულმა მედეიამ გამოსწურა და ზღვის ლოკოკინაში შეინახა.

— ის საზიზღარი, მედეია არის, თუ ვიღაცა!—ერთბაშად წამოიძახა ვარიას ძმამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ერთი, როცა უფროსი ლაპარაკობს, ნუ გაეჩხირები ხოლმე შენცა. დააცადე, დაათავოს ლაპარაკი.

— მეტი რაღა ვსთქვა,—უპასუხა ექიმმა,—ყველა თქმულება ერთმანეთისა ჰგავს.

— ჯერ კი ერთმანეთის მსგავსი არა ყოფილა თქვენი ნათქვამი,—შენიშნა დიმიტრი შარვაშიძემ.

ამას ძალიან ეინტერესებოდა ექიმის ნათქვამი. როგორღაც შეისისლხორცა კიდეცა ის აზრი, რომ მე პირდაპირი ჩამომავალი ვარ პრომეთეოსისა და ერთ-ერთ ოკეანიდისაო. რა თქმა უნდა, თავი უნდა მოეწონებინა იმ კაცს, რომელსაც წინაპრები მდევ-გმირები ჰყოლია, ღმერთებთან მებრძოლი მდევგმირები.

— საყურადღებოა აპოლოდორ ათინელის ნათქვამიც პრომეთეოსის შესახებ,—ხელახლად დაიწყო ექიმმა,—თავის „ბიბლიოთიკა"-ში აპოლოდორი ამბობს, რომ პრომეთეოსმა, ზევსის მსგავსად, თვითონ შეჰქმნა ადამიანი მიწისა და წყლისაგან. შექმნით კი შეჰქმნა, მხოლოდ მის შექმნილს აკლდა ღვთიური, ზეციური ცეცხლი—სული. პრომეთეოსიც ადგა, მოსტაცა ზევსს ამ ცეცხლის ნაპერწკალი და „narthaex"-ის მცენარის ღეროში დამალა. ზევსს ეს ამბავი მისმა ჯაშუშებმა შეატყობინეს. განრისხდა ფრიად და ღმერთს-მჭედელს—ჰეფესტს—უბრძანა, პრომეთეოსი კავკასიის ერთ-ერთ კლდეზედ მიჯაჭვეო. მერე მოთხრობილია ამბავი იმავე არწივისა, დღისით პრომეთეოსის ღვიძლს რომ სწიწკნიდა, შემდეგ ეს ღვიძლი ისევ როგორ მთელდებოდა ღამით, ბოლოს გულკეთილი ჰერკულესიც არის მოხსენებული, დატანჯულის მხსნელი. არწივის შესახებ აპოლოდორიც ამბობს, იქედნისა და ტიფონის შვილი იყოვო; მაგრამ ამასთანავე იმასაც ამბობს, რომ ჰერკულესმა განთავისუფლებულის პრომეთეოსის მაგიერ ზევსს უკვდავი ხირონი წარუდგინა და ხირონმა სურვილი განაცხადა, პრომეთეოსის მაგივრად მოვკვდებიო. გაიგეთ?—„უკვდავმა ხირონმა ისურვა სიკვდილი. ეტყობა, უკვდავებაც არა ყოფილა მაინც-და-მაინც სახარბიელო და ტკბილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიაღ, — განაგრძო ექიმმა ისევე: — ციცერონი თავის „ტუსკულიანებში“ ამბობს, პრომეთეოსი ამ სიტყვებითა სჩიოდაო: „ეს მწარე ტანჯვა-წვალება, რომელსაც მთელს საშინელ საუკუნოების განმავლობაში ბოლო არ ელებოდა, ჩემს ტანსა ღრღნის, ჰგვემავს; მზის სხივთა გავლენით ამ ტანიდან გამდნარი წვეთები ჰქვანავს სისხლსა და კავკასიის მთებს ეღვენთება“... დიაღ, მთელის საუკუნოების განმავლობაში ტანჯვა წარმოსადგენადაც ძნელი წარმოსადგენია.

— დიაღ, — დაემოწმა ფიქრში გართული დიმიტრი შარვაშიძე, რომელიც პრომეთეოსის ტანჯვა-წვალებას თავის პირადს ტანჯვა-წვალებას უმხარდამხარებდა.

— ძველის დროის გეოგრაფოსი სტრაბონიც იხსენიებს პრომეთეოსსა, — განაგრძო ექიმმა. — მაგრამ ის ამის შესახებ გაკვრით ლაპარაკობს, ისიც მაშინ, როცა ალექსანდრე მაკედონელის გალაშქრებათა გამო სწერს: — ბერძნებს უნდოდათ ალექსანდრესათვის ეამებინათ და თავისს ისტორიაში სწერდნენ, ალექსანდრე მაკედონელი თვით კავკასიამდე მივიდაო, იქ, „ქვეყნის ბოლოს“, სადაც პრომეთეოსი იყო მიჯაჭვულიო. ხოლო გიგინი, თანამედროვე ქრისტესი, თავისს „იგავ-არაკებში“ პირვანდელ თქმულებას ამახინჯებს და სულ სხვა ნაირადა სწერს. ცეცხლის მოტაცებისათვის მერკურიმ, იუპიტერის ბრძანებით, პრომეთეოსი რკინის ლურსმებით მიაკრა კავკასიის მთასა, და თავზე არწივი დააყენა და ამ არწივს მისი გული უნდა ეგლიჯნა და არა ღვიძლიო. მერე მხოლოდ ოც და ათის წლის უკან ჰერკულესმა ეს არწივი მოჰკლა და პრომეთეოსი აუშვაო. მეორე ადგილას იგივე გიგინი ამბობს, რომ იუპიტერმა უბრძანა ჰერკულესს პრომეთეოსის განთავისუფლებაო. პრომეთეოსის შესახებ დარჩენილი მითი გაკვრით მოხსენებული აქვსთ აგრეთვე გეოგრაფოსებს: პავზანია პერიეგეტას და დიონისი პერიეგეტას. ხოლო კვინტ კურციუსი რუფი ამბობს, რომ ალექსანდრე მაკედონელი თავის ჯარითურთ ჩვიდმეტ დღეში გადავიდა კავკასიაზედაო დი აქ მაკედონელებს უნახავსთ კლდე, რომელსაც სიმსხო ათი მხარი ჰქონია და სიმაღლე ოთხი მხარი, ამ კლდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე პრომეთეოსი ყოფილა მიჯაჭვული. არიანეს, მეორე საუკუნის მოგზაურს, აღწერილი აქვს, როგორ იმოგზაურა შავს ზღვაზე. ამ აღწერილობის ერთს ადგილას გვამცნევს: „აქედან ჩვენ ვხედავდით კავკასიის მთებსა, ეს მთები კელტების ალპების სიმაღლეა; ამ მთების ერთი მწვერვალიცა ვნახეთ, რომელსაც „სტრობილი“ ერქვა. როგორც გვითხრეს, სწორედ ამ სტრობილზე მიუჯაჭვავს იუპიტერის ბრძანებით ვულკანს პრომეთეოსი“..... არ ვიცი, სტრობილი რომელ მთასა ჰქვიან. მაგრამ შესანიშნავი ის არის, რომ ჶსევდო-ჶლუტარხი, რომელიც ტრაიანისა და ანდრიანის დროს სცხოვრობდა, სულ სხვანაირად მოგვითხრობს იუპიტერის განრისხების ამბავს პრომეთეოსზე. ჶსევდო-ჶლუტარხი თავის თხზულებაში „De fluviorum et montium nominibus“-სში ამბობს, რომ კავკასიის მთას ადრე ბორეის სარეცელი ერქვა. თან იმასაცა ხსნის, რად დარქმევია ეს სახელი. ბორეის ძალით მოუტაცნია არკტურის ქალი კიონი და მასთან ერთად ნიფატის კლდეზე სცხოვრობდაო. აქ შვილი მიეცათ ჰირპაგი, რომელიც იქვე გამეფდაო. მას შემდეგ ნიფატის კლდეს „ბორეის სარეცელი“ დაერქვაო. კავკასია კი მერე უწოდეს შემდეგის მიზეზისა გამო. მდევებთან ბრძოლის შემდეგ, სატურნს თავისი შვილი იუპიტერი გამოეკიდა. სატურნი ბორეის სარეცელს სულ ზევით მოექცა, გადაიქცა ხვითქად და იქ დაიმალა. მაშინ პრომეთეოსმა ერთი მთიელი მწყემსი მოჰკლა; მწყემსს კავკაზი ერქვა სახელად. გამოშიგნა მკვდარი და, შიგანს რომ დახედა, სთქვა, მტრები ახლოს არიანო. მოსამსახურეებმა იუპიტერს შეატყობინეს ეს ამბავი. ისიც მივიდა, მოსძებნა თავისი მამა, შეჰკრა მატყლის თოკით და ჯურღმულში შთააგდო, ხოლო იმ მთაზე, რომელსაც მწყემსის პატივსაცემლად კავკაზი დაარქვა, პრომეთეოსი მიაჯაჭვინაო. აბა უმადურობაც ასეთი უნდა! იმისთვის რომ პრომეთეოსმა მწყემსის შიგანით შეიტყო—სატურნი სად იმალებოდა, მადლიერმა იუპიტერმა არწივს უბრძანა, პრომეთეოსის გულღვიძლი სწიწკნეო. რაიცა შეეხება იმას, რომ ბორეი კავკასიის მთებში სცხოვრობდა, ეს გასაკვირველი სრულებით არ არის:—შავის ზღვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღელვების მიზეზი ყოველთვის ის ქარებია, რომლებიც კავკასიის მთებსა და ხევებიდანა ჰქრის.

— მგონი ახლაც ილვიძებს ბორეი,—შენიშნა უფროსმა შარვაშიძემ.—ხედავთ, რა რიგ აფრიალებს ვარიას რიდეს.

— მართალსა ბრძანებთ,—სთქვა ვარიამ და ხელით დაამაგრა რიდე ქუდზე. რაღა ახლა მოუნდი გაღვიძება იმ დალოცვილს! იალბუზიც გაეხვია ღრუბლებში, მთელი ქედიც ბამბიქულა ღრუბლებმა დაჰფარა... მშვიდობით, აფხაზეთო!

თავადმა გოლიცინმა როგორღაც უცნაურად შეხედა ვარიას. მისმა უმცროსმა დამ, კატიამ, უფრო ახლო მიიწია ექიმისაკენ და ჩურჩულით უთხრა: „ბარემ ყველაფერი გვიამბეთ, რაც იცით პრომეთეოსისა.

— გვეყოფა, ჩემო კარგო გოგონა,—ალერსიანად დაუტატუნა ხელი ქალს მხრებზე:—ცოტა-ღა დამრჩა და არც მაგრე საინტერესოა. რომაელთა ისტორიკოსი აპპიანე მხოლოდ იმას ამბობს, რომ როცა პომპეი მიტრიდატს კოლხიდამდე გამოუდევნა, საშინლად უნდოდა ენახა ის ადგილი, სადაც პრომეთეოსი იყო მიჯაჭვული, მაგრამ ვერავინ უჩვენა თურმე. რაკი ესენი გითხარით, სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც გეტყვით, თუ როგორა ხსნიდნენ ძველად პრომეთეოსის შესახებ დარჩენილ თქმულებას. ბერძნების ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელიც 500 წლით ადრე სცხოვრობდა ქრისტეს დაბადებამდე, ამბობს, რომ პრომეთეოსი სკვითების მეფე იყოვო. მდინარე აეთა—ალბად რიონი—ერთხელ ძალიან გადიდებულა. ამ წყალდიდობის გამო პრომეთეოსს თავისს ქვეშევრდომებისთვის ყველაფერი, რაც ცხოვრებისთვის საჭირო იყო, ვერ მოუტანია; სკვითებს გული მოსვლიათ, აუწევიათ და თავიანთი მეფე ჯაჭვებით შეუკრავთ. როცა იქ ჰერკულესი მისულა და მდინარე ზღვაში ჩაუშვია, პრომეთეოსიც გაუნთავისუფლებია ჯაჭვებისაგან. რადგან მდინარე „აეთა“ ბერძნულად „არწივსა ნიშნავს, აქედან მითიც გამოუგონიათ იმ არწივის შესახებ, რომელიც ჰერკულესმა მოჰკლა. არისტოკსენი ტარენტელი, რომელიც 300 წლით ადრე სცხოვრობდა ქრისტეს დაბადებამდე, ამბობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრომეთეოსი ბერძნულად „განგებასა“ ნიშნავს; ეს სიტყვა „ღვთიურ განგებისა“ (ზეციური ცეცხლი) და მინერვისაგან (სიბრძნე) წარმოსდგაო. ზეციური ცეცხლი — სწორედ ის სულია ადამიანისა, რომელიც ზეციდან იქმნა მოტაცებული. ბოლოს დურისი სამოსელი, არისტოკსენის თანამედროვე, ამტკიცებს, რომ პრომეთეოსი იმიტომ იქმნა დასჯილი, რომ იგივე მინერვა — სიბრძნე — შეუყვარდაო. ერთი სიტყვით, იმიტომ ეწამა, რომ სიბრძნე უყვარდა, ხოლო, მოგეხსენებათ, ღმერთები ჭკვიანებს მაინცა-და-მაინც არა სწყალობენ.

— სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჭკვიან ქალების შეყვარება არ ვარგა, — გაიცინა გოლიცინმა.

— ქალებსაც პირიქით ღმერთები უკრძალავენ ბრიყვები შეიყვარონ, — თავის მხრივ სიცილითვე წარმოსთქვა ვარიამ, — ღმერთები, მაშასადამე, ჩვენ უფრო გვწყალობენ.

— პრომეთეოსი რაღა იქმნა? — მოაგონდა ვარიას უმცროსს ძმას.

— ნუ თუ არ გესმის, როგორა კვნესის? — სერიოზულადა ჰკითხა უფროსმა შარვაშიძემ.

ქარმა, მართლაც, თითქო კვნესა დაიწყოვო და საიდანღაც გამოამტყვრალი ნაჭრები თეთრი ღრუბლისა სამხრეთისაკენ მიეშურებოდა ნისლში გახვეულ კავკასიის მთავარ-ქედთან.

— როგორა ჰფიქრობთ, დრო არ არის სახლში დაბრუნებისა? — იკითხა ექიმმა: — ქარი თან და თან ძლიერდება.

ყველანი წამოდგნენ და ცხენებზე შესაჯდომად მოემზადნენ. ამ დროს უმცროსმა შარვაშიძემ მიწიდან მოჰგლიჯა რაღაც ალისფერი ყვავილი და ვარიას გადასცა, თანაც უთხრა: — „აი, პრომეთეოსის სისხლის ყვავილი“...

## VI

ელისაბედის მთაზე ასვლა ყველას, და განსაკუთრებით ვარიას, ისე მოეწონათ, რომ აქეთობაზე გზაშივე გადასწყვიტეს ხვალ კიდევ წავიდეთ და ვნახოთ ეგრედ წოდებული „ცბიერებისა და სიყვარულის კოშკიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საღამო გაგარინებისას გაატარეს. ძალიან მხიარულადაც იყვნენ ყველანი. ვარიას უნდოდა როგორმე თავისი გუშინდელი დანაშაული გაექარწყლებინა, — ნარზანთან მეტად გულცივად შევხვდი ჩემს საქმროსა და დღეს მაინც ვაამებო. მაგრამ ქალურმა ორპირობამ აქაც ამოჰყო თავი. იძულებული იყო განგებ ემაცდურნა,—თავადმა გოლიცინმა არ იფიქროს, რომ „კისერზე ვეკიდებიˮ ათხაზეთის მთავარსაო.

ის ყვავილი, რომელზედაც უმცროსმა შარვაშიძემა სთქვა, პრომეთეოსის სისხლისაგან არის ამოსულიო, წყლით სავსე ჭიქაში ჩასდვეს და ყველა ზედ დაჰხაროდა, ამიტომ რომ ასეთი ალისფერი ყვავილი რუსეთში იმათში არავის უნახავს.

— ბატონო ექიმო, ე „ცბიერებისა და სიყვარულის კოშკიˮ რა კოშკია?—ჰკითხა ვარიამ, როცა ლაპარაკი დაიწყეს, ხვალ მთებზე უნდა წავიდეთ სასეირნოდაო.—მართლა დიდის ხნის კოშკია?

— არა, კოშკი კი არა, ლამაზი და საკვირვლად აღმართული კლდეა, სულ საშიშარს კოშკსა ჰგავს,—უპასუხა ექიმმა.

— „ცბიერებისა და სიყვარულის კოშკსˮ მაშ რაღად ეძახიან?

— ამ კლდის შესახებ ერთი ამბავია დარჩენილი. ამ ამბის თანხმად, უფრო სწორი იქმნებოდა, ამ ვითომ-და კოშკს „სიყვარულისა და სიმხდალის კოშკისˮ სახელი რქმეოდა,—უკაცრავად, ქალის სიმხდალის, ან უკეთ, ქალის გონიერებისა, — ამბობდა ექიმი და თან კოვზით შაქარს ურევდა ჩაით სავსე ჭიქაში.

— მას აქედ დიდი ხანია, რაც ეს ამბავი მომხდარა, რუსები ახალი შემოსულები ყოფილან ამ მხარეში. ამბობენ, აქ ორი საყვარელი შეყრილან—მშვენიერი ვაჟი და უფროკე მშვენიერი ქალი. მეტად თავდავიწყებით თურმე უყვარდათ ერთმანეთი ქალ-ვაჟს. მხოლოდ მათდა სამწუხაროდ, არ შეეძლოთ შეუღლებულიყვნენ. არ ვიცი, იქმნება ვაჟი იყო ღარიბი და უგვაროტომო და ქალის მშობლები იდგნენ უარზე თავისი ქალი მიეთხოვებინათ, ამიტომ რომ თვითონ მდიდარნი და კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგის გვარისანი იყვნენ; ან შეიძლება, ქალი იყო ღარიბი და დაბალის წოდებისა, ვაჟი კი მდიდარი, კარგის გვარისა და მისი მშობლები არა სთანხმდებოდნენ ღარიბი ქალი შეერთო ცოლად. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ორივე საშინლად იტანჯებოდნენ, ისე იტანჯებოდნენ, როგორც კი შეეძლო ორს უბედურს შეყვარებულს ტანჯვა და დაგვა. მათის აზრით, მათს ტანჯვას ბოლო არ მოელებოდა და ამიტომ გადასწყვიტეს, ერთად მოვკვდეთ და ერთად შევიყარნეთ საიქიოსა, ვიდრე საიქოს ერთმანეთს გაგვაშორონო. ერთს მშვენიერს დილას საყვარელნი ჩუმად გასულან კისლოვოდსკიდან და იმ საოცნებო კლდისაკენ წასულან, რომელსაც ჩვენ ხვალა ვნახავთ. კლდესთან მშვიდობიანად მისულან და მერე ზედ მოჰქცევიან. ეტყობა, ქალს ძალიან კარგი სიარული უნდა სცოდნოდა კლდეებზე, თორემ იმ კლდის წვერზედ ყველა მამაკაცი ვერ გაჰბედავს ასვლას. ასე იყო, თუ ისე, ჩვენი შეყვარებულნი ზედ ასულან. იქ უკანასკნელად გადაუკოცნიათ ერთმანეთი და ერთმანეთს შეჰფიცეს თურმე, საიქიოს ერთმანეთს არ ვუღალატოთო. პირობა დაუდვიათ, ერთმანეთს ხელი მოვკიდოთ და ერთად გადავარდეთ ხრამში და დავიმსხვრათო. მართლაც, ხელი მოუკიდნიათ ერთმანეთისათვის და გადაშვებულან... მხოლოდ როგორღაც ისე მომხდარა, რომ ქალის ხელი ვაჟის ხელიდან გამოცურებულა. ვაჟი თავდაყირა გადაჩეხილა კლდეში და სული განუტევებია, ქალი კი ზევით დარჩენილა ცოცხალი. მას შემდეგ ამ კლდეს „ცბიერებისა და სიყვარულის კოშკს“ ეძახიან,—დაათავა ექიმმა ლაპარაკი.

ვარია გულმოდგინედ ყურს უგდებდა ექიმის ლაპარაკს. მე და ჩემს დიმიტრის კლდეში გადაჩეხვა არ დაგვჭირდებაო,—ჰფიქრობდა თავის გულში,—ოღონდ აფხაზეთის საქმეები კარგად მოეწყოს და მაშინ სამოთხის ნეტარებით ვინეტარებო. თავისებურად ჰფიქრობდა ამ შემთხვევაში უმცროსი შარვაშიძე: „მე ავწევდი და მოვიპარავდიო.“

სტუმრები გვიან დაიშალნენ. ვარიას იმ ღამეს კარგად ეძინა, მხოლოდ სიზმარში ნახა, ვითომ იმ კლდის წვერზე ვდგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარო. უფროსმა შარვაშიძემ სიზმარში არსლან-ბეი დაინახა ხუნდებ-გაყრილი, ხოლო უმცროსს ძმას ვარია დაესიზმრა; მაგრამ ეს ერთსა და იმავე დროს ვარიაც იყო და ესმა-ხანუმიცა.

დიმიტრი შარვაშიძე მეორე დილას კარგს გუნებაზე ადგა (საღამოს ვარიამ აივანზედ გამოაცილა და გამომშვიდობებისას ხელი სიყვარულით ჩამოართვა). დაუძახა აურუს ლაყვარს და უთხრა, დღესაც წავალთ მთებზე, მხოლოდ შორს მივდივართ აქედან და მარტო თორმეტი კაცი წამოჰყვეს მხლებლებადაო. ეს რომ გაიგო აურუს ლაყვარმა, სთხოვა ბატონს, ნება მომეცით აქვე ახლოს სოფელში ერთი მეგობარი კაცი მყავს, ცხენი მინდა ვიყიდო, კარგი ცხენი ჰყავს, და გამიშვიო. დიმიტრი შარვაშიძემ ნება მისცა.

დანიშნულს ჟამს ყველამ თავი მოიყარა ნარზანის პირდაპირ. ვარიას ექიმი მოჰყვებოდა, ხოლო გოლიცინი მსახურთან ერთად მოვიდა. ვარიას გარდა თოფი ყველას მოჰქონდა, ამიტომ რომ, შეიძლება, მშველი შეგვხვდეს და იქნება მოვკლათო, იმ მთაზე იციso. გავიდნენ პატარა მდინარეს და აღმართს შეუდგნენ.

ორი ვერსი რომ გაიარეს, მგზავრები მეორე მდინარეს მიადგნენ. ეს მდინარე სხვა დროს, როგორც ყველა მთის მდინარე, პატარა იყო, მაგრამ ახლა ადიდებულიყო და საკმაოდ ბურტყუნებდა, ამიტომ რომ წინა ღამეს მთებში წვიმა მოსულიყო და მთელი ნაწვიმარი წყალი იალბუზის ძირიდან შურდულივით ვაკისაკენ მოისწრაფვოდა. ყველანი ფონში უნდა გასულიყვნენ და ვარიას, ცოტა არ იყოს, შეეშინდა. პირველად მიხეილ შარვაშიძემ შეაგდო აქაფებულ წყალში ცხენი და იმას სხვები მიჰყვნენ. ვარია დიმიტრი შარვაშიძეს გვერდით მისდევდა. თავადმა შენიშნა, ქალმა აღტყინებული წყალი რომ დაინახა, ფერი წაუვიდაო.

— წყალს ნუ უყურებთ,—გააფრთხილა თავადმა.

— თავბრუ მესხმის... ჩამოვვარდები.—ჩურჩურებდა გაფითრებულის ტუჩებით ვარია.

მაშინ დიმიტრი შარვაშიძე მარდად გადიხარა და ღონიერი ხელი ქალის ტანს მოჰხვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინიანთ, ცხენიდან მხოლოდ მაშინ ჩამოვარდებით, როცა მომწყდება ის ხელი, რომელსაც ახლა უფრო მაგრად უჭირავხართ, ვიდრე ოდესლაც ეჭირენით თამაშობის დროს... მოიგონეთ, ძვირფასო ვარია,—ჩასჩურჩულა თავადმა თავისს დანიშნულს.

ყველანი მშვიდობით გავიდნენ.

— გმადლობ,—უთხრა ცოტა მორცხვად ვარიამ, რომელსაც ლოყები ისევ აუკვერდა.

— ეტყობა, თქვენი კავალერი კარგად ვერ გემსახურათ,— შლეიფი დაგსველებიათ,—უთხრა გოლიცინმა. თანაც სწუხდა, რატომ ვერ მივხვდი და რატომ არ ვუშველე წყალში გამოსვლაო.

— თავადი დიმიტრი რომ არ მომხმარებოდა, ჩემს შლეიფს კი არა, ჩემს უბადრუკ სხეულსაც წყალი წაიღებდა,—უპასუხა ვარიამ და დასველებულს შლეიფს წკეპლა დაჰკრა.

— ფეხები ხომ არ დაგსველებიათ? — ჰკითხა შეშინებულმა ექიმმა.

— არა, merci,—უზანგომდე წყალი არ შემოსწვდომია.

— ფეხებს გაუფრთხილდით:—ჯერ კიდევ რამდენსამე ალაგას უნდა გავიდეთ ამ ქინიან წყალში.

— კარგი და, ის შეყვარებული ქალ-ვაჟი როგორღა გავიდნენ აქ, თუ ქვეითად მიდიოდნენ?—ჰკითხა ვარიამ.

— ცოტა მარცხნივ მოკლე გზაა, იქ მდინარეში გასვლა კაცს არ სჭირდება, მხოლოდ იმ გზით ცხენები ვერ ივლიან.

ცხენოსნები ერთის ვერსის მანძილზე სწორე გზით მიდიოდნენ. ხელახლა მოუხდათ მდინარეში გასვლა, მაგრამ ამ ხელად დიმიტრი შარვაშიძემ ვარიას უბრძანა თვალი სულ მოხუჭეო, ხელი მოჰკიდა და მეორე ნაპირას მშვიდობით გავიდნენ. შლეიფის ბოლო ვარიას ცხენის უნაგირს მიამაგრა თავადმა დიმიტრიმ, ასე რომ სულ არ დასველებულა.

განაგრძეს გზა. ერთბაშად თავი ამოჰყვეს ერთს ვიწრო ხევში, იქით-აქეთ მხარეს ამართული იყო დაქანებული მშვენიერი სალი კლდეები, უსწორ-მასწორო კედლებსა ჰგვანდა ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეები, თითქო მდევების ნაშენებიაო. ექიმმაც ეს აზრი წარმოსთქვა.

— ესენი მდევებს უშენებიათ, როდესაც ღმერთებს ეომებოდნენ; უდულაბოდ უშენებიათ.

— მშველი!—სიხარულით წამოიძახა უმცროსმა შარვაშიძემ და შურდულივით გაექანა ხევის გასწვრივ.

რამდენისამე წუთის უკან ერთბაშად თოფის სროლა ატყდა. ყველას გაუკვირდა, რა ამბავიაო? და ცხენები გააჭენეს.

მალე უმცროსი შარვაშიძეც გამოჩნდა. ცხენს მოაჭენებდა და თან ქუდს იქნევდა.

— არსლან-ბეია! ჩასაფრებულან! მისი ოქროს ნახევარი მთვარე და სულთანის წითელი ჩოხა რომ დავინახე, მაშინათვე ვიცანი ის წყეული, ისა!—ჰყვიროდა მიხეილი.—აქედან ვერსად წავალთ... უნდა ვიომოთ და დავიხოცნეთ... ურიცხვი ჯარია!

მკვდრის ფერმა გადაჰკრა აფხაზეთის ახალგაზდა მბრძანებელს, როცა ვარიას შეხედა.

— ჰაბაი!—ხრინწიანის ჩურჩულით უთხრა ახლოს მდგარ აფხაზს:—შურდულივით გაექანე და დანარჩენს ხალხს დაუძახე... მტერს ზურგიდან მოუარეთ და მანამდე ჩვენც გავუძლებთ როგორმე... გაიქე, ცხენი ნუ გეცოდება! იმის ბადლად მთელს ჯოგს მოგცემ ცხენებისას!

## VII

— ის იყო, ჰაბაი გაიქცა, დიმიტრი შარვაშიძემ ყველას უბრძანა, ცხენებიდან ჩამოდითო.

— როგორმე ვარია დავმალოთ და ჩვენ კი ცოცხალი ხელში არ ჩავუვარდებით... აი, იმ კლდეს უკან ამოეფაროს... ტყვია იქ ვერ მიუწევს. თქვენ ორნივე დაეტევით,—გულდამშვიდებით უთხრა ექიმს დიმიტრი შარვაშიძემ, თითქო ბურთის სათამაშოდ ემზადებოდაო:—წადით.

— არა, თავადო, მე არ დავიმალები, მე მამა-კაცი გახლავართ, თოფი მაქვს,—უპასუხა ექიმმა.— იქ მარტო ვარია დავმალოთ.

— მე გიბრძანებთ, ბატონო ექიმო,—რიხიანის კილოთი უთხრა თავადმა დიმიტრი შარვაშიძემ:—თქვენ ვარიასათვის ხართ საჭირო, და არა ჩვენთვის. თქვენი თოფი ჩვენ მოგვეცით. თქვენ, უიარაღოს, და ქალს ხელს არ გახლებენ. ისინი მხოლოდ ჩემს თავს დაეძებენ. მე-და ვუნდივართ.

ამის თქმაზე, ვარია, მოჭრილ ბალახსავით, თავისის დანიშნულის ხელებზე დაესვენა.

— ხომ ხედავთ,—უთხრა დალონებულის კილოთი დიმიტრიმ. ქალი სიყვარულით გულზე მიიკრა და, პატარა ბავშვსავით, კლდის უკან მიიყვანა, ფრთხილად ერთ სიპ ქვაზე დააწვინა და თავ-ქვეშ თავისი რბილი კრავის ტყავის ქუდი ამოუდო.—ყური უგდეთ.

ამავე დროს ყვირილი გაისმა და ყველამ დაინახა, რომ მტერმა მთელი ხევი დაიჭირა და ერთი მუჭა მოწინააღმდეგებისაკენ წამოვიდა.

— ჯერ დაიცადეთ, ნიშანში ამოიღეთ კარგად და ისე ესროლეთ, არ დააცდინოთ კია,—უბრძანა თავისიანებს დიმიტრი შარვაშიძემ:—ნიშანში კარგად ამოიღეთ! როცა გეტყვით, მაშინ ესროლეთ ექვსმა მემარცხნეებმა, ხოლო ექვსმა მემარჯვენეებმა დაიცადეთ სათადარიგოდ!

შურდულივით წამრსული მტერი სათოფეზე მოახლოვდა.

— დაიცადეთ! ახლოს მოუშვით! ჩემს ბრძანებას უცდიდეთ! დიმიტრი შარვაშაძის ხმა ჰაერში ფოლადსავით წკრიალებდა.

— ესროლე!—გაისმა ბრძანების ხმა.

ამათაც ესროლეს და მტრის რაზმში ექვს კაცს ტყვია ჩაერჭო სხეულში. ზოგი უკან გადავარდა, ზოგი ცხენის ფაფარს დაეყრდოან და ძირს ჩამოვარდა, სიკვდილისაგან დაღმეჭილის და დაკვრანჩხილის სახით.

ასე მოუთმენლად თოფის სროლამ თავ-ტანი დაუკარგა მტერს. სულ არ მოელოდნენ თუ ესროდნენ. იმათ იმედი ჰქონდათ, ერთ მუჭა ხალხს ხმლებით დავერევით და დავიმორჩილებთო. და ის კი არა თოფებიც კი გვესროლესო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასტენეთ! — დაუძახა თავადმა დიმიტრიმ იმ ექვსს, რომელთაც თოფები დასცალეს.

მაგრამ მტერი გონს მოვიდა, როცა არსლან-ბეის ბრძანების ხმამ ხევი გააპო. მტერმა კიდევ წაიწია წინ და ცხენები ყალხზე შეაყენეს. თოფები ხელახლა გავარდა და მტრის რაზმს რამდენიმე კაცი მოაკლდა და ზოგისაც ცხენები დაიჭრა. დაჭრილი ცხენები უკან გამოტრიალდნენ და დომხალივით არიეს მტრის რაზმი.

— გასტენე! — ისევ უბრძანა თავადმა დიმიტრიმ.

მტერმა უკან დაიხია, ვიწრო გასავალში ვეღარ გაეტივნენ და ერთმანეთსა სრესდნენ. უკანიდან კიდევ მოაყოლეს ექვსი ტყვია.

— მადლობა ღმერთს, უკან გაბრუნდნენ, — ჩურჩულით წარმოსთქვა თავადმა გოლიცინმა და პირჯვარი გამოისახა.

— არა! — სიტყვა გააწყვეტინა უმცროსმა შარვაშიძემ: — ხმლებით რომ ვერას გახდნენ, ახლა თოფებს დაგვიშენენ.

მართლაც, მიხეილის ნათქვამი გამართლდა. მტერმა ხევს მისცა თავი. არსლან-ბეის ბრძანებით, თოფებსა და დამბაჩებს ფალია გაუსინჯეს. მერე მიწაზე გაერთხნენ და კატებსავით ძრომა იწყეს და რაც შეხვდებოდათ, ყველაფერს თავს აფარებდნენ. ზოგმა ცხენებს უნაგირი მოხსნა და ხელით მიჰქონდა წინ გაშვერილი. დიმიტრი შარვაშიძის მომხრენი შორიდანვე ხედავდნენ, რომ მტერი ძლიერი იყო, მათთან გამკლავება ყოვლად შეუძლებელიაო. ეს არის, ბოლო უნდა მოგველოსო. უკვე გაისმა ტყვიების ზუზუნი ჰაერში, ან-და ქვებს ენარცხებოდა.

— ცხენები დაჰკალით! — დამშვიდებულის ხმით უბრძანა დიმიტრი შარვაშიძემ.

თვალის დახამხამებაში საცოდავი კეთილშობილნი პირუტყვნი, სატევრებით განგმირულნი, ძირს დაეცნენ და თავის სისხლით შეჰღებეს ქვიანი ხევი.

— ეს ჩვენი ჯებირებია, — წარმოსთქვა ახალგაზდა შარვაშიძემ: — ამ ჯებირებს ამოფარებულებს ეშმაკიც ვერ გვაჯობებს, მხოლოდ რუსების ხიშტები თუ რასმე გვიზამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ნახევარი საათი თუ როგორმე გავსძელით, მანამდე ჰაბაი და ჩემი აფხაზებიც მომეშველებიან,—სთქვა დასამშვიდებლად დიმიტრი შარვაშიძემ.

ყველანი მაშინათვე ცხენების მძოვრებს ამოეფარნენ.

— გახსოვდესთ: არ დააცილოთ! — დაუნიშნეთ თვალში, შუბლში და, თუ შეიძლება,—გულში!

ამათი საქმე კარგად წავიდა. მტრის ტყვიები ზუზუნით გადაურბენდა თავს ზევით, ან ცხენების მძოვრებსა ხვდებოდა და შიგა რჩებოდა, ან კიდევ ქვებს ასკდებოდა. ორი ტყვია ერთად მოხვდა ახალგაზდა შარვაშიძის ქუდს.

— კარგად დაიმალე! თავს ნუ ამოჰყოფ ხოლმე! —უბრძანა უფროსმა ძმამ.

გული ვერ მითმენს, არ შევხედო,—დამშვიდებით უპასუხა ყმაწვილმა კაცმა:—ქუდზე ოქროს ნახევარ-მთვარეს მოვკარ თვალი. მინდოდა პირდაპირ შუბლში მეკრა ტყვია ჩემი ბიძისთვის, მაგრამ, გაუწყრა ღმერთი, დამემალა. აჰა, ყოჩაღ!

— რა იყო?—ჰკითხა დიმიტრიმ.

— ჩემის მეზობლის ტყვიამ ერთი შაითანი მაღლიდან გადმოაკოტრიალა.

ეს მეზობელი—თავადი გოლიცინი იყო. შენიშნა თუ არა, ერთი მტერთაგანი გაუფრთხილებლად კლდის ერთს მომაღლო ადგილზე აფორთხდა, რომ იქიდან კარგად ამოიღოს ნიშანში მოპირდაპირეო, თავადმა გოლიცინმა ესროლა და უკან ხევში გადააკოტრიალა.

მტერი თან-და-თან ახლო იწევდა. ერთმა ტყვიამ თავად გოლიცინის მსახურს მხარში გაუარა.

— ესმა-ხანუმ! — წამოიძახა ერთბაშად უმცროსმა შარვაშიძემ.

— რას ამბობ!—გაიკვირვა თავადმა დიმიტრიმ.

— აი, ეს-ეს არის, მისი ქუდი ვიცანი... ელვასავით გაბრწყინდა მისი ბრილიანტის ფრთა, ფადიშაჰმა რომ გამოუგზავნა.

ამ დროს მათს უკან ცხენის ფეხის ხმა გაისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოგვეშველნენ... ვარია გადარჩა!—თავისუფლად ამოისუნთქა უფროსმა შარვაშიძემ, როცა ექიმთან ერთად კლდის უკან დამალული ვარია მოაგონდა.

დაბარებული აფხაზები მართლა მოეშველნენ. ჰაბაიმ მშვენივრად გაიგო და აასრულა თავის ბატონის ბრძანება. მიიჭრა კისლოვოდსკში; ცხენი დაუვარდა, მაგრამ მაშინათვე თავის ხელით მოჰლა, ტანჯვას გადარჩებაო. თავადი დიმიტრის მახლობლები ყველანი თვალის დახამხამებაში ფეხზე დააყენა, მოაჯდა სხვა ცხენს და ამხანაგები სულ ჭენებით წამოიყვანა იმ ადგილისაკენ, სადაც არსლან-ბეი ჩასაფრებული იყო და დიმიტრი შარვაშიძეს ებრძოდა. რომ მიუახლოვდა, ერთი ნაწილი ცხენოსნებისა ცოტა მოშორებით წაიყვანა და მტრის ზურგს უკან ჩაასაფრა, ხოლო მეორე ნაწილი ზედ თავზე წამოაყენა მტერს. ამასობაში თოფის სროლაც ატყდა და ტყვია, ზევიდან წამოსული, ზედ თავზედ ეყრებოდა ძირს ჩასაფრებულს მტერს.

— ალლაჰ! ალლაჰ!—გაისმა ქვეიდან ყვირილი და განწირული წყევლა.

არსლან-ბეი და მისნი მომხრენი სრულებით არ მოელოდნენ, თუ ასეთი დღე დაადგებოდათ. თითქო მოულოდნელად მეხი დაეცათ თავზედაო, ისე იმოქმედა მტრის თავდასხმამ და ყველას თავ-ტანი დაეკარგა; ეგონათ, რომ თვითონ ალლაჰი და მისნი ავნი სულნი გვულეტენ პირდაპირ ზეციდანაო, მით უფრო, რომ მტერს თვალით ვერა ხედავდნენ. თავზარდაცემულნი უკან გაიქცნენ. თან მიჰქონდათ მკვდრები და დაჭრილები, ზოგმა უნაგირი იქვე დააგდო, უბელო ცხენს მოახტა და თავისი ყვირილით ხევი აახმაურა. ზევიდან კი, თითქო ზეციდან მოდისო, ტყვია უფრო და უფრო მოზუზუნებდა, ხევიდან ამოსული ეპუ თოფის ხმისა უფრო შიშის ზარსა სცემდა გაქცეულთ. მხოლოდ მაშინ დაანებეს თავი ლტოლვილთ, როცა არსლან-ბეის მომხრენი ხევიდან გაშლილ ალაგზედ გამოიჭრნენ. მაშინ ჰაბაიმ საყვირი დაუკრა უკან დაბრუნებისა, ამიტომ რომ მდევართა რაზმი მთელი ვერსის მანძილზედ გაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსლან-ბეის მომხრეებმა პირი იბრუნეს თუ არა, თავადმა დიმიტრიმ იმ კლდეს მიაშურა, სადაც იმ ცოტა ხნის წინად გულწასული ვარია დააწვინა. ქალი იმავე სიპზედ იჯდა და მუხლებზე დიმიტრი შარვაშიძის ქუდი ედო. თავისი სატრფო დაინახა თუ არა, წამოხტა და მისკენ გაექანა.

— არ დაუჭრიხართ?—გულის ფანცქალითა ჰკითხა ქალმა და სიხარულისაგან დაავიწყდა, რომ ექიმი იქვე იდგა.

— არა, გენაცვა!—უთხრი თავადმა და მისს ხელებს მხურვალედ კოცნა დაუწყო:—ტყვია მხოლოდ თავადის გოლიცინის მსახურს მოხვდა მხარში, და ამასაც საშიშო არა სჭირს-რა.

ეს რომ გაიგონა, ექიმი დაჭრილის მისაშველებლად გაიქცა. ქალი და ვაჟი მარტო დარჩნენ. ქალი ერთს წამს ყოყმობდა და ერთბაშად ხელები თავისის მხსნელის კისერს შემოარკალა.

— ოჰ, ჩემო გმირო! ჩემო სიამაყევ! ჩემო ძვირფასო!—ჩურჩულებდა ქალი, როცა ვაჟიც, იმასავითვე თავდავიწყებული, უკოცნიდა თავს, თვალებს, ტუჩებს.

—ჩემო გოგონავ,ჩემო სამოთხევ!--ჩურჩულებდა ისიც ისეთს სიტყვებს, რა სიტყვების თქმაც შეუძლია ერთხანად გონება დაკარგულს ან სულ შეშლილს კაცს.

მათს უკან კლდის ბილიკით თავქვე ეშვებოდნენ დიმიტრი შარვაშიძის მხლებელნი. შეყვარებულთათვის სირცხვილი იქმნებოდა მათს მისვლაზე გონი არ მოეკრიბათ. პირველად ვარია მოვიდა გონს. ორნივე საფარიდან გამოვიდნენ. ვარიამ შიშისაგან ხელები გაასავსავა, როცა თორმეტი, ერთმანეთს მიწყობილი, გასისხლიანებული მკვდარი ცხენები დაინახა.

— ღმერთო, რა საცოდაობაა!

ამასობაში ვარიასთან თავადი გოლიცინი და ახალგაზდა შარვაშიძე მივიდნენ, ჯერ ისევ აღელვებულები. ქალმა მხურვალედ ხელი ჩამოართვა ორსავე.

— ჩემო გულადო მხსნელებო! მითხარით, როგორ გადაგიხადოთ მადლობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასა ბრძანებთ?... ჩვენი მოვალეობა გახლდათ,—უპასუხა გოლიცინმა.

ამ დროს ექიმმა თავადს დიმიტრის კოცნა დაუწყო და აღტაცებით უთხრა:—ჩვენ თქვენი ხელები უნდა ვკოცნოთ!... თქვენ ნამდვილი გმირი და სარდალი ბრძანებულხართ. თქვენ არამც თუ პრომეთეოსის, თვით ჰერკულესისა და მარსის შთამომავალი ბრძანდებით!

— ბატონო ექიმო, თუ ღმერთი გწამთ, სულგრძელებით მაპატიეთ:—მე, ცოტა არ იყოს, უზრდელად მოგექეცით, როცა „ბრძანება“ გაგიბედეთ... მაგრამ სხვაფრივ არ შეიძლებოდა... საწყალი ვარვარა უპატრონოდ დარჩა. თქვენ იმისთვის უფრო იყავით საჭირო, ვიდრე ჩვენთვის... მაპატიეთ!—სთხოვა თავის მხრივ თავადმა დიმიტრი შარვაშიძემ.

ამასობაში მხლებელნიც მოვიდნენ. მათი ცხენები სულ აქაფებული იყვნენ.

— გმადლობთ, ჯიგითებო!—მიმართა დიმიტრი შარვაშიძემ:—თქვენი იმედი მქონდა და დამიმტკიცეთ კიდეცა, რომ ჩემი ერთგულნი ხართ! გმადლობ, ჰაბაი! დაპირებული ჯოგი ცხენებისა ჩემს კისერზე იყოს. ის ცხენი დაგიდგა?

— დამიდგა, შენი ჭირიმე... და ჩემის ხელით მოვკალი საცოდავი პირუტყვი.

— კარგი იქნება, წინ დავათვალიერებდეთ, შეიძლება დაჭრილია ვინმე?—სთქვა ექიმმა,—იქნება, მიშველება სჭირია?

— თავის დღეში!—უთხრა უმცროსმა შარვაშიძემ:—აფხაზები ომში დაჭრილს და მოკლულს თავის დღეში არ აგდებენ უპატრონოდ:—ეს დიდი სირცხვილი და თავის მოჭრა იქნებოდა აფხაზ მეომართათვის.

მართლაც, როცა რამდენიმე ცხენოსანი წინ წავიდა, მხოლოდ რამდენიმე უნაგირი და საოფლე დაინახეს მიწაზე დაყრილი; ზოგიერთ ადგილას სისხლის გუბეები იდგა.

მაშინათვე ყველანი უკან წამოსასვლელად მზადებას შეუდგნენ. ვარიას მოკლულ ცხენს უნაგირი მოჰხადეს და იმ უნაგირით ერთ-ერთი ჯიგითის ცხენი შეჰკაზმეს. ჯიგითებსავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოართვეს ცხენები ორივ ძმა შარვაშიძეებისა, თავად გოლიცინისა და ექიმისათვის. უცხენოდ დარჩენილებმა თავისი და მტრისაგან დატოვებულს უნაგირებს ხელი დაავლეს, ცხენიანებს უკან შემოუსხდნენ და კისლოვოდსკის გზას დაადგნენ. მდინარეში წყალს დაეკლო და დილანდებურად აღარ ღრიალებდა.

— ესეც თქვენი „ცბიერებისა და სიყვარულის კოშკი!“— წარმოსთქვა ექიმმა.

— დიაღ, „ცბიერება“ კი შეგვხვდა, მაგრამ „სიყვარული“ კი ვეღარ ვპოვეთ,—გაიღიმა თავადმა გოლიცინმა.

„არა, მე კი ვხედავდი სიყვარულსა“,—ჰფიქრობდა გახარებული დიმიტრი შარვაშიძე და დაინახა, რომ ვარიამ ნაზად შემოჰხედა.

„არა, მე კი ვხედავდი სიყვარულსა“,—იფიქრა ვარიამაც და ერთ წამს გაწითლდა, როცა მოაგონდა, რომ ექიმი იქ იყო, ისე ჩემს ძვირფასს არსებას შენ ვუთხარით...

— მაგრამ ჩვენ მეორეჯერ წავალთ კოშკთან,—არხეინად წარმოსთქვა ახალგაზდა შარვაშიძემ.

— უკაცრავად, მე კი არ გაგიშვებთ; ყოველსავე შემთხვევაში, იმედი მაქვს, დღევანდელი ამბის მნახველი, ვარია პარკსა და ჯვარის მთას არ გასცდება!—სთქვა დასასრულ ექიმმა.

## VIII

ჩვენი მგზავრები უკვე კისლოვოდსკს უახლოვდებოდნენ. ამ დროს ხევიდან გაგარინიანთ ძაღლი გამოჩნდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველას დაავიწყდა გაქირვების დროს. ქოფაკს თავი მაღლა აელო და კბილებით რაღაც ცხოველი ეჭირა. ვარიას რომ მიუახლოვდა, მხიარულებისაგან კუდს ქიცინი დაუწყო.

— თოლია, ეგ რა გიჭირავს, კურდღელი ხომ არ არის?— დაეკითხა თავადის ასული.

— არა, ბატონო, მშვლის ნუკრი გახლავთ,—მოახსენა უმცროსმა შარვაშიძემ,—ხომ დაინახეთ, ხევს იქიდან მშველს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვეკიდე? ჰო-და, უკან ორი ნუკრი მისდევდა. ჩვენი ძაღლიც გამოეკიდა მშველსა და მე წინ გამისწრო. საშინლად შემებრალა მშველი და მისი ნუკრები. ის იყო, ძაღლს დავუყვირე, მინდოდა შემეჩერებინა, ამ დროს ის შაითანები დავინახე და თოფების სროლა დამიწყეს... მე უკან გამოვტრიალდი, ძაღლი კი მშველს გაეკიდა, გასცურა წყალში, მერე ბუჩქებში შერგო თავი, იქიდან მთას შეუდგა. ალბად, იქ დაიჭერდა ნუკრსა.

— ყველა-ყველა, მაგრამ არსლან-ბეი როგორ გაჩნდა კისლოვოდსკის მახლობლად?—იკითხა ფიქრებში გართულმა ექიმმა.

— რაცა ხანია, დამდევს დასაჭერად,—უპასუხა დიმიტრი შარვაშიძემ,—აფხაზეთში ფეხს ისე ვერსად გადავსდგამ, რომ იმან არ გაიგოს ხოლმე... ყველგან ჯაშუშები ჰყავს შეჩენილი.

— იქ შეიძლება, მაგრამ აქ ვინ-ღა ჰყავს, თქვენო ბრწყინვალებავ?—ჰკითხა ექიმმა.

— ალბად, გაიგო, რომ აქეთ წამოვედი და ისიც წამოსულა მთა-და-მთა თავის მომხრეებითურთ.

— მერე, ის როგორ გაიგო, რომ დღეს მთებზედ ვაპირობდით წასვლას და ისიც—ამ გზით? მოღალატე ხომ არა გყავთ გვერდით? იქნება, იმან აუწყა თქვენი განზრახვა ბიძათქვენსა? კისლოვოდსკიდან თქვენი ამალიდან ხომ არავინ წასულა სადმე?

— არავინ, მხოლოდ აურუს ლაყვარმა მთხოვა მახლობელ სოფელში საქმე მაქვს და გამიშვითო.

— აურუს ლაყვარი ვინ-ღაა?

— ჩემი მოსამსახურეა.

— იქნება, ისა გღალატობთ?

— რასა ბრძანებთ! ის კი არა, არსლან-ბეის გამოექცა და ჩემთან პეტერბურგში მოიჭრა... მოსისხლე მტრადა ჰყავს გადაკიდებული არსლანსა. ჩემი ერთგულია, ჩემთვის თავს დასდებს...

— ვერაფერი გამიგია, თქვენო ბრწყინვალებავ,—ისევ იჭვნეულის კილოთი უთხრა ექიმმა,—მაგრამ ეს კია, რომ საქმე როგორღაც ცუდად მიდის... ჩემის აზრით, ციხე შიგნიდან ტყდე-

ეროვნული

ბა... აქაური ამბები მაშ საიდან გაიგო არსლან-ბეიმ ასე დაწვრილებით, ეს ხომ აფხაზეთი არ გახლავსთ?!

— არა, თქვენა სცდებით, ექიმო, არსლან-ბეი პატარაობისას ხშირადა ყოფილა ამ ადგილებში. როცა თავის მამას, ხოლო ჩემს პაპას, ქელეშ-ბეგს, შემოსწყრა, სულ ბალღი იყო. შემოიერთა თავისი მომხრეები, იახლა თავისი მამა-მძუძუ თუთუშული და ძიძაშვილი ქალი დადა და ყაჩაღად გავარდა. ჯერ მაშინ, ამ თხუთმეტი წლის წინად, აწიოკებდა კისლოვოდსკის მიდამოებს. ერთხელ, ცოტა გაწყდა, ტყვედ არ მოიტაცა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ახალგაზდა ასული დარეჯანი და მისი ლამაზი მეგობარი ყარაბაღის მთავრის იბრაჰიმ-ხანის ასული ჰეოუხერი, რომლებიც აქ სოლომონ მეფის მეუღლესთან, მარიამთანა სცხოვრობდნენ.

— ეს ლამაზი ქალები ერთს დროს მეც მინახავს ტფილისში,—სთქვა ექიმმა.—მერე მითხრეს, ჰეოუხერი ძალად მიათხოვეს ხოის მთავარს, მოხუცს ჯაფარ-ყული-ხანსო. ხოლო საბრალო დარეჯან ბატონიშვილი, როცა მამა მისი საბრალოდ დაამარცხეს რუსებმა და ოსმალეთში ივლტო, დარდისაგან წმ. ნინოს მონასტერში შევიდა მოლოზნადაო.

— ბატონო ექიმო, თქვენ ყველაფერი გცოდნიათ!—ჩაერია ლაპარაკში უმცროსი შარვაშიძე.—ლამაზი ჰეოუხერი მალე დაქვრივდა. თავისი მოხუცი ქმარი შესაფერის დიდებით დაასაფლავა, თვითონ მეორეჯერ გათხოვდა. მისი მეორე ქმარი, ქიში-ბეგი, ძლიერ მდიდარი ხანი იყო, მაგრამ, ამასთანავე, ტუტუციცა. ყველა იმას დასცინოდა. ლექსებიც გამოუთქვეს ჰეოუხერის შერთვის გამო. ძვირფასი თვალი ალმოსავლეთისა ცოლად იმისთანა სახედარს ერგო, რომელიც უბრალო თალლითის ნატეხად არა ღირსო. ჰეოუხერი ეხლაც აგიჟებს ყველას თავისის სილამაზითა.

— დარეჯან ბატონიშვილს რაღა დაემართა?—ჰკითხა ვარიამ. ეტყობოდა, ეს ქალი ძალიან შეებრალა:—ის უბედური მონასტერში დარჩა, განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა ბატონო!—სწრაფად უპასუხა მიხეილ შარვაშიძემ.—მთელი ისტორია გახლავსთ. დარეჯან ბატონიშვილმა შარშანდლამდე დაჰყო მონასტერში. მაგრამ ამ დროს იმერეთში ხელახლა მოხდა ამბოხება. მეამბოხეთა მეთაურად დარეჯანის ნათესავი თავადი ივანე აბაშიძე იყო. მისი მცირე-წლოვანი შვილი, ვანო, იმერლებმა თავის მეფედ აღიარეს, ამიტომ რომ, დიდედიდან მეფეთა სისხლ-ხორცი იყო. მაშინ დარეჯანმა მოლოზნის შესამოსელი გადაჰყარა, ჯიგითურად გამოეწყო, ივანე აბაშიძესთან გაიქცა და მისთა მომხრეთა გუნდში გაერია. იქ ერთი პეტერბურგში ნამყოფი პეწენიკი თავადი შეუყვარდა, გიორგი დადიანი...

— როგორ?—გაიკვირვა თავადმა გოლიცინმა.—მე იმას პეტერბურგში ვიცნობდი: გვარდიაში ემსახურებოდა.

— მეც ვიცნობდი,—სთქვა ვარიამ:—რამდენჯერმე მითამაშნია იმასთან ერთად: მაშ ის შეუყვარდა დარეჯან ბატონიშვილსა?

— დიაღ, ბატონო ჩემო,—უპასუხა მიხეილ შარვაშიძემ.—მაგრამ რუსებმა დიდ-ხანს არ ათარეშეს, და ისინიც, დამარცხებულნი, ოსმალეთში ივლტნენ.

ნარზანს რომ მიუახლოვდნენ, თავადმა დიმიტრი შარვაშიძემ თავისი ამალა ბანაკში გაგზავნა, ხოლო თვითონ, მისი ძმა, ვარია, ექიმი და თავადი გოლიცინი გაგარინიანთ სახლისაკენ გაემართნენ.

— მხოლოდ ერთს პირობას ჩამოგართმევთ, ბატონებო!—სთქვა ექიმმა.—ყველამ ნება მომეცით, რაც თავს გადაგვხდა, ყველაფერი მე ვუამბო სახლში. კნეინას რომ არ შეეშინდეს, ჩვენს თავგადასავალს სულ გავუადვილებ: ვეტყვი, მხოლოდ ცოტათი შევკრთითო, საშიში სრულებით არა იყო-რა-მეთქი; მართალია, იქით-აქეთ მხარეს თოფები დაიცალა, მაგრამ ჩვენიანნი არც კი გაფხაჭნილან-მეთქი. თავადის ასულს ვარიას კი არც კი ვინმე უნახავს, მხოლოდ თოფის ხმა გაიგონა-მეთქი. მეტი არაფერი... ტყუილის თქმას მოვახერხებ, ეს მომანდეთ. თანხმანი ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდის სიამოვნებით, ჩვენო კეთილო ექიმო,—დაეთანხმა დიმიტრი შარვაშიძე.

— მაშ უსტა!... ქალბატონო, თქვენ კი ხმა, კრინტი არ დასძრათ,—გააფრთხილა ექიმმა ვარია.

— რა თქმა უნდა... მე მაინც არც არავინ მინახავს,—დაეთანხმა ვარია.

მაგრამ კნეინის მოტყუება, როგორც უნდოდათ, ისე ვერ მოუხდათ. კისლოვოდსკში ბევრს გაუკვირდა და ზოგს კიდეც შეეშინდა, როცა პარკში ხმა გავრცელდა, თავად შარვაშიძის ამალა ცხენების ჭენებით საითკენღაც გაიქცაო. ყველანი მიხვდნენ, სადღაც მახლობლად, ალბად, ურჩნი ჩერქეზნი გამოჩნდნენ და, შეიძლება, აფხაზეთის მთავარსაც თავს დაესხნენო. უეჭველია, ძალიან უჭირთ,—ამბობდნენ ზოგნი,—ერთი აფხაზი მოიჭრა და მისი ცხენიც გასკდა. მერე მთელი ამალა მთებისკენ გაიქცაო. ზოგი კიდევ იმითი იმშვიდებდა გულს, რომ ციხეში ზარის ხმა არა ყოფილა და არც მომხრე გაუწვევიათ მანდედან, მაშასადამე, კიდეც რომ უჭირდეთ, მაგდენი ბევრი არაფერი გაჭირვება იქნებაო.

ეს ამბავი გაგარინიანთსასაც გაიგეს, მაგრამ, საბედნიეროდ, გვიან, სწორედ იმ დროს, როცა აივნიდან ცოლ-ქმარმა ჩვენი მგზავრები დაინახეს. ყველაზედ წინ ვარია მოდიოდა, მოღიმარე, იქით-აქეთ თავადი შარვაშიძე და თავადი გოლიცინი მოჰყვებოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ ახალს, უცნობს ცხენზე იჯდა.

პატარა და-ძმა მიეგებნენ თავის უფროსს დას.

— რა ამბავი იყო, რა მოხდა?—იკითხა კნეინამ.

— არაფერი, კნეინავ, ისე ცოტათი შევშინდით,—უპასუხა ექიმმა, რაკი გაიგო, რომ ზოგი რამ იციან ჩვენი თავგადასავლისა,—როგორც ხედავთ, ყველანი უვნებელნი და მხიარულნი გახლავართ.

— მაინც რა იყო?—ჩააცივდა კნეინა.—მაშ ეს რა არის, ვარია თავის ცხენზე არა ზის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი გზა არ იყო, უნდა მოეგონებინა რამ ექიმსა, რომ ტყუილში არ დაეჭირათ. ვარიამ კი არ იცოდა, რა ეთქვა, რომ დედა არ შეეშინებინა და თავს ძალას ატანდა, ისე იცინოდა.

— ახლავე, ახლავე, დედილო, ექიმი ყველაფერს გიამბობთ,—უთხრა ქალმა დედას. მერე ცხენიდან ჩამოხტა და აივანზედ ავიდა.—მშვენიერი ლაპარაკი იცის, კაცს გაიტაცებს ხოლმე. აი, გუშინაც რა ჩინებულად გვიამბო „ცბიერებისა და სიყვარულის კოშკის“ ამბავი!

სხვებს ცოტათი შერცხვათ, ილიმებოდნენ და ერთმანეთს აცქერდებოდნენ.

— ასეთი ამბავი ყოველთვის არის ხოლმე მოსალოდნელი ამ მხარეში, კნეინავ,—დაიწყო ექიმმა, როცა აივანზედ ავიდა.—რამდენიმე ვერსი მხიარულად და მშვიდობიანად გავიარეთ. მერე მშველს წავაწყდით. თავადი მიხეილ შარვაშიძე, როგორც მისს ახალგაზდობას შეჰფერის ხოლმე, უკან გამოუდგა ნადირსა და ამ დროს საზიზღართა გუნდს კი წააწყდა. დაუწყეს თოფების სროლა. აქ ხომ ასე იციან: ზოგი შველსა და ტყის ქათამს დასდევს, ზოგი—ადამიანსა, თითქო ხოხობი იყვესო. მაშინ თავადმა დიმიტრი შარვაშიძემ, ჩვენის ძვირფასის თანამგზავრის დასამშვიდებლად, კისლოვოდსკში კაცი აფრინა დანარჩენის ამალის მოსაყვანად, ამიტომ რომ ჩვენ სულ თორმეტი კაცი გვახლდა, საზიზღრები კი ბევრნი იყვნენ. თავადი დიმიტრი შარვაშიძე საუცხოვო სარდალი ყოფილა. კარგადა სცოდნია მთიელთა ჩვეულება: ესენი თავის დღეში არ დაესხმიან მტერს, თუ უკანასკნელი რომელსამე საფარს უკან არის ამოფარებული. მაშინათვე, სახელდახელოდ, საფარი გააკეთა:—ჩვენი ძვირფასი მანდილოსანი და მე, როგორც ცუდი მეომარი, კლდის უკან დაგვმალა, სადაც ისე ვიყავით, თითქო ქრისტემ ჩაგვისვა უბეშიო. სხვებისათვის ჯებირები გააკეთა დახოცილის ცხენებისაგან...

— როგორ თუ დახოცილის ცხენებისაგან? — წამოიძახა კნეინამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ადვილად, — გულგრილად განაგრძო ექიმმა: — აქ ისე იციან, როგორც ყაზახრუსებმაც: — როცა ხედავენ, რომ წასვლა არ შეიძლება, თავისს ცხენებს დახოცავენ და მძოვრებს უკან ამოუსხდებიან და ისე იფარავენ თავს ტყვიებისაგან. ჩვენი ახალგაზდა სარდალიც ასე მოიქცა. ამასობაში მისი ამალაც მოგვეშველა და შერცხვენილმა მტერმა გაქცევა იკადრა. ეს იყო და ესა. — მეტი არაფერი.

— ღმერთო! ვარია?

— ვარიას ჯერ ცოტათი შეეშინდა, მერე, რაკი დაინახა, არა გვიშავს-რაო, სრულებით დამშვიდდა. თორემ თქვენ თვითონა ხედავთ, მხიარულია. საშიშო არც უნდა ყოფილიყო რამე.

მხოლოდ თავადი პავლე გაგარინი ცბიერად იღიმებოდა და ყალიონიდან კვამლს ბოლქვა-ბოლქვად უშვებდა. მიხვდა, რასაც ექიმი ამბობს, იმაზე მეტი საშიშო იქნებოდაო, მაგრამ, ცოლი არ შევაშინოვო და ამიტომ დაჩუმდა, ხმა არ ამოუღია.

## IX

განვლო რამდენმამე დღემ. დიმიტრი შარვაშიძე, ექიმების რჩევით, ნერვების დასამშვიდებლად ისევა ჰბანაობდა ნარზან-ში; ერთავად გაშლილს ჰაერზე იყო და ბევრსაც მოძრაობდა. უმცროსი ძმა კი მათი ბიძის, არსლან-ბეის თავდასხმამ ვერ დააჭკვიანა და ერთავად სანადიროდ დადიოდა მშვლებსა და ხოხობებზედ.

ერთს დილას, ბანაობისა და სეირნობის შემდეგ, ძმები ხეების ქვეშ ისხდნენ პარკში. ექიმიც იმმათთან იყო. შორი-ახლო ვარიას და-ძმა ქალლს ეთამაშებოდნენ.

ერთბაშად იქვე, ახლოს, ხეების უკანიდან ვიღეებისაც ხმა მოესმათ შარვაშიძესა და ექიმს.

— ამ სამოთხეს რადა სცვლი ტფილისის მტვრიან ქუჩაზედა? — ეკითხებოდა უცნობი ხმა თანამოსაუბრესა.

ყველამ იცნო გოლიცინისა ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი მზეთუნახავი?

— გაგარინისა? გავიგე, რა მაცდური გოგოც ყოფილა... თავის ქამანდით მთავარი დაიჭირა.

— ვინ დაიჭირაო?

— ვინა და, აი ველური სტერვაშიძე... *)

— ხა, ხა, ხა! სტერვაშიძე!..

— ამ ქამანდით პეტერბურგშიაც იჭერდა ეს ქალი შარვაშიძესა...

მოულოდნელად, თითქო მიწიდან ამოჰყო თავიო, მათ წინ გამოჩნდა დიმიტრი შარვაშიძე, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ორივე მეგობარი.

— ახ, თქვე საზიზღარო!—ჩუმად, მაგრამ მკვახედ, თითქო ცხვირ-პირში წკეპლა ჰკრაო, გააჩერა დიმიტრი შარვაშიძემ შეურაცხმყოფელი და სიბრაზისაგან თვალები დაუბრიალა.

თავადმა გოლიცინმა მაშინვე ხმალი იშიშვლა და, ის იყო, უნდა დაერტყა მტრისათვის, მაგრამ ამ დროს მათ შორის ექიმი ჩადგა.

— ბატონებო!—უთხრა ექიმმა რიხიანის კილოთი:—კეთილშობილ ხალხისათვის პატიოსნების სამართალია, დაემორჩილეთ ამ სამართალსა.

მაგრამ ექიმისათვის არც ისე ადვილი იყო დაეყუჩებინა ახალგაზდა აფხაზის ცხარი ბუნება, მით უფრო რომ იმ საქმეში უარესად ცხარი ყმაწვილი კაცი ჩაერია:—მიხეილ შარვაშიძეს არ უნდოდა ეცადნა პატიოსნების სამართლისათვის და, ცოტას გასწყდა, იქავე არ მოუღო ბოლო თავის ძმის შეურაცხმყოფელსა. მაგრამ დიმიტრი შარვაშიძემ მალე მოიკრიბა გონება:—მიხვდა, რომ, ალბად, გაცრუებულმა იმედმა და სულიერმა ტანჯვამ გაუტეხა გული და ათქმევინა თავადს გოლიცინს, რაინდულად კეთილ-შობილურს ყმაწვილს კაცს, ქალისა და ჩემთვის საწყენი სიტყვებიო. იმის აღაგას რომ ვყოფილიყავ, ვინ იცის, იქნება, მე უარესი მეთქვაო.

*) რუსულად ისეა გადაკეთებული განგებ ეს გვარი, რომ ლანძღვა გამოდის.

— მე ვემორჩილები პატიოსნების სამართალსა,—სთქვა დიმიტრი შარვაშიძემ და თავი დაუკრა გოლიცინსა.—გთხოვთ, ბატონო ექიმო, პატივი მცეთ და თქვენ იდვათ თავს ამ საქმის გამო მოლაპარაკება.

თავის მხრივ თავადმა გოლიცინმაც დაუკრა თავი.

— ჩემი სეკუნდანტი ჩემი მეგობარი ბ-ნი შილკოვი იქნება,—სთქვა გოლიცინმა და თავის მეგობარზე მიუთითა.

— Entièrement... de bonne volonté!—თავი დაუკრა შილკოვმა.

ექიმმა თავისის ვინაობის ბარათი გადასცა, და იმანაც პირობა მისცა—თქვენსას გეახლებით მოსალაპარაკებლადაო.

— ერთი პირობა კი უნდა ჩამოგართვათ, ბატონებო,—უთხრა ექიმმა, მოწინააღმდეგეთ:—თქვენ პატივი გვეცით და მე და ბ-ნი შილკოვი თქვენს საქმეში შუამავლად აგვირჩიეთ. ამიტომ, რასაც ჩვენ გადავწყვეტავთ, ყველაფერში უნდა დაგვემორჩილოთ. ჩვენ უნდა გავარჩიოთ შეურაცხყოფის სიმძიმე, ჩვენ ავირჩევთ დუელისათვის იარაღსა და ჩვენივე საქმე იქნება მანძილის დანიშნაცა.

— ყველაფერში გემორჩილებით,—დაეთანხმა თავადი შარვაშიძე.

თავადმა გოლიცინმა კი თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დაუკრა, სიტყვის უთქმელად.

საღამოზე, პირობისამებრ, ბ-ნი შილკოვი ექიმთან მოვიდა მოსალაპარაკებლად. ექიმმა სთქვა, ჯერ ის გადავსწყვიტოთ, შეურაცხყოფილად რომელი მხარე ვიცნოთო?

— ჩემის აზრით, ბატონო ექიმო, ამაზე ლაპარაკიც კი მეტი გახლავსთ,—უთხრა შილკოვმა.—მე ვამტკიცებ, რომ ჩემი რწმუნებულია შეურაცხყოფილი.

— მოითმინეთ, ყმაწვილო,—დაყვავებით უთხრა ექიმმა.—თქვენმა რწმუნებულმა შეურაცხჰყო პატიოსნება ყველასგან საყვარელის, კეთილშობილის, იდეალურის ქალისა. უფრო უარესად შეურაცხჰყო და დაამცირა პატიოსნება ჩემის კეთილშობილის რწმუნებულისა. უკანასკნელმა ვერ მოითმინა ეს ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეცი შეურაცხყოფა და თავისი უკმაყოფილება განაცხადა ცხარე სიტყვებითა. ვინ მისცა casus belli? (ომის საბუთი)—ვინა და, თქვენმა რწმუნებულმა:—ის არის შეურაცხმყოფელი, ხოლო შეურაცხყოფილი მხარე—ჩემი რწმუნებულია.

— მაგრამ თავადს გოლიცინს პირში არ უთქვამს დიმიტრი შარვაშიძისათვის საწყენი რამ; იმის ნათქვამი სიტყვები შეეძლო სულ არ გაეგონა... განა ცოტა რასმე ამბობენ ზურგს უკან!

— სამწუხაროდ, ყველაფერი გაიგონა.

— კარგი... მაგრამ იმან პირში გალანძღა...

— უკაცრავად, ყმაწვილო,—ეს მხოლოდ პასუხი გახლდათ.

— მე კი, ბატონო ექიმო, ამას დუელში გამოთხოვას ვეძახი, და ეს საქმის მეორე ნახევარია. ამიტომ უპირატესობა ჩემს რწმუნებულს ეკუთვნის.

— თქვენ, ალბად, იმასა ბრძანებთ, რომ თქვენს რწმუნებულს ეკუთვნის უფლება საბრძოლველ იარაღის არჩევისა და რომ იმან უნდა ესროლოს პირველად განა?

— დიაღ, ბატონო ექიმო; დამეთანხმეთ ეს მცირე უპირატესობა არ გახლავსთ: ამ შემთხვევაში კაცს მეტი იმედი აქვს მოპირდაპირის დამარცხებისა და თავისის უვნებლობისა.

— მე გეთანხმებით, ყმაწვილო: და სწორედ ამიტომ ვერ დაგითმობთ ამ უფლებას, რა კი მონდობილი მაქვს ჩემის რწმუნებულის სასარგებლოდ ვიმოქმედო. აბა თქვენ თვითონ დაფიქრდით! ვზივართ და არხეინად ვბაასობთ. ერთბაშად ბუჩქს უკანიდან ლანძღვის სიტყვები გვესმის, თითქო ვინმემ სილები გაგვაწნა ან თოფი გვესროლა! რადაო, რისთვისაო? რა დააშავა ჩემმა რწმუნებულმა? ან აქ რა შუაშია კეთილშობილი ქალი, რომელმაც თავისის სიყვარულის ღირსად ჩემი რწმუნებული იცნო? იქნებ, იმიტომ იყოს შეურაცხყოფის ღირსი თავადი დიმიტრი შარვაშიძე, რომ ქალმა ის ირჩია და არა თქვენი რწმუნებული?

— მაშ, თქვენ ისევ თქვენის აზრისა ბრძანდებით, ბატონო ექიმო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიაღ, ყმაწვილო... მე მზად გახლავართ მედიატორეთა სამართალს მივმართო.

— კარგი, მაგრამ მაშინ დუელის მიზეზი გამომჟღავნდება?

— სრულებითაც არა. სანდო კაცი ავირჩიოთ.

— მაგრამ სახელებს ხომ ვერ დავფარავთ? ხომ გაიგებს ჩემის რწმუნებულისა და ქალის ვინაობას?

— აქაც შეგვიძლია საქმეს ვუშველოთ. ვუთხრათ: ბ-ნს განს ეგონა ბ-ნი დონი აქ არისო და ცუდად მოიხსენია ქ-ბნი ზენი, აგრეთვე ბ-ნი დონიცა. ბ-ნს დონს ყოველივე ესმოდა და ბ-ნს განს პირში უთხრა, საზიზღარი ხარო. ვინ დაიწყო? ვისი ბრალი იყო? მედიატორენი პირდაპირ იტყვიან: დამნაშავე ბ-ნი განი არისო და პასუხიც იმან აგოსო.

— მაინც, ბატონო ექიმო, თუ გადაწყვეტილი ამბავი არ წავუღე, ისე ვერ წავალ ჩემ რწმუნებულთან: ძალიან აღელვებულია და მიბრძანა ხელცარიელი არ მოხვიდეო. თუ გადაწყვეტილი არა გითხრა-რა ჩემმა შეურაცხმყოფელმა, ცოფიან მყეფარსავით ჩავაღრძობ სადმეო.

— ძალიან კარგი, ყმაწვილო: მაშ თქვენი რწმუნებული ამბობს, პირველად მე არ მიმიყენებია შეურაცხყოფაო? ეს მისთვის უარესია. ეს წინაუკმოობა მისთვის ხელსაყრელი სრულებით არ არის. თქვენის აზრით, შეურაცხმყოფელი ჩემი რწმუნებულია. თქვენი რწმუნებული კი, როგორც შეურაცხყოფილი, დუელში იწვევს. მაშასადამე, თანახმად დუელის წესებისა პირველად სროლის უფლებას თავადი გოლიცინი ჩემს რწმუნებულს, ესე იგი, დუელში გამოწვეულს უთმობს.

ექიმის ნათქვამის ლოგიკამ შილკოვს თავ-ტანი დაუკარგა. წამოხტა და მოუთმენლად ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში. ექიმი ხედავდა, ამ ნაირად ვერაფერს დავასკვნითო. თან იმისიც ეფიქრებოდა, უმცროსი ძმა, როგორც ფიცხი, თავისს მუქარას აასრულებსო. მიხეილმა კი ასე სთქვა.—„ეს ტუტუცური დუელი რა საჭიროა! ეს ბალი ხომ არ არის ან ლეკურის თამაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვარსავით ყელს გამოვღადრავ!» ამიტომ ექიმმა საჭიროდ და ინახა ცოტაოდენი დაეთმო გოლიცინის სეკუნდანტისათვის.

— რა გაეწყობა,—უთხრა ექიმმა:—ჩვენის რწმუნებულების ბედი სხვა-ნაირად გადავსწყვიტოთ! მოდით წილი ვყაროთ. ბრძოლის ალაგას ვისაც ერგოს წილი, პირველად იმან ესროლოს... ხმლებით ან სატევრებით ხომ არ შეებრძოლებიან ერთმანეთს!...

— წილის ყრის თანახმა გახლავართ,—უთხრა ბოლოს შილკოვმა. დამბაჩებისაც თანახმა ვარ. დრო და ადგილი? ან მანძილი?

— ხვალ. დილის ხუთ საათზე, არყის ხევში. ხომ იცით?

— ვიცით, სამჭედურის იქით.

— ჰო და, იქ შევიყრებით... ჩარდახიან ურემსაც გავგზავნით, რომ, თუ ვინიცობაა, ერთ-ერთი მოკვდა ან დაიჭრა, იმით წამოვიყვანოთ... მე, როგორც ექიმი, ყველაფერს, რაც საჭიროა, ამ ურმით გავგზავნი... მანძილად ოცი ნაბიჯი ეყოფა.

ამის შემდეგ სეკუნდანტები ერთმანეთს გაშორდნენ.

✕

უმცროსი და ვარიასი, კატია, რომელმაც სრულებით შემთხვევით ყური მოჰკრა გოლიცინისა და დიმიტრი შარვაშიძის ნათქვამს საწყენ სიტყვებს, მთელი დღე ჰმალავდა და არავის ეუბნებოდა.. მხოლოდ საღამოს, როცა ვარია და ის დასაწოლად წავიდნენ და მარტო დარჩნენ, მხოლოდ მაშინ გადასწყვიტა, მოდი, ჩემს დას ვეტყვი დღევანდელს ამბავსაო. იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, რომ სცოდნოდა, ყველაფერი არ შეიძლება, კაცმა მშობლებს უთხრას, განსაკუთრებით მამაკაცებზედაო.

— დღეს პარკში ძალიან შემეშინდა,—უთხრა დამ ვარიას და ტახტიდან წამოიწია.

— რისი შეგეშინდა?—ჰკითხა ვარიამ, თმის წვნაში გართულმა.

— აბა ყური დამიგდე.—უთხრა დამ იდუმალებით:—მე და ჩემი ძმა ბურთს ვაგორებდით. ექიმი, დიმიტრი შარვაშიძე და მიხეილ შარვაშიძე ხეებს ქვეშ ისხდნენ. გავიხედოთ, საიდანღაც გოლიცინი და ერთი უცნობი აფიცერი გამოჩნდნენ. დიმიტრი შარვაშიძე წამოხტა და გოლიცინს „საზიზღარო“-ო უთხრა. გოლიცინმა ხმალი იშიშვლა, უნდა აეკუწა, ამ დროს მოირბინეს ექიმმა და მიხეილ შარვაშიძემ. მიხეილმა სატევარი ამოიღო და გოლიცინს შეუტია!... შიშისაგან გული გაგვისკდა!... ექიმი ჩაერია და მაშინათვე დააშოშმინა. მერე თავისი ვინაობის ბარათი მისცა უცნობს აფიცერს, და ერთმანეთს გაშორდნენ. ახლაც არ ვიცი — დიმიტრი შარვაშიძე გოლიცინს რად უჯავრდებოდა.

ვარია თავისის დის ტიტინს გულის ფანცქალით უგდებდა ყურს. მაშინათვე მიხვდა ყველაფერს. უეჭველია, ჩემის გულისთვის ჩხუბობენო. გოლიცინი დიდი ხანია, უცნაურად იქცეოდა, ცდილობდა ჩემის დანიშნულისათვის ეგრძნობინებინა, მძულხარო... ექიმმა თავისის ვინაობის ბარათი მისცა აფიცერსო, მითხრა კატიამ. ალბად, ორივე სეკუნდანტი უნდა იყვნენ... რა იქნება, შეიძლება, კიდეც გაათავეს ბრძოლაო? შეიძლება, დიმიტრი მოკვდაო... გოლიცინისთვის «საზიზღარი» დაუძახნია... ახლა კი მიეხვდი, საღამოს ჩვენსას რატომ არ იყვნენო.

კატიას უკვე ჩაეძინა. ვარია კი ლოგინზე იყო წამომჯდარი, შიშისაგან თვალები ფართედ დაეღო. მზად იყო, ახლავე გაქცეულიყო, ახლავე, ამ ბნელს ღამეში, წასულიყო და შეეტყო, რითი გათავდა ბრძოლა, რა მოუვიდათო.

ძლივს ინათა. ყველას ეძინა. ვარიამ ჩუმად გააღვიძა გადია და უბრძანა, მსახური ექიმთან გაგზავნეო, უთხრას: უნდომოდა ვარ და მნახეთ-თქო. მხოლოდ, ისე შეასრულოს ჩემი ბრძანება, სხვამ არავინ შეიტყოს-თქო.

მთის გადაღმიდან მზე წითლად ამოდიოდა... სისხლსა ჰგავდა მთლად ცისკიდურიცა! თითქმის ყველგან სისხლი არისო... მსახური ხელ-ცარიელი დაბრუნდა. ექიმის მსახურს უთქვამს, ბატონი, ეს-ეს არის, სადღაც წავიდა ცხენით, უკან

ურემი და ერთი თათარი გაჰყვათ. „ალბად, იქ წავიდა, სადაც დუელი უნდა მოხდეს და ურემიც მოკლულის ან დაჭრილის წამოსაყვანად ენდომებოდათ“, იფიქრა ვარიამ... ქალს გული შეუწუხდა. გადიას შეეშინდა და ქალბატონი გააღვიძა. სანამ დედა მოვიდოდა, ვარიას სიცხე მისცა. მაშინათვე სხვა ექიმთან აფრინეს კაცი.

ექიმი და ჩარდახიანი ურემი, რომელზედაც აურუს ლაყვარი იჯდა, სამჭედურებს გასცდნენ და ხევში ჩაეშვნენ, სადაც ძმანი შარვაშიძენი ელოდებოდნენ. აურუს ლაყვარმა მხოლოდ დილას გაიგო, სადაც მიემგზავრებოდნენ მისი ბატონები. სთხოვა კიდეცა ბატონს, საქმე მაქვს ამა და ამ სოფელში და გამიშვიო, მაგრამ არ გაუშვეს, ამიტომ რომ, როგორც ერთგული და ცქვიტი მსახური, თვითონა სჭირდებოდა.

მშვენიერი დილა იყო. დაკლანკილს ხევს, იქით-აქეთ, ერთმანეთზე აყუდებული სალი კლდეები დასწოლოდა. დილის მზის თბილი სხივები ხან შესხლტდებოდა ხევში, ხან ისევ ნახევრად ბნელს ჩრდილში ამოჰყოფდნენ თავს მგზავრნი. აქაფებული ნაკადული მთისა ნაცრის ფერ გველსავით მოიკლაკნებოდა ქვიან კალაპოტში, ხტებოდა ქვიდან ქვაზე და გულმოსული ბუტბუტებდა, როცა ცხენების ფეხები უფრო ააქაფებდა. კლდის ფერდოებზე მოხასხასე ბალახიდან ჩიტები ერთმანეთს გასძახოდნენ, ჰაერში ფუტკრები ზუზუნებდნენ. მთელს ბუნებაში იმდენი ალერსი და სიყვარული იყო გაბნეული, მოჩუხჩუხე სიცოცხლე ისე საამო იყო, მზე სიყვარულით ათბობდა ყველასა და ყველაფერს, რომ იტყოდით, ცხოვრების ამ სამოთხეში, ამ მშვენივრად შეხამებულ ბუნებაში არ უნდა იყვეს არც სიძულვილი, არც მწუხარება და მით უფრო—სიკვდილიო...

ამ დროს კი... უკანიდან, სწორედ ამ ლამაზ ხევში, ცხენის ფეხის ხმა გაისმა. გამოჩნდნენ თავადნი გოლიცინი და მისი სეკუნდანტი აფიცერი. მაგრამ აი, ხევმა ცოტცოტათი გაიწია. მარჯვნივ, სალის კლდით შევიწროებულ და გულმოსულად მობუტბუტე წყლის გაღმა, გამოჩნდა საოცნებო სახის კლდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კლდეს სახელად „საშინელ ამბავთა კლდე“ ჰქვიან. ვინ იცის, რა საშინელი ამბავი მომხდარა ამ მიყრუებულსა და ვიწრო გასავალში მაშინაც, როცა ამ ადგილს ამირანის კვნესა სწვდებოდა, და მერეც, როცა პომპეის ურდო მიტრიდატის ურდოს მისდევდა? ყრუ ხევი სდუმს, მხოლოდ მობუტბუტე ნაკადული, ეს ორი ათასი წელიწადია, მოუთხრობს ყველას წარსულთა დროთა საშინელს ამბებს იმ ენითა, რომელიც ადამიანთ არ ესმისთ...

შარვაშიძეები ცოტათი წინ წავიდნენ, მერე ცხენებიდან ჩამოხტნენ, ცხენები ჯაგებით დაფარულ კლდის უკან გააჩერეს, თვითონ ქვაზე ჩამოსხდნენ და ჩუმად რაღაზედაც ლაპარაკი დაიწყეს. ვინ იცის, იქმნება, უფროსი ძმა უმცროსს დარიგებას აძლევდა და ანდერძს უტოვებდა. ხოლო თავადმა გოლიცინმა ცხენი კუნელის ტოტზე მიაბა და ბოლთის ცემა დაიწყო. თან, წკეპლით კლდიდან ახალ ამოსულ ყვავილსა ჰგლეჯდა და ძირსა ჰყრიდა. შორი-ახლო აურუს ლაყვარი ურემთან იდგა.

— აი სწორი ადგილი,— უთხრა ექიმმა აფიცერს შილკოვს, როცა იმასთან მივიდა და მიესალმა.

— ძალიან კარგი... აქ ჩრდილია: მზე არ დაუშლისთ,— სთქვა აფიცერმა და მანძილს ზომვა დაუწყო ნაბიჯით.

— შენ თავი დაანებე, შენ ნუ!— დაუძახა გოლიცინმა.— შენ ყანჩას ფეხები გაქვს და, ვინ იცის, რამ სიშორეს გაზომავ— შენი გაზომილი იალბუზამდე მიაღწევს... ბატონმა ექიმმა გაზომოს: იმას მოკლე ნაბიჯები აქვს... ერთმანეთთან ახლოს ვიქმნებით. მინდა ახლოდან დავინახო, ჩემის დამბაჩის ლულის ტუჩი როგორ დაუბნელებს სახეს მის ბრწყინვალებას.

მიხეილ შარვაშიძემ ეს რომ გაიგონა, ის იყო, სატევარს გაიკრა ხელი, მაგრამ უფროსმა ძმამ გააჩერა. ექიმმა მანძილს დაუწყო ზომვა. „ერთი, ორი, სამი, ოთხი... ოცი— აი, ამ ქვასთან“. სთქვა ესა თუ არა, მივიდა ურემთან და იქიდან ყუთი გადმოიღო, რომელშიაც დამბაჩები და პატრონები ელაგა.

— აი. გასტენეთ,— უთხრა ექიმმა აფიცერს შილკოვს და ყუთიდან ამოიღო თუ არა, დამბაჩებიცა და პატრონებიც, ორივე ერთად გადასცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამბაჩები გასტენა შილკოვმა და ქვაზე დასდო,

— ახლა წილი ვყაროთ,—უთხრა აფიცერმა და ჯიბიდან ოქროს ფული ამოიღო.—შენ რომელს ირჩევ? არწივს თუ მეორე მხარეს ფულისას?—დაუყვირა გოლიცინს.

— არწივს,—უპასუხა გოლიცინმა.

შილკოვმა ფული ჰაერში აისროლა. ფული გადატრიალდა, ქვას დაეცა და წკრიალი მოიღო.

— არწივია!—წამოიძახა გახარებულმა შილკოვმა.

ექიმი დაიხარა, რომ დარწმუნებულიყო.

—პირველისროლა თქვენია,—ჩუმად უთხრა აფიცერს.

მოწინააღმდეგეთ თავთავიანთ დასადგომი ადგილი უჩვენეს და ხელში თითო დამბაჩა მისცეს. შილკოვი რამდენსამე ნაბიჯზე მოშორდა გოლიცინს და ანიშნა. გოლიცინმა ნელნელა ასწია მაღლა დამბაჩა. თავადი დიმიტრი შარვაშიძე ქანდაკებასავით იდგა. ხედავდა, როგორა სწევდა მაღლა-მაღლა დამბაჩის ტუჩსა მისი მოპირდაპირე... მანამდე ასწია, სანამ გულს არ დაუპირდაპირა და გააჩერა. ეტყობა, გულში მიმიზნებსო. უმცროსი ძმა განზე იდგა და გაფაციცებით უყურებდა დამბაჩის ტუჩსა, ძმის გულისაკენ მიმიზნებულსა... აურუს ლაყვარიც ურემს მოშორდა და წინ წადგა. რაღაც ორ აზროვანი ღიმილი უკრთოდა თვალებში და ულვაშებს ქვემოთ. დამბაჩა ნელა, სულ ნელა აღიმართა... აი ტუჩი პირს დაუპირდაპირდა. კიდევ ცოტა ზევით აიწია... კიდევ ცოტა... შუბლთან მივიდა და გაჩერდა... ლულის ზემოდან წერტილსავით მოსჩანდა გოლიცინის თვალი... გავარდა...

— ამცდა,—გულდამშვიდებითა სთქვა თავადმა დიმიტრიმ:— ხელი აუკანკალდა.

ექიმი და მიხეილ შარვაშიძე ის იყო წინ გაქანდნენ; მაგრამ უმცროსმა შარვაშიძემ რომ გაიგონა სიტყვა „ამცდა“, სიცილი აუტყდა. პატარა ბავშვსავით იცინოდა, ხელი მუცელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტაცა და თან მინდორზე დარბოდა: „ვაი, ვაი, ვაი! აბა სროლა ამასა ჰქვიან, აი!“

— გეყოფა, გაჩუმდი! — შეუტია უფროსმა ძმამ.

— არა, არა, გავჩუმდები! ნუ ჯავრობ...

გოლიცინი გაფითრებული იდგა.

— თავადო! — უთხრა დიმიტრი შარვაშიძემ: — მე თქვენ პატიოსან კაცად გიცნობდით და ყოველთვის პატივსა გცემდით. ახლაცა გცემთ პატივსა... მე არა გთხოვთ, ჩემთან ბოდიში მოიხადეთ-მეთქი იმ სიტყვებისათვის, რომლებიც უსაბედად წამოგცდათ. იმ საქციელს დანაშაულად არ ჩაგითვლით და დიდის სიამოვნებით გაპატივებთ. თქვენ იმიტომ მოიქეცით ისე, რომ გეგონათ, ვითომ ვინმემ შეურაცხგყოთ, თუმცა არავის არ შეურაცხუყვიხართ. მხოლოდ, თქვენ დანაშაული მიგიძღვისთ წმინდა ქალის წინაშე, ისეთი ქალის წინაშე, რომელსაც ქვეყანაზე ბადალი არა ჰყავს.

— კმარა! — დაუყვირა გოლიცინმა: — მე არც თქვენი ექიმობა მინდა და არც თქვენი დარიგება... Assez! trop assez!

— აი, ამ ქალისათვის უნდა დაგსაჯოთ, — განაგრძო შარვაშიძემ.

მარჯვენა ხელში დამბაჩა დაიჭირა, რომლიდანაც გოლიცინისათვის უნდა ესროლნა.

— უყურეთ, — უთხრა შარვაშიძემ გოლიცინს და ჰაერში მერცხალს ესროლა. მერცხალს ტყვია მოხვდა და ძირს მკვდარი დაეცა.

— ხომ ხედავთ? — განაგრძო შარვაშიძემ: — შემიძლია თქვენც ისე მოგკლათ, როგორც ეს საცოდავი მერცხალი მოვკალი. მაგრამ არ მინდა თქვენი სიკვდილი — გაპატივებთ...

— მესროლეთ, ეშმაკმა კი წაგიღოთ! — დაიყვირა გოლიცინმა და სიბრაზისაგან გალურჯდა.

— კარგი, ახლავე... მხოლოდ ისე კი გესვრით, რომ თქვენს სიცოცხლეში ვერ ითამაშოთ, განსაკუთრებით — ჩემს დანიშნულთან, თავად გაგარინის ასულთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამბაჩა დასცალა. თავადი გოლიცინი დაბარბაცდა. შილკოვი და ექიმი მივარდნენ და დაიჭირეს.

— ფეხში მოხვედრია,—სთქვა ექიმმა:—მარჯვენაში აქვს მოხვედრილი.

თავადს გოლიცინს გული წაუვიდა.

(შემდეიგ იქნება)

# ცისკარა

ვუძღვნი ელენე დიმიტრი ყიფიანის ასულის ხსოვნას

## ნაწილი მეორე

I

მოდიან შეუფერხებლად
ყეენის დიდი ჯარები,
იჭერენ ახალს ადგილებს,
რასაც კი მათი თვალები
ჰხედვენ და მიუწვდებიან,
და რასაც ფეხი მათ კრული
ჯერედ არ დაჰკარებოდა,
ჯერ იყო მტრისთვის შეკრული,
და უპატრონო ქვეყანას,
ვითა ნაოხარს, ნატამალს
ჭოტი და ბუ ჰპატრონობს,
გაიკეთებდნენ საბუდარს...
და აგერ თოფი გავარდა!
საქართველოსა შვილები
თათართა წამოელანდნენ,
ყოველ მხრივ, დარაზმულები;
წამოელანდნენ: ჩერქეზი,
ოსი, ძურძუკი, ქისტები
და დასძრეს ჯარი თათართა

*) იხ. „მოამბე“ № III, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძლეულ შერცხვენილები!
სიმაგრე სიმაგრეზედა,
ვაკეს თუ მაღალს მთებშია
გადადიოდა ქართველთა
გამარჯვებულის ხელშია...
გავარდა ხმა, რომ ქართველთა
მეფეს მოჰყავდა ეს ჯარი!..
«როგორ თუ მეფეს?!. ვინ მეფეს?!»
აღარა ჰქონდა სამზღვარი
ყეენის გაოცებასა.
«მეფე ხომ მყავდა მე ტყვეთა?!
მეფე და მისი მტყვევნელი
დაჰხოცეს მხედართ მის მცველთა?!
მეფე ხომ ჩემ წინ, ვით ძაღლი
საფლავში ჩავაგდებინე
და ცხრა ადლზედა დუღაბით
ქვა ლოდით ჩავაკირვინე?!.
მონებო! — მაღლა შესძახებს
ყეენი, იჭვში შესული —
გასთხარეთ იგი საფლავი,
სად მეფე ჰგდია დაფლული
და მოიტანეთ ჩემთანა
მის გვამი შხამი და გველი,
აქ მოიყვანეთ სუყველა
მის მძოვრი გვამის მნახველი,
რომ შეამოწმონ კარგათა:
ეს ის მეფეა თუ არა,
რომელიც მონამ მე ტყვეთა
ბრძოლისა ველით მომგვარა.»
შესრულდა შაჰის ბრძანება,
და ყოველივე მის თქმული...
დაჰხედა შაჰმა ამ გვამსა
და იცნა მეფე მოკლული.

დაჰხედეს სხვათა მნახველთა
და იცნეს მეფე იგივე;
იცნეს ჰარამის კეკლუცთა
მეფე მოკლული, შაჰის ტყვე.
იცნა მარავის ასულმა...
იჭვი არ არის, ის არი
მაშ ვინ მეფეა ამათზე
ასრე მრისხანეთ მომდგარი,
ასრე მუსრს ავლებს ამათს ჯარს,
ქვეყნით განდევნას ემუქრის,
ემუქრის მარცხსა, სირცხვილსა,
და ჰსურს გატეხა შაჰის ხმლის,
ჰსურს შეარყიოს მის ძალა,
დაამცროს ქვეყნის თვალშია!?
სევდა აშლილი ყეენი
ჰფიქრობდა გუნებაშია,
ჰფიქრობდნენ მასთან სარდალნი,
ჰფიქრობს ამალა, ჰარამი,
მოლლანი, მთელი მხედრობა
და არსად ახსნა არ არი:
აქ მეფე მკვდარი, და იქა
მეფე მხედრობით მომდგარი
მათ შესამუსრად საყლეტად,
თითქოს თილისმით შემდგარი.
მხოლოდ მარაოს ასული
რადაც სულ სხვასა ჰფიქრობდა.
მაგრამ, თუ უნდა მზის დარი
მას თავი შერჩეს მხრებზედა,
ვითა გაამხელს, ვით იტყვის,
ვინ არს მოკლული მხედარი...
დაბრუნდა ჰარამს გამშრალი,
თავს რეტდასხმული, გულმკვდარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგერ მეფე ამაყი
გამარჯვებული ჯარითა
ყეენს მოადგა ურდოსა
ძლევა მოსილი ხმალითა.

და გაიმართა მედგარი
ბრძოლა, სად უნდა გადაწყდეს
ქართველთა ბედი სამუდმოთ
და სადაც უნდა გამოჩნდეს:
ყეენი, ქვეყნის მუქარა,
ხელმწიფე, დიდი სარდალი
უძლეველის ქვეყნათა,
თუ უნდა იმისი ხმალი,
აქამდის ჯერედ უძლევი,
გადატყდეს შუა წელზედა
ქვეყნისა თვალთა წინაშე
გურჯთ ადამანტის მკერდზედა...

გაუძღვა თვითონ ყეენი
თავის შემკრთალსა ჯარებსა,
თვითონ ატარებს დროშასა,
თვითონ წინ უძღვის რაზმებსა.
ათასობით ჯალათნი
ზურგთ დაუყენა მეომართ,
რომ, ვინც მტერს ზურგსა უჩვენებს,
შეუწყალებლად ეხოცნათ.
და გადრკა ჯარი ქართველთა.
მეფე, ლომებრივ მებრძოლი,
გაუდრეკელი, ურიდი
ვით ზღაპარში მდევ-გმირი,
შაჰის ბრძანებით შეიპყრეს
დაჭრილი, სისხლით დაცლილი.
და აგერ კვალად ძლიერს შაჰს
მიჰგვარეს მეფე ტყვე-ქმნილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემკრთალნი, ზარდაცემულნი
ქართველთ მხედარნი გარბიან,
თათართ უწყალო ჯართაგან
გზა და გზა იმუსრებიან...

აგერ დაბინდდა. ღამეშა
ერთათ შეჰყარა თათართა
გამარჯვებული მხედრობა.
ქართველნი ტყეთა და მთათა
მიეცნენ დაჭრილ გამფრთხალნი
თავშესაფარად, საშველად,
რომ ხვალ, მტერს გადარჩენილნი,
თავებ მოყრილნი აქ ერთათ,
მიჰშველებოდნენ სახლკარსა,
მიჰშველებოდნენ ცოლშვილსა,
გაესწროთ მრისხანე მტრისგან
გასახიზნავსა ადგილსა...

ყეენის ფერხთა მეორედ
ტყვეთ ეგდო მეფე ქართველთა...
—უბრძანე, გურჯო, გიაურ!
შენი სამეფოს მმართველთა,—
შესძახა მრისხნად ყეენმა:—
შესწყვიტონ ბრძოლა, ომები
ჩემს ჯარებთანა, ხელთ მოგვცენ
ციხე და სიმაგრეები,
თორემ შენს ლეშსა შენივე
ჰირით შეგაჭმევ, შენს ძარღვსა
დღეში თითოსა რკინისა
ჩავაყრევინებ ცხელს გაზსა
და ნელა, ნელა მოწევით
ძირიდამ დავაგლეჯინებ.
შენი თვალის წინ ნელს ცეცხლზე
მწვადივით შევაწვევინებ
შენთა ერთგულთა სარდალთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ტყვეთა მყვანან მე დღეს
და ჩემთა ჯალათთ შენთვისა
მათს დაშუშხულსა სუკებსა
ძალათი შევაჭმევინებ.
მასთან ამიხსენ, მითხარი,
რა ჯადოქართა მანქანით
თან ცოცხალი ხარ თან მკვდარი?»
—შენ მოგატყუა, ყეენო,
ჩემმა ყმაწვილმა სარდალმა,
სახელ განთქმულმა მზეჭაბუკ,
ქვეყნად ქებულმა მთავარმა.
რომელსაც ცხარე ბრძოლაში
მე დავიჭერი მძიმეთა,
ჩემსა გარშემო ამალა
ჩემი როს გასწყდა სრულათა,
ცოცხალი, დაუკოდავი
მზეჭაბუკ დარჩა მხოლოდა.
ჰნახა, ვერ გადამარჩენდა
ჩემზე მოსეულთ მებრძოლთა,
მან საჩქაროზე გაჰხადა
სამოსი თათრის მხედარსა,
თვითონ ჩაიცვა და სწრაფად
შემიგდო მისსავ მერანსა,
და, ვითომ თვითონ თათარმა,
ნიშნად თვის ერთგულებისა,
ტყვედ ჩემი თავი მოგართვა,
გულს მმარხი მოტყუებისა.
შემდეგ გიჩვენა შენ თავი,
სამკურნალოთა მცოდნისა,
და გთხოვა ჩემი მორჩენა
მიგენდო იმისთვისა.
შენცა ენდევი. ამ ნდომით
მან ისარგებლა მარჯვეთა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკლა ორ-ორი თათარი
სისწრაფით საოცარითა,
ჩვენი სამოსი ჩაიცვა,—
მე შემსვა სწრაფვათ ცხენზედა
და გამაქანა ჩუმათა
მთიულეთის მთებითა.
იქ, ვით უბრალო მხედარი
დამმალა, ვიდრემ ჭრილობა
არ მორჩებოდა იქ ჩემი,
და რომა ჩემი ტყვეობა
არ შესძლებოდათ ხელახლად
შენს ძლევა მოსილს ჯარებსა,
ან მუხანათთა გაცემით
არ მომდგომოდხენ კარებსა.
გამკურნა. ჯარი შეჰკრიბა
და მომისივა შენზედა,
თვითონ ამ ცხარე ბრძოლაში
გადაიჩეხა კლდეზედა
და გაჰქრა სულით ხორცამდის...
მე ტყვეთა ვბდივარ შენს ფერხსა...
სრული მონა და მორჩილი...
უბრძანე შენს ტყვეს მეფესა,
რაც გნებავს, ყველას იკისრებს.
უბრძანებ ჩემს ხალხს ამაყსა,
გაგიხდეს მონა, სრული ტყვე,
არ გაუმკლავდეს შენს ჯარსა...
ვინ არის ცისა ქვეშეთა
არა ჰმონებდეს შენს ხმალსა,
გულს შენზედ ცუდსა იზრახდეს,
არ ჰხრიდეს საკვდავად თავსა?!
შენს ხმალსა დაჰმონებიან
ზღვათა და ხმელთა მცხოვრებნი,
შენს ერთის წარბის შეხრაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერნი, ქვეყნის მპყრობელნი,
პარფიროსანნი მეფენი
აიშლებიან თაყვანით,
და შენს წინაშე ძრწოლითა,
თავსა ფერფლით და ნაცრით,
ყელზე წნელ ჩამოგდებულნი
მოეშურვიან ფერხთა მტვრად
შენი წაღის ძირისა,
მონად, მორჩილად, პატიმრად.
და, აბა ერთი მუჭასა
ბოღჩის გულსი ქვეყნისა,
სად შეუძლიან გურჯის ხალხს,
გაძლება შენი ხმალისა,
რომელსაც თვითონ ალლაჰი
უძლევი ხელით უძღვება.
უბრძანე, დიდო ხელმწიფევ,
ეხლავ მისწერონ ბრძანება
ჩემი სამეფოს მოხელეთ,
ჩემსა მთელს საბრძანებელსა,
და ყველას, რასაც ინებებ,
ყველას მოვაწერ მე ხელსა.» —
და დაიწერა ბრძანება,
მეფისგან ხელმოწერილი.
«მე, გურჯთა მეფე, მოგიწერთ
შაჰინ შაჰისგან ტყვე ქმნილი;
მოგიწერთ ჩემი სამეფოს
დიდსა, მცირესა, ყრმასა, ბერს,
დედოფალ, კათალიკოზსა,
მღვდელ-მთავართ, სამღვდელოსა მთელს,
მთავართა, მხედართ მთავართა,
ერისთავთ, მეფის დიდებულთ,
მთის ხალხს, დეკანოზთ, ხევისბერებს,
გლეხთა, ვაჭართა, აზნაურთ,

რომ უბრიყვესი ყოველთა,
რაც გაჩენილა ცის ძირსა,
რაც შეუქნია ალლაჰსა
ანუ თვით ეშმაკის პირსა,
ან გაჩნდა თილისმის ძალით,
ან, ვით ქვემძრომი მიწისა,
უწმინდურთ გესლით, შხამით,
და ყოვლისაგან ბილწისა,—
ყველაზე ბილწი ვყოფილვარ,
ყველაზე ბრიყვი, რეგვენი,
მხეცი, ნადირი, პირუტყვი,
უგონო, შეუგნებელი;
ღვთისა არ მცნობი; უბრალო
კაცისა ღმერთათ მსახველი,
მაჰმადის სჯულის უღირსი,
მუდამ ბოროტის მზრახველი,
შაჰინ-შაჰისა დიდისა,
ქვეყნის მნათის და მპყრობელის,
ხელმწიფეთ მონათ გამხდელის,
სიკვდილ-სიცოცხლის ხელთ მჭერლის,—
ფერხთა მტვერი და ტალახი,
ურცხვი, მშიშარა, უძლური,
მუხთალი, გლახა, საპყარი,
დონდუზი, წუმპეს ჩაფლული,
მეფე უდინგო დონდუზთა,
ალლაჰისაგან არ ცნობილთ,
მაჰმადის შეჩვენებულთა, —
დღეს შემიბრალა ალლაჰმა,
ჩამაგდო გონებაშია,
ბედსა მაღწევა მაღალსა,
პყრობილი ტყვეობაშია:
უღირსი შაჰის მზერისა,
ღირს მყო მის შარავანდისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეებრ ბრწყინვალე მნათის,
ნახვა, შემართვა თვალის;
მადლის მისი ციური
ხმით დატკბობა ყურის,
ბნელი გონებით მოსმენა
მისი სიტყვის ბრძნულის.
ამეხსნა თვალი, ვიცანი
ძალა უძლევი ძალის.
კაცთა ხელთ არა ყოფილა
ბრძოლის შემართვა შაჰის.
ალლაჰი თვითონ შაჰია,
მაჰმადი მისი მსახური,
დედამიწაა ქალმანი,
ცა მისი თავის სახური.
თუ გინდათ ცოცხლად დარჩენა,
გახდით ყურანის მონანი:
აღარ გაჰბედოთ ურჩობა
და მის ჯარებთან ბრძოლანი.
უომრად ხელში მიეცით
ციხე, ქალაქი, სოფლები.
დამონების ნიშნადა,
ქედზე შეიბით თოკები
და ისრე მიეგებენით,
სადაც მოვიდეს მის ჯარი,
ხელთა მიეცით ალაფათ
საჭურველი და აბჯარი.
მხოლოდ ამით იპონით
შენდობას თქვენთა ცოდვათა.
თუ არა ქვეყნის პირიდამ,
დიდს და მცირეს სულ მთლათა,
ამოგაშრობენ ვითა მზე,
ააშრობს ხოლმე უცბათა
გაზაფხულის თოვლის ფირქლს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოფენილს მიწის პირათა.»
შაჭმა ეს მეფის ბრძანება
გამოუგზავნა ქართველთა.
თვითონ თავისი ჯარითა,
გასაოცებლად მნახველთა,
უზომო შვებას მიეცა.
დაუწყო წევა თრიაქსა,
მოუხმო მზის მოცილეთ
ჭარამხანის ქალებსა,
და ღამე გათენებამდის
იყო ცათამდის ასული
ჯართა, საკრავთა, მუტრიბთა
შეხმა, დიდება, ძახილი.
და დილის რიჟრაჟისასა
ჯარი მოღლილი, ღელვილი
მიეცა ძილსა ნეტარსა
მტერზედ გულ-დამშვიდებული...
და უცებ თოფი გავარდა!...
გახდა ყიჟინა ძახილი..
სპარსთა მხედართა თავზედა
კვლავ შეიმართა მახვილი...
მათ უცებ შემოესია
მშფოთარე, განრისხებული,
მეფე ქართველთა, მდევ-გმირი,
ვით მეხი მოვლინებული.
გაისმა ძრწოლით ყიჟინა
და ედებოდა არესა:
«გურჯთ მეფე თავსა დაგვესხა,
მოუძღვის მრისხნად ჯარებსა!..»
— როგორ თუ კიდევ გურჯთ მეფე?! —
თავით ფეხამდის ქცეულმა
ცვითფრათ და გაოცებათა,
შესძახა საწოლს ყეენმა...

და აგერ განდა მახლობლად
შაჰის ოქროს კარვისა
ყიჟინა, ზარის გამხდელი,
ქართველთა მეფის ჯარისა.
ყეენი ეცა იარაღს,
ეცა კარვისა კარებსა
და თვისთა მეინახეთა,
შვიდთა ვარსკვლავსა დარებსა,
რომელთა სახეს ის კაცთა
თვალთა არ ახილვინებდა,
რომ მათი მრუდი თვალისა
ნიავიც არ მიჰკაროდა
იმათს უზადო სახესა,
იმათს გულს, მთისა წყაროსა,—
ანება თავი დარჩენილთ
გერმის ნებიერ საწოლსა,
ელდის ზარით მოცულთა,
ევის სამოსელითა,
განწირულებით თმის მხოჭავთ,
შველის მძახველთა ცრემლითა...
არ შეჰკრთა მითაც ყეენი,
რომ ფეხ-და-ფეხა მოსდევდა
შესაპყრობელად, მრისხანედ
მეფე და ჯარი ქართველთა.
ბედი ქვეყნისა თვით არის,
ხელთა აქვს მისი სასწორი.
მაჰმადი მისი მონაა,
ალლაჰი არის მის სწორი:
და განა კაცის ხელთ არი
მისი ძლევა და დამცრობა?!
ვით რისხვა ჯოჯოხეთისა,
ვითა მაჰმადის შფოთრობა
ქაბის ქვასთანა თვის მტრებზედ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ზეცა გარისხებული,
ვით მხეცი აპოკალიპსის
მესისხლეთ ამძვინვებული, —
შესძახდა ჯართა შეკრებას,
მტრის შემუსრვას და ძლევასა.
და ჰგავდა რისხვა შაჰისა
ზღვის მრისხანეთ ღელვასა.
და აგერ კიდეც შემოკრბნენ
თავგაწირულნი ვაჟკაცნი,
ფარსისა, ყანდაარისა,
ქურთისტანისა მამაცნი,
ქაშანელი და ავღანნი;
ბელუჯნი, მსგავსნი მხეცისა,
თურქმენნი, მარავოელნი,
ვაჟკაცნი ინდოეთისა,
ახალთექისა ჭაბუკნი —
ქართველნი, თემურ დიდისგან
თექ-თურქმანს დასახლებულნი,
დღეს სამტროდ, სამესისხლოთა
თავის ძმებზედა მოსულნი...
და თვით ყეენი გაუძღვა
უკეთესს თვისსა ლაშქარსა,
თათართ მხედრობის მშვენებას,
სალგულსა, გაუტეხარსა.
მაგრამ გმირობა, მხნეობა
ყველა გამოდგა ეული.
აგერა გაჩნდა გურჯთ მეფე!
მას მოსდევს გააფთრებული
თავგაწირული მხედრობა,
გადრეკა მათთვის და შიში
ღმერთსა არ გაუჩენია.
სცურავენ ოფლსა და სისხლში,
მკვდართ ხროვას შეაყენებენ,

თვალით ეძებენ თვით შაჰსა.
და აგერ დროშით ყეენი
თვით მიუძღვება თვისს ჯარსა,
მეფეს ემუქრის საკირეს,
შემუსრვას მისსა ლაშქარსა.
და მტრის გაჟლეტას უბრძანებს
ქანც-მოწყვეტილსა მის ჯარსა..
შესძახა მეფემ: — ვაჟკაცნო!
არ ვინ გაჰბედოთ ყეენი
აჰკაფოთ, თავი მოჰკვეთოთ!
ის უნდა გახდეს ტყვე ჩვენი.
ვინცა ცოცხალსა მას მომგვრის
და მის თავს მიწად დახრილსა
დამიდებს მტვრადა ფეხთა ქვეშ,
შევიხსნი ძლევა-მოსილსა
მამა-პაპისა სამკვიდროს
და მას შევაბამ ჩემს ხმალსა...
და ვითა რადაცა უცნობს,
ძალის შემხუთავს მძლავრს ხმასა
ვეენი ისმენს პირველად.
უცნაურითა ზარითა
გულს ჩაჰკრა ყეენს ამ ხმამა.
შემკრთალი გულით, თვალითა
მიმოიხედა აქ შაჰმა,
ჰნახა სიმცირე მებრძოლთა.
უფრო და უფრო მხნეობენ
მეფე და ჯარი ქართველთა:
მუსრამენ მისსა მხედრობას,
თვით მას ზედ ელალებიან,
და თავ-გაწირვით ამის თავს
ერთმანეთს ეცილებიან.
და შეჰკრთა! შეჰკრთა პირველად...
ნუთუ ცა მაზედ ამდგარა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ გასწირა აღლაჭმა?!
თუ განკითხვის დღე დამდგარა
მისგან დაღვრილი სისხლისა,
ქვეყანად მოფენილისა
ცამდის ასულის უბრალო
ხალხთა ტანჯვის და ცრემლისა?!...
და აგერ იგი პირველად
მტერსა უჩვენებს თვისს ზურგსა...
გარბის და სცდილობს, რომ ტყვეთა
არ ჩაუვარდეს ის გურჯსა...
და გასცა... პირველად გასცა...
გასცა ბრძანება ლტოლვისა...
გასცა ბრძანება გასწრების
თავისი ჭარამხანისა,
გასწრება მაჭმადის დროშის,
გასწრება კაცის, რომელი
მას ჭყავდა, ვითა გურჯთ მეფე
სასტიკათ დატყვევებული,—
რომ ახლა მაინც გაეგო,
ვინ არის მეფე ნამდვილი:
მოკლული, სათვალავს ჩასული,
მისი ტყვე სულ მთლათ დაჭრილი,
თუ იგი, მის თავს დამსხმელი,
მეფე იმისი მძლეველი,
გამტეხი იმის ხმალისა,
მის ტახტის შემარყეველი?..

XXII

აღერბილამდის გარბოდა
თავის და ბედის მწყევარი
თათართ გამფრთხალი მხედრობა,
თუმც აღარ ჭყვადათ მდევარი,

და აქ, შიხის საფლავზედ,
მათ გადუხადეს წმინდასა
დიდი ლოცვა და მადლობა,
რომ გადარჩინა გურჯთ ხმალსა.
და აქ გაიგო ყეენმა,
რომ მეფე, ვინ ჰყვა მას ტყვეთა,
იყო მზეჭაბუკ მთავარი,
თვალი და ფარი ქართველთა,
მიზეზი მისი ძლევისა,
მის ბედის ჩარხის მომშლელი,
უძლევთა მეფეთ სიიდგან
მისი სახელის წამშლელი.
და დაიბარა ყეენმა
მზეჭაბუკ, გვერდსა დაისვა,
და, ვით თავის ტოლს, თავის სწორს,
აძლევდა დიდსა პატივსა.
გაჰკურნა მისი წყლულები,
უხვსა აძლევდა წყალობას,
წიგნის და კაცის გზავნისას
ცოლთან აძლევდა მას ნებას.
ერთს დღესაც დიდმა ყეენმა
მას გაუმართა ბაასი
—მზეჭაბუკ გმირო, გმირთ გმირო,
ვის სახელს არ ადევს ფასი,
ვაჟკაც სახელის მშვენებავ,
გურჯისტანის მნათობო,
მტერთა დამცემო რისხვისა,
გმირთა გულისა გამკრთობო,
კლდეო პიტალო, გულ ლომო,
ახოვანო და ძლიერო,
გაუტეხარო, ფოლადო,
თვით ძალავ, თვით სახიერო!..
ჰხედავ, შენ ჩემსა მოსისხლეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ხმლის ფხისა გამკოდსა,
როგორ გექცევი, გიცქერი
ვით ამხანაგსა, ვით ტოლსა.
პატივს ვცემ შენსა გმირობას.
შენს გვარსა გმირთან სიკვდილსა
თვით ალლაჰიცა ვერ ჰგზავნის.
შენ, მეფეთ გვირგვინის ღირსსა,
მეფეთა გვირგვინს გიმზადებს.
მეფე ხარ, მეფედ შობილი...
ცისა ქვეშეთი დავიპყარ,
გავხდი ქვეყნისა მპყრობელი,
ვძლიე ხელმწიფე ათასი,
ათასი მეფე შევიპყარ
და როგორც მეფის სამოსლით,
მეფის საჭურვლით ჰშვენიხარ,
არ გაუცდია ჩემსა თვალს,
თვით ქვეყნის მხედველს მზის თვალსა
მაღლით არ დაუხედნია,
ვერ ჰხედავს მეფე შენს ჯვარსა...
მეფე ხარ, მეფედ შობილი,
მეფური გონით, რიხითა.
შენსა ბრძანებას ხალხები
ჰმონებენ ღვთაებრ შიშითა,
და ამავ დროსვე მონა ხარ,
მონა ხარ იმა მეფისა,
ვინ არა ღირსა ერთსა ფრჩხილს,
შენი ფეხიდამ მოჭრილსა;
ვინ არა ღირსა ჰმეფობდეს
გურჯისა გმირსა ხალხზედა,
ვინ გამარჯვებას იმოსავს
თავისს უღირსსა თავზედა
მონათა გონით, გმირობით
და, თავის ნაცვლად იმათა,

ვის ჩაჩქნით ჰგზავნის საომრად,
მათით თავს იჩენს გმირათა,
თვით ეფარება მოშიშრად
მათს გულს ფოლადისასა,
იმათს ფარსა და მათს ხმალსა...
უბრძანე დაუთვალავსა
ჩემი ქვეყნების ლაშქარსა,
და ყველა სარდალ მხედარი
თვით ფეხამდის ჩამჯდარი
რკინას, ვერცხლსა და რვალშია,
შენს სახლებელად მზად არი.
გაუძეხ, წადი გურჯისტანს,
შეიპყარ მეფე გურჯისა.
მის ნაცვლად მეფედ შენ დაგსვამ,
დაგადგამ მეფის გვირგვინსა.
და მოახსენა მზეჭაბუკ
ყეენსა, სმენად ქცეულსა.
—გმირი არ არის, ვინც ეძებს
დიდებას ამოს, ეულსა.
საქართველოსა მეფისა
საყმოსა, საბრძანებელსა
ბევრს იპოვნიან ვაჟკაცსა
ჩემსა მჯობს, ჩემს უკეთესსა,
სამეფო საქმის მცოდნეთა,
ხალხში სიტყვისა გამყვანსა,
ვის ხალხი ჩემზე უმეტეს
სცემს პატივსა და თაყვანსა.
და, თუ დღეს ჩემი თავისთვის,
საზარალოთა ქვეყნისა
მეფეს გადვაგდებ ტახტიდამ,
დავიდგამ მისსა გვირგვინსა,—
მაშინ რა მეთქმის, თუ სხვანიც
მას ინდომებენ ჩემზედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიდამ გვირგვინს მოშხლიან,
გადამაგდებენ კლდეზედა?!.
სად არის მაშინ, სად არის
ქვეყნის მშვიდობა, ერთობა?!
ვითარდა უნდა მოგვეცეს
ხალხისგან ნდობა, შენდობა?!
სადღაა მაშინ ქვეყანა?
ვინღაა ხალხი, რომელსა
უნდა ყოველი ვაჟკაცი
სწირავდეს თვისს სიცოცხლესა.
არ იდეს ჩემსა გულშია
მაგგვარსა ფიქრსა მზაკვარსა,
არ გაუვლია, თვარემა
თვით განვგმირავდი ჩემს თავსა...
როდეს მესმოდა გარშემო
გლოვა, გოდება ქვეყნისა,
როდესაც შენი მახვილი
ზღვათა დარს ჰღვრიდა ხალხთ სისხლსა,
რის მოდებული ცეცხლები
ჰნთქავდნენ გეენის ალშია
ჩემსა წამებულს ქვეყანას
მინდორს, ტყეს, მთას და ბარშია, —
მაშინ მე მხოლოდ ვფიქრობდი
ქვეყნის ხსნასა და შველასა,
ვფიქრობდი მტრისა სისხლშია
სამშობლოს სისხლის ზღვევასა.
და ამის მეტი დიდება
არ განზრახვია ჩემს გულსა.
ვეხწიე ამ დროს ნეტარსა, —
ეს მიჯობს ყოველს გვირგვინსა:
იძლია ხმალი უძლევი,
იძლია ჯარი უთვლელი, —
არც ერთს ბიჯს ჩემი ქვეყნისას

არ იპყრობს მტერი, სისხლით მღვრელი,
ხალხი უშიშრად ადიდებს
თვისს სალოცავს და უფლსა,
«ოროველასა» ხმამაღლა
დასძახის თავის გუთანსა,
დაჰხარის გულდამშვიდებით
თავის ჯალაბს და კერასა,
შენობას აგებს, ვაზსა ჰრგავს
არ იშლის თავის მღერასა:
შესძახის მთასა და გორას
ქართულს სიმღერას მუშურსა,
იმისი ტკბილი ღიღინი
უსულოსა ჰხდის სულდგმულსა:
ჰმღერის მუდამ და ყოველგან,
სუყოველ საქმეს დაჰმღერის,
ჰმღერის იქაც კი, სადაცა
სისხლისა ოფლი იღვრების,
ქართველთა ჩვეულებითა,
რასაც ვერ ჰნახავ ვერ სადა
ვერც ერთს ხალხს, ვერც ერთს თემშია...
და უკეთესსა დიდებას
ვერ ვნახავ მე ჩემს დღეშია.
და რომ რამ მეფე ან ხალხი
ჩამაგდებინოს ჭირშია,
ის ძალა ქვეყნის გამჩენსა
თავის გაჩენის წიგნშია
ჯერედ არ ჩაუწერია.
და თუ რომ ღმერთსა ენება
თვით დიდთ სპარსთა და თათართა
ხალხებზე გახელმწიფება,
ყეენის ტახტზე დავესვი,
მოეცა მას ყეენისა
ქვეყნად განთქმული ძლევითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმალი ალმასის პირისა,—
მას ვინდომებდი მხოლოდ მად,
რომ, თუ ეს ქვეყნის დამტყვევნი,
ქვეყნად კალიად მოსულნი,
ზღვათაებრ სისხლის დამღვრელნი,
კაცთა თავთაგან ქვეყნადა
მთათა და გორათ დამდგმელნი,
ბავშვთა უმანკოთ, უსუსურთ
სისხლის კალოსი ამგებნი,—
თვისსა მოსისხარობას,
ქვეყნის დაპყრობას ძალითა
არ მოიშლიდნენ,—მაშინა
ამა ალმასის ხმალითა,
ერთი ხელისა მოქნევით,
ერთათ მომეჭრა გესლ-ზვავი,
სისხლითა გაუმაძღარი,
ბოროტით სავსე მათ თავი.
და თუ რომ ოდეს გამივლოს
ქართველთზე მე გამეფება,
იცოდეთ მაშინ, მზეჭაბუკ
გურჯისტანს არ დასჯერდება.
თუ მე ჩვენს მეფეს ვჯობივარ,
მაშ უნდა მჯობდეს მე ვითა
ის, ვისაც ჩვენმა მეფემა
აჯობა მცირე ჯარითა?!—
და რატომ...» აქ კი უცება
შესწყვიტა მისი სიტყვები
შაჰის მრისხანე ძახილმა,
და თვალთ წასცვივდა წინწკლები.
«ჯალათნო!!» გაისმა გრგვინვა
შესაზარავი ყოველსა
შაჰის სამეფოის პალატში
და მის მიდამო არესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხმაი ესე მრისხანე,
არე ჭექის და გრგვინვისა
განრისხებული შაჯისგან
არა სმენია არ ვისა.

და აგერ ხმლებით ჯალათნი
შემოდგნენ შაჯის სამყოფსა,
ელოდნენ მისსა ბრძანებას,
მის მრისხანების ნაყოფსა.
«—წაიყვათ, ძაღლებს მიეცით
ამ გურჯის ხორცი და ძვალი,
და ზედ სუფრაზე მომართვით
მაგისი თავი წამღრძვალი!»
აქ ხელი სტაცეს მზეჭაბუკს.
ის უძალოდ დანებდა
თავისი ნებით ჯალათთა
და ცოტა ხანსა შაჩერდა,
და მოუბრუნდა ყეენსა:
—აკი შენ სცემდი პატივსა
ჩემსა გმირობას, ჩემსა გულს!?
აკი ალლაჰიც თვით გმირსა
არ იმეტებსო საკვდავად?!
ახლა საქნელად, საჭრელად
თვით შენვე ჰგზავნი ამ გმირსა,
ძაღლთა სასჯელად, საჭმელად?!.
მე მონა, მონა უბრალო
არ მივცემ ნებას ჩემს თავსა,
რომ გავათეთრო და თვითვე
ვლოკავდე ნათეთრს ჩემსასა!..
თუ ჩემს ქვეყანას გავცემდი,
გავსცემდი მეფეს, შენს მძლევსა...»
და აქ ყეენი მრისხანედ
შესწყვეტავს იმის სიტყვებსა,
და რადაც მწარე გესლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარულით გულის სიღრმეში,
უბრძანა ჯალათთ: «მზეჭაბუკს
ნუ მოჰკლავთ, ჩასვით ციხეში
და მოუცადეთ მინამდის
გავცემდე ახალს ბრძანებას.
და შენა, გურჯო, თავხედო,
ელოდე იმგვარს წამებას,
რომ ათასს წელსა იფიქრო,
არ მოგივიდეს თავშია...
წაიყვათ!.. მინამ ჩააგდეთ
ციხის ქვეშ ღრმა საკანშია.»
  და აი, ოთხად გაჭრილი,
ის გაუგზავნა ცისკარას
შეუწყალებმა ყეენმა...
მზეჭაბუკ სიკვდილისა წამს
შაჰმა მოიხმო თვისთანა,
შხამით და გესლით გავსილმა
მას საუბარი დაუწყო:
— შენ, ბოროტებით ავსილმა,
არ მოინდომე მეფობა,
არც მოინდომე სიკვდილი
ძაღლების შესაჭმელადა...
და ადარც მე მქმენ დასჯილი
ამ სასჯელითა ტკბილითა...
ვპოვე სხვა ღირსი წამება
შენებრ თავხედი გმირისა...
ნეტარი შვება, ამება
დღე სამუდმოდ დაჰკარგოს
ვინცა გწირავდა შენ თავსა:
ცისკარას ძღვნათა მივართმევ
ოთხად გაჭრილსა შენს გვამსა
საჩუქრათა და ჯილდოთა
მის შენი სიყვარულისა.

დეე მის გული უმანკო,
ჯერეთ უცნობი წყლულისა,
გატაცებული შენისა
გამოჩენილი გმირობით,
დაიწვას სამუდამოთა
სატანჯველით და წამებით,
და ჩაიფერფლოს, როგორადც
დავწვი ბაღდადი ალშია,
და ჩაიფერფლა თვისავე
ნანგრევს და ნატამალშია
ჩემგნით დამწვარი ძვირფასი
ალაბის*) დიდი მეჩეთი,
ვით შთავნთქი ცეცხლის სიღრმესა
ბუთი**), ინდოთა ხალხთ ღმერთი!..
და წაიყვანეს მზეჭაბუკ.
წასვლაზე ერთი შეფერხდა
და ზიზღით, თითქო მუქარით
ყეენსა ერთი შეხედა,
და, ვით ელისემ თვისთ მდევნელთ.
უქადა ბედი მათ კრული,—
უწინასწარა ყეენსა,
თითქო უთხრობდა მას გული:
«ვაი თუ ას წილ გადაგხდეს
ჩემი ცისკარას წამებას!!.»
და შეასრულეს ჯალათთა
შაჰის მრისხანე ბრძანება...
მზეჭაბუკ, ოთხად გაჭრილი,
აახლეს ქართლში ცისკარას
ყეენის ვრცელი წერილით,
და ცეცხლი მოსდეს ქვეყანას...

*) ალეპო (Алепо).
**) ბუდდა (Будда).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი მესამე

### 1

გაისმა ინდოეთიდამ:
განრისხდა დიდი მანდული,
რომ სპარსთა შაჰმა გასტეხა
მისი ინდოთა საზღვარი.
და წამოვიდა მრავლითა
შემოკრებილი ჯარითა...
შემოჰკრბა ბელუჯისტანსა,
ავღანს, ხეიბრის კარითა,
ყანდაარისა არესა
ინდოთ ურიცხვი ლაშქარი.
და აგერ თვითონ შაჰიცა,
განრისხებული, მედგარი
მთელი თვის საბრძანებლისა
და მოსაზღვრეთა ლაშქრობით
დაუხვდა ინდოთ ჯარებსა
უმაგალითო რაზმით წყობით.
და გაიმართა ომისა
დიდთ მანდულთ საბრძანებლისა
ორად გაყოფილთ მპყრობელთა
ომი ზარის და რისხვისა...
შეიქნა ბრძოლა, და აგერ
ზედ ხეიბრისა კარზედა
სპარსთა შემუსრეს ინდონი,
მორეკეს ინდოთ მზღვარზედა.
სარდალი, დიდი იმედი
მის ყეენისა დიდისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მეუღლის მშობელი,
აღმზრდელი მის მემკვიდრისა,
განთქმული ხანი შირაზის,
მუსრს ავლებს, სადაც გაჩნდება,
დიდი მაღულის ჯარებსა.
და აგერ კვალად მარცხდება
მაღულის დიდი ლაშქარი
და გადამწყვეტი ბედისა
ამა ბრძოლისაც შეიქნა
გმირი შირაზის ქვეყნისა...
   მაგრამა დიდსა მაღულსა
ინდოეთიდამ ახალი,
სამხედროთ მტკიცეთ წყობილი,
წამოეშველა ლაშქარი.
და ახლა, უფრო ძლიერად
მოადგა სპარსთა ჯარებსა,
მოადგა უზომო რისხვით
ხეიბარისა კარებსა;
მოადგა ყველგან სპარსთა ჯარს,
და გაიმართა სპარსთ ზღვარსა
უსაზღვრო ბრძოლა, სისხლის ღვრა,
გრგვინვა ანგრევდა მიწასა...
   შაჰი და დიდი მაღული
თვითონ უძღვიან ჯარებსა.
ორთავე მხარეს, რაც ძალა
ჰქონდათ თვისს საბრძანებელსა
ან დახმარება შეეძლოთ
მეზობლათ მეოთვი ხალხისა,
სუყველა ერთად შეჰყარეს
საომრად ერთსა ადგილსა.
აგერ საკვდავათ უზომო
ჯარი ერთმანერთს ეხლება.
აგერ ცხრა დღეა, აგერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მეათეცა თენდება,
რომ შეუწყვეტლივ იბრძვიან
ამძვინვებული ჯარები.
დიდსა იჩენენ ბრძოლის ნიჭს
ორთა სამეფოს თავები...
აგერა უკანასკნელი
მათ მოიყვანეს ლაშქარი.
ვისაც შეეძლო ომს წასვლა,
ხელში აეღო ფარ-ხმალი...
დადგა სამრად ცხრა მთასა
და ცხრა ხეობას მტერთ ჯარი
და გაიმართა მებრძოლთა
მუსრვა და ჟლეტა მედგარი, —
თითქოს აგერა დამდგარა
დღე სოფლის აღსასრულისა,
თითქო აქ ერთად შეყრილან
მთელი სამყაროს ძირისა
მცხოვრებნი ადამის ძენი,
რომ კაცთა სახსენებელსა
ბოლო მოუღონ, — სიკვდილით
მიეცნენ მოსვენებასა.
ვით მიწის გულის ცეცხლისგან
კლდეთა ნალეწნი, ნანგრევნი
ერთმანეთზედა დაყრილან
ხროვად, გორებათ შემდგარნი, —
თვალ-გაუწვდომელ მთა-გორას
ვაკე მინდორსა და ველთა
გროვა დაჭრილთ და დახოცვილთ
კაცთა, ცხენთ, სპილოთ, აქლემთა
ერთმანეთს არეულები,
ერთმანეთზედა დაყრილნი,
გორათ ეყარნენ; ღრმა ხევნი
პირამდის ივსნენ გავსილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ებრაელთა ნათქვამსა
განსჯისა წინა დღეებში
მთლად დანგრეული ქვეყანა
მოიტანს თვისს ნანგრევებში
ადამის ძესა ყველასა, —
საყოველთაოდ დადგება
წყევლისა, შველის, შენდობის
გმინვა, ძახილი, ვედრება, —
გარშემო მთელსა მიდამოს
ცა და ჭაერი ზარითა
მოდებულიყო გულგამგმირ
წყევლით, ვედრებით მწარითა
დაჭრილთ და მომაკვდავთაგან
და არ ვინ, არ ვინ გარშემო
არ იყო მათი მშველელი;
მათი გმინვის და ვაების,
მათი ვედრების მსმენელი.
რკინათა, გულ-ქვათ ქცეული,
თვალს და გულს ცეცხლით მხედრობა,
ცხენს, აქლემს, ურემს, ზარბაზნებს
მათზედან მიელალება.
ათასობით თავები
დაჭრილთ, დახოცვილთ ხალხისა
იჭყლიტებოდა, მათ ტვინი
ენთხმოდათ მხედართ თავ-პირსა;
და ახლა თვითონ ისინი,
ვინც ამათ ფეხით სჭყლეტავდნენ,
დაჭრილნი, დაკოდვილები
მათ ზედა დაეყრებოდნენ,
და ზედ მომდგარი ჯარითა,
უწყალოთ, შეუბრალებლათ,
ფეხთა ქვეშ ისრისებოდნენ...
აღარვის ესმის მომაკვდავთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრილთ, წაქცეულთ მხედართა
შველის, მიხედვის ძახილი:
სიკვდილი! მხოლოდ სიკვდილი!
მუსრი! სისხლი და მახვილი!
ეს და ტრიალებს კაცთ გულში,
ამას თხოულობს კაცთ გული,
და შეუწყალოთ, მძვინვარეთ
ჰმეფობს მთელს არეს სიკვიდილი.
სულთამხუთავის ცელითა
ის ჰმუსრავს კაცის სახელსა,
კაცსა, რომელმაც თვის შექმნა
შეანანვინა გამჩენსა.*)
და აგერ, თითქო შემომქმედს
ჰსურს გაისწოროს შეცდომა,
მუსრი უვლინა სოფელსა,
რომ აღფხვრას კაცი ყველგანა.
ბრძოლა თან-და-თან მწვავდება.
სარდალნი, გამგე ჯარისა,
რაზმიდამ რაზმში დადიან,
დაჰქადაგებენ სიკვდილსა,
ჰგზავნიან რაზმზე რაზმებსა
დასახოცად და სახოცად.
სიკვდილს სიკვდილით სჭარბობენ
სიკვდილთა ღმერთის საოცრად.
აგერ ინდოთა მკვლელებმა
გასდრიკეს სპარსთა მკვლელები,
აგერა სპარსნი შეირყნენ,
გასრდკნენ რაზმთ წინა-მძღოლები,
აგერ იწყებენ არევას
და აგერ, აგერ თვისს მტერსა,

*) დაბადება თავი 3. ხანა ვ—ზ „და შეინანა უფალმა, რომ შექმნა კაცი ქვეყანად და შესწუხდა გულსა შინა თვისსა... და სთქვა უფალმა, აღვხოცავ კაცთა პირისაგან ქვეყნისა, რომელნიც მე შევქმენ, რამეთუ შევინანე შექმნა მათი."

შემკრთალნი, ზარდაცემულნი,
მიუბრუნებენ ზურგებსა, —
რომ გაჩნდა რჩეულთ ჯარითა,
გაჩნდა წყობილი რაზმითა
მიარაზის ხანი მედგარი,
საქმით და მკლავით მძლავრითა.
მას ახლავს გვერდსა მაჭსევნის
ათასი კაცის ბელადი,
მთავრის ძე ფრანგთა თემისა,
ნორჩი უწვერო, გოტფრიდი,
დევნილი თვისი ქვეყნიდამ
და აქ თავშეფარებული,
კლდე, ფოლადისა გულისა,
გაუტეხარი, გათქმული.
და ჩაერია ინდოთა
წაქეზებულსა რაზმებსა:
მას მიჭყვა გმირი გოტფრიდი,
მჯდომი თოვლივით თეთრს ცხენსა,
მოსილი თეთრი სამოსლით,
ორბის ფრთიანი ისრითა,
ფრანგთა ხელობის შვილდ ბოძლით...
გასდრკა ინდოთა ჯარისა
წინამებრძოლი მხედრობა.
აგერა ხანი შირაზის
და მის მხედრობის მშვენება
ფრანგი, გოტფრიდი, მრისხანედ
დიდს მადულს ეტანებიან,
გასდრიკეს მისი ამალა,
მის მცავებს ელალებიან,
და აგერ, აგერ სცაა
სწვდებიან მისსა სპილოსა,
შეუხტებიან ზედ შემდგარს
ოქროდ მოსილსა ჩარდახსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეიპყრობენ, ტყვე ჰყოფენ
მაღულსა დიდსა ინდოთა
და ყაფაზაში ჩაჰსვამენ
ქვეყნისა სამარცხვინოთა.
და აგერ დიდი ხემწიფე,
დიდი ინდოთა მფლობელი
სპილოს ზურგს უკან გადახტა,
შიშის ზარით პყრობილი,
მოახტა მისთვის მზად მყოფსა
ბედაურისა შავს რაშსა,
აპირებს ბრძოლის დათმობას,
მტრის ხმლისგან თავის გაცლასა.
ზარი თან-და-თან მოედო
სპარსთა მებრძოლსა ინდოთ ჯარსა,
აგერა აირევიან,
დაჰყრიან გუდა-ნაბადსა,
თოფ-ზარბაზანსა, იარაღს,
ცხენსა, ჯორსა და აქლემსა,
რომ, როგორც სად ვინ გაასწრობს,
გაასწრონ სპარსთა ჯარებსა...
აქ უცებ ცხენი მოუკლეს
მებრძოლს ხანს შირაზისასა
და თვითონ მწარე ისარი
ჰკრეს შიგ იღლიის ძირასა,
იმ დროს, როს ის და გოტფრიდი
გაცხარებულსა მლტოლველსა
მისდევდნენ შესაპყრობლად
ინდოთა დიდსა მფლობელსა...
ჰნახეს ეს ინდთ და გამხნევდნენ,
გამოუბრუნდნენ დაჭრილს ხანს,
მოჰკლან ანუ ტყვეთ შეიპყრან.
მაგრამა გმირსა გოტფრიდს ფრანგს
შერჩა ფრანგული გმირობა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისწრაფით თვალთა სწრებისა
დასწვდა ხანს, სწრაფვათ შეიგდო
თავისსა თეთრსა მერანსა,
შემოჰკრა ქუსლი, და მინამ
გონს მოვიდოდა ინდთ ჯარი,
გაჰქრა მათ თვალწინ, ვით ლანდი,
ვით მოჩვენება—სიზმარი.
ხანი, საკვდავად დაჭრილი,
ყეენს მოართვა, შემკრთალსა,
და თვითონ, თვალთა სწრებითვე,
გამოეშურა ბრძოლასა.
მაგრამ ამაოდ... რა ჰნახეს
სპარსთ უკეთესი სარდალი,
მხედართმთავართ მშვენება,
სპარსთ მხედრობის ფარ-ხმალი,
დაჭრილი სასიკვდილოთა,—
სიმხნევე გულს წაუხდათ:
ინდთ მოსეულთა რაზმთა წინა
მთლად აირივნენ უეცრად,
და თვისი ელდა, თვის ზარი
მოსდეს მთლათ სპარსთა ჯარებსა.
დაიძრა სპარსთა მხედრობა
თვალმიუწდომსა არესა,
დაიწყო ლტოლვა უზომო
ჯარმა, ზღვებრ შეგუბებულმა
და ათასობით ერთმანერთს
ცხენით და ჯორით მლტოლველმა,
უწყეს ჟლეტა და ფერხთ სრესა.
და გასწყვებოდა სულ მთლათა
თვისი ლტოლვით და მტრის მდევრით,
თუ რომ ღრმა მოსაზრებითა
არ შესწევნოდა შაჰს თვისი
მემკვიდრე, სპარსთა მამშვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გადარჩინა გამუსრვას
სპარსთ ჯარი ზარით მლტოლველი...
  მაგრამ შაჰს ძვირად დაუჯდა
ამა ომისა მარცხები:
დიდს მაღულს მისცა ურჩელი
მომძლავრებული საზღვრები
და ზედ დაადო ამათა
თავის საზღვართა ცხრა თემი.
დაადო ორი ქალაქი
და ორი ციხე ნაქები.

II

  იცნა ხვანთქარმა დაძლევა,
გატეხა სპარსთა შაჰისა,
უკეთესთ სარდალთ მოწყვეტა,
შერყევა დიდი ტახტისა,
და მოინდომა ყეენის
გადახდა მაგიერისა,
დიდი ხნის ჯავრის ამოყრა
თავის მარცხის და ძლევისა;
ისურვა უკან წართმევა
მომძლავრებულთა ალაგთა
და მოესია ყეენის
საბრძანებელთა საზღვართა.
  ხვანთქარს ტყუილად ჰგონია,
რომ მაღოლისგან სამძლავრსა,
მაღულთან დიდსა ბრძოლაში
სიბერეში მყოფს სპარსთ შაჰსა
სულ გასწყვდომოდეს სარდალნი,
მამშვენნი მისი ხმალისა,
რომ აღარ ჰყავდეს მთავარი.
მსგავსი შირაზის ხანისა.

ვინ იყო კარი ხეიბრის
და ხეიბრისა ხევობა
ინდოთა ჯართ შეუკრა,
რომ ხჳარსით ინდელთა მხედრობა
არ ჰყელებოდა მლტოლს წინა,
და სჳარსით გამოთხვალი ჯარები
არ შეემუსრათ, ირანის
არ დაეჭირათ სამზღვრები?!.
ვინ იყო, ბულუჭთ ქვეყანას
შემუსრა ინდთა ლაშქარი,
მათ დიდებულთა სარდალთა
დააკარგვინა დავთარი;
და მით ამოსდო ლაგამი
დიდი მადულის მძლავრებას,
თვით ირანსა და ფარსისტანს
დიდი ჯარების შესევნას?! —
ნორჩი ნურინი მემკვიდრე,
სიყრმის ძე დიდი შაჰისა,
ჯარისა ხატი და სასო,
ნუგეში სჳარსთა ხალხისა,
ვითა მნათობი ვარსკვლავი
სჳარსთ ჯარში მოვლინებული,
მტრისა რისხვა და მუქარა,
მტერზედან განრისხებული.
სიყმაწვილეში, ვისაცა
უნახავს მამა ყეენი,
ამბობენ სახე მრისხანი,
რიხი და საქმე ყოველი,
ზარის გამხდელი ბრძანებას,
გამჭრიახობა სიტყვისა,
გონებით შორსა გამჭვრეტა
მამისას სჯობდა შვილისა.
მამაც მას ტრფიალებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თაყვანებით შესცქეროდა,
ხშირად თვითონაც იმასა
სიტყვას და რჩევას უსმენდა,
და მრავალჯერა, მტრის წინა,
როს საქმე მიჭირდებოდა,
ნურინის რჩევა სჯობნიდა,
მის სიტყვის მონა ხდებოდა.
და აგერ კვალად ნურინმა
იჩინა თავის მხედრობა,
იჩინა ნიჭი ძლიერი,
მოხაზვა, შორს მხედველობა.
სადაც კი მივა იმისი,
მისგან ნაწრთვევი რაზმები,
ვერსად უდგრობენ ხვანთქრისა
ზარდაცემული ჯარები.
და შეანანა ხურინმა
ხვანთქარს თვის კადნიერება,
ამცნო ყეენის დიდება,
მის კვალად გაძლიერება.
მირზა ნურინი ევლინა
სვანთქარს და მისსა ჯარებსა
ცის რისხვათა და მსახვრელად:
ყველგან უტეხავს საზღვრებსა,
ართმევს ციხეს და ქალაქსა
და ართმევს თემსა თემზედა;
ავურთხებინებს გულ-გამტუდარს
თავის გაჩენის დღეზედა.
შაჰი მძლეველი მრისხანებს,
ემუქრის სტამბოლს დაცემას,
აი სოფიას დაწვასა,
დიდი სერალის წართმევას,
მის ცოლთა მისი თვალის წინ
ჯართ წასაბილწად მიცემას,

მის ყელთა თოკის შებმასა,
ყაფაზაშია დამწყვდევას,
ვით დაამწყვდია თემურმა
მის პაპა ბაიაზეთი
და მოატარა მასხარად
ყაფაზით ცისა ქვეშეთი...
ემუქრის ხვანთქარს ყეენი...
და აგერ ცხარე ბრძოლაში
დაჰკოდეს ნურინ ისრითა
შიგ იდლიისა ძირაში,
ვით დიდი ხანი შირაზის,
სპარსთა პირველი სარდარი;
მისებრ მასც ცხენი მოუკლეს,
მასც მოეშველა მხედარი
იგივე, თავის გაწირვით,
გოტფრიდი, ნორჩი და გმირი
და გადარჩინა ტყვევნასა
მძიმედ დაჭრილი ნურინი.
და აქაც, როგორც მაღოლთან,
დამარცხდა სპარსი ძლეული
ხვანთქრისგან. უკან დაბრუნდა
ყეენი გაწბილებული...

III

დამარხა დიდი დიდებით
მნათობი სპარსთა ხალხისა
შაჰმა თავისი ნუგეში,
ბურჯი თავისი ტახტისა.
სპარსთ საბოლოვოს იმედი,
თავისი ხმალი, გვირგვინი,
სიბერის კვერთხი საყრდნობი,
თვის სიყრმის შვილი ნურინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოინდომა მან ნახვა
ახლოს იმ ნორჩი გმირისა,
მისთვის, ცეცხლსა და ალშია,
აგრე თავგაწირულისა,
ვინ ზღაპრულისა გმირობით
მტრისაგან დიდსა სირცხვილსა
ის ორჯელ გადაარჩინა:
მან არ გაუშვა ხელთ მტრისა
და გამოჰგლიჯა პირიდამ
მას ორი გმირი სპარსელი,
არ დაუკარგა იმათა
მამა-პაპათა სასვენი.
და აგერ გოტფრიდ იახლა.
შეჰხედა ნორჩსა სახესა
და მთლად განცვიფრდა ყეენი:
ქვეყნის მშვენების მნახველსა
უნახველს ჰხდიდა იმასა.
ქერა ხუჭუჭი, ხავერდებრ
წმინდა მბზინვარე თმებისა,
ცისფერნი თვალნი, ცათაებრ
მოელვარე და ნათელი
ჰსახავდნენ ანგელოზისას
უზადო უმანკოებას,
გულუბრყვილობას ზეცისას;
ვით თოვლი თეთრი, ხპეტაკი,
თითქო შუქსა და ნათელსა,
მის სახე ჰფენდა სამოსელს
და თვალსა სჭრიდა მნახველსა.
შეჰხედა შაჰმა, მოხუცმა,
და მას შიგ გულის სიღრმესა
უცნაური რამ ძალითა
წამოეშალა სიყრმისა
ნეტარება და წყურვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამგვარი სახე ყეენსა,
არც ცხადლივ, არცა სიზმრათა,
მას ქვეყნის მჭერს და მპყრობელსა
ლანდათ არ მოლანდებია.
მხოლოდ ჰსმენია: ზეცასა
მეცხრესა ცასა მაღალსა,
სად ტახტი უდგას ალლაჰსა,
ამგვარი სახე იქ ჰსუფევს,
ცათა მცხოვრები გურია,
და ქვეყნად ზღაპრად და ჭორად
ამას მოუკრავს ყურია
ამგვარი სახე ციური,
ციური ფერით, თვალითა,
შორს, ჩრდილოს მყოფსა ქვეყნებსა,
სად ქვეყნის მპყრობნი ძალითა
ბრძოლად ვერ მიუწვდებიან,
იქ კაცი ჰნახავს მაღალსა
და დიდს სამეფო გვარებში
მხოლოდ ქალწულსა ამგვარსა...
 უყურა დიდს ხანს შუბლის ქვეშ
ყეენმა განცვიფრებითა,
და თვითონც აღარ ესმოდა,
რათ უჩნდა ნეტარებათა
მისი მდუმარედ ყურება,
და დაარღვია დუმილი
მოუთმენელმა გოტფრიდმა.
—თქვენი ბრძანების მორჩილი,
დიდო ხელმწიფევ, გიახელ.
უბრძანე ფრანგსა გოტფრიდსა:
თქვენი ბრძანებით მზად არი
მიეცეს ცეცხლს და მახვილსა.
—ორს უძლიერეს მტერთანა,
ორს უძლიერესს ბრძოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამარჩინე სირცხვილსა,—
შემაცქერელმა თვალწარბში,
უბრძანა გოტფრიდს ყეენმა.
—ბედმა მიმუხთლა, გაბრუნდდა
მის ჩარხი, წადმა მბრუნავი,
მზე ჩემთვის გაკრთა, დაბუნდდა,
აქამდის ცხოვლად მნათობი:
მოჰკლეს სარდალი მდევ-გმირი,
ხელმხარი ჩემი მარჯვენა,
ჩემგან სიყრმითვე შეზრდილი,
თავგაწირული ჩემთვისა;
ჩემი ერთგული უსწორი,
ხელმწიფეთ დარი გონებით,
მხედართ-მთავარი უტოლო.
მაგრამ ეტყობა ალლაჰმა
არ დამაჯერა ამასა:
გამომასალმა სიცოცხლეს,
ჩემს ჯიგარს, გულის ძალასა,—
ჩემუ სიცოცხლის კავშირი,
დავკარგე ჩემი გვირგვინი,
ჩემი ხმალი და საფარი,
დავკარგე ჩემი ნურინი.
და დავრჩი ობლად, ვით მწირსა
ადგილსა მაღრიბისსა
უდაბურს, უწყლოს, ცარიელს
ტიელს მინდორსა ქვიშნარსა
ქაჩაჩათ მდგარი მწვანობი,
მომლოდნე ცისა ნამისა,
დამჭკნარი, დაფერფლებული,
მოშიში მზისა ცხარისა.
აგერ ეტყობა ალლაჰსა
ჩემი ობლობა ჰსმენია
და შენი თავი ჩემთვისა

ცის ნამად მოუვლენია.
უნდა შენ დღეის იქითა
იმყოფებოდე ნუგეშად
მოუშორებლად ჩემთანა
ჩემი ძის ნურინის ნაცვლად.
შენ ჩემთვის თავი გასწირე
დიდსა უსწორო ბრძოლაში,
გადამარჩინე სირცხვილსა
მტრისგან უწყალო ლტოლვაში
და მემსახურე იმგვარად,
რომ აქამდისინ არც ერთსა
აგრე არ უმსახურნია
მონას თათარს და სპარსელსა.
— მე მხოლოდ მიტომ ვიახელ,
დიდო ყეენო, შენს კარსა,
რომ გაგიწევდე ნიადაგ
შენ სამსახურსა მაგგვარსა.
და დარწმუნდი, რომ გოტფრიდი
მაგაზედ არ შეჩერდება:
ღირსეულათა გადახდას
ის შენს წყალობას ეცდება, —
წყალობას ჩემის სიცოცხლის
ამა ალაგას ყოფნისა,
რომ იგონებდე, გახსოვდეს,
ვითა სცოდნია გოტფრიდსა
ათი ათასად გადახდა
დავალების და მადლისა, —
და გიახლები გვერდს, მინამ
არ გამცნობ საქმეს ნამდვილსა.

IV

მას აქეთია გოტფრიდი
ყეენს არ მოჰშორებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლული გულის მალამოდ
მას იგი მოვლინებია...
ყეენი მასთან საუბრობს,
მასთან ნადიმობს, პურსა სჭამს,
მას ჰკითხავს საქმის რჩევასა,
თვის ვინაობას მოჰკითხავს;
ჰკითხავს თვის ქვეყნის ამბებსა,
ჰკითხავს იქ როგორ იბრძვიან,
როგორ აწყობენ რაზმებსა;
ჰკითხავს თუ თოვლი იქ მართლა
მუდამ სდევს აულებრათა,
ყინულით სახლებს აგებენ,
ქონსა ჰხმარობენ ცეცხლადა;
ირმებს აბამენ ურემში,
ქალნი თავლია დადიან,
ხშირად მეფობენ ქალები,
მეფეთა ტახტზე ადიან;
არც უცხოს, არცა შინაურს
ქალნი არ ერიდებიან,
თავისუფლათა, ვისაც ჰსურთ,
რაც ჰსურთ ესაუბრებიან.
ჰკითხავს, რად სდევნის მას მტერი,
რათ იმეტებენ სამტროთ,
ვინ არის იგი უღმერთო,
მას სდევნის სასიკვდილოთ,
ქვეყნად მოვლენილს ცის მცხოვრებს,
მას ანგელოზსა ცისასა,
ათასი ტახტის ღირსეულს,
ბადალს ხმელეთისასა.
და გოტფრიდიც ყეენსა
უამბობს ყველა ამბავსა,
გაართობს ყეენს მჭმუნვარეს,
უნელებს ცეცხლსა და ალსა.

ყეენიც ყურს უგდებდა
გოტფრიდის ცოცხლად მბობასა,
და ჰკვირდებოდა, როდესაც
მოვა გონსა და ცნობასა,
გულს ჩაინელებს, ჩაიქრობს
მაზედ დატეხილს ცის რისხვას,
გარედამ მტერსა მოიცრცვის,
შინ ჩამოაგდებს მშვიდობას, —
აღუდგენს თვისსა სამეფოს,
დაუმორჩილებს ყველა მტრებს
და შერთავს ცოლად თვისს ასულს,
ასულთა შორის უკეთესს,
სპარსთა ქალის მშვენებას,
სიცოცხლით სავსე ზილფასა,
მისცემს სპარსთ პირველს ქვეყანას,
ქვეყანას შირაზისასა...
და ხშირად ჰნახავს ყეენი
სიზმრად გოტფრიდის სახელსა
იხსენიებდა ალერსით,
იშვერდა მისკენ თვის ხელსა...

V

არ თუ სიმშვიდემ, არ ლმობამ
გულს დაიმკვიდრეს შაჰისა,
შემდეგ მრავალი განცდისა,
შემდეგ მრავალი ტანჯვისა.
ნეტარი შვილის სიკვდილით,
ყმათა ერთგულთა დაკარგვით,
დაკარგვით თემთა მრავალთა,
დიდის ომების წაგებით, —
უფრო და უფრო ბოროტი
და რისხვა აიშლებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი გულისა სიღრმესა
და მხამად გარდიქცეოდა,
სისხლი, ცეცხლი და სიკვდილი;
ტანჯვა, წამება ქვეყნისა
ეს გახდა შესაქცევარი
შაჰის დვარძლის და გესლისა.
მის ხსენებაზედ თვითონა
მთავარნი, მისი ერთგულნი,
ძრწოდნენ შიშით მწარითა,
თავს ზარის ელდა დასხმულნი.
ყოველ დღე გმოხდებოდა
მდივანხანიდამ შაჰისა
ხოცვის, წამების ბრძანება
მთავართ, ჯარის და ხალხისა,
ვიზედ რა იჭვის დრუბელი
გადაჰფვენოდა მის გულსა:
აღარა ჰქონდა განკითხვა
თვით თავგაწირულს ერთგულსა.
ჯარი და ჯარის კაცები,
ყველასა დანახვაზედა
მდივანხანიდამ გამოსულთ
ჯალათთ, ხმალებით მხარზედა,
ძრწოდნენ შიშით და ელდითა.
არვინ, არავინ არ ჰგრძნობდა
მხრებზედ მკვიდრათა თვის თავსა
და განკითხვის დღეს ელოდა.
და მხოლოდ, ოდეს სახესა
გოტფრიდისასა ჰხედავდა,
შაჰს გულს მშვიდობა და ლმობა
კაცთადმი ეღვიძებოდა.
თუ არა სისხლი, სულ სისხლი,
ტანჯვა, ვაება, წამება, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო მაჭის შექცევა,
ეს იყო მაჭის ამება!.,.

VI

და გასცა შაჭმა ბრძანება
გურჯისტანს ასამხედრებლად.
აშლილი ს-სხლის წყურვილის
საშრეტლად, ჩასანელებლად.
ბოროტით გურჯთაგან იწყობა
მის მარცხი, მისი წყლულება;
მისი ბედისა ჩარხისა
უკუღმართადა ბრუნება;
მისი სირცხვილი ქვეყნადა,
დაკარგვა გმირი შვილისა,
გატეხა ჯერ უძლეველის
ხმლის ალმასისა პირისა!
და განა ამას შეარჩენს?
შესჭამს ცოცხალი გურჯთ ჯავრსა?!
შეარჩენს გაუტეხრობას,
შეარჩენს თვის ურჩებასა?!
და აგერ კიდევ პირი ჰქნა
საქართველოსკენ ყეენმა,
სიცოფისა და რისხვისგან
თავზედ გვირგვინის მტვრეველმა.

და მიახლოვდნენ კიდეცა
საქართველოსა საზღვარსა.
აქ შესდგა მცირეს ყეენი:
უწყო დაწყობა ლაშქარსა.
უცდის ახალსა იარაღს,
უცდის ახალსა ჯარებსა,
რომ მზა წყობისად შევიდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა არესა,
რომ მოუვლინოს ქართველთა
სისხლი, ცეცხლი და სიკვდილი,
და არა სჯამოს გურჯთაგან
კვალად ახალი სირცხვილი...
ყველას ამისი გოტფრიდი
არიგებს: აძლევს ბრძანებას,
აწყობს ჯარებსა, წიგნებს სწერს,
უწყებს სამზადისს ჩქარებას...
და აგერ შეჰკრბა სულ მთლათა
სპარსთ საბრძანებლის ჯარები.
დრო არის ახლა დაიძრან,
შელეწონ გურჯთა კარები.
აგერა გასცა ბრძანება
შაჰმა გოტფრიდის რჩევით:
დაიძრას ჯარი გურჯთ სამზღვარს
ნუზლით, თოფ-ზარბაზნებითა,
და მასთან დარჩნენ ერთი დღით
სუყველა მხედართ მთავრები,
მირაზის ხანის გაწრთვნილნი
ომში ნაცადი მხედრები,—
სპარსთ უკეთესი ვაჟკაცნი,—
თურქესტნის მეთოფურები,
შაჰის ჯარისა მშვენება
შაჰსეივანის გურჯები.
გოტფრიდს ჰსურს ჯარსა უკეთესს,
მშვენებას სპარსთა ჯარისა,
გაუმასპინძლდეს, უჩვენოს
ლხინი ფრანგთ მეფის კარისა,
და ფრანგთა პაპსა ჰფიცულობს,
შეიპყრობს გურჯთა მეფესა,
მთელს გურჯისტანსა ფეხის მტვრად
ფეხთით დაუფენს ყეენსა.

და მსწრაფლ შესრულდა შაჰისა
ესე უცილო ბრძანება.
გურჯისტანისკენ დაიძრა
მთელი სპარსეთის მხედრობა.
სპარსთ უკეთესნი ლაშქარნი,
ომში ნაცადნი, ქებულნი,
ჯერეც არც ერთსა ბრძოლაში
მტრისგან არ დამარცხებულნი
და მათთან საუკეთესო
სარდალნი ხპარსთა ლაშქარში,
გოტფრიდის ნება-სურვილით,
ყეენთან დარჩნენ ბანაკში,
უდაბურს დიდსა ველზედა,
დიდი მდინარის ნაპირსა.
იმათ უმზადებს გოტფრიდი
უმაგალითო ნადიმსა...

VII

შუადამეა. გათავდა
დიდი უზომო ნადიმი,
გათავდა უმაგალითო
სიმღერა, სმა და ხადილი.
ჩინმაჩინის თრიაქის
სურნელება სდგას მთელს ბანაკს.
განისვენებენ ტკბილათა,
შაჰის მახლობლად დიდს კარავს,
მხედართ მთავარნი, სარდალნი,
შაჰის ძე, უკანასკნელი,
შაჰის ტახტისა მემკვიდრე,
ნეტარი ძილით სავსენი.
დანაშთენს რჩეულს ჯარებსა
საწოლად აურჩევიათ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი მდინარის ნაპირი
და ტკბილად განუსვენიათ,
თრიაქით და ხაშხაშით
ნეტარს ძილს მიცემულები,
ბევრის ლხინით და შექცევით
მოწყვეტილ-მოქანცულები.
არ სძინავთ მხოლოდ მაჭსევანთ,
გურჯთა ჯარიდამ შემდგართა.
მათ ბრძანება აქვთ: მთელს ღამეს
იდგნენ სპარსთ ჯარის მცველათა...

მყუდროებაა გარშემო,
არ ისმის არც თუ ფათური.
მაჭი სწევს, გოტფრიდ გვერდს უზის,
ხელში უჭირავს სანთური,
უკრავს თვის ბროლის თითებით
გულის გამტაცს ტკბილს ხმასა
და ზედ დასძახის სიმღერით
ახალს ხმას, ახალს ამბავსა.
დამღერის, ცეცხლი ენთება
იმის ციურსა თვალებსა;
ხმა თან მღელვარებს და თანა
მაღლა უმატებ, ჭანგებსა.
და გარინდული ყეენი
ყურს უგდებს განცვიფრებითა,
თითქო უპირებს მთანთქმასა
ცეცხლის მფრქვეველი თვალითა.

«გურჯისტანის ქვეყანას
სცხოვრობდნენ ნორჩი ცოლქმარნი,
ორივე ქვეყნის მსახურნი,
ორივე დელის ერთანი.

«არ მიწიერით იგინი,
არ ქვეყნიური გულის თქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგნენ ღვთის ტაძარს, ღვთის თვალწინ
წმინდა ნაკურთხი გვირგვინით.

«ცოლი თვის ქმარსა ჰსახავდა
ანგელოზად და ხატად,
ქმარს თვისი ცოლი ეგონა
ციით მოსულ ანდამატადა.

«და ქმარი იყო განთქეული
თვის ვაჟკაცობით გურჯისტანს,
მისით ხარობდა გურჯთ მეფე,
მისით მოსწონდა თავი ხალხს.

«როს მის ნორჩს ცოლსა ესმოდა
ქმრის გმირობის ხმა ნეტარი,
თვის თავს ციურად ჰსახავდა,
ციური გრძნობით დამტკბარი...

«მოადგა კრულსა ქვეყანას
დღე განკითხვისა ძნელისა:
ცხარეს და დიდსა ბრძოლაში
ჯარი დამარცხდა მეფისა.

«და თვითონ მეფე დაჭრილი
ტყვედ ჩაუვარდა მტრის ჯარსა,
და გალესილი მახვილი
თავს დაეკიდი გურჯთ ხალხსა.

«და ამა გმირმა თვის მეფე
გადაარჩინა ტყვეობას,
დამალა ქვეყნის ჩუმათა
გუდამაყრის ხეობას,

«მინამდის მეფეს წყლულები
სრულებით მოურჩებოდა
და მოსეულა მტერისა
შებრძოლვა შეეძლებოდა...

«თვითონ მეფისა სამოსლით,
ვით თვითონ მეფე გურჯისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰყარა ჯარი ქართველი,
დაესხა მტერსა უშიშსა,

«თავისის გამარჯვებითა,
სრულად გულ-დამშვიდებულსა,
და უწყო მუსრვა უწყალოდ,
და თვით შაჰს განრისხებულსა...»

აქ უცებ გოტფრიდს ყეენმა
სიმღერა შეაწყვეტინა
და აოცებდა: ეს საქმე
ფრანგთაც ვინ შეატყობინა...
ჰკვირობდა: ამა მღერის დროს
გოტფრიდის მშვიდი თვალები,
რათ მრისხანებდნენ, სცვიოდათ
ცის ელვა, ცეცხლის ალები.
—ეგ მართალია, ფრანგთ მეფევ,
არ ზღაპარია შეთხზული.—
უბრძანა გოტფრიდს ყეენმა.
—ეგე ამბავი ნამდვილი
გურჯისტანის გმირისა,
მოხდა თვითონვე ჩემს თავსა,
თუმცა უცხოსა ყველასთვის
წაავგავს უფრო არაკსა...
სამ სახედ მეფედ მეჩვენა,
ერთსა და იმავ წამშია;
თან ტყვეო, თან თავზედ დამსხმელად,
თან მდები სამარეშია...
ვით ჯადო-ქარი მევლინა...
და ძნელად დასაჯერები:
იმა გურჯიდამ იწყობა
ჩემი ეს მწარე დღეები...
და ის, გაჭრილი ოთხათა,
მე გავუგზავნე მშვენიერს

მის ნორჩის ტოლს, ხალხის
ხატს და სალოცავს ზეციერს...
— შენ თვითონ წიგნი მისწერე
საკუთარის ხელით,
გულს უწვავდი წამებულს
ბევნის ცეცხლით ცხელით.
— შენ ვინ გიამბო, გოტფრიდო,
ამბავი ამა წიგნის?
საიფრანგეთს გესმა, თუ არის
ნაამბი სპარსთა პირის?
— ის წიგნი მე დღეს ხელთა მაქვს
— მიჩვენე. მითხარ, ვინ მოგცა? —
გაოცებული ყეენი
ეკითხებოდა გოტფრიდს.
— გაახლებთ. ჩემს სამყოფს
ცხრა კლიტულს მიდევს შეკრული.
თქვენ მომითმინეთ ერთს წუთს:
თქვენი ბრძანების ერთგული
წავალ და გავხსნი ცხრა კლიტეს,
ცხრად დაბეჭდილს ქისას,
გიჩვენებ წიგნს და... მისგნით
მოვლენილს რისხვას ღვთისას!..
და აქ გავიდა გოტფრიდი.
ყეენმა უწყო, ლოდინში, —
თან მღელვარემ და თან ტკბილად
განსვენებულმა ლოგინში, —
ოქროს ყალიონით
წევა სურნელს თრიაქს, —
თან, გაოცებით, ჰფიქრობდა:
ცხადს ჰხედავს თუ სიზმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

გავიდა გოტფრიდ. დაჰხედა
დაძინებულსა ბანაკსა.
დაჰხედა, შესდგა, გაშტერდა...
სძინავთ, ვით ცხრა ძმათ არაკსა...
განაპყრო ორთავ ხელები,
ბაგე გააღო, თითქოს
უნდა შესძახოს: «აღსდექით!»
გულით მძინარე ჯარებსა.
და უცებ ისევ შეფერხდა,
გაბრუნდა სულ სხვა მხარესა,
იძრო მახვილი და აძლევს
ნიშანს მაჰსევანებსა.
ისევ შეფერხდა და შესდგა,
რომ თვალი მოჰკრა არესა.
ისრე მშვენივრად, ტკბილათა
სხივი ეფინა მთვარესა,
თითქო ყმაწვილი მშობელი
პირმშო შვილს თავსა დასცქერდეს,
თითქო ტრფიალი, ბევრი ხნის
უნახავს სატრფოს დასტრფოდეს.
შეყუჩებულსა ჰაერში
დიდი მდინარე ტალღათა,
მთვარისგან ვერცხლად შეფერილს
მიაქანებდა წყნარათა.
მყუდრო, შემდგარი ჰაერი

მოჰბერდა სურნელებასა,
სიცოცხლით კაცთ გულს უვსებდა,
მოჰფენდა გულზედ შვებასა...
შეჰფერხდა... თავი დაჰღუნა...
უქრება ცეცხლი რისხვისა,
წამოეშალნენ გულიდამ
გრძნობანი სიბრალულისა.
დაჰფიქრდა. აგერ ტორტმანებს,
მზათ არს დაუშვას მახვილი...
აქ უცებ მას ყურთ მოესმა
მრისხანე ზღევის ძახილი...
აქ გულს და გვამში აღეგზნენ
გავლილი მწველი ცეცხლები.
აქ დაეხატა თვალთა წინ
გაოხრებული ქვეყნები,
ცეცხლის ზღვაში შთანთქმულნი,
ცამდის ასული ალები,
მშობელი ხალხის სისხლშია
მცურავნი მის მტარვალები;
შვილის ძახილი, მუდარა,
გოდება, მწარე ვალალი,
შებილწულთ ქალწულთ გულშია
მტრისგან დასმული ხანჯალი;
ყეენი ნანგრევთა ზედან
სისხლში მოსვრილი მახვილით,
შემუსრვილს ხალხს და ქვეყნებზედ
ჯოჯოხეთის ძახილით...
აღელვდა, შეჰკრთა, გაერკვა
ვითა ფიქრისგან მისანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესძახს შაჰსევანებსა,
მუსრვის მისცა ნიშანი!..

და აგერ შაჰსევანებმა
ხელი მიჰმართეს მახვილსა
და დაერივნენ მრისხანედ
ჯარსა, უგონოდ დაურილსა.
და იწყეს ჩუმად, მდუმარედ
მუსრვა, სისხლის ღვრა საზარი,
ხელსა მიჰყოფდნენ ბასრს ხმალსა,
რომ სჩლუნგდებოდა ლახვარი...

მთლად ანთებული გოტფრიდი,
ალმასი ხანჯლით ხელშია,
შევარდა მხედართმთავართ
კარავს განსასვენშია
და უწყო მუსრვა მრისხანეთ,
მუსრვა მრისხანე გულითა.
და რომ ამ დროსა ენახა
სახითა ანთებულითა,
ცეცხლის მფრქვეველი თვალებით,
იმის ნაცნობსა, მნახველსა,
არამც თუ გოტფრიდს, მის მსგავსსაც
ვერა ჰპოვებდა სახესა...
გაჰმუსრა ყველა. გაჰმუსრა
ოთხმოცდაათი სარდარი,
ომში გაწვრთნილი, განთქმული
პირველი მხედართ მთავარი.
გაჰმუსრა ყველა... დაჰხედა.
დაჰხედა, გაიხარხარა,
თითქო მთლად ჯოჯოხეთისა
მის გულში გესლი ჩამდგარა...
ხანჯალი ჩაჰსვა ბუდეში,

გარვის კალთებსა ასწია,
და, ანთებული სახითა,
ახლა მაჭისკენ გასწია..

შეჭხედა მაჭმა და შეჭკრთა.
რადაცა ელდა და რისხვა,
ზარი, გულის გამტეხი
გოტფრიდის სახეს ესახა.
— აჭა, ყეენო, ინებე
შენი წყალობის წერილი. —
წიგნსა გადუგდებს ყეენსა
გოტფრიდი, მრისხნად ღელვილი.
— წამობრძანდი და იხილე
გამარჯვებულსა შენს ჯარში
ცისკარას გამოგზავნილი
მის ქრმის ნაცვალი ფეშქაში! —

აქ დაუჭირა გოტფრიდმა
ყეენსა მაგრა ხელმხარი,
და, უნებლიეთ, ყეენი,
ვით მონა, ვითა საპყარი,
გაჭყვა ვით თვისსა მბრძანებელს,
ვითა დიდის ხნის ბატონსა,
გოტფრიდსა დია მინდორში
და მხედართმთავართ საწოლსა...

გავიდა, ჯარსა გაჭხედა
თავებდაჭრილსა, დაყრილსა,
სისხლის გუბეში მცურავსა,
სულ მთლად სისხლისგან დაცლილსა.
— ეს ცოტას ჭხედავ, ხელმწიფევ,
სულთამხუთავო ქვეყნისა!
მთლი და დასტები ნაყოფით
შენი ქცევისა მედგრისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თითქო მანქანებითა,
აქაც იახლა გოტფრიდსა
გონ-დაკარგული ყეენი
მხედართმთავართა სადგურსა...
მივიდა, ჰნახა... ფარ-ხმალი
მის გვირგვინის და ტახტისა,
პირველი მხედართმთავარნი
უძრავათ სცურვენ თვისს სისხლსა...
— გეყო, თუ არა, მტარვალო?!...
ჰნახე, თუ არა ნაცვალი?!
შევე მოგიკალ ცხარ ომში
შენი პირველი სარდალი!
მე მოვკალ შენი მემკვიდრე,
შენი მომავლის ნუგეში,
გამარჯვების დროს მოგიკალ...
გიძღვენი ესე ფეშქაში,
და შეგიხუთე ამითი
მძლავრება, ქვეყნის წამება...
მაგრამ აქ მომყე, გიჩვენო
უფრო სიტკბო და ამება.
დაჰხედე აიმ ნორჩსა ყრმას,
შენს ნუგეშს, შენსა იმედსა,
ერთად-ერთს შენსა მემკვიდრეს,
მომავალისა შენს ბედსა! —
და გადაჰხედა ყეენმა:
მთლად სისხლში ამოვლებული
იმისი ერთად-ერთი ძე
ეგდო გულ გაპოხებული.
და აქა, ვითა ათთარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მხეცი ამძვინვებული,
ეცა თავისსა მოსისხლეს
თვალებში ცეცხლ ანთებული.
მაგრამ მინამდის ქარქაშით
ამოიღებდა ის ხმალსა,
გოტფრიდი მოაგდებინებს
თვის ხანჯლით მარჯვენა მკლავსა.
კვალად იელვებს ხანჯალი,
ხანჯალი დაუცდუნები
და მკლავმოგდებულს ყეენსა,
დასცვივა ორთავ ყურები...
—ვინა ხარ, ჰოი წყეულო,
ანგელოზისა სახით
მოვლინებულო დემონო
ეშმაკთა საფრთხე მახითა?!
შესძახა განწირულბით
ყეენმა, ღონემიხდილმა: —
—ჯოჯოხეთის სული ხარ,
თუ მოგავლინა სიკვდილმა?! —
— მე ვარ მზღევარი უწყალო
მზეჭაბუკის გმირისა.
ბექო თუ არა, მსისხარო,
ნაცვალი მისი სისხლისა?!..
მე ვარ... ცისკარა!.. მის ცოლი...
მისი სისხლის მზღევარი...
და შენ არ მოგკლავ: იცოცხლე,
განჩენის დღისა მწყევარი,
მახინჯი, გონჯი, მასხარა,
მტრისა კარს მეოთვი გლახაკად.
და დაე დარჩეს ეს საქმე
საანდაზოთ და არაკად,
რომ თვით უძლეველთ მტარვალთა
გამოუჩნდება მძლეველი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ბოროტს დასდევს ფეხდაფეხ
მისთა საქმეთა მზღვეველი...
წადი და ახლა შეჰმუსრე
გურჯები, შენი მძლევლები...
აქ იწყო შენი დამცრობა,
აქვე გელებ ა დღეები!..
მე ვარ ცისკარა! — და აქა
მან ერთიც გაიხარხარა
და გამოვარდა კარვიდამ.
დაუკრა მაგრა ნადარა,
შაჰსწევანთ მისცა ამითი
მან დაბრუნების ნიშანი,
თვით გაჰქრა ღამის წყვდიადსა,
ვით ჯადოქარი მისანი...

და დარჩა ველსა უდაბურს
ყეენი, ჯანმოღებული,
სისხლში მცურავთა მკვდართ შორის,
თვისს სისხლში ამოვლებული...
და გაისმოდა დიდსა ხანს
მისი ძახილი, ვალალი.
არსად არ ისმის კაცთა ხმა,
არსით მშველელი არ არი...
მხოლოდა უდაბური მთა
ბანსა აძლევდა მის ხმასა,
თითქო მომთქმელი მოზარე
მოსძახდა მისსა ვალალსა.
და შორს ისმოდა ღრიალი
აშძვინებული მხეცისა,
თითქო შაჰს მოვლინებოდეს
მრისხანებათა ზეცისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისთა წარსულთა ცოდვათა,
თვისი დაღვრილი სისხლისა, —
მოსაგონებლად, აღმძვრელად
ჩამქრალი სინიდისისა...*)

ანტონ ფურცელაძე

1894 წ. აგვისტოს 10-ს
სოფ. ორბო.

---

*) ერთს ევროპიელს მოგზაურს სპარსეთში, ალექსანდრე კრუზინსკის, რომელსაც უმოგზაურნია წარსულს საუკუნეს, აქვს ერთი რამ მსგავსი იმ ამბისა, რაიცა არის ამ პოემაში მოთხრობილი, ერთი ქართველი ქალის შესახებ, რომელიც მხედრის ტანისამოსით შესულა სპარსთა ჯარში და რომელსაც უყრია საშინლად სპარსელებზე ჯავრი თავისი ქმრის მოკვლისა. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გლეხი-კაცის ისტორია

## წელიწადი პირველი რესპუბლიკისა

1792

## ნაწილი მესამე

ერკმან-შატრიანისა

### IX

ისე შეგვაწუხა შიმშილმა, რომ რეინიდან დიდი ხნის დამხრჩვალი ცხენები გამოგვქონდა და იმასა ვჭამდით. შიმშილით და იმოდენი ტანჯვით მისუსტებულთ დამპალი ხორცალა გვაკლდა! დაგვერია რაღაცა ავადმყოფობა და ნახევარი ჯარი ძირს დასცა. ვისაც კი შეხვდა, ცოცხალი ვერ გადარჩა. საავადმყოფოში ალაგი აღარ იყო; დაჭრილები ქუჩებში დაიარებოდნენ და როგორც შეეძლოთ, ისე სწამლობდნენ თავიანთ ჭრილობას: საავადმყოფოში ჭირით სიკვდილს, მოუვლელობა და უწამლობა გვირჩევნიათ.

მეც ასევე ვფიქრობდი და ბატალიონში დავრჩი; ხელი შეხვეული მქონდა, მაგრამ სამსახურს მაინც ვეწეოდი და თუ გაჭირდებოდა, იარაღს ცალი ხელითაც კარგად ვიხმარებდი.

პრუსიელები კი სთხრიდნენ და სთხრიდნენ მიწას. იმათი თხრილი თითქმის უერთდებოდა ჩვენსას. ნახევარი ჯარი დღე და ღამე გარედ იყო—ზარბაზნებთან—და მოკიდებული პატრუქი ყოველ წამს მზადა ჰქონდა. ისე ირეოდა ერთმანეთში გერმანული „ვერ-და“ და ჩვენი „ვინა ხარ?“ თითქო ერთმანეთში არეულან მოპირდაპირე ჯარებიო; სულ ორმოც და ათი ნაბი-

*) „მოამბე“, № III, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯით ვიყავით ერთიერთმანეთზედ დაშორებულნი, ისე რომ პრუსიელები ჩვენსა იყვნენ და ჩვენ იმათსა.

რეინის კუნძულებზედ სიმაგრეებში ჩვენი ჯარები იდგნენ და იმათაც კი არ მოუსვენეს პრუსიელებმა. განა არა, ხმა დადიოდა, პრუსიის მეფეს ჰოლლანდიელი დურგლები ჰყავს და აქვე, ჩვენს ზევით, რეინის პირას ხომალდებს აკეთებინებს, რომ კუნძულები წაგვართვასო. იმდენი იძახეს, ხვალ გამოჩნდებიან ხომალდებიო, რომ ბოლოს ყურადღებასაც აღარ ვაქცევდით ამ ხმებს და უსაფუძვლო ქორად მიგვაჩნდა. და წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც ერთს დილას რეინმა მშვენივრად მოწყობილი ხომალდები ჩამოატარა თავისი ჯარით და ზარბაზნებით; ხომალდები კი არა, მცურავი ციხეები, რადგან ისე იყო ყველა დაფარული, რომ ზარბაზნის პირის გარდა ზედ არაფერი ჩანდა.

მშვენიერი დღე იყო. ზღვასავით გაშლილ რეინზედ დინჯად მიცურავდნენ ხომალდები, მაგრამ ისე შორს, რომ ვერ მიუწევდით, კიდეც რომ გვესროლა ზარბაზნები. სროლა მაშინ ატყდა, როდესაც ხომალდები კუნძულებს დაუახლოვდნენ. თითქო კაკალს ხალხა დაჰკრესო, ისე ცვიოდა წყალში ყუმბარა. აღელდა მდორე რეინი, გაშმაგდა და მთასავით ტალღებს ისროდა. ჩაჰკრავდა სადმე ყუმბარა და ნაფოტივით შეათამაშებდა ხომალდებს. ხომალდები კი ნელნელა მიიწევდნენ და როდესაც კუნძულებს დაუპირდაპირდნენ, მყუდრო ალაგი იპოვნეს, და იქ გაჩერდნენ. გაჩერდნენ, მაგრამ იქიდანაც არ შესწყვიტეს სროლა. უბედურება ის იყო, რომ იმათი ზარბაზანი სწორედ მიზანში სცემდა და უფრო შორსაც, და ჩვენსას კი იმოდენი ძალა არა ჰქონდა, რომ ხომალდამდე მიეწია თავისი ყუმბარა. მაშინ გვეცა ელდა: თუ ამ ხომალდებს არა მოვუხერხეთ-რა, ხვალ ყველა კუნძულებს წაგვართმევენო, ვიფიქრეთ.

ისე ვიყავით დალონებული იმ დღეს გენერლიდან დაწყებული სულ უკანასკნელ ჯარისკაცამდე, თითქო ბრძოლა უკვე წაგვეგოს. და ან როგორ არ დავლონებულიყავით: თუ კი კუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძულებს წაგვართმევდნენ და ახლა იქიდან დაგვიშენდნენ ზარ-
ბაზნებს, სულ დაგვიმტვრევდნენ სიმაგრეებს და მაშინ ღმერთიც
ვეღარას გვიშველიდა.

იმ ღამეს ბინაზედ რომ დავბრუნდით, სასიამოვნო ამბავი
გავიგეთ: ხომალდების დალეწვა უკვე გადაწყვეტილია და ამ
სამძიმო საქმის აღსასრულებლად თავის-ნებით წასულნი უკვე
გაუდგნენ კასსელის გზას, რომ იქიდან ჩამოეპარნენ როგორ-
მეო. ჩვენი ბატალიონიდან თორმეტნი წასულიყვნენ და იმათ-
ში მოხუცებული ივანე სომხი და ლაფლეშიც ჩარეულიყვნენ.
თუმცა არავინ იცოდა, რა გეგმა ჰქონდათ შედგენილი უფრო-
სებს, მაგრამ ეს კი ყველამ ვიცოდით, რომ სწორედ სასწაული
მოხდებოდა, თუ ჩვენები ხომალდებს დაიმორჩილებდნენ და შინ
მშვიდობით დაბრუნდებოდნენ. კიდევ კარგი, რომ მთვარე მი-
წურული იყო და, თუმცა ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი,
მაინც საკმარისადა ბნელოდა.

ღამის ორ საათამდე დამშვიდებული იყო ყველაფერი; უ-
მისოდ, დაღამდებოდა თუ არა, მაშინვე ზარბაზანს დაგვიშენ-
და ხოლმე მტერი და იმ ღამეს კი, არ ვიცი, რა მოუვიდა, იყო
თავისთვის გაჩუმებული, თითქო ჩვენს მიძინებასა ცდილობსო.
მაგრამ ორ საათზე იმისთანა გრიალი გაისმა ზარბაზნის და თო-
ფისა, რომ ყველანი ფეხზედ წამოვხტით, აგერ, იერიშით მოვიდ-
ნენ ჩვენებიო. რომ იცოდეთ, როგორა ვწუხდი, რომ დაჭრი-
ლი ვიყავ და მეც იქ არ ვიყავ ჩემი მოხუცი სომხის გვერდით.
წამოვჯექი ჩემს ლოგინზე და გულდაწყვეტით ვფიქრობდი:

— ეჰ, ჩემო მოხუცო! იქნება სწორედ შენთვის გავარდა
ეს თოფი და ხვალ ვეღარა გნახო!

გადავხედე ჩვენს ტახტებს და ნახევარზედ მეტი ცარიელი
დამხვდა: ზოგი აღარ იყო, ზოგი საავადმყოფოში იწვა, ზოგი
საომრად იყო წასული. გამიტაცეს მწარე ფიქრებმა და იმის-
თანა უბედურად ჩემს დღეში არ მიგრძვნია ჩემი თავი, რო-
გორადაც იმ ღამეს ვიყავ. მხარიც ძალიან მაწუხებდა; ხან ისე
შემამცივნებდა, რომ სულ კანკალს დამაწყებინებდა და ხან კი-
დევ დამცხებოდა და ოფლს მასხავდა. ხან აქეთ ვეცემოდი გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩით, ხან იქით. ბოლოს ისე დავიღალე, რომ უგრძნობლად მივეგდე ჩემს ლოგინზედ და, როგორც იყო, ჩამძინებოდა. კარგა ხანს მძინებოდა, რადგან მზე კარგად მაღლა იყო, როდესაც მხიარულმა ყიჟინამ და მარსელიეზმა სიმღერამ გამაღვიძა. ჩვენი ბიჭები მიჰპარვოდნენ ერთს ხომალდს, შუაზე გადაეჭრათ ბაგირი, რომლითაც დაბმული ყოფილიყო და რეინისთვის მიენდოთ მისი ბედ-იღბალი; წყალსაც ეტარებინა, ეტარებინა და კასსელის გვერდზედ გაერიყნა სრულიად დამტვრეული; რაც ხალხი ზედ ყოფილიყო, ტყვედ წამოეყვანათ.

ისე მიამა ივანე სომის ნახვა, რომ წინ მივეგებე და ძმურად გადავეხვიე. ისე დასველებულიყო საწყალი მოხუცი, რომ ერთი რუმბი წყალი გამოიწურებოდა მის ტანსაცმელიდან; ის კი ყურადღებასაც არას აქცევდა და გულიანად ხარხარებდა. წყალში პირველი ის შესულიყო, თუმცა ფუტკარივით თურმე ირეოდა ტყვია, და ბაგირისთვისაც პირველად იმას მიეგნო.

გადიოდა დრო და მტერიც ნელ-ნელა უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. ერთი წისქვილი აღარ მოიპოვებოდა მთელს ქალაქში; სამამასახლისო სრულიად დანგრეული იყო.

14 მკათათვეს ზავი ჩამოვარდა, რადგან პრუსიელებს ამბავი მისვლოდათ, კონდე ავიღეთო; სიხარულით ზარბაზანს ისროდნენ; ჩვენ კიდევ ბასტილის ციხის აღებას ვუქმობდით. სამხედრო მოედანზედ წარმოდგენა გავმართეთ; გვინდოდა მოედანი და მეტადრე სამშობლოს საკურთხეველი მწვანე ბალახით და ტოტებით შეგვემკო, მაგრამ მთელს ქალაქში მცენარე აღარსად მოიპოვებოდა.

სამშობლოს საკურთხეველთან შევიკრიბენით ყველანი და მერლენ ტიონვილელმა ძალიან მჭევრმეტყველურად დაგვიხატა ჩვენი ღვაწლი სამშობლოს წინაშე. ამ სიტყვამ და გალობამ ისევ ტკბილი იმედით ამივსო გული და ისე გამიქარვა შავი ფიქრები, რომ ჩემი ჭრილობაც კი დამავიწყა.

მეორე დღეს იმისთანა დაჟინებით დაუშინეს ჩვენს ბინას ზარბაზანი, რომ მაშინვე ვთქვით, ჩვენ აქ აღარ გვედგომებაო. საჩქაროდ გავიტანეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და გარეთ გამოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვიოდით. ის იყო, ქუჩაში გავიდით, როდესაც ათზედ მეტი ყუმბარა გასკდა ჩვენი ძველი მონასტრის ეზოში და სულ მიანგრია იქაურობა.

ჩვენი ბატალიონი უკვე დანგრეულ საკრებულო ტაძართან ჩაიყვანეს და იქ ნანგრევებზე დააბანაკეს.

ბოლოს დროს ისე დაიშვა ჯარი, რომ ქალაქიდან გარეთ მტერთან საბრძოლველად კი არა, საჭმელის საშოვნელად უფრო გავდიოდით. როდესაც მტრის ჯარში ბრძოლის დროს პურს დავუნახავდით ვისმე, უბედური ცოცხალი ვეღარ გადაგვრჩებოდა. ექვსნი-შვიდნი მივესევოდით ხოლმე, თითქო მეზაირალე იყოსო, და რაც უნდა ბევრნი ყოფილიყვნენ მის გარშემო პრუსიელები, ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზამდით, ყველას ამოვხოცდით და პურს მოვიტაცებდით. წამოვაგებდით თოფის ხიშტზედ და ისე შევათამაშებდით, თითქო მტრისთვის ბაირალი წაგვერთმიოსო. გერმანელებმა იქნება დღემდინაც არ იციოდნენ, რად მივცვივდებოდით ხოლმე ზოგ-ზოგს იმათგანს ცოფიანი მგლებივით დავდევდით და ვებრძოდით, მანამ ანდერძს არ ავუგებდით; იმიტომ მივცვივდებოდით ხოლმე, რომ პური ჰქონდათ, პური, და არა იმიტომ რომ უბედურს ვარსკვლავზედ ყოფილიყვნენ დაბადებული, და იმათი ცხვირ-პირი არ მოგვწონდა.

კიდევ კარგი, რომ საერო კრების წარმომადგენელი მერლენ ტიონვილელი ჩვენთან იყო და გვამხნევებდა. ერთხელ ცხენოსანი ჯარი გაიყვანა ქალაქიდან, პრუსიელების რაზმები უნდა გავარღვიოთო. გარღვევით ვერ გაარღვია, რადგან შეუძლებელს ქრისტე-ღმერთიც ვერ შესძლებს და ჩვენ კი დიდი იმედი შთაგვბერა თავისი გამბედაობით და დაუღალაობით. ერთ ციხეს ტიონვილელის სახელი ვუწოდეთ, და როდესაც მტერმა წაგვართვა იგი, ორმოც და ათი კაცი წაიყვანა და მტერს მიუხტა, ჩემი ციხიდან უნდა გავრეკოთო. იმედი ალარავისა გვქონდა, რომ ცოცხალი დაბრუნდებოდა, მაგრამ მაშინაც მშვიდობიანად გადარჩა და ეს უკანასკნელი ნუგეშიც არ დაგვაკლდა. ამიტომ უყვარდათ კიდეც ჯარებს და დიდ პატივსა სცემდნენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარზედ რომ ყოფილიყო დამოკიდებული, გენერლად იმას დანიშნავდნენ. რაც შეეხება საერო კრების მეორე წარმომადგენელს რევბელს, იჯდა თავისთვის, და მთელი დღე ქაღალდებსა სინჯავდა და ანგარიშებს ასწორებდა; არც ისე უყვარდა იგი ჯარს... თუმცა მართალი რომა სთქვას კაცმა, რესპუბლიკას ყოველგვარი მოსამსახურე უნდა ჰყავდეს და უმთავრესი ის არის, ჩვენი შოველისა არ იყოს, რომ ანგარიშები რიგზედ იყოს მოყვანილი.

ამ გაჭირებაში რომ ვიყავით, ერთს საღამოს შორიდან ზარბაზნის ხმა შემოგვესმა; ცა ნაკვერჩხალივით აწითლებულიყო და საშინელი სროლის ხმა მოდიოდა. აგერ კუსტენი მოდისო, შესძახა ერთხმივ ჯარმა და სიხარულით ერთიერთმანეთს ხვევნა დავუწყეთ. თვალი არავის მოუხუჭავს, მთელი ღამე თოფ-იარაღით ხელში საომრად გამზადებულნი მოუთმენლად ველოდით კუსტენის მოახლოვებას, რომ შიგნიდან ჩვენ შევვეტია პრუსიელებისთვის. მაგრამ გათენდა, ამოვიდა მზე და კუსტენი კი არსად იყო; სამრეკლოს გუმბათიდან აფიცრები გადმოიყურებოდნენ დურბინდებით და, საცა კი თვალი მისწვდებოდა, ყველგან მტრის რაზმებს ხედავდნენ და სხვას არაფერს... მგონი ავდარი იყო იმ მხარეს, ჭექდა და ქუხდა, და ჩვენ კი კუსტენის ზარბაზნები გვეგონა. მშიერს ქათამს სიზმარში ფეტვი ელანდებაო, ხომ მოგეხსენებათ.

ისე გადაგვიწყდა გული იმდენი ლოდინით, რომ ერთს-და ვნატრობდით: ნეტავი არ იქნება მალე მოვიდნენ ქალაქზედ პრუსიელები, რომ იმათი სისხლით გავძღეთო! ოღონდ ჯავრი კი ამოვიყაროთ და თუნდა ას ნაკუწად გვაქციონო! და ამ ფიქრებში რომ ვიყავით, უეცრად ხმა გავარდა, სამხედრო საბჭოს ქალაქის დანებება დაუდგენიაო. თავდაპირველად ეს ამბავი არავისა სჯეროდა, მაგრამ როდესაც თვით ჩვენმა აფიცრებმა გამოგვიცხადეს, მაშინ კი ყველგან დრტვინვა გაისმა ჯარისა.

მეორე დღეს 24 მკათათვეს 1796 ბრძოლა აღარ ატეხილა. გარნიზონი სამხედრო მოედანზედ გაიყვანეს. ვინც უფრო უკმაყოფილონი იყვნენ ქალაქის დანებებისა და მათ შორის ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე სომი, თოფები გასტენეს და ისე წაიღნენ მოედანზედ. ჯარი დალაგდა. ათ საათზედ თვით გენერალიც გამოჩნდა თავისი ამალით; მასთან ერთად იყვნენ კომისრები რევბელი და ტიონვილელი. აქეთ-იქიდან ხმა გაისმა: სიკვდილი სამშობლოს გამყიდველთ! ისინი კი მშვიდად, დარბაისლურად შემოვიდნენ შუა მოედანზედ, გაჩერდნენ ჯარის წინ, მოითმინეს, ვიდრე ეს ყვირილი შესწყდებოდა და მაშინ ყველა რაზმს თავისმა წინამძღოლმა წაუკითხა პირობები ქალაქის დანებებისა, რომლის ძალით საფრანგეთის ჯარები პრუსიის მეფეს უთმობდნენ ქალაქ მაინცს, კასსელით და ყოველი სიმაგრეებით; საფრანგეთის ჯარები სრულიად თავისუფლად და მთლად თავის ბარგით და დაჭრილებით გაემგზავრებოდნენ შინისკენ, ოღონდ აღთქმასა სდებდნენ, რომ ერთის წლის განმავლობაში გერმანელებთან ომში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

დაწვრილებით იყო მოხსენებული ყოველივე—ფულის გაცვლა, ავადმყოფების და დაჭრილების წაყვანა ჩვენს სამძღვრებამდე, ჩვენგან მიტოვებული ციხეების დაჭერა, მეტი იარაღის და ტყვია-წამლის ჩაბარება და სხ. და სხ.

ნახევარ საათი გასტანა ამ პირობების კითხვამ; საქმე ისე იყო მოგვარებული, რომ ჩვენს მხედრულ ღირსებას არა აკლდებოდა-რა. მივდიოდით, მაგრამ ჩვენი დროშებიც თან მიგვქონდა, იარაღიც, ბარგიც; ამ სიამოვნებას ზედ ერთოდა ტკბილი რწმენა, რომ ახლა კი აგვისრულდება დიდი ხნის ნატვრა და შინ დავბრუნდებითო.

— მორჩა, გათავდა ამოდენი ტანჯვა,—ვიძახდით ჩვენს გულში.—ალბად, ღირსეულად დაგვიხწევია თავი, რომ ასე კმაყოფილნი არიან ჩვენი უმფროსები. როგორც არა გვქონდა-რა, როცა მოვედით, ისე წასვლისას არა გვაქვს-რა. საწყალი მაინცელები, თორემ ჩვენ რა გვიჭირს! სახლი იმათ აღარ შერჩათ დაუნგრეველი და ეკკლესია! ჩვენ ხვალ-ზეგ ისევ სამშობლოში ვიქნებით, მშობლიური ენით და მშობლიური სიმღერებით დავტკბებით და რესპუბლიკის ამბებს გავიგებთ. მეტი რა უნდა გვინდოდეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გახარებული ვიყავით ყველანი, მაგრამ ორი დღის შემდეგ, როდესაც უკან დაგვრჩა ძველი, გადამწვარი და დანგრეული ქალაქი, რომელშიაც იმოდენი ტანჯვა-წვალება გამოვსარეთ უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში, ისე აგვიჩქროლდა გული, თითქო სამშობლოს ვეთხოვებითო. და ვეთხოვებოდით კიდეც, საუკუნოდ ვეთხოვებოდით ჩვენს ამხანაგებს, რომელნიც მაინცში იყვნენ დამარხულნი. დიაღ, 25 მკათათვეს 1793 წ., როდესაც ნაღარის ხმა შესწყდა სამხედრო მოედანზედ და წინამძღოლების ბრძანება გაისმა: ჩქარი ნაბიჯით... მარჯვნივ... იარეთ! და დაიძრა ჩვენი ჯარი, ბევრს ჩვენგანს გადმოსცვივდა ცრემლი. მაინცელები დიდით-პატარამდე გარეთ იყვნენ, დამშეულები, დაგლეჯილ-დაფლეთილები. ქალები ტიროდნენ; ვაჟკაცები გაჩუმებულნი შემოგვცქეროდნენ და ვინ იცის, როგორა გვწყევლიდნენ და გვაგინებდნენ თავიანთ გულში; მაგრამ ყველაზე შეწუხებული დოქტორი ჰოფმანის კლუბის მიმდევრები იყვნენ, რომელნიც კარგადა ჰგრძნობდნენ, რომ გერმანელი მართებლობა იაფად არ დაუსვამდა საფრანგეთის და მეტადრე რესპუბლიკის მხარის დაჭერას.

წინ პრუსიელი დრაგონები მიგვიძღვოდნენ და მერე ჩვენ მივდიოდით ყველა თემელი შეთქმულები. ნასახიც აღარ გვეტყობოდა ჯარისა—ტანისამოსის წილ ტურტლიანი კონკებიღა შეგვრჩენოდა, ფეხსაცმელი მჩვრებით გვქონდა შეკრული, ექვსი თვის უპარსი წვერი დაგვეშვა... მაგრამ იმისთანა ამაყად მივათამაშებდით თოფს, თითქო უკეთესად გაწყობილი ჯარი ქვეყნად აღარსად იქნებოდაო.

მართალია, ტანსაცმელით ერთიერთმანეთს აღარა ვგავდით, მაგრამ სამაგიეროდ ყველანი ერთნაირად ვიყავით დაფლეთილები და გამხდრები. უკან სენტონჟელი მსროლელები მოგვდევდნენ, მერე ლანგდოკელი ცხენოსნები და სხვანი. შევედით თუ არა პრუსიელების ბანაკში, მსროლელების მუსიკამ მარსელიური დაუკრა. და იმოდენა ჯარმა, ჩვენი ბატალიონიდან დაწყებული სულ ბოლოს რაზმამდე, ერთ ხმივ შესძახა თავისი გამამხნევებელი სიმღერა. აქეთ-იქიდან ხალხი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიყო ჩვენი სირცხვილის სანახავად,—მოქალაქენი, გლეხკაცობა, სამღვდელოება და საფრანგეთიდან გახიზნული დიდებულნი; ყველას პრუსიული კოკარდა გაეკეთებინათ თავზედ, თან ქალები წამოეყვანათ და საფრანგეთის რესპუბლიკის დამცირების ნახვა ნებავდათ; მაგრამ ღვთის წყალობა გაქვთ, იმათ ფერი ეცვალათ ჩვენი მედგარი მარსელური რომ გაიგეს. ესეთი სახით შემოგვყურებდნენ, თითქო ფიქრობენ:—გმადლობთ, შენ ღმერთო, რომ ამათი პირობები მივიღეთ და თავიდან მოვიშორეთ, თორემ ამათთან ბრძოლა ხუმრობა არ უნდა ყოფილიყო.

ასე და ამგვარად გამოვედით მაინციდან. დამარცხებულნი და შერცხვენილნი კი არ წამოვედით, არა! იმიტომ წამოვედით, რომ ქალაქის დანებებით უფრო მეტს ვიძენდით, ვიდრე ბრძოლით; ამასთან ისიც კარგად ვიცოდით, რომ, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, გამარჯვება ჩვენი იქნებოდა და მაშასადამე მოცდა სჯობდა. ისე მოეწყო სხვა-და-სხვა გარემოება, რომ ბრძოლის მაგიერად ორივე მხარემ მოლაპარაკება ირჩია; ჩვენ ჩვენთვის საუმჯობესო ვითხოვეთ და რადგან ყველაფერზედ დაგვთანხმდნენ, გიჟები ვიქნებოდით, შემთხვევით არ გვესარგებლნა.

გავცდით ბანაკს, გავედით სიმაგრეებს და თხრილებს, გავცდით დანგრეულ და აოხრებულ სოფლებს. შევეერიეთ მწვანე მინდორს, შეჭრელებულ ყურძენს, დაბურულ ტყეს და თავისუფლადაც ამოვისუნთქეთ. უფროსებმაც ნება მოგვცეს, იარაღი თქვენს ნებაზე ატარეთო!

პირი სამშობლოსკენ გვქონდა, განა მეტი ბედნიერება კიდევ იყო რამე ჩვენთვის! ვილას ახსოვდა გაჭირება, შიმშილი, სიცივე და განსაცდელი! შინ მივდიოდით, შინ! საფრანგეთს კიდევ ვნახავდით! მოგვაგონდებოდა მაინცში დახოცილი ამხანაგები და ღმერთს მადლობასა ვწირავდით:

— ღვთის განგება, თორემ ჩვენ კი გადავრჩებოდით?!

მივდიოდით და ჩვენვე გვეცინებოდა ჩვენის თავისა: ჰაი თუ გაიკვირვებენ, ამ ყოფაში რომ გვნახავენ! რამდენ ქებასა და დიდებას შემოგვძლვნიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებულნი მივეშურებოდით შინისკენ, დარწმუნებულნი, რომ ყველგან აღტაცებით მიგვიღებდნენ და გულუხვად გაგვიმასპინძლდებოდნენ:

— გაუმარჯოთ მაინცელ გმირებსაო!

ორი დღის სავალს ერთ დღეში ვვლიდით, რომ შინ უფრო ჩქარა მივსულიყავით. პრუსიელები ჯერ ისევ წინ მიგვიძღვოდნენ, თითქო ტუსაღები ვყოფილიყავით, და ეს უფრო გვაჩქარებდა, ჩქარა მივატანოთ საფრანგეთს, რომ მოგვშორდნენ წუწკებიო. ისე ვიარეთ, რომ ოთხ დღეზედ სარბრიუკს დავუახლოვდით.

ჩვენგან დამარცხებულ ქვეყანაში ვიყავით ჯერ ისევ და სამაგიეროს იმითი გვიხდიდნენ ომისაგან გაღატაკებული გერმანელები, რომ თავის წონა ოქროდ აფასებდნენ ყველაფერს. პური, ხორცი, ყველი მამასისხლადა ფასობდა; ან რა ექნათ, რომ გასასყიდიც აღარა ჰქონდათ-რა. მანამ ძალა ხელთა გვქონდა, საწყალ ხალხს ჩვენვე შევუჭამეთ, რაც რამ ებადათ და ახლა ჩვენვე ვენდუროდით, ასე ძვირად რად გვიფასებენო. გულს იმითი ვიმშვიდებდით, რომ საცაა საფრანგეთში შევალთ და იქ სულ სხვა იქნებაო.

საცა კი გავჩერდებოდით, ხალხი შემოგვეხვევოდა და აქაიქ გაგონილი საფრანგეთის ამბები კარგს არას გვიქადდნენ, ერთს პატარა ქალაქში გავიგეთ, ვანდელები აჯანყდნენო. ცოტა ხნის შემდეგ სთქვეს, მარატი მოკლა ერთმა ქალმაო. ჰომბურგში სთქვეს, ჟირონდელები გაიქცნენ პარიზიდანაო. ელვასავით მოედებოდა ხოლმე ეს ამბები მთელს ჯარს და გვაღონებდა ყველას, მაგრამ ისე არაფერს დავუღონებივართ, როგორადაც დიუმურიეს ღალატმა დაგვაღონა. ჩვენ მარტო მაშინ გავიგეთ, რომ დიუმურიეს იმ სამი თვის წინად სამშობლოსთვის ეღალატნა და მტერს მისდგომოდა.

დავუახლოვდით სარბრიუკს და მეც გულმა კვნესა დამიწყო: ასე ახლო იყოს კაცი ფალსბურგზედ, და შინ კი არ მივიდეს? ისე გაიაროს, რომ არც გულის საყვარელი ნახოს, არც დედ-მამა და მეგობრები? ჩვენებურები სულ ყველანი შინისკენ მიიწევ-

ეროვნული

დნენ, მაგრამ ჩვენმა უფროსმა ჟორდიმ შოველისაგან იცოდა, რომ მარგალიტას საქმრო ვიყავ და ძალიან წყალობის თვალით მიყურებდა. მეოთხე დღეს, შესასვენებლად რომ დავდექით, მივედი და, 48 საათით დამითხოვეთ-მეთქი, ვთხოვე. ჯერ ისევ ცხენზედ იჯდა... ჩაფიქრებული დამცქეროდა ზემოდან რადგან იმასაც ენატრებოდა შინ შებრუნება და თავისიანების ნახვა. კარგა ხანი მიყურა, სახე დაეღვრიმა... შემეშინდა, უარი არ მითხრას-მეთქი. მაგრამ უცბად გამიღიმა და მკითხა:

— მარგალიტას ნახვა გინდა, განა?

— დიაღ, ბატონო, მარგალიტასი და მამი-ჩემისა.

— ძალიან კარგი,—მიბრძანა ჟორდიმ და თან აქეთ-იქით მიიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო.—გეყურება, სარბრიუკში შევალთ თუ არა, ჩემთან მოხვალ და დათხოვნის ქაღალდს მიიღებ. ოღონდ, ეს კი იცოდე, ხმა არ ამოიღო შენს ამხანაგებთან, თორემ ვაი შენი ბრალი. ღამე წადი, რომ არავინ გაგიგოს. თუ გაიგეს, ერთი დაითხოვაო, ყველანი მოინდომებენ შინ წასვლას და ოკითაც ველარავის დავიმაგრებთ. წადი და არა სთქვა-რა.

რაღა თქმა მინდოდა, მე თითონაც კარგად ვიცოდი, რომ ჩვენებურებს ყველას უნდოდა შინ მისვლა და სამას ოც და ხუთი კაციდან ერთიც აღარ დარჩებოდა ბატალიონში, რაკი გაიგებდა, რომ ზოგი დაითხოვეს და ზოგი კი არა. განა არა, ვგრძნობდი, რომ უსამართლოდ ექცეოდა ჩემს ამხანაგებს ჩვენი უფროსი, მაგრამ ისე მწყუროდა ჩვენების ნახვა, რომ ყველაფერს ვიზამდი, ოღონდ შინ მისვლა მღირსებოდა.

საღამოზედ „დიდი ირემის“ სასტუმროში ვეახელ ჩ დათხოვნის ბარათი იქ მომცა. ჩემს გარდა ას ორმოც და ათ კაცს სხვას ეთხოვნა, მაგრამ ყველასთვის უარი ეთქვა. სარბრიუკი უკანასკნელი ქალაქი იყო გერმანელებისა; წყალ-გაღმა უკვე საფრანგეთი იწყობოდა და იმავ საღამოს, ცხრა საათზედ, ივანე სომს კი წავჩურჩულე—შინ მივდივარ-მეთქი-და გზას გავუდექ.

თოფი და გუდა-ნაბადი ბარგში დავტოვე. მართალია, ოთხი დღის სიარულით ძალიან დაღალული ვიყავ, მაგრამ რაკი ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისკენ მივიბრუნე პირი, ისე მივქროდი, თითქო ფრთები შემასხესო. რა კარგი რამ არის სიყმაწვილე! რომელი ფრთები შეედრება ოცს წელს და შეყვარებულ გულს! მივრბოდი, მივქროდი და სულ იმას ვნანობდი, რომ ერთი ნახტომით არ შემეძლო იმოდენი მანძილის გადავლა! სიცოცხლე ნეტარებად მიმაჩნდა, გული სიყვარულით მქონდა აღსავსე და თავი მომავლის ტკბილი იმედებით. და ეხლაც, რომ მომაგონდება მაშინდელი ჩემი სირბილი, იგივე ხალისი მომივლის სიჭაბუკისა და ისე მგონია, ისევ გზაში ვარ და მარგალიტასკენ მივეშურებიმეთქი. თვალ-წინ მიდგას მარგალიტა, მოხუცებული მამა-ჩემი, ნათლია-ჩემი... არა, ფრთები არა მქონდა, მაგრამ ჩიტივით კი მივფრინავდი.

მერე კარგი დარიც დამიდგა! მშვენიერი ღამე იყო, ზაფხულის, მთვარით გაკაშკაშებული ღამე! დამშვიდებული იყო ყველაფერი, თითქო ბუნებასაც ჩასძინებიაო და მარტო ჩემი ფეხის ხმა არღვევდა ღამის მყუდროებას და შორიდან მდინარე სარის შხუილი მოისმოდა.

აგერ ირაჟრაჟა. მზემ თავისი სხივები სტყორცნა დილის ნიავით შეცივნულ ბუნებას. მინდვრიდან, გზის აქეთ-იქიდან მუშების ხმაურობა გაისმა. უკვე წყლის პირას ვიყავ. ორი თვე მეტი იქნებოდა, რაც სარეცხი არ გამოგვეცვალა და ადვილი წარმოსადგენია, რა ჭუჭყიანი ვიქნებოდი. ამაზედ კარგი შემთხვევა სადღა მექნება, ჩავალ და ვიბანებ-მეთქი, ვიფიქრე. ბილიკზედ ჩავიარე, ტანთ გავიხადე და თქვენს მტერს, რაც მე მაშინ ჭუჭყი გავიბანე! მერე მშვენიერი, ნელ-თბილი წყალიც იყო! გადავწვებოდი ხან ერთ გვერდზედ, ხან მეორეზედ და, რა კარგი ყოფილა კეთილი ცხოვრება-მეთქი, ვიძახდი.

ნახევარი საათი მეტი ვიყავ წყალში და როცა გამოვედი, მზე უკვე ამოსულიყო და კარგა ლამაზად შეეცხელებინა ქვა და ქვიშა. მაღლიდან ტოროლას გალობა ისმოდა და შორს, ჩვენი მთები მოჩანდა, ჩვენი ვოზგის მთები.

საქმე ის იყო, რაც შეიძლებოდა კარგად გამოწყობილი ვჩვენებოდი მარგალიტას. ჩემს სავარცხელს სამი კბილი-ღა შერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენოდა, მაგრამ უარარაობაში ისიც კარგი იყო და თმა-და წვერი, როგორც იყო, დავივარცხნე. ტანისამოსისთვის რაღა მეშველა? შალვარის გაბერტყა მინდოდა, მაგრამ, როგორ გამებერტყა, რომ ერთი დაქნევით იქნება სულ მტვრად ქცეულიყო. ერთი მტკაველის ოდენი ალაგი არ იპოვებოდა ზედ დაუგლეჯელი. ვუყურე და თავი დავანებე: ომიანობამ ასე იცის-მეთქი. კიდევ კარგი, რომ პერანგს არა უჭირდა-რა და გასარეცხად ჯერ ისევ ვარგოდა.

დაფლეთილი წაღები როგორც იყო ბაწარით შევიკარ... დიაღ, ის კოხტა მიხო აღარ გახლდით, კვირაობით მარგალიტას სანახავად რომ ვიკმაზებოდი ხოლმე პატარა სარკის წინ! დიაღ, ის მიხო აღარ გახლდით, მაგრამ გული მითქვამდა, რომ მარგალიტა ასეც არ დამიწუნებდა და უფრო გულიანად გადამკოცნიდა. უმთავრესი კი ის იყო, რომ მარგალიტას არ დავეწუნე.

ისევ გზას გავუდექი. საცა კი სოფელში გავიარე, იმისთანა გაჭირება ვნახე ყველგან, რომ ეხლაც ყურში მიდგას დამშეული ხალხის კვნესა. ოჯახის ბურჯი, ოჯახის მაცხოვრებელი, ვისაც შრომა შეეძლო, ყველა ჯარში გაიყვანეს და შინ მარტო გაჭირება დასტოვეს და შიმშილი. სიღარიბისაგან უდროოდ წელში მოხრილი და მოხუცებული სოფლელები რომ დამინახავდნენ მიმავალს, შორიდანვე სინჯვას დამიწყებდნენ ხოლმე და ყველას თავისი შვილი ან ძმა ელანდებოდა: იქნება ჩვენი ბიჭი მოდისო!

მივუახლოვდებოდი და გავუცრუებდი წამიერ იმედს.

— გამარჯვებათ, ხალხო!

— გაგიმარჯოს,—მიპასუხებდნენ ნაღვლიანი ხმით და შინისკენ მიეშურებოდნენ.

დილის შვიდ საათზე ერთ პატარა ქალაქში შევედით თუ არა, მაშინვე მაინცელი ჯარის უკადრისად ხსენება მეცა გულში. გავბრაზდი, მინდოდა ღირსეული პასუხი მიმეცა თავხედისთვის, მაგრამ იმისთანა სუსტი რამ იყო ჩემი მოპირდაპირე, რომ ხმაც აღარ გავეცი: დუქანში ვიჯექ და გაჩქარებული ვილუკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებოდი. ცივად ხორცი მომიტანეს ძროხისა და შინაური თეთრი ღვინო. იმ დროს დალაქიც შემოვიდა; მედუქნე, ერთი მოხუცებული, ჭაღარა კაცი, იქვე შუა დუქანში გამოიჭიმა სკამზედ და დალაქმა პარსვა დაუწყო; თან ხან აქეთურს ამბობდა, ხან იქითურს; აქეთური მიკიბა, იქითური და მერე ჩვენს ჯარსაცა სწვდა: მაინცელმა ჯარმა სამშობლოს უღალატა, თორემ განა იმ სიმაგრეებს მტერი შეუვიდოდა?.. სწორედ საჭიროა, რომ „ქვეყნის მფარველმა“ კომიტეტმა განიხილოს მათი ღალატი და დამნაშავეებს გილიოტინით თავები დააყრევინოსო.

გადავხედე უბედურს, სიცოცხლე ხომ არ მოსჭარბებიამეთქი! მაგრამ რა? ერთი ბეწვა, ქონდრის კაცი იყო, მისუსტებული და დალეული. ის ენაც რომ არა ჰქონოდა, თაგვები ჩაითრევდნენ სოროში. გადავხედე თუ არა, მაშინვე დავმშვიდდი.

გავათავე ჩემი სადილი და ბებერ მედუქნეს ნათლია-ჩემისაგან გამოტანებული ოქრო გადავუგორე. ოქროს დანახვაზედ ისე განცვიფრდა, თითქო სასწაული ნახა რამეო: გაშტერებული უყურებდა კარგა ხანი, მერე მივარდა, აიტაცა და ფანჯარასთან მიარბენინა, რომ სინათლეზედ უფრო კარგად გაესინჯა. დიდი ხანია ოქრო აღარ გვინახავსო,—სთქვა და ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ მართლა ოქრო იყო და არა ყალბი ფული, დახლიდან ხურდა გადმომითვალა ასსიგნაციებით და შავი ფულით. ახლა მე დავრჩი განცვიფრებული: ერთ ოქროში ოთხის ფასი მომცა. მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩვენს ასსიგნაციებს თითქმის სრულიად დაჰკარგოდათ ფასი და თავის მეოთხედადაც ძლივს-ღა გადიოდნენ. რა გაჭირებაში უნდა ყოფილიყო საწყალი ხალხი იმ ფულის სიძვირეში?! კიდევ კარგი, რომ ამ ასსიგნაციებით გახიზნული დიდებულების და მონასტრების მამულის ყიდვა შეიძლებოდა, თორემ იმათ აღარავინ აიღებდა და რევოლიუცია დაიღუპებოდა.

ისევ გზას გავუდექ და ყველგან დიდად აღელვებული მეჩვენებოდა ხალხი. მაინცის დანებების ამბავი უკვე მისულიყო და მთელი ალზას-ლორენი აღშფოთებული იყო. ყველანი შეწუხებულნი იყვნენ, რადგან ჯარში გასულების გარდა, ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი დარბაისელი კაცი წასულიყო გერმანიაში რესპუბლიკური აზრების საქადაგებლად და არავინ იცოდა, სად იყვნენ და რა მოუვიდათ, რომ აღარც ცოცხალი ჩანდნენ და აღარც მკვდარი. ყველას მწუხარება ეტყობოდა, მაგრამ ისე მივეშურებოდი, რომ ყურადღებასაც არას ვაქცევდი; ან რა იყო იქ საყურადღებო? მაინცში ყოფნის დროს მე იმდენი უბედურება ვნახე ადამიანისა, იმდენი სისხლის-ღვრა და კაცის-კვლა, რომ ხალხის წუხილი აღარად მიმაჩნდა.

ერთ სოფელში სამამასახლისოს კარებზე აუარებელი ხალხი შეგროვილიყო; შუაში ჟანდარმები იდგნენ და ჯარში გასაყვან ბიჭების სიას ადგენდნენ. ის იყო ხიდზე შევდექ და შემაყენა კიდეც წესიერების მცველმა: დათხოვნის ბარათი მაჩვენეო. მაშინვე ამოვიღე და გადავუშალე. იმოდენი ხალხი ჩვენ შემოგვჩერებოდა. წაიკითხა ბარათი, მომცა და ჩუმად მითხრა:

— გეტყობა, ცუდ დღეში ყოფილხარ, რომ აგრე ჩამომდნარხარ, ძმობილო. ვიცი, დიდი გაჭირება გამოიარეთ, მაგრამ ნურავის ეტყვი, რომ მაინციდან მოდიხარ, თორემ აქ უარესს დღეში ჩავარდებიო.

სალამი მივეცი და ხმის ამოუღებლივ ჩემს გზას გავუდექ გულდაწყვეტილი. ან როგორ არა მწყენოდა ეს დარიგება,—ნურავის ეტყვი, რომ მაინციდან მოდიხარ, თორემ აქ უფრო ავი დღე დაგადგებაო. მერე რა დავაშავეთ, რას გვენდუროდნენ? ან ვინ გვენდუროდა? ვინა-და, ნაცარქექია დევ-გმირები, რომელნიც შინ ბრძანდებოდნენ დამშვიდებულნი, მაძღრისად სჭამდნენ, ნებისად სვამდნენ, თბილად ეძინათ, დიდებულების მამულებს ყიდულობდნენ და ჩვენ კი სამშობლოს ღალატსა გვწამებდნენ! ჩვენ თავგანწირულნი ვიბრძოდით მტერთან, სიცოცხლეს არა ვზოგავდით, იმოდენი ხანი მშიერ-მწყურვალნი და ტიტველნი ვეყარენით, და უსინიდისოებმა ესეც არ გვაკმარეს და ახლა ჩვენი პატიოსნების შელახვა მოინდომეს და ღალატი დაგვწამეს! გულს მიწყლავდა ხალხის უსამართლობა და სისულელე. მაშინ კი არა, რადგან ძალიან აღშფოთებული ვიყავ, და შემდეგში კი ხშირად მომსვლია აზრად, რომ რევოლიუციის

მტრები იმიტომ ავრცელებდნენ ხალხში ამ ხმებს, რომ ხალხისა და მაინცელი ჯარების შუა სიძულვილი ჩამოეგდოთ. მგონი, რომ ეს უნდა ყოფილიყო იმათი წადილი.

აგერ შორიდან ფალსბურგიც გამოჩნდა. თითქმის შინ ვიყავ; ცოტა ხანი კიდევ და ჩემს მარგალიტასაც ვნახავდი, მამაჩემსაც, პატარა სტეფანესაც... მაგრამ არა, არ მიხაროდა. გული მომიკლა ჟანდარმის დარიგებამ და სულ იმის ფიქრში ვიყავ, რომ ხალხისთანა უმადური არა იქნება-რა მეთქი.

შუადღე იყო, ფალსბურგში რომ შევედი. იქვე ქალაქის პირში საბაჟოს კარებში, სწორედ ჯარის ბინის პირდაპირ, გამოჩნდა ჩვენი ძველი ნაცნობი პულე, რომელიც ხელმწიფის დროს ხელმწიფის ჯაშუში იყო და ეხლა, რესპუბლიკის დროსაც, არ დაეტოვებინა თავისი ხელობა: ეხლაც იგივე ჯაშუში და მაბეზღარი იყო და სხვის უბედურობით ცხოვრობდა. ეტყობოდა, ძალიან ტკბილად შერგებოდა ასე ნაშოვნი ლუკმა, რადგან ერთი-სამად გასუქებულიყო და იმისთანა ფაშვი გადმოეგდო, რომ ძლივს-ღა იძროდა. ხელში ყველი და პური ეჭირა და ისე ილუკმებოდა, იტყოდით, დიდი ხნის დამშეული მხეცია და არა ადამიანიო. ქუდზედ რესპუბლიკური კოკარდა გაეკეთებინა, სიცხისაგან შეწუხებულს საკინძი ჩამოეხსნა და ისე გულგადაღეღილი მობაჯბაჯებდა. რომ დამინახა, გამხდარი და დაფლეთილ ტანსაცმელში გახვეული, სიცილი დაიწყო და იქვე გზის პირად ჯარის-კაცებს გასძახა:

— თქვენ ეი! ჩუმად იყავით! გასწორდით! სამხედრო სალამი მიხეილ ბასტიენს, მაინცელ ჯარის წარმომადგენელს, რომელმაც ისე გმირულად დაანება მტერს ქალაქი, რომ თოფიც არ დაუცლია!

ყვიროდა რამდენადაც კი შეეძლო და თან ხან ჯარის-კაცებს გადახედავდა, ხან მე. იმოდენი ხალხი მე შემომჩერებოდა. ბრაზი მომერია, ფერი მეცვალა, ხმის ამოუღებლივ მივდიოდი ჩემს გზაზედ და პულეს რომ დავუპირდაპირდი, იმისთანა სილა ვტკიცე, რომ სამჯერ გადაკოტრიალდა იმ სიმსხო კაცი. მივგორავდა და თან ღრიალებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიჭირეთ! დაიჭირეთ, ეგ კაცის მკვლელი! მიშველეთ, ხალხო, ვერა ხედავთ, რომ მოკვლას მიპირებს!

წამოდგა, როგორც იყო, და მაინც ჩემს დაჭერას შესძახოდა ხალხს:

— გამოუდექით, დაიჭირეთ! განა ჩემისთანა პატრიოტს ასე უნდა ახოცვინებდეთ?!

მე კი მივდიოდი, არც ფეხი ამიჩქარებია, არც უკან მიმიხედნია.

ჯარის-კაცები გაკვირვებულნი შემომცქეროდნენ.

გზის პირას მოხუცებული ათისთავი იდგა; სიცილი წასკდა და დამიძახა:

— ყოჩაღ, ბიჭო! საცა თავისი სთქვას, შენსასაც ნუ დაივიწყებს ეგ წუპაკი, ეგა! ეს მითხარ, მაინციდან მოდიხარ?

— მაინციდან გიახლები.

— აგრე რამ ჩაჰმოგაღონო, შე კაი კაცო?

— გაჭირებამ, ბატონო.

ათისთავი ჯარის-კაცებს მიუბრუნდა და უთხრა სიცილით:

— იცით, ბიჭებო, იქნება კიდეც გვიღალატეს ამათმა გენერლებმა, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამ საწყლებს არაფერი რგებიათ.

ამ დროს პულეც მოგვიახლოვდა ყვირილით:

— დაიჭირეთ! შეჰკარით, ეგ ქვეყნის მოღალატე! შეჰკარით კანონის ძალით, იმიტომ რომ ეგ არისტოკრატია და ხალხის მტერი!

— იარე, ძმობილო, და ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს.—მითხრა ათისთავმა.

ძალიან კარგ გუნებაზე ვიყავი, ქალაქში რომ შევედი; ჩემი ჯავრი პულეზე ვიყარე და ისე მომეშვა გულიდან ყოველი დარდი, თითქო სუყველაფერი იმ სილას გაჰყვაო. მივდიოდი და მარგალიტას გახარებული, გაბრწყინვალებული სახე მიდგა თვალ-წინ. აქეთ-იქიდან ნაცნობი ხმები ისმოდა:

— მიხოს გაუმარჯოს, მიხოს!... ხომ კარგადა ხარ, მიხო?

მაგრამ ისე მივეჩქარებოდი, რომ თავს ვუკრავდი მარტო და ხმის ამოუღებლივ მარგალიტასკენ მივეშურებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუკსის ქუჩაში შორიდანვე თვალში მეცა შოველის წიგნის მაღაზია ფანჯარაში გამოწყობილი წიგნებით და გაზეთებით და ისე ამიძგერდა გული, რომ ერთს წამს გავჩერდი სულის მოსაბრუნებლად. ცალკე ნეტარებასა ვგრძნობდი, რომ ისევ შინ ვიყავ და გულის საყვარლებსა ვნახავდი, და ცალკე შიში მკლავდა:ვაი თუ ან ავად იყოს ვინმე, ან ცოცხალი აღარ დამხვდეს-მეთქი. ბოლოს მაღაზიასთანაც მივედი. შევედი, არავინ დამხვდა. შევიხედე მეორე ოთახში. მარგალიტა და ჩემი ძმა სუფრას მისხდომოდნენ და სადილსა სჭამდნენ. დამინახეს და გაკვირვებულნი შემომცქეროდნენ, რადგან ვერა მცნობდნენ; ძნელი საცნობიც ვიყავ, ღვთის წინაშე: დაფლეთილი ტანისამოსი, გძელი წვერი, ჩამომხმარი და ჩაშავებული პირისახე, მგონი მთხოვარს უფრო ვგავდი, ვიდრე ჯარის-კაცს. მაგრამ ხმა ამოვიღე თუ არა — რავქნა, ვერა მცნობთ-მეთქი? — მაშინვე ფეხზედ წამოცვივდნენ ორივენი და ხვევნა დამიწყეს. მარგალიტა გულში ჩამეკრა, სტეფანე კისერზედ ჩამომეკიდა და ტირილით და სლოკინით მიალერსებდნენ:

— მიხო! ვილასა ჰქონდა შენი ნახვის იმედი!? მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, რომ კიდევა გნახეთ ცოცხალი! — თან იცინოდნენ და თან ტიროდნენ.

— როგორ გაუხარდება შენი ნახვა საწყალ მამას! — იძახდა სტეფანე.

ერთმა გუდა მომხადა, მეორემ ქუდი ჩამომართვა და ხელახლა ხვევნა და კოცნა დამიწყეს. მარგალიტა ძალიან ფერმიხდილად მეჩვენა, გამხდარიყო კიდეც.

— ავად ხომ არ იყავ, მარგალიტა?

— არა, მადლობა ღმერთს, კარგადა ვარ. ოღონდ შენი ამბავი არა ვიცოდი-რა... ახლა სამშობლოს გაჭირება და... დაბრძანდი.

სუფრა იქვე ფანჯარასთან გაეშალათ. ერთი ნაჭერი ლორი ჰქონდათ, მოხარშული კომბოსტო და ერთი სურა წყაროს წყალი.

— გაიქე, სტეფანე, დახლიდან გროშები ამოიღე და ცოტა ლორი კიდევ იყიდე. მე სარდაფში ჩავალ ღვინის ამოსატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად. გაგვიჭირდა, ჩემო მიხო! წყალსა ვსვამთ, რომ ამით მაინც გადავარჩინოთ რამე.

იცინოდა, მაგრამ ვაი იმ სიცილს! მეც შეყვარებული თვალებით ვუცქერდი და, ოღონდ არ მომშორებოდა, არც ღვინო მინდოდა და არც თაფლი. მაგრამ ხელიდან გამისხლტა და სარდაფში ჩავიდა. დავრჩი მარტო პატარა, წიგნებით გატენილ ოთახში და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუ თუ აქა ვარ? ნუ თუ აქა ვარ და მარგალიტას ვხედავ-მეთქი?

მაგრამ მომაგონდა, რომ დიდი ხანი ვერ დავრჩებოდი და ცრემლით ამევსო თვალი. ცოტა ხანს უკან სტეფანე დაბრუნდა; მერე მარგალიტა ღვინით და სუფრაზე დავსხედით. უნდა გენახათ, როგორ დაღონდნენ, როდესაც გაიგეს, რომ სულ 48 საათით ვიყავ დათხოვნილი და ხვალ საღამოს უნდა წავსულიყავ. რა გაეწყობოდა? მარგალიტასი არ იყოს, კაცმა უპირველეს ყოვლისა თავისი ვალდებულება უნდა შეასრულოს; ჯერ რესპუბლიკა და თავისუფლება და მერე დასვენება და განცხრომა.

იმისთანა რწმენით მითხრა ეს სიტყვები, რომ თვალ-წინ შოველი წარმომიდგა: იგივე რიხი, იგივე ხმა, იგივე თვალები, და ჩემდა უნებურად ფიქრები ამეშალა:

— ჯვარს დაიწერ, ჩემო მიხო, და მართალი ყოველთვის მარგალიტა იქნება. საითაც მოინდომებს, იქით გიკრავს თავს, წადი, შენი ვალდებულება აასრულეო! — და შენც იძულებული იქნები დაემორჩილო, რადგან მსჯელობითაც და ცოდნითაც ის ასია და შენ ერთიც არა... ეჰ, ნეტავი ჯვარდაწერილები ვიყვნეთ და დეე აგრე იყოს. დეე, აგრე იყოს, ოღონდ მასთან ყოფნა მღირსებოდა!

ხანდახან, როცა წიგნის სასყიდლად შემოვიდოდა ვინმე, სტეფანე გავიდოდა მუშტართან. მე და მარგალიტა კი სუფრაზედ ვისხედით და ვლაპარაკობდით. ჯერ ყველანი მოვიკითხე: შოველი, მამა-ჩემი, ნათლია-ჩემი და სხვანი და რაკი ყველას ამბავი გავიგე, მერე საერო საქმეებზედ ჩამოვაგდე ლაპარაკი. მარგალიტას, როგორადაც შოველს, უმთავრესად საზოგადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეები აწუხებდნენ. როდესაც ვუთხარი, რომ მარტო, ოთხი თვის განმავლობაში, აღარც გაზეთი მიგვიღია, აღარც წერილი ან სხვა რამე ამბავი და სრულიად მოწყვეტილი ვიყავით ქვეყნიერებისაგან; როდესაც გაიგო, რომ საფრანგეთის ამბებისა აპრილის ექვსიდან მოყოლებული მე სრულიად არა ვიცოდი-რა, ადგა და დაწვრილებით მიამბო, რაც მას შემდეგ მომხდარიყო და იმ ერთ დღეს უფრო მეტი რამ გავიგე, ვიდრე ჯარში ყოფნის დროს.

აი რა მიამბო მარგალიტამ:

— ნერვინდენში რომ დამარცხდა, დიუმურიემ ლაფაიეტის მიბაძვით მოინდომა თავისი ჯარი პარიზის ასაკლებად წამოეყვანა, რომ კონვენტის, ესე იგი საერო კრების, წევრები დაეხოცა, რესპუბლიკა გაეუქმებინა და საფრანგეთში კვლავ მეფობა აღედგინა. დიუმურიეს ავსტრიელ ჯარის სპასალარ კობურგთან ისე ჰქონდა პირობა შეკრული, რომ ჯერ კონდე უნდა დაეთმო მტრისთვის და მერე პარიზზე წასულიყო. საერო კრებამ დროზედ გაუგო ეს განძრახვა და პასუხის საგებლად დაიბარა; რაკი ნახა დიუმურიემ, რომ ღალატი გაუგეს და ჯარიც არა თუ არ მიჰყვა, აუჯანყდა კიდეც, საერო კრების წარმომადგენელნი, რომელნიც მის ჯარში იმყოფებოდნენ, მტერს მისცა და თითონ თავისი ამალის ერთი ნაწილით და უბრწყინვალესი თ. ორლეანელის შვილით ავსტრიელებს მიეკედლა. ამაზედ ჟირონდელებმა დანტონს ცილი დასწამეს: შენც დიუმურიეს და თ. ორლეანელის ამხანაგი ხარო. მაგრამ დანტონმა მოკლედ მოუჭრა სიტყვა:

— მეფობის აღდგენას და სამშობლოს მოღალატეთა მეგობრობას იმათ უნდა სწამებდეთ, ვინც მეფე ლუი მე-XVI-ს ექომაგებოდა!.. და თქვენზედ მეტი მოამხრე ხომ არავინ ჰყოლიათ!

აქეთ-იქიდან ღალატით ისე გაუჭირეს საქმე რესპუბლიკას, რომ იძულებული გახდეს მტრების საწინააღმდეგოდ ყოველი საშუალება ეხმარა. სწორედ ამ მიზნით დააარსა საერო კრებამ **ქვეყნის მფარველი** და **ქვეყნის მზრუნველი** კომიტეტი,

რომლებისთვის ყოველ კვირა დაწვრილებითი მოხსენება უნდა მიერთმიათ საფრანგეთის თემებს და ჯარში მყოფ საერო კრების წევრებს. გარდა ამისა დაარსებულ იქმნა **რევოლიუციური სასამართლო***), რომელსაც სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული დაეჭირა და დაესაჯა ყოველი მტერი და მოწინააღმდეგე რევოლიუციისა. რევოლიუციურმა სასამართლომ იმისთანა სამსახური გაუწია რესპუბლიკას, რომ მთელს საფრანგეთში, ყველა ქალაქებში ამისთანა სასამართლოები დააარსა თვით ხალხმა**). რევოლიუციის მოწინააღმდეგენი გამოცხადებულ იქმნენ კანონის გარეშე მყოფად, ისე რომ რაც უნდა მოსვლოდათ, იმათ კანონი არავითარ მფარველობას არ გაუწევდა. გამოცხადებულ იქმნა კანონი, რომლის ძალით მმართველობას ნება ეძლეოდა ყოველი საეჭვო პირის სახლები გაეჩხრიკა, როდესაც კი მოისურვებდა. სახლის

---

*) პირდაპირი ბრძოლით რომ ველარა გააწყეს-რა, რევოლიუციის მოწინააღმდეგეებმა მალული ბრძოლა აუტეხეს რესპუბლიკას: სადაც კი კრება იყო ხალხისა, ისინი ჩაერევოდნენ ხოლმე და, ვითომ რევოლიუციის მომხრენი ვართო, ყველგან არეულობა და მართებლობისადმი უნდობლობა შეჰქონდათ. ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ მართებლობაში მონაწილეობა მიეღოთ და სხვა-და-სხვა მოხელედ შეძვრალიყვნენ შიგ; საძრახისი და უკადრისი იმათთვის არარა იყო-რა და ურცხვი საქციელით ისე გაუჭირეს ხალხს საქმე, რომ იძულებული გახდეს დაეარსებინა **ქვეყნის მზრუნველი კომიტეტები**. კომიტეტი შესდგებოდა ცხრა წევრისაგან; მის სხდომას ვერავინ დაესწრებოდა; კვირაში ერთხელ ანგარიში უნდა წარედგინა თავისი მოღვაწეობისა საერო კრებისთვის: წევრნი კომიტეტისა ყოველ თვე იცვლებოდნენ; კომიტეტს თვალ-ყური უნდა სჭეროდა მინისტრებზედ და ჯარში მყოფ საერო კრების წარმომადგენლებზედ; უფლება ჰქონდა **ყოველი საშუალებას** ეხმარა სამშობლოს გაჭირებიდან დასახსნელად. 10 მკათათვემდე ყოველ თვე იცვლებოდნენ წევრნი კომიტეტისა. მაგრამ 10 მკათათვეს ამორჩეულნი—რობესპიერი, კუტონი, სენ-ჟიუსტი, რობერ ლინდე, პრიორ დე ლა კოტდორი, კარნო, ბარრერი, ბილიოვარანი და კოლლო დერბუა,—უცვლელად დარჩნენ და რადგან ამ კომიტეტს შეუერთეს კანონძდებელი და **ქვეყნის მფარველი კომიტეტი**. იმისთანა, სრულიად უსამძღვრო, ძალა შეიძინა, რომ საფრანგეთის ბედ-იღბალს, საერო კრების წილ, ის განაგებდა.

**) მარტის დამდეგს, როდესაც პარიზში ხმა გავარდა, ავსტრიელებმა ჩვენი ჯარები დაამარცხეს და ლიეჟი წაგვართვესო, საომრად გამზადებულმა ჯარებმა გამოაცხადეს: ჩვენ სამძღვრებისკენ არ წავალთ, მანამ **რევოლიუციურ სასამართლოს** არ დააარსებთო. საერო კრებამ 10 მარტს დაადგინა რევოლიუციურ სასამართლოს დაარსება. საერო კრება დანიშნავს ცხრა მსაჯულს, რომელნიც გაასამართლებენ ყველას, ვინც კი სამშობლოს წინააღმდეგს იზამს **ან განიძრახავს რასმე**, ეს მსაჯულნი სრულიად თავისუფალნი იქნებიან, როგორც ენებოთ, ისე შეუდგნენ საქმის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარებზედ დაწერილი უნდა ყოფილიყო სახელი და გვარი ყოველი მდგმურისა; სადაცკი უნდა ყოფილიყო კაცი, ყოველთვის თან უნდა ჰქონოდა თავის ვინაობის მოწმობა; და ბოლოს საშინელი განცხადება, რომელიც სიკვდილით დასჯას უქადდა ყველას, ვინც საფრანგეთიდან განდევნილი უკან დაბრუნებას განიძრახავდა.

აკი მოგახსენებთ, ისე გაუჭირეს საქმე მართებლობას, რომ იძულებული გახდეს ამ საშინელ და საზარელ საშუალებათათვის მიემართა; მაგრამ ჟირონდელებმა სულ სხვა თვალით შეხედეს ყოველ ამ კანონებს და დიდი წინაალმდეგობა გაუწიეს. ან როგორ იქნებოდა წინაალმდეგობა არ გაეწიათ, როდესაც ერთი მეფის გულისთვის ცხარე ცრემლს აფრქვევდნენ დ̃ იმოდენი ხალხის უზომო გაჭირებას კი თითქოს არც კი ამჩნევდნენ. სწორედ დაბრმავებულნი იყვნენ, თორემ როგორ არ უნდა შებრალებოდათ უბედურები, რომელნიც მთელ დღეს—დილით საღამომდე ხაბაზის კარზედ ალამებდნენ, იქნება ჩვენთვისაც იპოვებოდეს ლუკმა პურიო; როგორ არ უნდა შებრალებოდათ საწყალი მუშები, რომელნიც თავიანთი ოფლის ფასს ასსიგნაციებად იღებდნენ და ბაზარში კი გასავალი აღარა ჰქონდა ამ ასსიგნაციებს! როგორ არ უნდა შებრალებოდათ იმათ წყალობით უდროოდ დაობლებული ათასი დ̃ ათი ათასი ოჯახი, რომელთაც ლუკმა ენატრებოდათ, რადგან მათი მაცხოვრებელი მუშა-კაცები სამძღვრებისკენ იყვნენ წასულნი ძალად გადაკიდებულ მტერთან საომრად! მაგრამ რას იზამთ, რომ ჟირონდელებს მეფისა და

ძიებას. რევოლიუციურ სასამართლოში არ დაესწრებიან ნაფიცი დამსწრენი. მსაჯულთ ნება აქვთ ყოველი საშუალება იხმარონ თავიანთ მსჯელობის დასადგენად. რევოლიუციურ სასამართლოსაგან დასჯილ იქნებიან არა მარტო დალატში შემჩნეულნი, არამედ იგინიც, ვინც თავის ვალდებულებას გაურბის ან კეთილსინიდისიერად არ ასრულებს; დასჯილ იქნება ყველა, ვინც, საქმით, სიტყვით ან ნაწერით ხალხის გაბრიყვებას ან არევას ეცდება; დასჯილ იქნება ყველა, ვინც მეფობის და ბატონ-ყმობას ქებას გაბედავს... რომ ნატამალიც კი აღარსად დარჩენილიყო აზარელი წარსულისა, ახალი სიტყვები შემოიღეს ძველების მაგივრად: ძველებური „ბატონო“ და „ქალბატონო“ აღარსად იყო, არამედ „მამულისშვილო!“ ერთმანეთს ყველანი შენობით ელაპარაკებოდნენ. სათამაშო ქაღალდებში მეფის წილ ნიჭიერებას ხატავდნენ და დედოფლის წილ თავისუფლებას. შესცვალეს სახელები თვეებისა და თვით წელთ-აღრიცხვაც კი, რომელიც იწყება თავისუფლების მოპოვების დღიდან, ისე რომ 1792 წ. იწოდება „წელაწადი პირველი“.

მდიდრების გარდა ადამიანად არავინ გააჩნდათ! განა ისინი ისე დაიმდაბლებდნენ თავს, რომ ხალხის გაჭირება შეენიშნათ? ხალხიც კარგადა სცნობდა თავის მტერს და მოყვარეს და საერო კრებას ყოველი მხრიდან თხოვნას უგზავნიდა, ჟირონდელები კანონის-გარეშე მყოფად გამოაცხადეთ, რომ ჩვენი თავი გავაცნოთო. ჟირონდელებმა—სულ მარატის ბრალია, რომ ხალხი ასეთი სიძულვილით გვეპყრობაო... ადგნენ და რევოლიუციურ სასამართლოსთან დააბეზღეს მარატი. სასამართლომ მათი დაბეზღება უსაფუძვლოდ აღიარა და მარატი გაამართლა ყოველი ღირსეული პატრიოტის სასიხარულოდ.

მე ეს ამბები პირველად მესმოდა.

მარგალიტამვე მიამბო ჩრდილოეთში ჩვენი ჯარის დამარცხება; ინგლისელები და ჰოლლანდიელები მიშველებოდნენ კობურგს და რიცხვით ერთი-ორად მეტნი შებრძოლებოდნენ ჩვენს ჯარებს და ვალანსიენამდე ედევნათ ბრძოლით. ვანდელები—დიდებულნი, სასულიერო წოდება და ხალხი—შეფიცულიყვნენ რევოლიუციის წინააღმდეგ და მთელი ვანდეს ხალხი აჯანყებულიყო; აჯანყებულებს წინამძღოლობდნენ კათელინო, სტოფლე, სისე, სეშიე და სხვანი, სულ უბრალო გლეხი-კაცნი და არა ბრწყინვალე თავადიშვილები; ზოგი მეურმე იყო, ზოგი ტყის დარაჯი, ზოგი ხაბაზი და ზოგი გუთნის-დედა. დაენებებინათ თავი თავიანთ ცოლ-შვილისთვის და ხალხის შვილნი ხალხსვე ებრძოდნენ: ბატონ-ყმობა რად გადააგდეთო? განთავისუფლებულნი თავიანთ გამათავისუფლებელთ ებრძოდნენ: ჩვენ ისევ ყმობა გვინდა და ბატონის სამსახურიო! რასაკვირველია, რომ ამისი ჩამდენი ხალხი გაუნათლებელი და რეგვენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ გაუნათლებლობასთან ერთად იმისთანა ველურნი და საზარელნი იყვნენ, რომ ადამიანს კი არა, ცოფიან მგელს უფრო გავდნენ. დედაკაცები უარესები იყვნენ: ტყვეებს და დაჭრილებს ძაღლებივით ხოცავდნენ და თან იესო ქრისტეს სახელს გაიძახდნენ.

ამოდენ უბედურებას ჟირონდელები მთიულებს აბრალებდნენ და მთიულები ჟირონდელებს. მათ შორის სიძულვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღითი-დღე მატულობდა. თუმცა ჟირონდელები ამის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ საერო კრებამ მაინც გამოაცხადა კანონი, რომლის ძალით პურს დანიშნულ ფასსზედ ძვირად ვერავინ გაჰყიდდა; და რადგან იმოდენ ომებს ფულიც უნდოდა, საერო კრებამ მდიდრებს სესხად გამოართვა ათას მილიონამდე ფული. მარგალიტამ შოველის წერილი წამიკითხა, რომელშიაც იწერებოდა, ამ სესხის შესახებ რომ სჯა ჰქონდა საერო კრებას, ჟირონდელები და მთიულები მუშტით მივიდოდნენ ერთმანეთზედ, გამშველებლად ვაკელები რომ არ ჰყოლოდათო. ჟირონდელებს ნებავდათ მართებლობა გაეუქმებინათ და საერო კრება ბურჟში გადაეტანათ. ბურჟში თავიანთი მომხრენი ეგულებოდათ და, რასაკვირველია, ერთიანად ამოსწყვეტდნენ მთიულებს. ჟირონდელები, ერთობ მეფის მომხრენი, თუმცა პირდაპირ, ვაჟკაცურად შებრძოლებას ვერ უბედავდნენ რესპუბლიკას, მაგრამ მაინც სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ რევოლიუცია შეეყენებინათ და თავიანთ სასარგებლოდ გაეხადათ; იმდენი ქნეს, იმდენი, რომ საერო კრებას რაღაცა კომისია დაანიშვნინეს და კომისიაში თორმეტივე წევრი თავიანთ მომხრე აირჩიეს. დაარსდა თუ არა ეს კომისია, მაშინვე ის გამოაცხადა, რომ რევოლიუციური სასამართლო დღეიდან გაგვიუქმებია და თუ არ დამშვიდდა პარიზელი ხალხი, მისგან ამორჩეულ, კომმუნად წოდებულ, რჩევასაც გავაუქმებთო.

რაღა თავი შეგაწყინოთ, ჟირონდელების კომისია იმასა ცდილობდა, რომ დიდებულნი და მდიდრები დაემშვიდებინა: ნუ გეშინიანთ, თქვენ ვერავინ რას გაგიბედავთო; ოღონდ თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ და თუნდა სულ შიმშილით ამოწყდეს თქვენი უსიამოვნო ხალხიო! და წყდებოდა კიდეც, შიმშილითაც და ომითაც. იქნება იმის იმედი ჰქონდათ, რომ ხალხი გაწყდება და საფრანგეთზე ყოველი მხრიდან მომავალს მტერს გზას ვეღარავინ შეუკრავსო! იქნება იმის იმედი ჰქონდათ, რომ უპატრონოდ დატოვებულს საფრანგეთს მტერი დაიჭერს, მტერს უკან მოჰყვებიან გახიზნული დიდებულნი, ბერები და ეპისკოპოზები და ბატონ-ყმობასაც შემოიღებენ, მეფობასაც და ხალხსაც ერთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასად მძიმე უღელში შეაბმენ, ვიდრე წინად იყო. ბატონები თავისას მიიღებდნენ, ბერები თავისას, და არც იმათგან მოყვანილი მტერი დარჩებოდა დაუჯილდოვებელი: დიუნკირხენი—ინგლისელებს; ვალანსიენი და კონდე—ავსტრიელებს; მაინცი და ლანდაუ—პრუსიელებს; ალზასი და ლორენი—გერმანელ მეფეებს. მართალია, კარგი თემები დააკლდებოდა საფრანგეთს, მაგრამ ეგ რა სათქმელია: პატარა იყოს და რიგიანი,—ესე იგი მეფითა და ბატონ-ყმობით შეზავებული,—ვიდრე დიდი დაურიგო.

პატარა-ღა დარჩება საფრანგეთის სამეფო, მაგრამ მეფეც ეყოლება, ბატონებიც, ბერებიც და ამათ შესანახად და მაცხოვრებლად ყურმოჭრილი ყმებიც, როგორც 1789 წლამდე იყო. ეს კი მეტის-მეტი იყო! ეს კი ველარ აიტანა პარიზელმა ხალხმა, აჯანყდა და დანტონის წინამძღოლობით ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ სამშობლოს ბედ-იღბალი იმას უფრო აწუხებდა, ვიდრე საერო კრების ბევრს წარმომადგენელს.

ეს ამბები თურმე ორი თვის წინად მომხდარიყო. ერთს ჟირონდელს ეთქვა და ძალიან თავხედურადაც მოსვლოდა: თუ გაბედეს და ჩვენგანს ვისმე ხელი ახლეს, მთელი საფრანგეთი ჩვენ გამოგვესარჩლება და ისე აღგვის მიწის პირიდან პარიზს, რომ მის ნაადგილევის პოვნაც კი შეუძლებელი გახდესო. მაგრამ ამ მუქარამ ვერავინ შეაშინა. მარატმა შეადგინა სია იმ ჟირონდელებისა, რომელნიც უფრო მავნებლად მიაჩნდა და კაცები გაგზავნა მათ დასაპატიმრებლად; უმეტესი ნაწილი დაიჭირეს; მაგრამ პეტიონი, გადე, ბიუზო, ბარბარუ და სხვანი გაიპარნენ; დაერივნენ საფრანგეთს და ვინ მოსთვლის, რასაც ისინი უწესოებას და არეულობას ახდენდნენ: ჯარებს ჰკრებდნენ, რომ პარიზელებზე წამოეყვანათ და პარიზი მიწის პირიდან აეგავათ; საცა კი მოახელეს, მამასახლისები გადააყენეს; საქალაქო თანხები ხელთ იგდეს და თავისებურად გააწყეს ყველაფერი, ესე იგი მთიულების საწინააღმდეგოდ; საცა კი მოახერხეს, თავიანთი სასამართლო დააწესეს მთიულების მიმდევართა დასასჯელად; მათ ჯარის წინამძღოლად გენერალი ვიმპტენი ბრძანდებოდა—დიდებული, მეფის და მეფობის მომხრე!... ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერი და მოღალატე ჰყოლია ჩვენს ქვეყანას; ხშირად ჩვენივე დიდებულნი ამხედრებულან ჩვენზე და თავიანთ საშველად უცხოელი ჯარები შემოუყვანიათ, მაგრამ ისე საძაგლად კი არავინ მოგვქცევია, როგორც ჟირონდელებმა გვიყვეს: დაერივნენ საწყალ ხალხს და—ჩვენც თავისუფლებისა და რესპუბლიკის მომხრენი ვართო—ძმას ძმას აძულებდნენ და მამას შვილს.

— აი როგორ არის ჩვენი საქმეები,—სთქვა მარგალიტამ:—ორმოც და ათი თემი აჯანყებულია რესპუბლიკის წინაალმდეგ. ლიონი, მეორე ქალაქი საფრანგეთისა, წინაალმდეგია საერო კრებისა; მეფის მომხრეებს იარაღით აუღიათ ლიონის სამამასახლისო, დაუჭერიათ, ვითომ გაუსამართლებიათ წარჩინებული პატრიოტები და ყველასთვის თავები დაუყრევინებიათ. მარსელი და ბორდოც აჯანყებულია. ვალანსიენში ხვალ მტერი შევა. ნორმანდიაში ჟირონდელები დაძრწიან და ხალხსა ჰკრებენ, რომ პარიზის ასაოხრებლად წაიყვანონ. ვანდეში და ბრეტონში უკვე ებრძვიან ჩვენს ჯარებს. ინგლისილები გზაში იჭერენ ჩვენკენ მომავალს პურით დატვირთულ ხომალდებს; იმათმა მინისტრმა პიტმა გამოაცხადა, საფრანგეთის ყველა ნავთსადგურებს შევკრამო; პიტტი ფულით ეხმარება პრუსიელებს, ავსტრიელებს, სარდინელებს და ესპანელებს; გერმანელები მაინცის აღებას-ღა ელოდნენ და ახლა ყოველი მხრიდან შემოგვესევიან. რესპუბლიკას ჩვენ-ღა შევრჩით—ალზასი, ლორენი, ფრანშკონტე, შამპანი, პიკარი და პარიზი. წარმოიდგინე, ოვერნელებიც აჯანყებულან და ვანდელებისკენ მიიწევენ საშველად. კორსიკის კუნძულს ნებავს ინგლისს მიეცეს... ერთი სიტყვით, ყველა ჩვენი წინაალმდეგია... ასე უცბად დაგვაწვა ამოდენი უბედურება.

— მაშ დაღუპული ყოფილა ჩვენი საქმე! რიღას იმედი უნდა გვქონდეს, მარგალიტა?

— დაღუპულიო!—შემომიტია მარგალიტამ.—დაღუპული მაშინ იქნებოდა, რომ ჟირონდელები საერო კრებაში დაეტოვებინათ და ძველებურად ეპარპაშებინათ. ვერ მიართვეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დრო გავიდა, როდესაც კარგ მეტყველს საქმეს არ უსინ-ჯავდნენ; ეხლა საქმე საქმეა და არა სიტყვა. საერო კრების მოთავეედ ეხლა დანტონი არის, რობესპიერი, ბილიო-ვარანი, კოლლო დერბუა, კარნო, პრიორი, ლინდე, სენ-ჟიუსტი, კუ-თონი, ტრეილარი, ბონსენტანდრე, გიტონ-მორვო, კამბონი და სხვანი; სულ იქ არიან მამიჩემის ყველა მეგობრები; რვა დღის განმავლობაში უკვე შეადგინეს კონსტიტუცია, რომელიც ჟი-რონდელებმა რვა თვე ათრიეს და წინ ვერ წასწიეს*). რომ იცოდე, რა მარტივია ახალი კონსტიტუცია, რა ცხადი და სა-მართლიანი; ნამდვილი რესპუბლიკური კონსტიტუცია არის და სწორედ ამიტომ იძახიან, არ გვინდაო. საქმე აქამდის კი არა, საქმე ეხლაა, როდესაც საფრანგეთი ილუპება და ხსნას ჩვენგან მოელის! შენ უყურე, რა ამბები მოხდება ხვალ! აქამდის ჩვენა ვთრთოდით, ახლა ჩვენი შიშით ათრთოლდებიან ჩვენი მტრები!

---

*) **მიზანი საზოგადოებრივ ცხოვრებისა არის საყოველთაო ბედნიერება**, ამბობს ეს კონსტიტუცია. ყოველი ფრანგი 21 წლისა, მიუხედავად ხარისხის და სიმდიდრისა, არის მამულისშვილი და სამშობლოს ბედ-იღბალის გამგე-ბატონი; ამ უფლებებით იგი იქ სარგებლობს, სადაც უცხოვრია უკანასკნელი ექვსი თვე. ყოველი უცხო ქვეყნელი 21 წლისა, რომელიც სრული წელიწადია სა-ფრანგეთში სცხოვრობს თავისი შრომით, ან მამული შეუძენია, ან ფრანგის ქალი შეურთავს, ან ბავშვი აუყვანია შვილად, ან მოხუცებულს აცხოვრებს, ერთი სი-ტყვით, ყოველი უცხო ქვეყნელი, რომელსაც კანონმდებელი კრება კაცობრიობის ღირსეულ შვილად იცნობს, მიღებულ იქნება საფრანგეთის ყოველი უფლებით აღჭურვილ მამულისშვილად. ამგვარად კონსტიტუციის ძალით **ყველას ეძლევა მოქალაქებრივი უფლებანი** და არა მარტო შეძლებულთ. კანონმდებელი კრება ერთად-ერთი იყო (ეხლა ორია—პალატა დეპუტატებისა და სენატი) ერთის წლის ვადით არჩეული. 40 ათასს სულზედ თითო დეპუტატს ირჩევდნენ. საერო კრების დადგენილებას კანონის ძალი არა ჰქონდა, ვიდრე ხალხიც არ გამოაცხადებდა თავის თანხმობას. კანონიერ დადგენილებათა სისრულეში მოყვანა დავალებული ჰქონდა 24 კაცს, რომელთაც საერო კრება ირჩევდა. ეს 24 კაცი ირჩევდა და ნიშნავდა გენერლებს, მინისტრებს და ყოველ სხვა მოხელეებს. კონსტიტუციის განმარტებით, **ადამიანს საკუთრებად მარტო საკუთარი შრომის ნაყოფი ეკუთვნოდა.** ამ პრინციპს შემდეგში პრუდონი უფრო განავითარებს და დაადგება იმ დასკვნას, რომ „საკუთრება ნაქურდალიაო“. ერთ მუხლში ეწერა: გაჭირებულთა დახმარება საზოგადოების წმინდა მოვალეობაა; საზოგადოება უბედურ მამულისშვილთ საქმეს უნდა აძლევდეს, და საცხოვრებელს იმათ, ვისაც შრომა აღარ შეუძლიან. ეს კონსტიტუცია ხალხს წარუდგინეს დასამტკიცებლად და მიღებულ იქმნა 1.801.918 ხმით 11.910-ის წინააღმდეგ, რომელთაც არ ინდომეს მის დაწესება. ეს კონსტი-ტუცია შეადგინა მთიულთა მომხრემ ერო დე სეშელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის მომხრე გენერლები ხომ გადავაყენეთ! წავიდნენ და ეხლა შემოუძლვნენ მტრის ჯარს და ეხლა-ლა აოხრებინონ სამშობლო! წავიდნენ და ეხლა-ლა შეატყობინონ პრუსიელებს ჩვენი ჯარების მოძრაობა! წავიდნენ და ეხლა მიემხრონ მეფეს, რომელსაც აღარც მეფეა და აღარც მეფობა! ეხლა-ლა დაანებონ მტრის ჯარებს ჩვენი ქალაქები! ეხლა-ლა ააჯანყონ ჩვენი ჯარები ხალხის წინააღმდეგ! აღარ გვინდა იმათი გენერლობა! ჩვენი ჯარების წინამძღოლად სულ ხალხის შვილნი იქნებიან, სულ უბრალო ხალხის შვილნი, სულ ჩვენი სისხლი და ხორცი! ქვეყნის მფარველი კომიტეტი ახლა კუსტენს მისწვდა და ეაი იმის ბრალი! იქნება ჰგონია აპატივონ, მაინცში მყოფი ჯარები რომ შიმშილით ამოხოცა! იქნება ჰგონია აპატიოვონ, რომ ღვთის ანაბარად მიგატოვათ და არც სურსათი გამოგიგზავნათ და არც ჯარები მოგაშველოთ? რევოლიუციური სასამართლო უკვე ადგენს მის ბრალმდებელ ოქმს... უყურე, რა კარგად წავიდეს ეხლა ჩვენი საქმე! თუ აუცილებლად საჭიროა ჩვენი დაღუპვა, ჩვენზედ წინად მრავალნი სხვანი დაიღუპებიან! და თუ გვაჯობეს და ძველებური მეფობა შემოიღეს და დიდებულების და ბერების ბატონობა, იცოდე, ძვირად, ძალიან ძვირად დავუსვამთ ამ გამარჯვებას!

ამ სიტყვებმა კვლავ გამიცხოველა იმედი და ჩემს თავს ვანუგეშებდი:

— სიცოცხლე ბრძოლაა, ჩემო მიხო, და ბრძოლა კიდევ მაშინ არის ღვთისა და კაცისაგან კურთხეული, როდესაც თავისუფლების მოსაპოვებლად არის. დღეს ისეა ჩვენი საქმე, რომ ან უნდა გავიმარჯვოთ, ან დავიხოცნეთ. გამარჯვება, ან სიკვდილი წმინდა საქმისთვის! ამაზედ უკეთესი რა გინდა? თუ გვაჯობეს, შენ სიკვდილს ვეღარ გადაურჩები, ჩემო მიხო! ვერც შენა და ვერც მარგალიტა, შოველი და სხვანი! ისე დაგაყრევინებენ თავებს, რომ იქნება ზიარებაც აღარ გაღირსონ! ლიონში ხომ ხოცვენ პატრიოტებს მეფის მომხრენი; აქ უარესს იზამენ. ჰო-და თუ კი მორიგება შეუძლებელი გამხდარა და ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ვიყვნეთ, ან ისინი, ისინი ამოწყდნენ, ის არა სჯობიან!

მალაზიაში შეუწყვეტლივ ირეოდა ხალხი, მაგრამ დაღვრემილნი იყვნენ ყველანი; ეტყობოდა, ყველას იგივე ფიქრები აწუხებდა, რაც მე. ყველა ხედავდა, რომ ერის სიცოცხლე და სიკვდილი ამ ბრძოლაზედ იყო დამოკიდებული. მაგრამ სანუგეშოც იყო ეს დაღვრემილი ხალხი: მალაზიაში სულ უბრალო ხალხი შემოდიოდა—მუშები, გლეხ-კაცები, ჯარისკაცები,—რომელნიც ამ გაჭირების და შიმშილის დროს უკანასკნელ ლუკმა პურს იკლებდნენ და გაზეთებს კი ყიდულობდნენ, რომ ქვეყნის ამბავი გაეგოთ. რაკი ხალხი ასეთი თავგანწირულებით შეუდგება თავისუფლების მოპოვებას, დიდებულნი და ბერები კი არა, მთელი ქვეყანაც ვეღარას დააკლებს! მართალია, იქნება ნახევარიც არ გადარჩეს ცოცხალი, მაგრამ უმსხვერპლოდ არა ეძლევა-რა ადამიანს და დეე ჩვენ დავიხოცნეთ, ოღონდ ჩვენმა შვილებმა და შვილისშვილებმა იხარონ თავისუფლებით.

მაშ ბრძოლა ნებავთ რაღა! რა გაეწყობა, ჩვენც ხელი უნდა გამოვიღოთ! ძნელი ის არის, რომ ბევრი ჩვენგანი ქათამს ვერ დაკლავს, ისე ეზარება სისხლის დანახვა, და ახლა იძულებულია თავის ძმებს შეებრძოლოს. რა გაეწყობა? მგლის ნდობა ცხვრის გაწყვეტააო, ნათქვამია. ძნელი ის არის, რომ ადამიანი გამგელდება, თორემ მგელს ყველგან დევნა და ხოცვა უნდა.

მგონი ყოველივე მოგახსენეთ, რაც მარგალიტამ მიამბო ქვეყნის საქმეების შესახებ. ნათლია-ჩემისა მითხრა, პარიზში 10 აგვისტოს დღესასწაული დანიშნული და ჩვენებურებმა ის გაგზავნეს იქ დასასწრებლადაო. რაც შეეხება ახალს კონსტიტუციას, ხალხმა დიდი უმრავლესობით მიიღო იგი და მით უკვე გააკანონაო.

ბინდდებოდა და რადგან ძალიან მინდოდა იმ ღამესვე მენახა მამა-ჩემი, ავდექი და ჩვენი სოფლისკენ გავეშურე.

როგორ აგიწეროთ, რა ნეტარება ვიგრძენ, როდესაც ჩვენი სოფლის პატარა ქუჩაში შევედი და ჩვენებური კომლისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასუქის სული მეცა? როგორ აგიწეროთ, როგორ მიცემდა გული, როდესაც ნათლია-ჩემის დუქანს მივუახლოვდი და ჯერ ისევ გაჩაღებულ სამჭედლოს გავუარე? როგორ აგიწეროთ მამი-ჩემის სიხარული? ერთი-ორად დაბერებულიყო, წელში მოხრილიყო, კანკალებდა. ველარ მოიბრუნა საწყალმა გული, მეხვეოდა, მკოცნიდა და თან ლაპა-ლუპით ცრემლი სდიოდა. ამას ვერც ავწერ და არც საჭიროა: ვისაც გულის წილ ლოდი არ უძევს და ყოველი გრძნობა არ დახშობია, თითონაც კარგად წარმოიდგენს ჩვენს ყოფას.

მაგრამ ჩემდა უნებურად არ შემიძლიან არ გიამბოთ, როგორ მიმიღო დედა-ჩემმა, რადგან თქვენ, რასაკვირველია, სულ სხვაფრივ წარმოიდგენთ დიდი ხნის უნახავი დედა-შვილის შეყრას. როდესაც გული იღალა მამა-ჩემმა ჩემი კოცნით და ხელი გამიშვა, ხელ-გაწვდილი გავეშურე დედი-ჩემისკენ, რომელიც იქვე კერასთან იჯდა. დედა!—შევძახე ძველებური უსუსური ბავშვური ალერსით, მაგრამ დედა-ჩემი წამოდგა, ზურგი მიბრუნა და კიბეზედ ავიდა. სულ ზევით, ზემო საფეხურზედ გაჩერდა, გიჟივით გადმომხედა ალგზნებული თვალებით და კარი მიიხურა. იყო იქ და მანამ მე შინ ვიყავ, აღარ ჩამოსულა. ძალიან მეწყინა დედიჩემისაგან ჩემი ასეთი აძულება, მით უფრო მეწყინა, რომ ჩამაშხამა იმოდენი სიამოვნება; მშობელი დედისაგან განა ამას მოველოდი? მამა-ჩემი მანუგეშებდა, რამდენიც შეეძლო, და ის ღამე ისე გავათენეთ, რომ თვალი აღარ მოგვიხუჭავს. ვისხედით ცეცხლა-პირას და ვლაპარაკობდით; თან კარტოფილსა ვწვავდით, ჩიბუხს ვეწევოდით და ერთმანეთს ვეალერსებოდით.

ძალიან ემადლიერებოდა თავის სასძლოს: ყოველ კვირა მარგალიტასთანა ვარ ხოლმე სადილად და ჩემ პატარა სტეფანესაც იქა ვხედავო. იმისთანა პატივისმცემელია ჩემი შენი საცოლო, მეუბნებოდა, რომ რაც ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში ვაება მინახავს, სულ ეხლა დამავიწყა, ამ სიბერის დროსაო. ეტყობოდა დარწმუნებულიყო, რომ მარგალიტას ჩვენს ოჯახში ბედნიერება შემოჰქონდა და ძალიანაც შე-

ჰყვარებოდა. სტეფანესაც ძალიან ემადლიერებოდა: ყოჩაღი ბიჭი დადგა, მუშა და მუყაითი, თავისთვისაც კარგი და შოვე-ლისთვისაც სასარგებლოო; მატურინი და კლოდი ისევ ნათ-ლია შენთან არიან პიკპოლცის მამულში და საკმარისს ჯამა-გირს იღებენ... ისე რომ ღვთის მადლით ყველანი კარგადა მყვა-ნან და მეც ჩემი შვილების ბედნიერებით-და ვცოცხლობ და სხვით არაფრითაო.

მე კიდევ ჩვენი ლიზას ამბავი ვუამბე; ავუწერე მარესკო, პატარა კასსიუსის დაბადება და ნათლობა და ჩვენი ყოფა-ცხოვ-რება. აკი მოგახსენეთ, მთელი ღამე ისე გავათენეთ, რომ თვა-ლი არ მოგვიხუჭავს.

რაკი გათენდა, მამა-ჩემმა საგარეო ტანისამოსი ჩაიცვა და ქალაქისკენ ერთად წავედით. ჩვენებურები ის იყო დგებოდნენ და, ვინც კი დამინახა, ყველა სიყვარულით მომესალმა. ფალს-ბურგშიაც ყველა ნაცნობი და მეგობარი სიამოვნებით მილო-ცავდა შინ მისვლას და თუმცა უკვე გაევრცელებინათ ხმა— მაინცელმა ჯარმა სამშობლოს უღალატაო—ჩემი და ჩემისთანა უბრალო ჯარის-კაცების ღალატი არავის სჯეროდა და ყველა-ნი მეგობრულად მექცევოდნენ. მტრობა ბრძანეთ თქვენა, თო-რემ ვინც მე დამინახავდა, განა ღალატს დამწამებდა? განა ცხა-დი არ იყო ყველასთვის, რომ ჩვენ კი არ ვუღალატეთ სამ-შობლოს, გარემოებამ უმტყუვნა, რომლის დამორჩილება ადა-მიანის ხელთ არ არის?

მინდოდა ათ საათზედ გამოვთხოვებოდი ჩვენებს, მაგრამ მარგალიტას სხვაფრივ მოეწყო საქმე: ხუთ საათზე მიმავალ დი-ლიჟანში ჩემთვის ალაგი აელო და ამგვარად მთელი დღე შინ ვრჩებოდი და ნანსშიც უფრო ადრე ჩავიდოდი და დაუღალავა-დაც. მე რომ მამა-ჩემთან ვიყავი, მარგალიტასაც არ სძინებო-და მთელი ღამე და ისე დაერეცხა და დაეკერებინა ჩემი ტანი-სამოსი, რომ უკეთესი არ შეიძლება. ჩვენ რომ ჩავედით, ჯერ ისევ ნემსი ეჭირა და პერანგს ღუგმებს ასხამდა.

რაკი გაეგოთ ჩემი მისვლა, პატრიოტები მაშინვე მაღა-ზიისკენ წამოსულიყვნენ ჩემს სანახავად და ვინ გნებავთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს არა მნახა: ელოფ კოლენი, რაფიელ მანკი და სხვანი და სხვანი. ზოგი რასა მკითხავდა, ზოგი რას ჩვენი ომებისას და მაინცურ გაჭირებისას. დაწვრილებით მათქმევინეს ყოველი ჩვენი ბრძოლა, მოკლულების სახელი და გვარი, შიმშილი, და ავადმყოფობა. გაჩუმებულნი ისმენდნენ ჩემს სიტყვებს, და ბოლოს თავს დაიქნევდნენ და მწარე ღიმილით ამბობდნენ:

— იქნება კიდეც გვიღალატეს გენერლებმა, მაგრამ ჯარს კი პირნათლად აუსრულებია თავისი მოვალეობა.

(შემდეგი იქნება)

# „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები

## LI

ავთანდილ ტარიელს გაეყარა და ნესტან-დარეჯანის ამბის შეს-ტყობად ფრიდონისას წავიდა. გმირის სულის მდგომარეობა ამ მგზავრობის დროს რუსთაველმა წარმოგვიდგინა პოემის თავში «წასვლა ავთანდილისა ფრიდონისას, მულღაზანზარს რომ შეეყარა» (ხ. ხ. 945—961, გვ. 210—213), რომლისაც უმთავრესს ნაწილს შეადგენს ავთანდილის ვედრება პლანეტთა მიმართ. ეს ვედრება ეპი-ზოდის თვალია, დანარჩენი ხანები კი მისი მოჭედილობა, და კაცა-როდი შესცდება, თუ სთქვა, რომ მთელი თავი მხოლოდ ამ ვედრე-ბის გულისათვის იყო დაწერილი, რადგან მასშიგან გამოისახვის მიჯნურის სჯანი, სულის სწრაფვანი და იმედნი კიდეგანობის დროს, —და რასაკვირველია, პოეტის მოთხრობის საგანიც ეს იყო. ხოლო ჩვენთვის საინტერესოა თუ, რაგვარის ხელოვნებით შეერთებულია თვალი თავის მოჭედილობასთან, როგორ არის გადაბმული ავთანდი-ლის ვედრება წინამავალსა და შემდგომს მოთხრობაზე. პოეტი გვიამბობს:

946. ავთანდილ მისი გაყრილი სტირს, ხმა მისწვდების ცათამდის;
იტყვის თუ: „ღვარი სისხლისა კვლავცა მდენია, კვლავცა მდის;
აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა ცათამდის,—
კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის.“

947. ველს მაშინ მხეცნი ძღებოდეს ცრემლითა მუნ ნატირითა;
ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა;
კვლავ თინათინის გონება ავსებს უფროჲრე ჭირითა,
ბაგეთათ ვარდსა ანათებს ბროლი ძოწისა ძირითა.

*) იხ. „მოამბე“ № II

ეროვნული ბიბლიოთეკა

948. ვარდი ჭკნებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა,
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა;
გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ იმხნეოდა,
იტყვის თუ: „ბნელი რას მიკვირს, რადგან დამაგდე მზეოდა!“

949. მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ლაწვთა დარად,
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთა და ბარად;
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამად გიჭვრეტ არ დამცდარად,
მაგრა ჩემი რად დააგდეთ გული ცივად, გაუმთბარად!

950. თვე ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვაცივნებს, —
მე გლახ ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს!
მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ ატკივნებს,—
წყლულსა დანა ვერა ჰკურნებსა, გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებს.“

951. მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გიაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალსა აამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ლამედ დღესა.“

მოთხრობის ფაქტებს ჩარიგებით რომ გავყვეთ, უცნაური ამბავი გამოვა: ავთანდილი მოყვრის გაყრასა ტირის და ამ ტირილს დაერთვის მისი მოთქმა კიდეგანობის სიძნელეზე. როგორც ქუხილი ღრუბელს გაასქელებს და წვიმას დაუშინებს, ისე მოთქმა ავთანდილს სევდას გაუმწვავებს და ცრემლს მოუხშირებს, — კიდეგანობის ჭმუნვას «თინათინის გონება» აძლიერებს და მიჯნურს ალაპარაკებს... მაგრამ ავთანდილის ლაპარაკი არ გვესმის! მისის სიტყვის მაგიერ, კვლავ მწუხარების აღწერა იწყება და ეს აღწერა რომ გათავდება, ავთანდილიც ხმას იღებს: მზეს მიმართავს და ჯერ თინათინს ქებას შეასხამს, მერე კი საყვარლის გაყრის სიძნელეზე გადავა. ბოლოს, ხელახლად მზეს მიუბრუნდება და ევედრება: «მე ნუ გამყრი საყვარელსაო»...

ამბავს ასე რომ გავამარტივებთ, მაშინვე გამოჩნდება მოთხრობის არეულობა. მისს ნაწილებს ლოგიკური შედგომილება აკლია და ეს უტყუარი ნიშანია, რომ პირვანდელი ტექსტი შერყვნილია ჩამატებულის ხანებით. მაგრამ გამოსაცნობი ის არის, რომელია ამ ლექსის ხანაში ყალბი?

ყალბის ხანების გამოსარჩევად აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვით გზის მაჩვენებელს, მე 947 ხანის უკანასკნელს ლექსს: «ბაგეთათ ვარდსა ანათებს ბროლი მოწისა მირითა.» არ ვიცი, როგორ ესმის ჩემს მკითხველს ეს ფრაზა, ხოლო კომენტატორების ახსნით სჩანს, რომ ლექსი, ერთობ, გაუგებელი დარჩა. თეიმურაზ ბატონიშვილი ასე განმარტებს: «ბაგეთა ვარდი—ტუჩნი; ბროლი—პირისა სითეთრე და ბრწყინვალება; მოწისა მირი—მოწყულისა ფერნი ღოყანი და ტუჩნი.» დ. ჩუბინაშვილი, ვისიც განმარტება ბატონიშვილის კომენტარის თარგმანია, იმასვე გვეუბნება: «ბაგეთა ვარდა, ტუჩების სიწითლე; ბროლი, პირის სითეთრეა; მოწისა მირი, მოწყულნი ფერნი ღოყანი და ტუჩნი.» ამ განმარტებას რომ ავყვეთ, ლექსს ის აზრი ექნება, ვითომც ავთანდილის ტუჩები ანათებდნენ მისს თეთრს პირსა, წითელს ღოყებს... და ტუჩებსაც,—ე. ი. უგუნურობისა და უშნოობის გარდა არა გამოვა-რა.

მგონია, პოეტის აზრთან უფრო ახლო იქნება, ლექსი რომ ასე ავხსნათ: ბაგეთათ (ტუჩებიდან) ვარდსა (სახეს) ანათებს ბროლი (კბილები) მოწისა მირითა (წითელ ღრძილიანი). მეტაფორა, მართალია, მეტად ხერხიანი და ნაძალადევია, მაგრამ მაინც რუსთველისეულია. ამგვარს მეტაფორას პოემაში სხვაგანაც ვპოვებთ, მაგალითად: «თეთრთა კბილთა გამომკრთალსა შუქსა ველსა მოაფენდა» (ხ. 64, გვ. 14); «თეთრთა კბილთა გამოჭკრთების თეთრი ელვა, ვითა ჭვირი» (ხ. 135, გვ. 29); «ბაგეთა(თ?) გამოსჭვირს ბროლდალი, მათ კბილთა ელვა სკრთებოდა» (ხ. 717, გვ, 158). ყველა ამ ლექსებში მეტაფორას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს:—პირისახის გამოხატულობა ლაპარაკის დროს, ასე რომ ლექსი «ბაგეთათ ვარდსა ანათებს ბროლი მოწისა მირითა»—მდაბიო, პროზაულის ენით ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ავთანდილ ლაპარაკობდაო.

მაშ თუ ლექსს ასეთი აზრი აქვს,—და სხვა აზრი აქ შეუძლებელია,—მას უსათუოდ ავთანდილის სიტყვა უნდა მოსდევდეს. მაგრამ ავთანდილის საუბარის ნაცვლად მე-948 ხანიდან კვლავ იწყება მისის ჭმუნვის და შეჭირვების აღწერა. ცხადია, რომ მე-948 ხანის დამწერს ვერ გაუგია მე-947 ხანის უკანასკნელის ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსის მნიშვნელობა, ისევ როგორც ვერ მიხვდნენ მისს აზრს თეიმურაზ ბატონიშვილი და დ. ჩუბინაშვილი, თვარა, რაც უნდა უნიჭო ყოფილიყო, მაინც მიხვდებოდა, რომ ავთანდილის მწუხარების აღწერა იმ დროს, როდესაც გმირმა სიტყვა უნდა წარმოსთქვას, სრულიად უადგილოა.

უადგილობის გარდა მე-948 ხანა მეტიც არის, რადგან მისს საგანს მხოლოდ ავთანდილის მწუხარების აღწერა შეადგენს, გმირის ჭმუნვა კი წინა ხანებში (მე-946 და 947) უკვე ნაამბობი იყო, მაშასადამე მე-948 ხანა მოთხრობას არსებითად არას შესძენს, მხოლოდ გამრავლებაა ჭმუნვის გამომხატველთ მეტაფორებისა, რომელნიც მწიგნობრულის გემოვნებისამებრ გადაჭარბებულნი დადამახინჯებულნი არიან, და ამით უფრო გვიმტკიცებენ ხანის სიყალბეს. აი მისი მეტაფორებიც: «ვარდი ჭკნებოდა, ღრებოდა, ალვის შტო ირხეოდა»,—ჭმუნვის გამომხატველ სურათის გასაძლიერებლად ყალბის მქნელი ვარდის ჭკნობას ღარვასაც უმატებს. მაგრამ რა ისეთი სქელია ვარდის ფურცელი, რომ ღრებოდეს? ვარდი ისეთი ნაზი რამ არის, რომ მის მოსასპობლად ჭკნობაც სრულებით საკმარისია. პოეტი ერთგან რომ ამბობს: «ცრემლმან მისმან კლდენი ჰღარნეს» (ხ. 910, გვ. 202), დიალ კლდის შესაფერია, მაგრამ ვარდი რომ დაჭკნეს, ბოლოც მოელება, აღარც ღარვა და არ სქდომა უნდა. ეს გადაჭარბებული და გადუსწორებული მეტაფორა სხვას ამ გვარსავე მოგვაგონებს, რომელიც იქნება იმავე მელექსისაგან იყოს დაწერილი: «სისხლმან და ცრემლმან გარევით ღაწვი ჰქმნის ღარად და ღარად» (ხ. 708, გვ. 156).—იგივე სიტყვის უზომობა და დასახვის გადაჭარბება! ლექსის მეორე ნახევარი—«ალვისა შტო ირხეოდა»—უცნაურს სურათს წარმოგვიდგენს. რუსთაველმა ერთგან სთქვა ავთანდილზე: «ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იგეცების» (ხ. 139, გვ. 30), რაიცა ნიშნავს ტანის თრთოლას. საგონებელია, ყალბის-მქნელმა თავისი მეტაფორა ამ ლექსიდან ისესხა, მაგრამ მისის თქმით, ალვის ხე კი არა, მარტო შტო ირხეოდა, ასე რომ თვით ავთანდილს კი არ ათრთოლებს,—თითქო ხელსა ან ფეხს აქნევსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე კიდევ ერთს უშნო მეტაფორას ვემთხვევით: «ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდსა გარდიქცეოდა». მელექსემ ეს იყო ავთანდილის პირისახე დამჭკნარსა და «ღარიანს» ვარდს დაადარა, ეხლა კი გათლილ ბროლად და ლალად გახადა და ლაჟვარდის ფერად შეღება... პირისახის ბროლად და ლალად დასახვა, რა თქმა უნდა, ახალი არ არის; მისს ლაჟვარდობას კი ეს მერედ ვხედავთ. ერთმა მწიგნობარმა ავთანდილს ათქმევინა ტარიელის პირისახეზე: «ვარდი არ ქმნილა ზაფრანად, აწ ია შეიკონებისო!» (ხ. 693, გვ. 153) და თეიმურაზ ბატონიშვილმაც იდასტურა: «მწუხარებისაგან რომ სისხლი განხურდება, თავში ავა და ლოყებში იის ფრად წარმოუდგებაო». ეხლაც იგივე კომენტატორი გვიმოწმებს, ვითომც ავთანდილს «ლოყები» მეტისა მწუხარებისაგან და ცრემლისაგან ლაჟვარდის ფერად გარდაჰქცეოდა, ესე იგი გალურჯებოდაო»... მაინცა და მაინც უნდათ დაგვაჯერონ, ვითომც მწუხარებასა ან ლილახანაში გამოტარებულს კაცს ერთი ფერი დაედებაო.

მესამე ლექსი—«გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ იმხნეოდა»—ცხადი უგუნურებაა: სიკვდილს გამაგრებოდა, ამისთვის მხნედ არ იყოო! ზოგმის ოთხს გამოცემათა შორის, რომელნიც ხელთა მაქვს, ჩუბინაშვილის მე-1860 წლისას და სურათებიანში ლექსი ზემოყვანილის მართლწერით იხმარება, ხოლო ვახტანგ მეფისასა და ჩუბინაშვილის მე-1846 წლის გამოცემაში «არ იმხნეოდა»-ს მაგიერ სწერია «არ უმხნეოდა». თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც, ეტყობა, ვახტანგ მეფის გამოცემის ტექსტს მისდევდა, ლექსს ასე განმარტებს: «თუმცა ავთანდილ ესრეთსა ჭირსა და მწუხარებასა შინა იყო, მაგრამ თავის თავს სიმხნითა გულისა თვისისათა სიკვდილს არ აძლევდა. არ უმხნეოდა, ამას ნიშნავს არა უმხნეობდა. არა თუ უმხნეობდა, არამედ ფრიად მხნეობდა, სიმხნე მიეცა თავის თავისათვის». ჩუბინაშვილსაც ჰგონია, რომ «უნდა არ უმხნეობდა, ესე იგი მხნეობა არ აკლდაო». რად ამჯობინა სურათებიან «ვეფხის-ტყაოსნის» სარედაქციო კომისიამ «არ იმხნეოდა» სიტყვას «არ უმხნეოდა»—არ ვიცი. შესაძლებელია, სიტყვას სხვა რაიმე მნიშვნელობა მოუგონა, რომელიც ჩვენ ფიქრად არ მოგვდის, და ამით ლექსი უგუნურობისაგან იხსნა, სანამ კი ლექსი მაინც უაზრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნება. ხოლო ვახტანგ მეფისა და თეიმურაზ ბატონიშვილის მართლწერაც სათნო არ არის. თუ სიტყვა ქმნილი—უსრულესის დროის ფორმისაა, მაშინ «არ უმხნეობდა»; უკეთუ აწმყო დროის ფორმისაა (არ უმხნეოდ-ა), მაშინ ლექსის მეორე ნახევარს პირველთან სინტაქსიური შეთანხმება არ ექნება. ჩემის აზრით, ლექსში «არ უმხნეობდა» უნდა ყოფილიყო, ხოლო მელექსემ რითმის გულისათვის «არ უმხნეოდა» იხმარა, გრამატიკისა და ლოგიკის წინააღმდეგ. ესრედაც რომ იყოს, ლექსში მაინც შემცდარის აზრის მეტი არა არის-რა. ავთანდილის მხნეობა იმისგან კი არ წარმოსდგება, რომ «გამაგრებოდა სიკვდილსა», პირიქით სიკვდილის წინააღმდეგობა მხნეობის შედეგია. მხნეობა კაცის საერთო თვისებაა და სიკვდილის პირისპირ გამაგრება—მხოლოდ კერძო გამოცხადება იმ თვისებისა.

ყალბის-მქნელს რითმა თუ გაუჭირდა, არც გრამატიკის სიმართლეს დაინდობს, არც აზრისას. ერთი მაგალითი მესამე ლექსში ვნახე და ახლა ისეთსავე გრამატიკულს სიდუხჭირეს უკანასკნელს ლექსშიაც გვიძღვნის: «იტყვის თუ: «ბნელი რას მიკვირს, რადგან დამაგდე მზეოდა!» სადაური ქართულია ეს «მზეოდა», ან რას ნიშნავს მარცვალი «და»? თუ კავშირია, რას აკავშირებს? ან იქნება იმულებითი შორისდებულია, როგორც, მაგალითად: სთქვი და! წაიღე და!.. ამას წინ, თუ გახსოვთ, რუსთაველმაც იხმარა ეს მარცვალი ვით იმულებითი შორისდებული: «უთხრა: დასთმე, ნუ მოჰკვდები, გულსა სრულად ნუ დასჭრიდა!» (ხ. 908, გვ. 202) რა თქმა უნდა, რომ მარცვალი «და» აქ ლექსის დამამშვენებელი არ არის, მაგრამ, რაც უნდა იყოს, გრამატიკის წესს მაინც არ ეწინააღმდეგება. ყალბის-მქნელის «მზეოდა»-ს ეს გასამართლებელი საბაბიც რომ არა აქვს! ცხადია, რომ გრამატიკა და აზრი აქ არაფერს შუაშია და მარცვალი «და» მხოლოდ ლექსის კიდურისათვის არის მიმატებული. დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ ლექსის აზრიც შემცდარია: რასაკვირველია, «მზედ» ავთანდილ თავის სატრფოს ჰსახავს, მაშასადამე ფრაზა «დამაგდე მზეოდა» თინათინს შეეხება... და ვინ არ იცის, რომ თვით ავთანდილ მოშორდა თავისს საყვარელს?—რადღა აყვედრებს ტყუილად, დამაგდეო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-948 ხანის აუარებელს უგვანობას რომ გასცილდები და მე-949 ხანის პირველს ლექსს რომ მიაღწევ—«მზესა ეტყვის: მზეო, გეტყვი თინათინის ლაწვთა დარადო»,—გგონია, აი თურმე ავთანდილ რას ლაპარაკობდაო, რისთვის ანათებდა ვარდსა ბროლი მოწყისა მირითა, და რის მოლოდინში ერთი ხანა ტყუილად მოგვა-ცდინესო! მაგრამ, ლექსს რომ დააკვირდები, გულში უნებლიეთი ეჭვი შეგივა.—«მზეო, გეტყვი თინათინის ლაწვთა დარად!.» რუსთა-ველის ენას როგორღაც არა ჰგავს. რისთვის არის აქ «იტყვი», თუ კაცმა სთქვა ვიდეც? ეს მწიგნობრული სიტყვის საქცევი უნებლიედ მოგვაგონებს ორს ყალბს ლექსსა იმავე მზეზე თქმულსა, იმავე რიტორიული ენით: «იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისად» და «ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსო-ფოსნი წინანი» (ხ. ს. 830 და 831, გვ. 186). მაგრამ დავუყვეთ ჯერ მელექსის შედარებას და ვნახოთ სადამდის მიგვიყვანს.

შედარების დასამტკიცებლად მელექსეს მოჰყავს საბუთი: «შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთა და ბარადო...» გასაშტერებელი და თავს-ბრუ დამსხმელი საბუთია თავისის ძლიე-რებით: მზე თინათინის ლაწვთა დარია, იმიტომ რომ «მას ჰგავს!» თუმცა მსგავსება სრულია, მაგრამ შეიძლება ვინმე ეჭვი შემოიტანოს: ეს მზე ხომ ჰგავს თინათინსა, ახლა ვაი თუ თინათინ მზეს არა ჰგავანდესო?! ჩვენის გულის დასადებლად მელექსე მზეს კვლავ ეუ-ბნება: «და იგი შენ გგავსო». ახლა ხომ დარწმუნდი, ურწმუნო მკითხველო, რომ თინათინის მზეობა უუსრულესია, და «ესან, ცნობანი მიაფერენ,» სატროფოს შვენებას «ვით იტყვიან, ვით აქებენ!» ვთქვათ, ამას იქით მზისა და თინათინის მსგავსებას საბუთი აღარ უნდა, ახლა კი საკითხავია, ეს «თინათინის ლაწვთა დარი» მზე რაში ჰგავს იმ მზეს, რომელსაც ავთანდილ ქვემოდ, მე-951 ხანაში, აქებს? განა ის «უმძლესთა მძლეთა მძლე, ვინ მდაბალსა გაამაღლებს, მეფობასა მისცემს სვესა», დიდებული მზე და ვისაც მიჯნური ეხვეწება, «მე ნუ გამწირი საყვარელსაო»,—იმავე საყვარლის ლოყების დასადარია? ცხადია, რომ მე-949 და მე-951 ხანაში გამოსახულნი მზენი ერთმანერთს არა ჰგვანან. პირველში, მზე სატროფოს უდრის და მასთან აღარ გაირჩევა; მეორეში კი—უებროა, ყველა არსთა

უმაღლეს დგას და მიჯნურნი მას ურთიერთის გაუყრელობას ეაჯებიან. ამ მხრებში რომელი ერთი ნამდვილია, და რომელი—ყალბი, ვგონებ, ადვილად გამოიცნობა.

თუმცა მოსალოდნელი არ იყო, მწიგნობარმა თინათინისა და მზის მსგავსებას ერთი საბუთი კიდევ მოუგონა. რადგან ავთანდილის თვალში მისი საყვარელი და მზე ერთმანერთში აღარ განირჩევიან, მზეს უბნება: «ხელისა მალხენს ნახვა შენი, ამად გიჭვრეტ არ დამცდარად.» გასაოცარი სისრულეა აზრისა! შენი ნახვა მალხენს, ამიტომაც გიჭვრეტო. თუ მზის ხილვა ალხენს, დიაღამც უნდა უჭვრეტდეს... რასაკვირველია, თუ ამ ცქერით არ დაბრმავდა... ეს ისეთივე უქმი ჭეშმარიტებაა, როგორც მაგალითად: სმა წყურვილს მიკლავს და ამისთვის ვსვამ. ამ გაწყალებულს ლექსში ერთი უგვანობაც ჰბუდობს: მიჯნურის გრძნობის ძლიერად გამოსახვისათვის, ყალბის-მქნელი ავთანდილს «არ დამცდარად» მზეს აცქერინებს, და ასეთის გადაჭარბებულის გამოსახვის გამო ავთანდილ, გახელებულს მიჯნურს კი არა, უფრო მზის-უჭვრიტას დაემსგავსა. ყურადღების ღირსია აგრეთვე, რა მოუფიქრებლად და წინ დაუხედავად უმატებენ ყალბის-მქნელნი თავიანთ ჭორებს პოემის ტექსტსა და რა უცნაურად იცვლება მათს გამოსახვაში ავთანდილის აზრი და გრძნობა. ამას წინად, ავთანდილ რომ არაბეთით ტარიელისას მიდიოდა, ერთი ვიღაც მწიგნობარი გვარწმუნებდა, ვითამც მიჯნურს «ღამე ალხენდის, დღე სჯიდის, ელის ჩასვლასა მზისასა» (ს. 834, გვ. 187), და თეიმურაზ ბატონიშვილიც ემოწმებოდა,—დიაღ, სიცხემ შეაწუხაო! ეხლა კი, რამდენიმე დღის შემდეგ, იგივე ავთანდილ მზეს თვალს აღარ აშორებს, კომენტატორი კი ამ სურათს თანაგრძნობით დასძენს ავთანდილის პირით: «ამისთვის მარადის გიყურებ და ამაში არა ვარ შემცდარი, არც მომცდარი, რომ შენის ყურებითა და ჭვრეტით ჩემი გული ლხინებას მიიღებს ხოლმეო».

მზის «არ დამცდარად» მჭვრეტელს ავთანდილს მოულოდნელი ამბავი მოსდის. მზის ნახვა ალხენს, ავთანდილ მაინც შესჩივის: «მაგრა ჩემი რად დააგდეთ გული ცივად, გაუმთბარად!» ვინც, პოეტის თქმით, «ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა» (ხანა 947) და ვინც ასპიროზს ეუბნებოდა: «მან დამწვა ცეცხლთა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიოა» (ხანა 955, გვ. 212), თურმე გულ-ცივად და გაუმთბარად ყოფილა! ან ეხლა რომ მზეს ეუბნებოდა, შენი ჭვრეტა მალხენსო,—ნეტა სხვა რა ლხენა მიეცემოდა მზისაგან, თუ ვერ გათბა? თინათინ,—ვისის ხატი მიჯნურის გონებაში ვითამც მზესთან შეზავებულია,—მქისი და მიუკარებელი სატრფო როდია, რომ ავთანდილის სიყვარული არ შეიწყნაროს, განერიდოს და მისი გული ცივად და გაუმთბარად დაეგდოს. თინათინს არც თავისგან საყვარელი გაუდევნია, არც თითონ მოშორებია, ამიტომაც ყალბის-მქნელი რომ ავთანდილს ერთხელ ათქმევინებს: «ბნელი რას მიკვირს, რადგან დამავდე მზეოდა!» და მეორედ—«ჩემი რად დააგდეთ გული ცივად, გაუმთბარადო,»—ორსავე შემთხვევაში სცრუობს. ავთანდილ ბედნიერი და შეუყვარებული მიჯნურია, რომელიც თავისს სატრფოს მისის ნებით დასთხოვებია, მეგობრობის მოვალეობის ასასრულებლად და საყვარლის ნახვის ლოდინით იდაგება, მაშასადამე, ასეთს მდგომარეობაში ჩივილი და სატრფოს ყვედრება, ბნელში ჩამაგდეო და გული არ გამითბეო, სხვა არა იყოს-რა, დიდი უმადურობა და უსამართლობა იქნება.

ეს შემცდარი იდეა, რომელიც ავთანდილის მდგომარეობასა და მის ჰლანეტთა მიმართ ვედრების აზრსა და კილოსაც ეწინააღმდეგება, ყალბის-მქნელმა ისე მოიწონა და აიჩია, რომ მე-950 ხანაშიაც კვლავ განაგრძობს და ავრცელებს.

«თვე ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვაცივნებს,—მე გლახ ორი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს!»—იძახის ავთანდილ და მისი სილოგიზმი ყალბის-მქნელს უცილობელი ჰგონია. თუ ერთის მზის მოშორება გაგვაცივებს, ორის მზის მოშორებამ უნდა გაგვაყინოს, მწიგნობარს კი ჰგონია, რომ გულს უნდა ავნოს. ეს, რასაკვირველია, იმისაგან წარმოსდგება, რომ «ორი მზე» იგავად არის თქმული და მზედ-მნათობად არ იგულისხმება. მაგრამ ვინ არის ის ორი მზე, ავთანდილმა რომ დაჰყარა და გული ივნო? აქამდის, მე-748 ხანაში, ორს მზესა ვხედავდით,—ერთი მზე-მნათობი და მეორე თინათინ იყო,—რომელთაც დაეგდოთ ავთანდილის გული «ცივად და გაუმთბარად», მე-950 ხანაში მოხსენებულნი მზენი ვინ-და არიან? თუ ისევ თინათინ და მნათობი მზე,—როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

«დაჰყრიდა» ავთანდილ მზესა? თეიმურაზ ბატონიშვილი გვამცნებს, ვითამც ერთი მზე თინათინ არის და მეორე—ტარიელ. და, ეს მესამე მზეც შემოვიდეს, მაგრამ ავთანდილის ჭირი მაინც როგორ გავიგოთ? რა აწუხებს: მზემა და თინათინმა რომ მისი გული ცივად და გაუმთბარად დააგდეს; თუ გული იმით ივნო, რომ თინათინ და ტარიელ დაჰყარა?... აი, ერთი მაგალითიც რუსთაველისეულის და მწიგნობრულის სტილისა. პოეტმა გვიამბო, რომ ავთანდილ ტარიელის «გაყრილი სტირს, ხმა მისწვდების ცათამდის»; «ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა; კვლავ თინათინის გონება ავსებს უფრორე ჭირითა»,—და თუმცა ეს მოთხრობა სადა და მარტივია, მაგრამ გმირის მწუხარების მიზეზს ნათლად აცხადებს. მწიგნობარმა კი ბარე სამი მზე შეჰყარა და ავთანდილის სულის მდგომარეობა მაინც ვერ დაგვანახვა.

«მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ ატკივნებსო»,—განაგრძობს ყალბის-მქნელი თავისს მიუმხვდარს იგავებს. ვინ არის ან რაა აქ კლდე? თუ ავთანდილ თავისს გულს კლდეს ადარებს, რომელსაც ვითომც «არა შესწონს და არაოდეს არ ატკივნებსო» (ვინ ან რა ატკივნებს?), ამას წინ რაღას იძახდა გული გაუმთბარად დამრჩაო, ორი მზე დავყარე და გულმა ივნოო?—ცხადია, რომ ასეთი მგრძნობარე გული კლდედ ვერ დაისახვის. უკეთუ კლდის უგრძნობლობა აქ მიჯნურის გულის ლმობიერების საპირისპიროდ არის გამოყვანილი, მაშინ ანტიტეზას მეორე ნახევარი აკლია. უცნაური ლაპარაკი სცოდნია ყალბის-მქნელს: სად ერთის თქმა კმარა, იქ ორჯელ იტყვის; სადაც კი აზრი უთუოდ ორი ფრაზით უნდა გამოითქმოდეს, იქ მხოლოდ ერთს ამბობს.

მესამე ლექსის დაუსრულებელს აზრს მეოთხე ლექსში მოსდევს ერთი აზრის ნაწყვეტი: «წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს ანუ გაამსივნებსო». მართალი ბრძანებაა, დანა წყლულის წამალი არ არის, მაგრამ ეს სიბრძნე აქ რა მოსაყვანი იყო? რა კავშირი აქვს ამ ფრაზას კლდის უგრძნობლობასთან ან ავთანდილის ჭმუნვასთან იმის გამო, რომ ორი მზე დაჰყარა, ან სხვა ორმა მზემ გული რომ არ გაუთბეს, ან კიდევ ერთმა მზემ ბნელში რომ ჩააგდო? რას ჰსახავს აქ დანა ან რომელ მარგის წამლის საპირისპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ არის მოყვანილი? ამის პასუხს ლექსში მაინც ვერა ვპოვნით, რაც უნდა ვეწვალოთ. ეტყობა, ესეც ანტიტეზა უნდა ყოფილიყო, მაგრამ სრულად ვერ გამოვიდა, ერთი ნახევარი მელექსის თავში დარჩა გამოუთქმელი.

ზღაპრად გაიგონებდით, ზოგი გამოუცდელი გრძნეულია, რომელსაც ყველა შელოცვა და შეთქმა დაუსწავლია, მაგნე სულთა დამორჩილება კი არ შეუძლიანო. მაგისთანა ჯადოქარს მისნივე მოწვეულნი მავნე სულნი დაესევიან და გულსა და ცნობას შეუპყრობენ. ყალბის-მქნელიც გამოუცდელს გრძნეულსა ჰგავს: რუსთაველისეული საპოეზიო შედარებანი და სატნი გაუზეპირებია, მათი მოხმარება კი ვერ მოუხერხებია; მეტაფორებს ზედი-ზედ გაჰყრის, მაგრამ, რადგან მათი განმაცხოველებელი იდეა არ უგის, მისი ლაპარაკიც ეშმაკეულის უაზრო ბოდვასსა ჰგავს. დახედეთ ამ მეტაფორათა სიუხვეს: დამჭკნარი ვარდი და ალვის შტო, ბროლი და ლალი, სიკვდილი და სიმხნე, ბნელი და მზე, კიდევ მზე და თინათინის დაწვნი, მთა და ბარი, კლდე და გული, კიდევ გული და სიცივე, კიდევ ერთი მზე და ორი მზე, დანა და წყლული... ყველა ეს რუსთაველის შედარებათა არსენალიდან ნათხოვარი იარაღია, რომელიც ყალბის-მქნელს გამოურჩევლად ერთმანეთზედ შეუგოწიწებია, მაგრამ ამ სიტყვების გროვით ვერც ერთი სწორი და ბუნებითი აზრი ვერ შეუქმნია, ვერც ერთი ნათელი საპოეზიო ნაქვთი ვერ გამოუსახავს.

მაგრამ ყველა ამ უწმინდურებას ტექსტიდან თუ ამოვგვით, პოეტის აზრის ლოგიკური მიმდინარეობა მაშინვე გამოცხადდება.

მე-947 ხანაში სჩანს, რომ ტარიელის გაყრის სევდას ავთანდილის გულში დაერთო «თინათინის გონება», რომელიც მიჯნურს ალაპარაკებს. იმის გამოძიებაში, თუ რას ამბობდა ავთანდილ, გადავათვალიერეთ მე-949 და 950 ხანები და, ვგონებ, მკითხველს საკმარისი საბუთები წარვუდგინე, რომ არც ავთანდილის მწუხარების აღწერა და არც მისთვის მითვისებული საუბარი მისს მდგომარეობას არ შეეფერებოდა, ხოლო ლექსების სტილი თავისის უშნოობით რუსთველისეულს არა ჰგვანდა. ნამდვილს ავთანდილის სიტყვას მხოლოდ მე-951 ხანაში ვპოვებთ, და ამას გვიმტკიცებს უცილობელი სინტაქსიური კავშირი მე-947 და 951 ხანებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-951 ხანის პირველი ლექსი—«მიმავალი ცასა შესტირს, კუბნების, ეტყვის მზესა»—პარაფრაზია მე-947 ხანის უკანასკნელის ლექსისა: «ბაგეთათ კარდსა ანათებს ბროლი მოწისა მირისა.» რაც ერთს ლექსში მეტაფორად იყო გამოსახული, იგივე აზრი მეორეში ცხადად, კონკრეტულად გამოითქვა: ავთანდილის ლაპარაკი ის იყოო, რომ ცას შესტიროდა და კუბნებოდაო. მე-951 ხანის დასაწყისიდანა სჩანს, რომ გმირი მიმართავს რა ერთობ ცასა, თავისს ვედრებას შეასმენს თითო-თითოდ—ჯერ მზესა, მერმე ზუალს და შემდეგ სხვა ცთომილთა, მაშასადამე, რაც ავთანდილს მზესთან სათქმელი ჰქონდა, რასაკვირველია, უნდა მოსდევდეს მე-951 ხანის პირველს ლექსს და არა მიუმღოდეს მას. ამიტომაც არის მოუხერხებელი და უშნო ქხლანდელი მოთხრობა, რომ ავთანდილ ორი ხანა მზეს კუბნება და მერმე ისევ ცას მიუბრუნდება და კვლავ მზეს ეხვეწება. თუ მე-948, 949 და 950 ხანა რუსთველისა ყოფილიყო, მაშინ მე-951 ხანის პირველი ლექსი ქხლანდელის შინაარსისა არ იქნებოდა, რადგან ასეთი ლექსი ტყუილად შესწყვეტდა ავთანდილის გაბმულს ლაპარაკს.

სიყალბის გარეგანს ნიშნებს გარდა მე-948, 949 და 950 ხანების შინაარსი და კილოც ავთანდილის ხასიათს სრულებით არ შეეფერება. მართლადა, რის მაქნისია უქმი ჩივილი და წუწუნი, მზემ დამაგდო ან მზეს მოვშორდიო, ვაი გავცივდი ან გული ვივნეო? რას უშველის ავთანდილს ასეთი უსაგნო და უსუსური მოთქმა? ავთანდილის მხნე გულსა და გონებას სძულს ამაო სიტყვა და უმიზნო მოქმედება. ამ შემთხვევაში ავთანდილ,—რადგან თავისის ღონით თავი გაჭირებიდან ვერ უხსნია,—პლანეტთა მიმართავს, მაგრამ იმისთვის კი არა მხოლოდ, რომ თავისი საცოდაობა გაუზიაროს, სატრფოს ქება შეაფერქვიოს, ან ფუჭი სენტენციები წარმოსთქვას,—მზესა და ვარსკვლავებს იმიტომ ისმობს, რომ მათი ეტლი სწამს, მათგან მოელის შველასა და პატიოსნად შემოუნახავს. ... 

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოს მისგან მოსალოდნელს ნიჭსა სთხოვს. რაც უნდა ქებით და დიდებით შემკული იყოს ავთანდილის ვედრება, მაინც პრაქტიკული მიზანი აქვს. რაოდენ ფუჭად და უაზროდ გამოჩნდება ზემოხსენებული სამი ყალბი ხანა, ავთანდილის ვედრებას რომ შევადაროთ!

## LII

პლანეტთა მიმართ ავთანდილის ვედრებას მოსდევს ასეთი დასასრული (გვ. 213):

958. აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი, მოვლენ და მოწმად მყვებიან;
მას გაავონე, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან.

ავთანდილ შვიდთა პლანეტთა სატროფოს წინაშე შუამავლობას და აგრეთვე თავისს შველას ესვეწებოდა; ხოლო ვარსკვლავნი იმდენად მიუწდომელნი არიან, რომ მათი მოაჯე მიჯნური, რასაკვირველია, ვერ მიხვდებოდა შეიწყნარეს მათ თუ არა მისი ვედრება; მაშასადამე, ვერც იმას იტყოდა, ვითამც ცდომილნი მემოწმებიან, ან ჩემთვის ბნდებიანო. ეტლის გავლენას ეხლა კი არა სცნობს, რომელსაც სატროფოს მოშორებული უდაბნოში მგზავრობს, არამედ შინ რომ მივა და თავისის საყვარლით სამეფო ტახტზედ დაჯდება. ავთანდილის რწმუნებას, ვითამც ვარსკვლავნი უკვე ემოწმებიან და მისთვის ბნდებიან, არავითარი საფუძველი არა აქვს, რადგან ვარსკვლავებს თავიანთი თანაგრძნობა არაფრით არ გამოუცხადებიათ, ამიტომაც მისი სიტყვა ამის შესახებ ტყუილი და ქარიანი ყბედობაა. მაგრამ მართალიც რომ ყოფილიყო, ვის აუწყებს ავთანდილ, ვარსკვლავნი მემოწმებიან და ჩემთვის ბნდებიანო? თავისს თავს თუ ახარებს: ყოჩაღად იყავ, შენმა თხოვნამ გასჭრაო, აგერ ოთხნი ვარსკვლავნი შენთვის ბნდებიან და სამნიც «მოვლენ და მოწმად გყვებიანო?!...»

მე-958 ხანის სულელური იდეა მის შესაფერის ფორმით მოსილია: მთელი ხანა რაღაც შეუსაბამო როშვაა, სადაც ერთი ფრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზა მეორეს იმეორებს და თანაც ეწინააღმდეგება. «აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, ამბობს ავთანდილ და ზედვე მაყოლებს იმავე ფრაზას ქსრედ გადათქმულს: «შვიდნივე მემოწმებიანო». რისთვის იყო ეს მოწმობის გამეორება და შვიდივე ვარსკვლავის კვლავ ხსენება? იმისთვის ხომ არა, რომ ეჭვი არავის ჰქონდეს, ვითამც შვიდთაგან ვინმე უმუხთლაო?

თუმცა «შვიდნივე მემოწმებიანო», მაგრამ მაშინვე აღმოჩნდება, რომ შვიდთაგან—ოთხნი: «მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან», ხოლო სამნი: «მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან.» რადღა ამტკიცებდა ავთანდილ «შვიდნივე მემოწმებიანო», თუ მათ შორის ასეთი განსხვავება ყოფილა? რას ნიშნავს ეს განსხვავება, რომლის განსაზღვრას ყალბის-მქნელმა ორი ლექსი მოანდომა? რაზედ არის დამოკიდებული ვარსკვლავთა შორის როლების ასეთი განაწილება, რომელიც მათს ეტლსაც არ შეეფერება? გულმემატკივრობა რად უნდა იყოს განსაკუთრებულ თვისებად ოტარიდისა—მწიგნობართ ეტლისა, ან მუშთარისა—მოსამართლეთა ეტლის, რომ მიჯნურისათვის ვითამც ბნდებიან? რად არიან მთვარე—მოწყალეთა და სნეულთა ეტლი, ასპიროზ—მკურნალთა ეტლი ისე გულგრილნი, რომ მხოლოდ «მოწმად დგებიან» და დადაგულ მიჯნურისათვის, სხვა ვარსკვლავებსავით, გული არ შეელმისთ? სჩანს, რომლების დარიგებაში ყალბის-მქნელს ვარსკვლავების ამპლუაც სახეში არა ჰქონია, და იმისი დარდი მხოლოდ ის იყო, რომ ცთომილთა სახელები ლექსში მოეთავსებინა მარცვალთა რიცხვის დაუკლებლად. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, სამს ლექსში ერთად-ერთი საცოდავი აზრია, ვარსკვლავნი მემოწმებიანო, რომელსაც ყალბის-მქნელი ოთხჯერ იმეორებს.

აქამდის პლანეტთა მოწმობასა და ბნედაზე ავთანდილ თავისს თავს თუ სხვა ვიღაცას ეუბნებოდა, ეხლა კი, საგონებელია, თვით ვარსკვლავებს მიჰმართავს ამ ლექსს: «მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან.» ავთანდილის ვედრების შემდეგ, ლექსი, არსებითად, ახალს არას წარმოადგენს, რადგან გმირი ვარსკვლავებს იმასვე ეუბნება, რაც ამას წინ (ხანები 951—957) თითო-თითოს დააბარა,—ასე რომ ლექსი თავით თვისით მეტია და სასაუბროდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსი არ არის. მაგრამ საყურადღებოა მისი ფორმა. ფრაზის აღნაქვსი ისეთი უწესოა, რომ მკითხველი თუ მიხვდება მისს აზრს, თორემ თავის თავად ფრაზა გაუგებარია: მხოლოობით რიცხვი «გააგონე» იმას უნდა ნიშნავდეს, რომ «რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიანო»,—უვისოდ «სდებიან»: უთინათინოდ, თუ უიმკარსკვლავოდ, რომელსაც ავთანდილ ეკედრება?

## LIII

ამბავი «ავთანდილისაგან ფრიდონისას მისვლისა, ტარიელს რომ გაეყარა», იწყება ეპიზოდით, სადაც გმირი შეემთხვევა ფრიდონის ქვეშევრდომთა მენავეთა, რომელნიც მას მულღაზანზარის გზას ასწავლიან (გვ. 214—215):

963. ყმა მტირალი სამოც-და-ათ დღე ზღვისა პირსა მივა გზასა;
შორით ნახა, მენავენი მოდიოდეს შიგან ზღვასა;
მოიცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, თქვენ ამისა გნუკევ თქმასა,
ეს სამეფო ვისი არის, ან მორჩილობს ვისსა ხმასა?“

964. მათ მოახსენეს: „ტურფაო სახით და ანაგებითა,
გვეუცხოვე და გვეკეთე, მით გეუბნებით ქებითა:
აქამდის მძლავარი თურქთაა, მომძლვრე ფრიდონის მძლვრებითა,
ჩვენცა ვისი ვართ, გიამბობთ, თუ ჰვრეტით არ დავბნდებითა.

965. ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა,
მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხტომი ცხენისა;
ვნება არავის არ ძალ-უძს მის მზისა ოდნავ შვენისა,
იგია ჩვენი პატრონი, მზგავსი ცით შუქთა ფენისა.“

966. ყმამან უთხრა: „ძმანო ჩემნო, კარგთა კაცთა გარდგეკიდე,
მე მეფესა თქვენსა ვეძებ, მასწავლეთ თუ სით წავიდე,
რა ვიარო, ოდეს მივალ, ან გზასა აქვს რა სიდიდე?“
მენავეთა უწინამძღვრეს, არ დააგდეს ზღვისა კიდე.

967. მოახსენეს: „ესე გზაა მულღაზანზარს მიმავალი,
მუნ დაგხვდების მეფე ჩვენი მშვილდ-ფიცხელი, მახვილ-ხმალი;
აქადამე ათ დღე მიხვალ, ნაკვთად საროვ, ფერად ლალი;
ვაჲ, რად დაგვწვენ უცხო უცხომ, რად მოგვკიდე, ცეცხლებრ ალი!„

968. ყმამან უთხრა: „მიკვირს, ძმანო, რად ხართ ჩემთვის გულ-მო-
ანუ ეგრე ვით გეკეთნესთ ზამთრის ვარდნი ფერ-ნაკლულნი, [კლულნი?
თქვენცა მაშინ გენახენით, ლაღნი ვსხედით, არ საპყრულნი,
ჩვენნი მჭვრეტნი დავაშვენით, ჩვენგან სხდიან მხიარულნი.“

969. იგი წავიდა, დაბრუნდა ყმა გზასა თავის წინასა,
ვისი ჰგავს ტანი საროსა და ვისი გული რკინასა;
მიაცოცრვებს და მიუბნობს, მოთქვამს მისსავე ლხინასა,
ნარგისნი ჰქუხან, ცრემლსა სწვიმს, ჩაჰრცხის ბროლსა და მინასა.

970. ვინც გზასა ჰნახნის უცხონი, მსახურებდიან, ყმობდიან,
მოვიდოდიან საჭვრეტლად, მას ზედა ტრფიალობდიან,
ეძნელებოდის გაშვება, გაყრასა ძლივ დასთმობდიან,
გზის ყულაუზი მისციან; ჰკითხის რა, უამბობდიან.

პოემის სხვა ეპიზოდთა შორის ავთანდილისა და მენავეთ საუბართ უმცროსი მნიშვნელობა აქვს: გვაცნობებს მხოლოდ, რომ ტარიელის მეგობარმა მეცდანზანზარის სამზღვარს მიაღწია და ფრიდონს მალე შეეყრება. ეს ამბავი მკითხველისათვის სასიამოვნოა, რადგან ტარიელის საქმის წარმატებას მოასწავებს. მოთხრობის მიმდინარეობისათვის ასეთი გავრცელებული ამბავი საჭიროც არ იყო, ავთანდილის მეცდანზანზარს მისვლას რუსთაველი ერთის ხანით და ერთის ლექსითაც გვაცნობებდა. მაგრამ ეპიზოდი თუმცა ვრცელია, მაინც თავისი შინაგანი ღირსება და სტილისტიური სიტურფე აქვს: აქა ვხედავთ მშვენიერსა და მოსწრებულს დახასიათებას ფრიდონისას და გამოისახვის ავთანდილის თვალადობა და მიმზიდველობა, რომელიც პირველ დანახვითვე უცხო კაცსაც გულს წაუღებს. ამიტომაც ეს ეპიზოდი ერთი მრავალთაგანი ნიმუშია რუსთაველის მხატვრობითის სტილისა: ამ შემთხვევაშიაც პოეტი გმირის მდგომარეობასა და ხასიათს აღწერით კი არ წარმოგვიდგენს, არამედ მისის საუბარითა და მოქმედებით გვისახავს.

თუ ეპიზოდს უმცროსი და შემთხვევითი მნიშვნელობა აქვს მოთხრობის მსვლელობისათვის,—საკითხავია, რა საჭიროა, რომ მასშიგან გამოხატული ფაქტი გამრავლდეს და თითქმის შეუწყვეტელს მოვლენად გადაიქცეს? რა შეემატება მაგით მოთხრობის ინტერესს? ეს საკითხავი მოუვა ფიქრად მკითხველს, ეპიზოდს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიკითხავს და მე-970 ხანას მიადგება. ხომ შევიტყეთ, რომ ავთანდილმა ფრიდონის სამეფოს მიაღწია და მენავეთ მელდაზანზარის გზა ასწავლეს, მაშ რისთვის-ღა უნდა გვიამბოს მთხრობელმა, ვითამც ამ შემთხვევის გარდა ავთანდილს მრავალი სხვა მგზავრიც შეხვედრია, რომელიც თავაზიანად და ალერსიანად მოჰქცევია, გზა ესწავლებია და გაუცილებია? ამის თქმით მე-970 ხანამ ამბავში ახალი არა შემოიტანა-რა, ხოლო სტილისტიური მხრით ეპიზოდი დააუშნოვა. ეპიზოდი იმით არის ტურფა, რომ მოთხრობის ფაქტს, აღწერის ნაცვლად, დრამატიულს სცენად წარმოგვიდგენს, მე-970 ხანა კი სწორედ ამისთანა გამოხატვის საპირისპიროა. რაც რუსთველის ეპიზოდში ცხოვლად და თვალსაჩინოდ გამოხატული იყო,— ამ ხანაში უფერულად და მშრალად აღწერილია.

ასე რომ მე-970 ხანის შინაარსი გამეორებაა პოეტისგან გამოხატულის შემთხვევისა, მხოლოდ შემთხვევა აქ გახშირებულია. ეს მოთხრობის მეტის-მეტობა და ურგებობა პირველი საბუთია ხანის სიყალბისა, ხოლო სტილის განხილვა სიყალბის უმრავლესს ნიშნებს აღმოაჩენს. აქაც მელექსემ თავისის გაზვიადებითა და გადაჭარბებით თავისი მეტიჩრობა გაამხილა.

რუსთაველის თქმით, მენავეებმა ავთანდილს მრავალი ქება შეასხეს, ემსახურეს, «უწინამძღვრეს, არ დააგდეს ზღვისა კიდე», მისთვის «ბნდებოდენ» კიდეც, მაგრამ მათს პირფერობას საზომი მაინცა აქვს: არ ავიწყდებათ, რომ ფრიდონის ყმანი არიან,—«იგია ჩვენი პატრონი, მზგავსი ცით შუქთა (მ)ფენისა»,—და რასაც ავთანდილს ქებას ეუბნებიან, ორს იმოდენას თავიანთ პატრონს უწილადებენ. ყალბის-მქნელი კი გვარწმუნებს, ვითამც ავთანდილს, «ვინც გზასა ჭნახნის უცხონი, მსახურებდიან, ყმობდიან...» ისე, უმიზეზოდ «ყმობდიან», მხოლოდ იმიტომ რომ ავთანდილი «ჭნახნის». რას ნაღვლობს ყალბის-მქნელი, რომ «ყმობდიან» მეტი სიტყვა არის და საზომს გადაცილებულიც!

რუსთაველის ავთანდილმა მენავენი რომ «შორით ჭნახნა», «მოუცადა.»—ეგრეც უნდა ყოფილიყო ნამდვილად, რადგან ვინც გზა არ იცის, გზის მაჩვენებელს ის ეძებს კიდეც. ყალბის-მქნელის თქმით კი, ავთანდილის «საჭვრეტლად მოვიდოდიან» და «მას ზედა ტრფოია-

ლობდიან.» ეს მგზავრის სიარული კი არა ჭკვას,—თითქო ფარი-დონის სამეფოს ერთი რამ საკვირველებს შემოუყვანიათო და ხალ-ხი თამაშის საყურებლად მორბისო.

ამგვარსავე გადაჭარბებას მესამე ლექსში ვხედავთ. თუმცა, რუს-თაველის გამოსახვით, ავთანდილ მენავეებს «ეუცხოვა და ეკეთა» და ესენი წამდაუწუმ კომპლიმენტებს ეუბნებიან, მაგრამ არც იმდენად შეუყვარდათ, რომ მისი მოშორება ვერ დაეთმოთ. საუბარის შემ-დეგ ისე მოშორდნენ ერთმანეთს, როგორც ჩვეულებრივ უცნობნი შემთხვევით შეიყრებიან და მერმე გაიყრებიან ხოლმე: «იგი წავიდა, დაბრუნდა ყმა გზასა თავის წინასა.» ყალბის-მქნელს ასეთი გულ-გრილი გამოსალმება არ მოსწონს. მისის თქმით, ავთანდილის შე-მყრელთ «ქმნელებოდის გაშვება, გაყრასა ძლივ დათმობდიან»,—თი-თქო დიდი ხნის მოყვარენი არიანო. რად შეუყვარდათ ამათ ავთან-დილ უმეტეს, ვინემც მენავეებს? ამის მიზეზი არსად სჩანს.

რისთვის იყოო, ვკითხავთ, ამდენი სამსახური, ყმობა, ტრფია-ლობა და გაყრის ძლივ დათმობა?—იმისთვის, თურმე, რომ ავთან-დილს «გზის ყულაუზი *) მისცან, ჭკითხის რა, უამბობდიანო.» ისე გამოდის, თითქო მგზავრს კაცი რომ გზას ასწავლიდეს, ან ყუ-ლაუზს აძლევდეს, იმის გულისათვის უნდა გადირიოს და ყმად გაუხ-დესო.

ესრედ, მე-970 ხანა არამც თუ მეტი იყო მოთხრობის სი-სრულისათვის, არამედ თავისის გაზვიადებულის გამოსახვით რუს-თაველის აზრი სრულებით გადაასხვაფერა, პოეტისაგან დახატული მარტივი და ბუნებური ფაქტი რაღაც დაუჯერებელს სასწაულად გა-დააქცია.

ა. ს—შვილი

---

*) ყულაუზი თავისთავადაც გზის-მაჩვენებელს ნიშნავს, ამიტომ „გზის ყუ-ლაუზი“ ისეთივე უშნო სიტყვის-საქცევია, როგორც, მაგალითად, ნადირის მონა-დირე, სიმღერის მომღერალი და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გურია-აჭარა

## მგზავრის წერილები

### IX *)

### ნაგომარი

ნაგომრისაკენ.—გზა.—გურიელის სამოურავო.—საზოგადო სახე ნაგომრისა. — ნაგომრობა.— ჩვენის ხალხის ხელსაქმე.—მეგრელები ნაგომრობას.—სუფსის ქალი.—მამულების გამიჯვნა.

მკათათვეა. ზომიერი სიცხე დგას. ოზურგეთი თითქმის დაცარიელებულია. ვისაც კი მოცლა და შეძლება ნებას აძლევდა, ყველა არიდებდა თავს ოზურგეთსა, ყველანი ბახმარის მთისაკენ მიისწრაფოდნენ. ზოგი თიბათვის გასულსვე წასულიყო ამ მთაზე, დანარჩენნი ახლა მიდიოდნენ.

მეც, სხვებთან ერთად, ამ მთაზე უნდა ავსულვიყავ. მაგრამ არ მოველოდით, ისე გზა გაგვიგრძელდა. უნდა გაგვეარნა ნაგომარში, ნაგომრიდან აკეთში და იქიდან კიდევ—ბახვში. მხოლოდ ამ ალილოს შემდეგ შეგვეძლო ბახმარის აღმართს შევსდგომოდით.

ნაგომარი ოზურგეთიდან 12 ვერსის მანძილზეა. ვიწროსა, მაგრამ კარგად მოკენჭილს გზაზე ეტლი მშვენივრად მიჰგორავს. ასეთი კარგი სასოფლო გზები მარტო აქეთკენ, გურიაში, თუ შეხვდება საქართველოს სხვა კუთხეებში ნავალ კაცსა. აქ, ეტყობა, ყველას შეგნებული აქვს, რომ უგზოოდ ფასი არა აქვს მეურნეობის ყოველგვარს ნაწარმოებსა. არა გვგონია, რომ

*) იხ. „მოამბე“ № III, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაგან, საქართველოს რომელსამე კუთხეში, სოფლელნი გზების გაყვანისათვის იმდენსა ზრუნავდნენ, რამდენსაც გურიის მკვიდრნი ზრუნავენ და ეს სწორედ მაშინ, როცა გურულმა გლეხმა ათას-გვარს, კარზე მომდგარ, გაჭირვებას პასუხი უნდა გასცეს! 1896 წელს მთელს ოზურგეთის მაზრაში (გურიაში) გზების შესაკეთებლად „ბეგარაზე“ გაუყვანიათ 55,753 ქვეითი კაცი, 7,669 ურემი და 497 ცხენი. ყოველივე ეს ფულად რომ ვაქციოთ, დაახლოვებითი ხარჯი გამოვა 46,000 მანეთი, ესე იგი თვითეულ კაცის თავზე წლიურად თითქმის **ორი აბაზი** დახარჯულა. ეს იმ დროს, როცა ყოველი კომლი გურული წლიურად მუდმივს ხარჯს იხდის 5 მან. და 35 კაპ., ხოლო დროებითს—1 მ. და 4 კ.!..

სოფ. დუაბზუამდე გზა ერთს გრძელს, დაუსრულებელს ხეივანში გადის. ხოლო ამ სოფლის შემდეგ დაბალი ტყე იწყება. თვით მოსახლენი იშვიათად შეხვდება მგზავრსა. ეს უდაბურობა გზისა ადრე, ფირალობის დროს, საშიშრად ჰქმნიდა აქ მოგზაურობასა და თვით ფირალებს დიდად უწყობდა ხელსა. თანამგზავრებმა ის ისტორიული პუნქტიც მიჩვენეს, სადაც რომელღაც ფირალს,—არ ვიცი—მიქელაიშვილს, არ ვიცი—მუხუზლას (გვარია)—არა ერთხელ დაუცია შიშის ზარი გამვლელ ვაჭრისათვის. დღეს კი იმავე გზაზე სრულიად გულდამშვიდებულნი დადიან ყველანი როგორც დღე, ისე ღამე: იციან, რომ არავითარი განსაცდელი და ხიფათი არ მოელის ფირალისაგან არც მათს სიცოცხლესა და აღარც მათს ქონებასა.

გავედით მდ. ნატანებში, უკან დაგვრჩა ბახვის წყალიცა. გველივით დაკლაკნილი და აღმართ-დაღმართიანი გზა გასწორდა და ნაგომარიც გამოჩნდა, სიმინდის ყანებს შუა, ვაკე ადგილას გაშენებული.

—

დ. ნაგომარი, როგორც ზევითაც ვსთქვით, მეორე სამოურავო იყო გურიელისა და მოურავად აქ იჯდა თავადი გუგუნავა რომლის ჩამომავალი პატივცემული მოხუცი თავადი სვიმონ გუგუნავა, ოზურგეთის მაზრის უფროსი, ჩვენს მწერლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი მოლექსე, შვილი პოეტის დათა გუგუნავასი, დღესაც აქა სცხოვრობს. გურიელიც ხშირი სტუმარი ყოფილა თავისის სამოურავოსი და, ალბად, სხვათა შორის, ესეც დაედო მიზეზად იმასა, რომ აქ ამ სოფელში დაბა გაშენებულა, ვაჭრობა გაჩაღებულა.

დუქნები აქაური ყველა ხისაა და ორპირად არის ჩარიგებული, როგორც ოზურგეთში, შუაში გაყვანილ გზის იქით-აქეთ ნაპირებზე. აქვე ჩვენებურს პროვიზორს აფთექა გაუღია. ერთს სადუქნე შენობაში ადგილობრივის ინტელიგენციის მეცადინეობით უფასო წიგნთსაცავი მოთავსებულა. შიგ მეტად მცირე რიცხვია წიგნებისა, გაზეთებიც სულ ორნაირი იდო მაგიდაზე. მაგრამ სულ არარაობაში ესეც ღვთისწყალობად უნდა ჩაითვალოს.

ნაგომარი თავისის ბაზრობით არის ცნობილი, ან, როგორც აქ ამბობენ, ყოველის წლის მკათათვეში „ნაგომრობა“ იციან. ჩვენ რომ მივედით, ბაზრობა, ის-ის იყო, დაეწყოთ. ბაზრობა იწყება 15 მკათათვიდან და გასტანს ორ კვირას, ესე იგი მკათათვის გასვლამდე.

ნაგომრობა ერთ საუკეთესო ბაზრობად უნდა ჩაითვალოს მთელს გურიაში. ჯერ ერთი, ვაჭრობისათვის ჩინებული დროა შერჩეული—მკათათვე, როცა გურული გლეხი თითქმის მოცლილია. ამ დროს სიმინდი გამარგლილი აქვს და შეუძლია ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს თავისის ნაწარმოებითა. აბრეშუმის პარკიც მოწეულია და სოფლელ ქალს თავი ხელთა აქვს გასასყიდად გამოიტანოს როგორც აბრეშუმის ძაფი, ისე ნაქსოვიცა.

ხალხი ნაგომრობას დიდ-ძალი იკრიბება. ვაჭრები უფროს-ერთი სოფ. საჯავახოს (გურიაშივეა) მცხოვრები ურიები არიან. ფართლეული და საწვრილმანო ორპირად ჩამომწკრივებულს, წკნელისაგან მოწნულს კარვებში აქვთ მოთავსებული. ვაჭრობის საგანი ფართლეული და სოფლებიდან შემოტანილი ნაწარმოებია, ყველაზე მეტი შემოაქვსთ აბრეშუმი, ძაფად ამოღებული, აგრეთვე აქაურებისავე ნაქსოვი დარაია, რომლის ალაბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვს შაურიდან სამ აბაზამდე იყიდება, ნაქსოვი, საზოგადოდ, ტლანქია, გაცილებით ჩამოუვარდება დ. ხონში ნახელსაქნარ დარაიასა. აქვე ჰყიდიან დარაიის საზაფხულო ყაბალახებს, თითოს 2 მ. ასეთი ყაბალახები ჰხურავსთ გურიაში თავმომწონე ყმაწვილკაცებსა და ზოგან ქალებიც კი ატარებენ. ამ ჟამად ძალიან მოდაშია. მოაქვსთ აგრეთვე თიხის სხვა-და-სხვა ჭურჭელი, მჭადის საცხობი კეცები მახლობელ სოფ. ვანიდან. აქაური კეცი მთელს გურია-სამეგრელოში განთქმულია, სულ დიდი კეცი ღირს ორი აბაზი. გამოაქვსთ ჩონგური, სხვა-და-სხვა სიდიდის ჭილობი და თითოს 20—25 კაპ. ჰყიდიან. ძალიან ბევრი დააქვსთ გასასყიდათ ალაგობრივვე მოწნული ჭილობის ქუდი, ფართე, შვეიცარიელი გლეხები რომ ატარებენ, იმ სახისა. თითო ქუდს სამ შაურად იყიდით. აქაური გლეხები და პატარა ბიჭები ხშირად ატარებენ ასეთს ქუდებს. მეტად პრაქტიკული რამ არის მზის გულზე ყანაში მუშაობის დროს. სიცხისაგან ძალიან იფარავს თავს. რომ კაცი იყოს, ნაგომარს გარდა სხვაგანაც გაუხსნიდა ბაზარს ამ ქუდს, მხოლოდ ერთი ბეწო გაუმჯობესობა სჭირია. ზოგს ფასონი აქვს უშნო, თორემ მეტად ხელოვნურად არის მოქსოვილი. ბაზრობაზედვე ნახავთ პატარა ბიჭებსა, რომელთაც შოლტზე დაბმული ლაჟოები (ფრინველია ერთნაირი, ბეღურაზე დიდია) დაჰყავსთ გასასყიდად. მიმინოს დასაჭერად საუკეთესო ჩიტია ლაჟო და ამიტომ ფასიცა აქვს. თითო ლაჟო, თუ გაუწვრთნელია, სამი შაური ღირს. კარგად გაწვრთნილი მამალი ლაჟო ორ მანეთადაც გაიყიდება.

ნაგომრობაზე მეგრელებიც მოდიან სავაჭროდ. მაგრამ გურული მეტად სკეპტიკურად უყურებს მათს აქ გამოჩენას. აქ და, საზოგადოდ, მთელს გურიაში რენომე დაკარგული აქვს სამეგრელოს მკვიდრსა. მეგრელი და სხვისის საკუთრების მითვისების ტენდენცია—სინონიმებია, გურულის აზრით. ერთის მხრით, გურული ემართლება კიდეცა მეგრელსა! „კუჭი“ როგორ არ უნდა მოუვიდეს გურულსა, როცა აქაური ცხენები დაიკარგება თუ არა, მაშინათვე ზუგდიდის მაზრის რომელსამე სოფელში: წელენჯიხას, ჯვარს ან კიდევ მდ. ენგურს გაღმა უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოჰყონ ხოლმე თავი!... ბაზრობაზე მოსული მეგრელები უფრო იმას მისდევენ, გაიგონ—სხვის ჯიბეში რა ძევსო. რა თქმა უნდა, არავისთვის არის სასიამოვნო—სხვა მის ჯიბეში ხელებს აფათურებდეს. იმის ცდაში ხარ, როგორმე თავიდან აიცილო ასეთი ცნობისმოყვარე. მაგრამ ერთს გლეხს სრულებით დაჰვიწყებოდა, რომ ჯიბას გაფთხილება ესაჭიროებოდა. ერთი ახალმოსწავლე ჯიბგირი პირველ დებიუტზედვე დაიჭირეს. ჩააბარეს მაშინათვე წეს-რიგის მცველს. იმანაც, რა თქმა უნდა, შუბლში არ აკოცა, თავისის მუხლის ღონე აგრძნობინა და ჯიბგირის სურვილის წინააღმდეგ, ისეთს ალაგას ამოაყოფინა თავი, სადაც, ჩვენის ხალხის ოხუნჯობით, დიდ-ყურასაც კი სიმწრის ოფლს აძლევს ხოლმე. ხალხი აშფოთდა; „ჯვარს აცვითო!—იძახდა გაშმაგებული.—სხვა მისი ამხანაგებიც დაიჭირეთ, ჩვენთან სასიკეთოთ არ არიან მოსულნიო“. აღტყინებული ხალხი მანამდე არ დამშვიდდა, სანამ სხვებიც არ მიაყოლეს პირველსა... მეორე დღეს ერთმა ნაცნობმა გურულმა, არა თუ სულ ხუმრობით, მომილოცა მშვიდობით გადარჩენა...

ცეკვა, თამაში და სიმღერა, როგორც მაგალითად ხობისა და ძველ სენაკის (სამეგრელოში) ბაზრობაზე იციან და აქაც იცოდნენ წინად, ეხლა აღარ იციან აქ. ხალხი მოდის სავაჭროდ, სასაქმოდ, ნახავს ნაცნობებსა, მოიკითხავს და უკანვე ბრუნდება. თვით ადგილი ბაზრისა ძალზე ვიწროა, თან მტვერი ასდის საშინელი. გარშემო თავისუფალი ადგილი ცოტა აქვს შორიდან მოსულ ხალხის შესასვენებლად. ყოველი ფეხის დადგმა მიწა ყანად არის ქცეული.

გურიაში ნაგომარს გარდა ამ ნაირივე ბაზრობა იმართება სოფ. ჯუმათში ენკენისთვეში და ერთი კვირა გასტანს, საჯავახოში პეტრეპავლობას და იქაც ერთი კვირა გრძელდება. მაგრამ ნაგომრობას სხვებთან უპირატესობა აქვს. აქაური ოპერაცია (30,000 მანეთი) თითქმის უდრის ჯუმათისა (9,700 მ.) და პეტრე-პავლობის (18,000) ოპერაციას ერთად.

—

ნაგომარს ზედვე აკრავს ნაყოფიერი სუფსის ჭალა, განთქმული სიმინდის მოსავლითა. ნიადაგი სულმუდამ მსუქანი და

პოხიერია, რადგან მდ. სუფსა, როცა მოდიდდება და ნაპირებზე გადაივლის, ზედა სტოვებს ლამსა. ეს კია, რომ აქაური ჰაერი ტანსიმრთელისათვის მაწყენარია,—ციება იცის. მთელი ჭალა მოფენილია სასიმინდეებით. როცა სიმინდს მოსტეხავენ, შიგა ჰყრიან. შინ წაღება ან და გაყიდვა რომ მოუნდებათ, გაცეხვავენ სასიმინდეშივე, ტომრებში ჰყრიან და ურმებით მიაქვსთ, სადაც უნდათ. მთელი ზამთარი სიმინდი გარედ არის, სახლიდან ხან ათის ვერსის მანძილზე. მეტად ოსტატურად არის გაკეთებული აქაურის სასიმინდეს ერთი ნაწილი. ბარჯგსა, რომელსაც აქ გამძლეობისათვის ურთხლისას აკეთებენ, და თვითონ სასიმინდეს ტანს აერთებს მრგვალი, ჯამის სახით გათლილი ნაჭერი ხისა. მხოლოდ, ჯამის ამოღრუტნული ნაწილი ქვეითა აქვს მოქცეული, ქვედა კი—ზევით. ამის სეკრეტი ის გახლავს, რომ თაგვი სასიმინდეში ბარჯგიდან ვერ ავა: ბარჯგზე ჩამოფარებულ ჯამს რომ მიატანს, პირაღმა მოექცევა ქვეშიდან ჯამსა და მყისვე ძირს ჩამოვარდება.

ნაწილი ამ ჭალისა ეკუთვნის თავადთ გუგუნავებს და ერთი ნაწილიც—თავდგირიძეებსა. მაგრამ დღემდე გაუმიჯნელი იყო და მონაწილესათვის თავისის ქონების საზღვრის გამოურკვევლობა მეტად სამძიმო იყო. ეს გამოურკვევლობა თავისის უფლებისა აქაც, როგორც სხვაგან საქართველოში, ხშირადა ყოფილა ყოველგვარის შფოთის მიზეზი. ხოლო ეს შფოთი და უთანხმოება კიდევ სატევრითა და ტუკებით არა ერთხელ გამორკვეულა. კერძო მემამულეთა და ხაზინის ქონების აღსანუსხავად და გასამიჯნავად ჩემს იქ ყოფნაში სახელმწიფო ქონებათა უწყების აგენტი და მიწის-მზომელი იყო გამოგზავნილი. მცხოვრებთა შორის ათასგვარი ხმა დადიოდა აგენტის შესახებ. საქმე ის გახლავსთ, რომ თუ გლეხი იტყოდა, ესა და ეს ადგილი, რომელზედაც მე ვმუშაობ, სახაზინოა, მებატონეს, ვისგანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხს სამესამედოდ თუ სამეოთხედოდ ჰქონდა აღებული მიწა, აგენტი კიდევ სადავოდ, ან, როგორც აქ ამბობენ „სასპოროდ“ აღიარებდა. თანაც გლეხს ჩაგონებული ჰქონდა, თუ სთქვი, ესა-და-ეს მიწა სახაზინოა, მებატონე!, ჩამოერთმევა და შენ ჩაგბარდება, დაჯექი და იმუშავეო. მემამულენი მეტად ამრეზილნი იყვნენ იმ ფაქტით, რომ გლეხებს იმას კი არ ათქმევინებდნენ, რაც იყო და იცოდნენ, არამედ ძალას ატანდნენ და სიმართლეს აქელვინებდნენ, ვითომ და მათისავე სარგებლობის გულისათვის. უფრო იმაზე მოსდიოდათ გული, რომ ბატონო, ჩვენებურია, და ქართულად, რაც უნდა, იმას ჩააგონებს უვიცსა და უსტავლელს გლეხსაო, გლეხმა რა იცის, რომ იმასაც ერთმევა მამული და ჩვენცა! სად გაგონილა, ბატონო, ჯერ ეჩიჩინება, ასე სთქვი, თვარა დეილუპებიო?! ამბობენ, უმეტესობა მამულებისა, რაც იმ ზაფხულს გაიმიჯნა, ხსენებულმა აგენტმა სადავოდ გამოაცხადაო და ვინ იცის, როდის მოეღება ბოლო ამ დავასაო... მემამულენი იმას ნატრობდნენ, ნეტავ ჩქარა გვეღირსოს მამულების გამიჯვნაო და ახლა თავში საცემი ის გაუხდათ, რომ ათას ალაგას ფული უნდა ხარჯონ და სამართლის წესით ხაზინას უნდა ედავონ... სად შეუძლიათ, ბატონო, — შემომჩივლა ერთმა თავადმა გულდამწვარად, — ჩვენს ისედაც გაჩანაგებულს თავად-აზნაურობას იმდენს ხარჯს გაუძლოს და ხაზინას პასუხი მისცესო?... ეგეც ერთი უსამართლობა გვატყდება თავზედაო!...

გამოვსწიეთ აკეთისაკენ, რომელსაც ნაგომრისაგან მდინარე სუფსა ჰყოფს. ზედ ნავია პრტყელ-ბსკერიანი, რომელიც იქით-აქეთ საჭეებით გაჰყავსთ. ეტლი გამოლმა დავსტოვეთ, რადგან წყალი ცოტა მომატებული იყო და ჩვენ კი ამ ნავით მეორე ნაპირას გავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## X

## აკეთი

აკეთი.—მამუკა თავდგირიძე და თავდგირიძეთა გადმოსვლა გურიაში.—მამუკა თავდგირიძე და აჭარის ფაშა აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილი—მამუკას მემკვიდრეობა.—მაცხოვრის ეკკლესია.—საჯვარე თოხაძიანთ უბანში და ორიოდე სიტყვა ძველთა ხელნაწერთა შეკრების გამო.—„ეშმაკის საყდარი“.—„ნაოფლარი.“—სოფლის მასწავლებელნი და ახალგაზდა მღვდლები გურიაში.—ვასილ რუსი.—აკეთელი მათუსალა.—სტუმართ-მოყვარეობაა?—აკეთელი გიდალგო.—„მშვიდობით, ტარიელის სამშობლო სოფელო!“

აკეთი გორის ფერდზედ არის შეფენილი და ზედ დასცქერის სუფსის ჭალასა. აქედან სუფსას გაღმით, აღმოსავლეთის მხარეს, მოსჩანს რამდენიმე სოფელი გურიისა, გურია-აჭარის მთების კალთებზე შეფენილი, მთის ზემოთ—უხვი ტყე. სოფელი-მეთქი, მაგრამ ეს შეცდომა იქმნება, — თითო სოფელში თითო სახლს თუ მოჰკრავს კაცი თვალსა, ისეა დამალული სახლების სახურავები ტყეში.

ერთის კვირის განმავლობაში აკეთის სტუმარი უნდა ვყოფილვიყავ, სანამ პირდაპირ ბახმარისაკენ ვიბრუნებდი პირსა. ამიტომ საკმაო დრო მქონდა მომესმინა წარსული აკეთისა და აწმყო მდგომარეობა მისი.

აკეთი, როგორც უმრავლესობა გურიის სოფლებისა, ისტორიული სოფელია. და ეს ისტორია მისი საკმაოდ მდიდარი გახლავსთ. ოთხის სოფლისაგან შესდგება აკეთი: პირველი საკუთრივ აკეთია, მეორე—ძომლეთი, მერე—ჭანჭათი და ვანი. ჩვენ აქ გვექნება ლაპარაკი საკუთრივ აკეთის შესახებ.

ამ ჟამად აკეთში გლეხებს გარდა სახლობს რამდენიმე მოსახლე აქაურ მებატონე თავადთ თავდგირიძეთა, იმ თავდგირიძეთა, რომელთა წინაპარი მე-XVII საუკუნეში ქობულეთიდან გადმოსულა აკეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვაროვნობას თავისი საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს და აქ ვეცდებით მკითხველსაც გავაცნოთ იგი.

აწინდელი თავდგირიძენი წინად **თაქთარიძებად** იწოდებოდნენ და მოხსენებულნი არიან როგორც სახელოვანნი თავადნი საქართველოს კათალიკოსის სამცხე-საათაბაგოის სამწყსოისა. სამცხე-საათაბაგოში (ზემო-ქართლში) ჰქონიათ სოფელი „ჩორჩანელი სასაფლაოჲთა, მონასტრითა დ კარის ეკკლესიითა“. სამცხე-საათაბაგოელ თავდგირიძეთა გვარი ამ ჟამად სამგან არის: ქვედა-აჭარაში, ქობულეთს და გურიაში—სოფელ აკეთს.

სოფელ აკეთში თავდგირიძენი დასახლებულან მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. მათის წინაპრის, მამუკა თავდგირიძის, გამოსვლის ამბავი მჭიდროდ შეკავშირებულია ქობულეთის მხარეში ქრისტიანეთა და მაჰმადის მოსავთა პირველად შეტაკებასთან. ამ მამუკა თავდგირიძის პირდაპირი შთამომავალნი არიან როგორც ქობულეთს (მაჰმადიანნი), ისე სოფ. აკეთს (ქრისტეანენი) მცხოვრებნი თავდგირიძენი. მამუკა მაშინ გადმოსულა გურიაში, როცა მთელი ჩაქვი და ქობულეთი ჯერ ისევ მაცხოვრის სჯულს აღიარებდა. მისი საბატონო იყო როგორც ჩაქვისა, ისე ქობულეთის მხარე.

საოცარია, ხანდისხან რა უბრალო შემთხვევას, თითქმის უმნიშვნელო მიზეზს შეუძლია მთელის მხარის სვე-ბედი წალმა დაატრიალოს, თითქმის ძირითადად შესცვალოს მისი მდგომარეობა. მამუკას სახლთ-უხუცესადა ჰყავდა აზნაური ვინმე ოთარ იობიშვილი. ოთარს, თავის მხრივ, ოც და ხუთი მოსახლე გლეხი ჰყოლია. სახლთუხუცესის თანამეცხედრე მეტად წუწურაქი და პურა-ძვირი რამა ყოფილა და თან უდიერად თურმე ექცეოდა გლეხებსა. როგორც ზეპირ გარდმოცემა მოგვითხრობს, როცა ყანაში გლეხები ჰყავდა და ამუშავებდა, რამდენიც უნდა ყოფილიყვნენ, ოთარის ცოლი ერთ ხელის სიფართე მჭადს და მის შესაფერ შეჭამანდს გაუგზავნიდა, ხოლო იმისი დარდი ნაკლებად აწუხებდა—ეყოფოდათ ასეთი მცირედი საჭმელი, თუ არა. ძალიან კარგს გუნებაზედ უნდა ყოფილიყო მამუკას სახლთ-უხუცესის თანამეცხედრე, რომ მუშე-

ბისათვის ზედნადებად ღვინოც გაეგზავნა, თუნდაც თითო ყლუპის მეტი არა რგებოდათ თვითეულსა.

გაბეზრდნენ გლეხები ასეთის ძაღლ-უმადურის ცხოვრებითა. სთქვეს, რაღაა ჩვენი სიცოცხლე, თუ ჩვენს მებატონეს თავი არ დავაღწიეთო. შეთქმულებმა გადასწყვიტეს, მესადილემ ჩვენის მებატონის ცოლისაგან გამოგზავნილი ჯერი რომ მოგვიტანოს, ერთი ლაზათიანად მივამქავოთ და ამით მაინც ვიოხოთ გულიო. მართლაც, მესადილემ ჯერი მიუტანათ თუ არა, მისცვივდნენ და მანამ სცემეს, სანამ მე და თქვენ მივეშველებოდით.

რა თქმა უნდა, მებატონე ჩვენს თავხედობას რომ გაიგებს, შუბლში არ გვაკოცებს და, სანამ დრო გვაქვს, თავს ვუშველოთო, სამშობლოში გაჩერება ყოვლად შეუძლებელიაო, გადასწყვიტეს დამნაშავე გლეხებმა.

მაშინ ვინც რასმე დაუშავებდა მებატონეს, ან და კაცი შემოაკვდებოდა და შინ გაჩერება არ შეეძლო, ოსმალეთში ეძებდა ხსნასა. ჯერ ერთი, იქვე, მეზობლად იყო, და მეორეც—თუ კი როგორმე ამ ქვეყნის მიწა-წყალს დაადგამდა ფეხს, მისი სიცოცხლე დაზღვეული იყო. აი, ამ ოსმალეთს მიაშურეს იმ რვა მუშამაც, რომელთაც ხელი აღმართეს თავისის ბატონისაგან გამოგზავნილ კაცის წინააღმდეგ.

გაიგეს სახლთუხუცესმა და მისმა ცოლმა ლტოლვილ ყმების ამბავი. ცოლმა სიკაპასით ცეცხლი მოიკიდა და თავისს ქმარს ურჩია, უეჭველად ახლავე უნდა მოეღოს ბოლო ამ უწესოებას და დამნაშავენი სამაგალითოდ დავსაჯოთ, თორემ იმ შეჩვენებულთ თუ ეს თავხედობა შევარჩინეთ, იმათს მაგალითს სხვებიც წაჰბაძავენ, გაგვიორგულდებიან და დაგვიღუპებითო. სხვა გზა არ არის, უნდა შევიპყროთ როგორმეო.

სახლთუხუცესს ორი ძმისწული ჰყავდა. უფროსი ადგა და, ვითომ საძებრად და დასაჭერად, გაქცეულებს გამოუდგა. მაგრამ გულში კი სხვა ჰქონდა: იმასაცა სჭირდა რაღაც ჯავრი თავისის ბიძისა და, ოსმალეთში რომ გადავიდა, ქრისტეანობაზე ხელი აიღო და თვითონაც მეამბოხეთა მიემხრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს ბათომსა და ჩაქვს შუა მდებარე ადგილი ძარცვა-გლეჯის ასპარეზად იყო გადაქცეული. აქ იყო გზა, სადაც უნდა გამოეტარებინათ გურიაში მოტაცებული ლამაზი ქალები ოსმალთ დიდებულთა ჰარამ-ხანებისათვის. მამუკა თავდგირიძის სახლთუხუცესის ყმების გაქცევის შემდეგ ორს კვირას არ გაუვლია, ისე მოსამსახურე ლამაზი გოგო დაეკარგა სახლთუხუცესის ცოლსა. ამ უკანასკნელმაც ბრალი თავისს მაზლისწულსა დასდო, თუ არ ის, გოგოს მოტაცებას სხვა არავინ გამიბედავსო.

ოთარის ძმისწულმა გაიგო, ბიცოლა ჩემი ასეთს ცილსა მწამებსო. ეწყინა საშინლად, მით უფრო, რომ ცათამდე მართალი იყო ამ საქმეში. ადგა და თითონ დაუწყო ძებნა დაკარგულს გოგოსა. ცოტა ხნის უკან იპოვნა კიდეცა: გოგო ტრაპიზონში გასასტუმრებელ სანდალში იჯდა და წასვლას-ღა ელოდდა, ისე იმანაც მოუსწრო. როგორც იყო, გამოიხსნა ტყვედ წასაყვანი გოგო და ბიძას გამოუგზავნა. თან წერილიც მოსწერა: „ჰკითხეთ გოგოსა,—მე მოვიტაცე, თუ სხვამაო?“ გოგომაც მოახსენა თავისს ქალბატონს: თქვენმა მაზლისწულმა კი არა, სხვამ მომიტაცაო.

დაფიქრდა სახლთუხუცესი ოთარი. რაკი ასეთი ცილი დავსწამე ალალ-მართალს ძმისწულსა, რა საჭიროა, ცოცხალს არ გამიშვებსო. მოდი, ისევ მე დავასწროვო. ჩაუსაფრა გზაში კაცი თავისს ძმისწულსა და მოაკვლევინა.

მოკლულს დედიდან ბიძა ჰყავდა, ვინმე გუგუნავა. ამან რაკი გაიგო თავისის დისწულის სიკვდილი, სთქვა—მისი სისხლი უნდა აეიღოვო. ამ აზრით გადიხვეწა ოსმალეთში, იქ შემოიერთა ადრევე გაქცეული ნაყმევები ოთარისა. მერე გამობრუნდა უკან, დაეცა თავს ოთარს და ძირიან-ბუდიანად ამოჟუჟა.

ამ შინაურ.ას უთანხმოებით ისარგებლეს ოსმალებმაცა. ამდენი ხანია, ვებრძვით გურჯებსა და ვერაფერი დავაკელითო. ახლა ამათ შევუერთდეთ და, იქნება, ვსძლიოთ ეს კერპი და გაუტეხელი ხალხიო. მართლაც, თავს დაესხნენ ქობულეთს და მოსრეს მანდაურობა.

ეროვნული

გამარჯვების შემდეგ აქვე დაბინავდნენ ოსმალთა ფაშები და მათი მხედრობა. მოსლემანთა ურდომ აღმართა ხმალი და დაუწყო ბრძოლა ქრისტეს სჯულის აღმსარებელთა. ახლად დაპყრობილი ნაწილი საქართველოსი განსაცდელში ჩავარდა. ჩვენის განკითხვის დღე დადგაო, ამბობდნენ აქაურნი მკვიდრნი. მტერი, ეს არის, მოგვერია, ძალით ვერაფერს გავხდებით ამათთანაო. სჯული მაცხოვრისა ამდენს ხანს მტკიცედ და შეუმწიკვლელად დავიცავს და დაგვიფარავს. დღეს კი ორში ერთი დაგვრჩენია ამოსარჩევად: ან უნდა ხელი ავიღოთ მამა-პაპათა სალოცავებზე ან და სიკვდილს მივეგებნეთო. ვინც ნებით არ მუსულმანდებოდნენ, ბარბაროსნი მუსრსავლებდნენ; არ ინდობდნენ არც მოხუცს, არც ახალგაზდას, აღარც ქალსა და აღარც კაცს. ბევრმა ქართველმა შეაკლა თავი ოსმალთა მახვილსა, ბევრმა, უფრო სუსტმა, ქედი მოიხარა ბატონის წინაშე; უმრავლესობა კი მეზობელ გურიაში გადაიხვეწა, სადაც შეეძლოთ ქრისტეს სამწყსოს შეერთებოდნენ უშიშრად.

მებატონე მამუკა თავდგირიძე, ნეტა რასა ჰფიქრობდა ამ დროს, რას აპირობდა? პირველში გამაგრდა, ეგონა, დროებითია ეს წიოკებაო, იქმნება, გრიგალმა გადაიაროს და ისევ მოსვენებული ცხოვრება გვეღირსოსო. იმედს არა ჰკარგავდა. გარნა მტარვალი არა სცხრებოდა. მისს თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა, მისთა მსხვერპლთა რიცხვს დღე-ყოველ ემატებოდა. ერთგულნი მსახურნი ქრისტესნი ადვილად ვერა სთმობდნენ თავისს სჯულსა, უმალ ზვარაკადა სდებდნენ თავიანთს თავსა ქრისტეს სამსხვერპლოის წინაშე. მეტი გზა არ არის, თავი უნდა ავარიდო აქაურობასაო, გადასწყვიტა მებატონემ. მაგრამ გამოჩინებით აქედან გასვლა არ შეეძლო. მარტო რომ ყოფილიყო, თავს უშველიდა როგორმე. მართალია, დიდძალი მამული რჩება, მაგრამ ყოველსავე დავთმობ, ყველაფერზე ხელს ავიღებ, მხოლოდ მაჰმადის სარწმუნოება ძალათი თავზე არ მომახვიონ, ჩემთა მამა-პაპათაგან ნაანდერძევ სჯულისათვის არ მაღალატებინონო. დიაღ, თავის-თავის მეტი რომ ვინმე არა ჰყოლოდა, კიდევ გაიტანდა როგორმე სამშვიდობოს, მაგრამ რა უნდა ექნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლისათვის (ცოლად იმერეთის მეფის ასული ჰყავდა), ან შვილისათვის? მათი წამოყვანა ძნელი იყო, რადგან თვალ-ყურს ადევნებდნენ. ოსმალნი ყოვლადის გულს მოდგინებით სდარაჯობდნენ ამ ოჯახსა, — თუ ამას ავალებინეთ ხელი თავისს სჯულზე, მაშინ დანარჩენები, მისნი ხელქვეითნი, ამას მიჰბაძავენ, როგორც უფროსსა, და მათი მოსჯულება ადვილი საქმე იქნებაო.

მამუკა თავდგირიძემ გადასწყვიტა, რაკი ძალით ვერას გავხდი, ხერხით მაინც გავალ ფონსაო. თავისს მამულში ჩამომდგარ ფაშასა სთხოვა, ნება მომეცით გურიაში წავიდე ჩემის ცოლშვილითურთ; თქვენის აქ შემოსვლის შემდეგ მანდეთკენ ყმები გამექცნენ და მინდა დავიბრუნოვო. ფაშა ჯერ უარზე დადგა და მერე უთხრა:

— მძევალი დაგვიტოვე და მაშინ შეგიძლიან წახვიდე.

— მძევალი რაღად გინდათ,—უპასუხა მამუკამ,—როცა მთელი ჩემი ავლადიდება თქვენს ხელთაა? განა ეს კი არ გეყოფათ მძევლად?

— შენი ავლადიდება საკმაო არ არის. შენი ცოლშვილი დასტოვე და, თუ გინდა, მიბრძანდი.

უმძიმდა მამუკას ამ პირობის შესრულება, მაგრამ რა ექმნა? დაუტოვა მძევლად თავისი მეუღლე და შვილი მაქსიმე, თვითონ კი გურიაში გადმოვიდა. ორივე დედაშვილი, მამუკას წასვლის შემდეგ, ოსმალებმა გაამაჰმადიანეს. ამ მაქსიმე თავდგირიძესაგან მომდინარეობენ ქობულეთის აწინდელი ბეგები თავდგირიძენი.

გურიაში მამუკამ შეველა სთხოვა ჯერ გურიელს ქაიხოსროს (┼ 1658 წ.), ჯარი მომეცი, ქობულეთში ოსმალნი მამულებს მართმევენ და უნდა დავიბრუნოვო. ქაიხოსრო გურიელმა თანაუგრძნო მისს თხოვნას. ამასობაში მამუკამ ცოლის ძმასაც შეატყობინა თავისი ამბავი და იმერეთიდან იმანაც მოაშველა ჯარი. მამუკა თავდგირიძე ამ შეერთებულის ჯარით მიუხტა ქობულეთში ფეხმოკიდებულ ოსმალებს, მაგრამ რიცხვმრავალმა მტერმა სძლია, და ისიც უკუ იქცა დამარცხებული.

ეროვნული

გურიაში ქაიხოსრო გურიელმა ახლად შემოხიზნულს მამუკა თავდგირიძეს, როგორც დიდებულის გვარის თავადს, დიდძალი მამული და ყმები უბოძა და სოფ. აკეთში დაასახლა. აქ მამუკამ მეორე ცოლად შეირთო თავადის მაქსიმეისშვილის ასული, რომლისაგან ესვა ხუთი ვაჟი: გიორგი, მირზაბეგ, სოლომონ, ალექსანდრე და ფრიდონ.

მამუკა თავდგირიძის სახელი, როგორც გმირისა და ლონიერის კაცისა, დღესაც არის დარჩენილი გურიაში. თან ახლდა სულ მუდამ 60 შეიარაღებული კაცი, რომელთაც თავისის ხარჯით ინახავდა. სხვათა შორის, ერთი ეპიზოდი მისის ცხოვრებიდან დღესაც ახსოვსთ აკეთელებს. ერთხელ მამუკა თავდგირიძეს თავადი გიორგი გუგუნავა, სოფ. ძიმითელი მემამულე სწვევია. სადილად რომ ისხდნენ, შემოვიდა მსახური და მოახსენა მამუკას: „ბატონო, ხუთი აჭარელი აღა (აზნაური) გეახლათო“. მამუკამაც უბრძანა, სახლში შემოიყვანეთ და სადილი აჭამეთო. ნასადილევს აღები წარსდგნენ მამუკას წინაშე და მოახსენეს: — „აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილმა, აჭარის ფაშამ, თქვენთან მოციქულად გამოგვგზავნა და შემოგითვალათ: „ნებით ჩაგვბარდები თუ ძალით დაგიმორჩილოთო?“ მამუკამ ამაზე ეს შეუთვალა: „ცოცხალის თავით ნებით არ დაგმორჩილდებით; თუ ძალით მობრძანდებით — დაგიხვდებითო“. ხოლო აღებს საჩუქრები მისცა და უკანვე გაისტუმრა.

მამუკამ ყოველივე ეს სტუმრად მოსულ გ. გუგუნავას გააგებინა და თან შემწეობაცა სთხოვა. გუგუნავამ აღუთქვა: სოფ. ძიმითის ქვედა მხარეს გავამაგრებინებ ჩემს ყმებსა და მტერს არ შემოუშვებო.

იმავ დღეს ბრძანება გასცა მამუკამ — ვისაც კი თოფის აღება შეეძლია აკეთელსა, უნდა გამოხვიდეთ: მტერი მოდის და დავუხვდეთო. ძიმითის საზღვრიდან მაცხოვრის ეკკლესიამდე (აკეთში) მამუკამ გაამაგრა თავისის ჯარებით, ხოლო თვითონ ძიმითის მხრით გ. გუგუნავა უნდა გამკლავებოდა მტერსა. ამავე ადგილზე იდგა მებუკე, რომელსაც დავალებული ჰქონდა — სამას ნაბიჯზე რომ მოახლოვდებოდა მტერი, ბუკი უნდა დაეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა და მერე თოფიც უნდა გავარდნილიყო. თვითონ მამუკა და მისი სამოცი კაცი, ტყეში ჩასაფრებულნი, სუფსის პირას უცდიდნენ მტერსა.

მეხუთე დღეს აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილიც შემოვიდა გურიაში. თან მოჰყავდა აჭარელნი მეომარნი (მაჰმადიანნი ქართველნი). მამუკა მოუთმენლად მოელოდდა ბუკის ხმასა. მტერი მდ. სუფსაში გამოვიდა. ამ დროს მებუკემ ბუკი დაჰკრა და ბუკის ხმას თოფებმა მისცა ბანი. მამუკა თავდგირიძე უკან დაედევნა მტრის ლაშქარსა. აბდულ-ბეგი რომ დაინახა, შეუძახა: სად მიხვალ, შე მყრალოვო? ორსავ მხარეს თოფები დაიცალა. მაგრამ მამუკა და აბდულ უვნებელი დარჩნენ — ტყვიები მარჯვედ აიცდინეს. დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ხმალ-ამოწვდილები ეკვეთნენ. მამუკამ ფარი მიიშველა და აბდულ-ბეგის მოქნეული ხმალი აიცდინა. ახლა თვითონ მოუქნია და მტრის თავი ტანს მოაშორა. უსულო გვამი აბდულ-ბეგისა ცხენიდან ძირს ჩამოვარდა. გაცხარდა ომი. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდნენ. მაგრამ მამუკამ გაიმარჯვა და აჭარელნი თავ-გზა დაკარგულნი უკუიქცნენ.

აბდულ-ბეგი, როგორც მამუკა თავდგირიძე, ცნობილი იყო ვითარცა კაცი ღონიერი. მისი ნახმარი თოფი დღესაც არის შენახული განსვენებულის ნესტორ თავდგირიძის სახლში; როგორც ამბობენ, ამ თოფს აბდულ-ბეგი თუთხმეტ დრამ თოფის წამლითა სტენავდაო. რაიმე დღესასწაულში, სხვათა შორის, ამ თოფსაც ისვრიან აკეთში. მხოლოდ ჯერ თოკით ხეზე მიაკრავენ, რადგან ხელში დაჭერა მისი და ისე სროლა, ყოვლად შეუძლებელია.

მამუკა თავდგირიძის მამულები, ჩოლოქისა და ცხრაფონას მდინარეთა შორის მდებარე, ქობულეთში მაჰმადის სჯულის გავრცელების შემდეგაც გურიის ნაწილად ითვლებოდა და მამუკას მემკვიდრე და მისნი აზნაურნი სარგებლობდნენ. აღმოსავლეთით ამ ადგილს საზღვრავდა სოფ. ქაქუთი და დასავლით — შავი ზღვა. სივრცე ჰქონდა: განი — 20 ვერსი და სიგრძე — 30. როცა რუსეთმა და ოსმალეთმა თავიანთის სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფოები გასაზღვრეს, ჩოლოქს იქით მიწები ოსმალეთს დარჩა. ასე რომ ერთი ნაწილი მამუკა თავდგირიძის მემკვიდრეთა ადგილისა და, მაშასადამე, გურიისაც რუსეთის ქვეშევრდომთ ჩამოერთვათ და ოსმალეთს დარჩა. ამიტომ, მამუკას მემკვიდრეებმა არა ერთგზის აღძრეს საქმე და მთავრობასა სთხოვეს: საზღვარი მდ. ცხრაფონაზე გადაიტანეთ, რადგან ცხრაფონამდე რაც ადგილებია, ჩვენია, ხოლო ჩვენ კი რუსეთის ქვეშევრდომნი ვართო. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთთან გამართა მიწერ-მოწერა ამ საქმის შესახებ, მაგრამ დღესაც გადაუწყვეტელია ეს კითხვა. თუმცა მემკვიდრენი კი იმედს არა ჰკარგავენ: ერთხელაც იქნება ჩვენსას დავიბრუნებთო.

—

აკეთში ძველ ნაშთთა მოყვარის ყურადღებას იპყრობს პატარა ქვითკირის ეკკლესია, ძველის-ძველთაგან მაცხოვრის სახელზე აგებული. როგორცა სჩანს შიგ დარჩენილ ძველ საეკკლესიო ნივთების წარწერებისაგან, ეს პატარა ეკკლესია ქობულეთიდან გადმოსულ თავდგირიძეთა საფარველს ქვეშე ყოფილა, რომელნიც ყოვლადის გულსმოდგინებითა ზრუნავდნენ მის შემკობისა და გამდიდრებისათვის სხვა-და-სხვა საეკკლესიო სამკაულებითა. ეკკლესიის კედლებზე ერთს დროს მხატვრობაცა ყოფილა, გარნა დღეს კირითაა შელესილი, როგორც დღეს საქართველოის ეკკლესიათა უმრავლესობას ემართება ხოლმე და შიგ საუკუნოდ იშლება კვალი ძველის მხატვრობისა, თითქო შიგნიდან კირის წასმა და კვალწმინდად წაშლა ცოტათი მაინც დარჩენილის მხატვრობისა ხელს უშლიდეს სახურავიდან წვიმის ჩამოსვლას... არ იქმნა და არა, ეს ბარბაროსული ჩვეულება არ მოიშალა.

დიაღ, განძი ბევრი უნდა ყოფილიყო შიგა. მაგრამ ქრისტეს ეკკლესიის მტერთა არა ერთ გზის შეუხიათ თავიანთი უწმინდური ხელი წინაპართაგან სასოებით დატოვებულ სიმდიდრისათვის. ვერცხლმოყვარეობით დაბრმავებულთაგან ეს მაცხოვრის ეკკლესია გაძარცულ იქმნა 1853 წელს; არ დააჯერეს ამასა და მეორეჯერ ექვსის წლის შემდეგ—1859 წელს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძარცვეს. შერჩათ ეს მკრეხელობაცა და მესამეჯერ 1872 წელს გაზიდეს ეკკლესიიდან, რაც 1853 და 1859 წლებში გადარჩათ წაუღებელი. მაგრამ სოფლელნი გამოუდგნენ და ზოგი ნივთი დააყრევინეს და ისევ დაუბრუნეს მაცხოვრის ეკკლესიასა.

დღეს ამ ეკკლესიაში სასოებით ინახება ვერცხლის ჯვარი, რომლის წარწერა იხსენიებს ვისმე იესე მანველიშვილს და მისს მეუღლეს ბატონს მარეხს, მაჭუტაძის ქალს. იქვე დაცულია პატარა ვერცხლის ჯვარი, ხატი წმ. გიორგისა, ღვარისთავის წმ. გიორგის ხატი, კიდევ წმ. გიორგის ხატი, რომლის წარწერაში მოხსენებულია ბოქაულთუხუცესი მირზაბეგი თავდგირიძე, ოზურგეთის აწინდელ ქალაქის მოურავის თავ. ნიკ. თავდგირიძის პაპა.

მაგრამ მაცხოვრის ეკკლესიაში ყველაზე შესანიშნავი პატარა ხატია ღვთისმშობლისა, თვალმარგალიტით შემკობილი. ეს ხატი ადრე, როგორც აქაურები ამბობენ, სვენებულა ჩურუქსუში ცნობილ „თეთრონის“ ეკკლესიაში, რომელიც ამ ორმოცის წლის წინად ადგილობრივს მაჰმადიანებს დაუნგრევიათ. როცა მამუკა თავდგირიძემ მაჰმადიანობა არ ინდომა და ქობულეთიდან სოფ. აკეთში ივლტო, ეს ხატიც თან წამოუსვენებია. დ. ბაქრაძესათვის უამბნიათ აქაურებს, ამ ხატს ჩურუქსუელი თავდგირიძენი, თუმცა მაჰმადიანნი არიან, მაგრამ ახლაც დიდადა სცემენ პატივსაო. ხშირად თავიანთის წინაპრების სალოცავის კარ წინ მოდიან და ცხვარი მოჰყავსთ შესაწირავად და ეკკლესიის კარწინა ჰხოცავენ, როგორც მართლმადიდებელნიო.

ამ ღვთის-მშობლის ხატის მიზეზით მთელს ეკკლესიას განსაკუთრებულის მოწიწებით ეპყრობიან აქაურნი მკვიდრნი. ისე სწამთ მისი სიძლიერე, რომ ადრე ცხენოსანი რომ გაივლიდა მისს პირდაპირ, უეჭველად უნდა ჩამომხტარიყო, ელოცნა ეკკლესიის წინაშე, თორემ ისე ცხენი ფეხსაც არ მოიცვლიდაო.

აკეთის მაცხოვრის ეკკლესიაში დასაფლავებულნი არიან, სხვათა შორის, თავადი გიორგი თავდგირიძე და მეუღლე მისი

დარეჯან, ქაიხოსრო გურიელის ასული. აი მათის საფლავის ქვის ეპიტაფიაცა: „ჩვენ ჸდ (ყოვლად) ძლიერისა ღ̃ისაგან დაცული და ფარ̃ლმან ჸლთა კელმწიფეთაგან სამართლად პატივცემულმა თავდგირიძემა ბატონმა გ̃გი და თანამეცხედრემან ჩვენმან დიდის ხელმწიფის გურიელის ბატონის ქაიხოსროს ასულმა ბატონის შვილმა ბატონმა დარეჯან და ძემან ჩვენმან მამუკამან რ̃სმა (როსტომმა) და მაქსიმე შევალებინეთ წ̃ა ესე საყდარი მაცხოვრისა ძველადგან ქვისა იყო და ახლად გავაკეთებინეთ გარდავაჭედინეთ და დავახატვინეთ ჩვენთვს ამ სოფლის სადღეგრძელოდ და.... მოსახლედათ და დღესა მას დიდსა განკითხვისასა ჩვენის ცოდვილის სულის საოხად ჩვენის ცოდვილის ხორცის დასამარხად და ესე აკლდამა შევამკვეთ, ვინცა ჩვენთვის შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღ̃ნ ჰ̃ნ“.

მაცხოვრის ეკკლესია და მისდა შეწირულნი მამულნი XVII საუკუნიდან ბიჭვინტის (აფხაზეთში) საპატრიარქო კათედრის საკუთრებას შეადგენდა, რის შესახებ დ. ბაქრაძეს აღმოუჩენია გუჯარი ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოის „გუჯართა კრებულში“.*)

—

მაცხოვრის ეკკლესიის ცოტა მოშორებით ერთი ხის საჯვარე დგას. დაძველებულია, სახურავი ნახევრად ჩაცვინული აქვს. როგორც მითხრეს, აქ დასახლებულ თოხაძეთა გვაროვნობის წევრნი მხოლოდ წელიწადში ერთხელ აქ მოდიოდნენ და ლოცულობდნენო. შიგ ხატები არ ასვენია. იატაკი მიწური აქვს. კანკელის მაგივრად უბრალო ფიცრის კედელია. აღსავლის კარები არა აქვს. საკურთხეველიც არის. ეტყობა, ადრე სწირავდნენ შიგა, მაგრამ მერე თავი გაუნებებიათ. სრულებით შემთხვევით მოგვიხდა შიგ შესვლა და საკურთხევლის ერთს კუთხეში სრულებით შემთხვევით წავაწყდი ერთს ნაფლეთებად ქცეულს საეკკლესიო წიგნს, ტყავზე დაწერილს. ზოგი ფურცელი ჩრჩილისაგან საცოდავად დახრული იყო, ზოგი სქელს მტვერს დაეფარა და ზოგსაც წვიმის

*) იხ. Д. Бакрадзе—Арх. путеш. по Гуріи и Адчарѣ, გვ. 245—246.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი მოხვედრია, დაობებულა და ერთმანეთს მიჰკვრია... გული გამეწურა სიბრალულისაგან... ერთის მხრით—მაგალითი ჩვენთა წინაპართა გულმოდგინებისა, მათთა უანგარო ღვაწლისა, ხოლო მეორეს მხრით — დაუდევრობა ჩვენი, არ-ცოდნა ნაანდერძევის განძისა, უსასყიდლოდ მოპოებულის წმ. ნივთის ფასისა, თითქმის დაცინვა, აბუჩად აგდება ჩვენის მამებისა, რომელნიც იღვწოდნენ ჩვენის სასულიერო მწერლობის გამდიდრებისათვის, თვალს იწყალებდნენ წიგნების გადაწერაში, რომელნიც ათისა და ოცის წლობით დამაშვრალან ამ საშვილიშვილო საქმისათვისა. მათის ამაგის უარყოფა და წიხლის კვრა თუ არ არის, მაშ რა არის ჩვენი საქციელი?! წიგნი რა არის, წიგნიც კი ვერ შეგვინახავს სათანადო ადგილას!... ამაზე მეტი უბედურება-ღა იქნება? თითქო ვინმემ დაგვავალაო, უდიერად მოვეპყრათ ძველ ხელ-ნაწერთა, ჩრჩილისა, მტვერისა და ნესტის მსხვერპლი გავხადოთ, რომ ამით, თუმცა ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მოვუღოთ ბოლო მათს ხსენებასა, მაინც აღვკავოთ პირისაგან დედამიწისა...

ეს ათი წელიწადი მაინც იქმნება, გავიძახით—ძველი ხელნაწერები გვეღუპება უმეცრებითა ჩვენითა და ვუპატრონოთ როგორმე, დროით მივეშველოთ და ვიხსნათ განსაცდელისაგან ეს უტყუარი საბუთი ჩვენის ისტორიისა, დიდებით მორჭმულ და ძლევა-მოსილ წარსულისა ჩვენისაო. და მაინც არა გვეშველარა, ან და კნინ-ღა ვუშველეთ საერო საქმესა, კნინ-ღა გავისწორეთ შეუნდობარი შეცდომა და დანაშაული. ორასიოდ ხელნაწერი მოგვიგროვებია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში და ამდენისავე ხელნაწერისათვის თავი მოგვიყრია სიონის ტაძართან დაარსებულ „ძველ ნაშთთა საცავში“. ეგ არის და ეგ! ისიც შემთხვევითი ხასიათი აქვს ამ ორს ადგილას მოქუჩებულ წიგნებსა ძველის მწერლობისას. არც ერთს ამ ზემოხსენებულს სალაროთაგანს არა ჰყავს ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში სპეციალი აგენტი, რომელიც გაფაციცებით ეძიებდეს სხვა-და-სხვა ოჯახებსა და მონასტერ-ტაძრებში ჩვენის ძველის მწერლობის ნაშთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და ამომრჩენისათანავე უგზავნიდეს იმ კრებულს, რომლის წარმომადგენლადა და წევრად ითვლება. მადლობა ღმერთს, განვლო იმ ხანამ, როცა ასე თუ ისე შეგნებული კაცი სამთლით საძებარი გვყავდა სოფლებში. ახლა ორი და სამი თუ არა, თითო ცოტათი ნასწავლი კაცი ყველგან მოგვეპოვება. ასეთს დავავალოთ, ზნეობრივ, რა თქმა უნდა, დახმარება ამ საშვილიშვილო საქმისა, ვსთხოვოთ იკისროს მამულის სამსხვერპლოზე იმანაც დასდოს თავისი წვლილი. იქმნება, მითხრან, ყველა მოვალეა ასეთს საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სხვის უთქმელადაცო. თქვენს პირს შაქარი! განა ჩვენ კი არ ვიცით, რომ ყველანი მოვალენი ვართ, მაგრამ საქმე ის გახლავსთ, რომ თუ სხვამ არ მოგვაგონა, ისე ძალიან მალე გვავიწყდება მოვალეობა. ჯიჯინი გვჭირია, ჯერ არც ისე გამოფხიზლებული გახლავართ. მადლობა ღმერთს, რომ მაგალითისათვის შორს წასვლა არა გვჭირია. სადაც ზემოაღწერილი ფაქტი მოხდა, მგონი იქ ექვსზე მეტი ინტელიგენტია, საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებული. უეჭველია, ყველა ერთიმეორეს უყურებს ყველაფერში და ამასობაში საქმე გაუკეთებელი რჩება. აბა დავალებული ჰქონოდა საზოგადოებისაგან ერთ-ერთს, მაშინ, უეჭველია, სულ სხვა იქმნებოდა.

რამდენადაც გვახსოვს, შარშან ტფილისში „საეკკლესიო ძველ ნაშთთა საცავის“ კომიტეტმა ერთ-ერთ თვისს სხდომაზე გადასწყვიტა კიდეცა: პროვინციებში აგენტები ვიყოლიოთ და დავავალოთ იზრუნონ ძველ ნაშთთა დაცვისა და შეკრებისათვისო. ამ ამბავს, უეჭველია, ყველა ჩვენის ქვეყნის გულშემატკივარი დიდის სიხარულით მიეგებება. მხოლოდ სასურველია ხსენებულმა კომიტეტმა მალე აღასრულოს თავისი გადაწყვეტილება და მალე შეუდგნენ ამ წმიდა საქმის განხორციელებასა.

—

აქეთშივე ყოფნის დროს შემთხვევა მქონდა გამომეკვლია ერთი მიწის-ქვეშეთი, რომელსაც აქაურნი „ეშმაკის საყდარს“ ეძახიან, ალბად, იმიტომ, რომ სოფლელნი შიგ შესვლას ვერა

ჰბედავენ და ასე ამბობენ, შიგ ეშმაკები სცხოვრობენო. ეს გვირაბი აკეთის იმ უბანშია, სადაც თოხაძეები სცხოვრობენ. ერთის გორაკის ფერდიდან იწყება; შესავალი ბალახითა ჰქონდა დაფარული. ნიადაგი მხოლოდ შესავალთანაა ქვანარევი, მერე კი წმინდა წითელი მიწაა, სწორად გამონათხარი. შემსვლელნი ორნი ვიყავით. იძულებულნი გავხდით ფოფხვით გვეარნა, რადგან ტანის გამართვა არ შეიძლებოდა ხვრელის სიდაბლისა გამო. წინ ანთებული სამთელი მიგვიძღოდა, გრძელ ლატანზე დაკრული; ათის მხარის მანძილი გავიარეთ. ამ დროს, განის სოროს წავაწყდით. ვიარეთ კიდევ პირდაპირ. გავიარეთ 15 მხარი და იქ კი უნდა გავჩერებულვიყავით, რადგან მიწა ჩამოზვავებულა და გზა შეგვეკრა. დავბრუნდით და შევედით გვერდის ხვრელში. იქაც ხუთიოდ მხარის მანძილი გავიარეთ, მეტი არა, რადგან გაფუჭებულმა ჰაერმა სანთელი გაგვიქრო. ჩვენც, რაკი სასუნთქავი ჰაერი მოგვესპო, ამით გავათავეთ ჩვენი გამოკვლევა. ამ ალაგას და მთელს გზას განსაკუთრებით აშკარად ეტყობა ნადენის წყლის კალაპოტი. მაგრამ ისიც ეტყობა, რომ გზა სულ ახლახან გაუკეთებია წყალსა. აქაურებმა ამ გვირაბის შესახებ ბევრი ვერა გვითხრეს-რა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ აქ ძველად, შიშიანობის დროს, ადგილობრივნი მკვიდრნი თავს იფარავდნენ მტერთაგან. ნამუშევარი ადამიანის ხელისაა. თუმცა სხვა ვერაფერი ვპოვეთ-რა აქ ადამიანის კვალი. ახლა ნადირი-ღა თუ იცხოვრებს შიგა. საშიში კია შიგ შესვლა, განსაკუთრებით წვიმისა და წყლობის დროს: ადვილად შეიძლება თალი კიდევ ჩამოზვავდეს მსგავსად ჩვენგან ნანახ ზვავებისა.

—

მამუკა თავდგირიძის ჩამომავალთაგან აკეთში ამ ჟამად სამად-სამი მოსახლეა. ერთს მათგანში ფრიად საინტერესო ამბავია დარჩენილი, — საინტერესო როგორც ნიმუში ჩვენის ხალხის გულუბრყვილობისა და ცრუმორწმუნოებისა. ამბავი ეხება იმ გიორგი თავდგირიძეს (მამუკას შვილს), რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

აკეთში და თვით შორეულ სოფლებშიაც მშობიარეს მოლოგინება გაუჭირდება თუ არა, მაშინათვე მიჰმართავენ როსტომ თავდგირიძიანებს შველის სათხოვნელად. იქმნება გგონიათ, რომ ამ გვარში ექიმი იყოს ვინმე, ან ბებია. არც ერთია და არც მეორე. ამისთვის საკმაოა ერთ-ერთმა წევრმა ამ ოჯახისამ მისცეს მისულს თავისი „ნაოფლარი“: ცხვირსახოცი, პერანგის ნახევი, ან ახალუხის ნაგლეჯი და მებრი სხვ. საკმაოა, აქაურების აზრით, ეს „ნაოფლარი“ სასთუმალს ქვეშ ამოუდონ იმ ქალს, რომელიც „ირჯება“ (უჭირს შვილის შობა) და მაშინათვე განთავისუფლდებაო.

საიდან, როგორ ან როდის შეიძინა ამ გვაროვნობამ ეს პანაცეა? ამასაც მოგითხრობთ. გიორგი თავდგირიძე, რომელზედაც ლაპარაკი გვექმნება, ჭკუიანი კაცი იყოვო, მოგვითხრობენ. ერთხელ სურების (აკეთის პირდაპირ არის) მთებისაკენ თეთრი რაღაც უნახავს, აფრიალებული. რა უნდა იყოსო? უკითხავს. ვის რა უთქვამს, ვის რა. ბოლოს, გიორგი თავდგირიძეს უთქვამს, ჭინკები უნდა იყვნენო. თუ არ წავედი და არა ვნახე, სულს გადავალევო. მომზადებულა, თოფ-იარაღი აუსხამს და თან ხუთი მარჯვე ყმაწვილი წაუყვანია. ყველას „გიორგი“ რქმევია. როცა ახლოს მისულან, გიორგი თავდგირიძეს უთქვამს მახლობლებისათვის: თქვენ აქ დამიცადეთ, თუ გამიჭირდა, დაგიძახებთ და თქვენც მიშველეთო. ასულა გიორგი სწორედ იმ ადგილას, სადაც თეთრი რაღაც რომ ყოფილა აფრიალებული. რომ ასულა, უნახავს, რომ ჭინკებს სარეცხი გაუფენიათ მზეზე და აშრობენო. ყველას მიუსწვრია და ჩამოუღია თავისი საცვალი, მხოლოდ ერთს დარჩენია ხეზე ჩამოუღებელი. გიორგის მისვლაზე, ყველანი გარს მოჰხვევიან, მაგრამ გიორგის ხმა-მაღლა დაუძახნია: „გიორგი!“ ჭინკებს გულები დახეთქიათ, დავიღუპეთ, წმ. გიორგის ეძახის და ყველას ამოგვჟუჟავენო და კისრის ტეხით გაფანტულან. დარჩენილა მხოლოდ ის, ვისიც ყოფილა ხეზე დაკიდებული პერანგი. ამასობაში ქვეიდან ბიჭები ამოსულან. შეუკრავთ ჭინკა და სოფელში წამოუყვანიათ. თან წამოუღიათ მისი პერანგიცა, როგორც გამარჯვების ნიშანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში რომ მოსულან, ჭინკა ქვევრში ჩაუგდიათ და თავი მოუკრავსთ. დიდხანს წვალებულა ჭინკა. გიორგისათვის უთხოვნია, გამიშვი და დაგლოცავო. იმასაც ამოუშვია. ჭინკას სათითაოდ დაულოცავს მისი სახლი, ცეცხლი, ჯოგი. სხვათა შორის, უთქვამს, უჟმური (ავი სული) არ შეგვხდება არამცთუ შენა და შენს მოდგმას, არამედ ყველას, ვისაც თქვენს ნაოფლარს მისცემთო. აგრეთვე, სადაც თქვენი ნაოფლარი იქმნება, იქ ორსული ქალი რაც უნდა „ირჯებოდეს“, განთავისუფლდებაო. ახლაც სოფლელნი, როცა ტყეში მიდიან, ამ ოჯახის ჩამომავალს რასმე „ნაოფლარს“ ჩამოართმევს და მერე თუნდაც ორი ღამე დარჩეს გარედ, იმედი აქვს, ავი სული ხელს არ მახლებს, დაზღვეული ვარ მისის ბოროტის განზრახვისაგანაო.

ესა და სხვა ბევრი ამის მსგავსი ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრებისა, საინტერესო—ეტნოგრაფისათვის და—დამახასიათებელი ამ ხალხის გონებრივ ჩამორჩენისა, თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რავდენი შრომა და თავგამოდება გვმართებს, რათა ეს ხალხი სწორე გზაზე გამოვიყვანოთ და ვიხსნათ იმ ცრუმორწმუნოებისაგან, რომელსაც იგი, მსგავსად პრომეთეოსისა, სიბნელის კლდეზე მიუჯაჭვავს... ეს ცრუმორწმუნოება, როგორც არწივი იუპიტერისა, სწიწკნის მისს გულ-ღვიძლსა, ჰგვემავს მას უსულმერთოდა, და ხმა გოდებისა მისისა, ეგ ხმა განწირულებისა შველასა გვთხოვს...

—

ვისის მეოხებით გაითქვა გურიამ მთელს საქართველოში, კერძოდ, და საზოგადოდ, კავკასიაში სახელი დაწინაურებულის პროვინციისა?—სოფლის მასწავლებელისა. ვისის წყალობით დაიქსელა გურია სკოლებითა და წიგნთ-საცავ-სამკითხველოებითა?—ვისისა და ამავე სოფლის მასწავლებელისა. ვის უნდა უმადლოდეს გურული, რომ თითქმის ყოველი სოფელი საუკეთესო შოსეს გზით არის შეერთებული მეორე სოფელთან?—ვისა და სოფლის მასწავლებელსა. ვინ არის მიზეზი იმ სანუგეშო მოვლენისა, რომ გურიაში დღეს წერა-კითხვის მცოდნენი 75%-ზე მეტს შეადგენენ?— რა თქმა უნდა, იგივე სოფლის მასწავლე-

ბელი. განუზომელია ის ღვაწლი და ამაგი, რა ღვაწლი და ამაგიც სოფლის მასწავლებელმა გურიასა და მისთა მკვიდრთა დასდო. დიაღ, განუზომელია ღვაწლი და ამაგი იმ კაცისა, რომელიც, შეცდომით, ყოველთაგან პატარა კაცად არის ცნობილი, რომელიც ითმენს სიღარიბესა, წყურვილსა, შიმშილსა და ყოველგვარს ვიწროებასა, გარნა სულით ყველაზე მდიდარია, რადგან იცის—რა წმიდა, დიადი და პასუხსაგები მოვალეობა აქვს ნაკისრი, მოვალეობა ყრმათა აღზრდისა, სულიერად მათის ამაღლებისა, განსპეტაკებისა. მისთვის აწმყო არ არის, იგი ყველაზე ნაკლებად იგემებს ხოლმე სიტკბოებასა, მისი სიტკბოება და ნუგეში—მისგან ჯეროვნად აღზრდილის ახალთაობის მომავალი ბედნიერებაა. მომავლითა ხარობს, მისით სულდგმულობს, მისით ნეტარობს.

არც ერთს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას არა ღირსებია ასე რჩეული სოფლის მასწავლებლები, რომელთაც სავსებით ჰქონოდესთ შეგნებული თავისი მოვალეობა. რა თქმა უნდა, მათის მოქმედების ნაყოფიერობის მიზეზნი მარტო მასწავლებელნი არა ყოფილან. დასავიწყებელი არ არის ის გარემოებაცა, თუ რა წრეში, რა ხალხში ხვდათ წილად ემოღვაწნათ, თესლი სიმართლისა და განათლებისა რა ნიადაგზე ეთესნათ, რათა სასურველის მცენარის წილ ღვარძლი არ აღმოცენებულიყო. მართლაც, ძვირია ისეთნაირად მიხვედრილი ხალხი, როგორც გურიაშია, განსაკუთრებით როგორიც აქაური დაბალი წოდებაა. ყოვლისავე სასიკეთოს ალღოთი მიუხვდებიან ხოლმე. საკმაოა რასმე აზრს ყური მოჰკრას, მხოლოდ ერთხელ გაიგონოს, რომ აგყვესთ, ბანი მოგცესთ. ესეთი თვისება მდაბიო წოდებისა დიდი რამაა მათს შორის ჩავარდნილ მოღვაწისათვის, მათის დღეგრძელობისათვის მზრუნველისათვის.

ადგილობრივი ადმინისტრაცია კი არაფერს აკეთებს მისდამო რწმუნებულ ხალხისათვისო?—იქნება, ვინმე მკითხოს. ამაზე პასუხად ჰოც ითქმის და არაცა. საქმე ის გახლავსთ, რომ მოხელე ყოველ უწინარეს—მოხელეა, მოხელურად უყურებს თავისს დანიშნულებასა. რასაც უბრძანებენ, აასრულებს, მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩა და მოისვენა. მისი ამ შემთხვევაში როლი მეტად მკრთალია, მესამე ხარისხოვანია.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტიცა, რომ ჩვენი ახალგაზდა მღვდლები-სემინარიელებიც ვერ იჩენენ სათანადო მუყაითობას, თითქო ფილადი აკლიათ, თითქო უფხონი არიანო. საზოგადოდ კი, არც ერთი საშუალო სასწავლებელი არ იძლევა იმდენს პროცენტს უანგარო დ დაუღალავ მოღვაწეებისას, რამდენსაც სემინარია იძლევა. სანამ ანაფორას გადიცვამენ, დავრდომილის მოძმის დახმარებისა და ნუგეშის-ცემის შესახებ-და ჰქადაგობენ. საკმაოა იმავე ყმაწვილმა კაცმა ტანისამოსი გამოიცვალოს, რომ გუშინდელი იდეალისტი ვეღარც კი იცნოთ; თქვენს თვალებს ვერ უჯერებთ და თქვენს თავს ეკითხებით, ასეთი მეტამორფოზა ნუ თუ მხოლოდ ტანისამოსმა მოახდინაო?! უფროს ერთისაგან, როცა შეხვდებით, ასეთი ლექსები გესმით: „გახსოვს, რა ამბავი გვქონდა სემინარიაში! მოძმის შველა... დაჩაგრულის ნუგეშის ცემა... ეჰ, კარგი დრო იყო... ახლა რას იზამ: ცხოვრება, ცოლი, შვილები... ძნელი ყოფილა ცხოვრება, ისევ ახალგაზდობა, შაგირდობა სჯობია: კაცი იმედეული ხარ, აღმაღლებულის აზრებით გამსჭვალული“... თითქოს ყველას პირი შეუკრავთო, ყველასაგან ერთი და იგივე ლექსები გესმისთ: „ცხოვრება გაჭირდა“, „ცოლშვილი“... და მებრი სხვა. გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიცა, რომ ახალგაზდა სემენარიელმა-მღვდლებმა, როგორც სხვაგან, ისე გურიაში ხალხს ვერ უჩვენეს თავისი უპირატესობა ძველის, უსწავლელის მღვდლების წინაშე. სიტყვა გაგვიგრძელდება და არ ვიტყვით — რისთვის. იმასღა მოგახსენებთ, რომ ძველს მღვდლებსა და მრევლს შორის უფრო მამაშვილური განწყობილება იყო, უფრო სიყვარულით სცხოვრობდნენ; გლეხს სწამდა თავისის მოძღვრის სიტყვა, ის მიაჩნდა თავის მამად, მხსნელად და ნუგეშინის მცემელად ყოველს გაჭირვებაში. ახლანდელი „ნასწავლი ხუცესი“ ხალხისათვის როგორღაც მიუწდომელი შექმნა, ეშინიან, კრძალვით ეპყრობა, თავისი მრავალტანჯული გული ვერ გადაუშლია მისთვის, ვერ დაუნახვებია თავისი წყლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, მალამო ვერ ჰპოვნია განსაკურნებლად. რადა? მიზეზი რა არის? უეჭველია, თვით პრინციპი სწავლისა არ გახლავსთ ამის მიზეზი.

რა იქმნენ უმაღლესის სწავლით აღჭურვილნი შვილნი გურიისა? ემსახურებიან თუ არა გურიას, თვით გურიაშივე? სამწუხაროდ, ამაზედაც უარყოფითი პასუხი უნდა მოგახსენოთ. იქმნება, ჩვენის ცხოვრების უკუღმართი პირობები იყოს ამის მიზეზი? რა მოგახსენოთ. საქმე ის გახლავსთ, რომ აქაურობას გასცლიან სწორედ ისინი, ვისაც ყველაზე მეტის სარგებლობის მოტანა შეუძლიან თავისის სოფლისათვის, ვისაც სამშობლო სოფელი ყველაზე მეტს მოსთხოვს. ყველანი დიდს ქალაქებს, თბილს ადგილებს ეტანებიან. სოფელი ათასში ერთხელ თუ მოაგონდებათ.

მაშ ვის ჩაუგდეს ხელში სოფელი? ვისა და, საწყალ მასწავლებელს, რომელსაც არც უმაღლესის სასწავლებლის ფარატინი აქვს, არც თბილის ადგილის შოვნა შეუძლია და უნდა დასჯერდეს მოკრძალებულს როლს სოფლის მასწავლებლისა და წინამძღვარისას.

რაკი სოფლის მასწავლებლებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეგვიძლია გვერდთ ავუაროთ ორს მათგანს, ბ.ბ. არსენ წითლაძეს და ისიდ. რამიშვილს, რომელთა მეთაურობით, სხვათა შორის, სოფ. აკეთში დაარსდა 1892 წ. „გურიის სახალხო სამკითხველო“. თუ არა ვსცდებით, ეს წიგნთსაცავი პირველი იყო არამცთუ გურიისა, არამედ მთელს საქართველოსათვის. რა თქმა უნდა, ჩვენ სოფლების შესახებ მოგახსენებთ. ახალი საქმე ყოველთვის ძნელი გასაკეთებელი გახლავს. განსაკუთრებით ისეთი საქმე, როგორიც პირველად წიგნთსაცავის დაარსებაა. ხოლო ხსენებულნი მოღვაწენი ისეთის სიმხნევით და აღფრთოვანებით შეებნენ საქმესა, თითქო არც კი არსებობს მათთვის დაბრკოლებაო, მიდგნენ, მოდგნენ, მონაწილეობა მიაღებინეს ყველას: ღარიბს, მდიდარს, ქალს, კაცს და მოკლე ხანში მათი ღვაწლი სახელოვანად დაგვირგვინდა კიდეცა. მხნეობა და სიყვარული—მძლეთა-მძლეა. იმდენს ფულს მოუყარეს თავი, რომ შეიძინეს ორთვალიანი ხის პატარა სახლი

და იქავ, განათლების ტაძარს—სოფლის ორ კლასიან სკოლას, ამოუდგეს გვერდით, როგორც უმცროსი დაი, ხელის შემწყობი სოფლელთა განათლებისა და წარმატების საქმეში. ზოგი იყიდეს, ზოგიც შემოაწირვინეს ქვეყნის გულ-შემატკივართა და, ბოლოს, მშვენიერმა კრებამ ქართულისა და რუსულის წიგნებისამ დაამშვენა სადა, მაგრამ საკმაოდ დიდი განჯინები წიგნთ-საცავისა. ამ ჟამად რუსულის წიგნების რიცხვი ამ წიგნთსაცავში 270-ზე მეტია, ხოლო ქართულისა—325. სადა კედლები დამშვენებულია ჩვენის მწერლების სურათებითა. ხალხისათვის ფასდაუდებელია აქაური წიგნთ-საცავი. იშვიათ ახალ-მოზარდ ქალსა ნახავთ, არ იცოდეს სახელი ალ. ყაზბეგისა, არ იცნობდეს აკაკის ლექსებსა და სხვათა მწერალთა ნაწარმოებსა. კვირაობით ამავე სამკითხველოში ხალხს სხვა-და-სხვა წიგნებს უკითხავენ.

ბ.ბ. არს. წითლიძის და ისიდ. რამიშვილის მაგალითს მალე გამოუჩნდნენ მიმბაძველნი. აკეთში წიგნთ-საცავის გახსნის შემდეგ ხუთს წელიწადსაც არ გაუვლია, ისე 14 წიგნთ-საცავი დაარსდა, სახელდობ: ოზურგეთისა, შემოქმედისა, ლანჩხუთისა, ასკანისა, ბახვისა, სურებისა, ჩიბათისა, ნაგომრისა, ნიგოითისა, ჩოხატაურისა, აცანისა და მიქელ-გაბრიელისა. დღესაცა სთხოვენ სხვა-და-სხვა სოფლები წიგნთ-საცავის გამართვასა, მაგრამ რაღაც ფორმალისტიკის აუსრულებლობისათვის ხელს უშლიან: ტენდენციურის აზრითა ხსნით წიგნთ-საცავსაო.

სარგებლობა აკეთის წიგნთ-საცავისა, და საერთოდ სხვებისაც, გურიაში ამ ჟამად მით უფრო დიდია, რომ სკოლებში (გარდა სამრევლოებისა) ქართული ენა თითქმის მიტოვებულია. „ბუნებრივად“ წოდებულმა არა ბუნებრივმა მეთოდმა სწავლებისამ ჩვენი ენა დაჩაგრა და ჰგვემა გურიის სკოლებში. აქ ქართული ენა დარჩენილია როგორც საგანი და კვირაში ერთი გაკვეთილი აქვს დათმობილი. აი, ასეთს დროს, რა თქმა უნდა, წიგნთ-საცავი-ღა თუ მიეშველება მოზარდს თაობას და რასაც სკოლაში არა სწავლობენ, სკოლის გარედ-ღა თუ შეიძენენ სამკითხველოდან გამოტანილის წიგნების წყალობითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზედ უფრო საინტერესო და საგულისხმიერო ამ წიგნთ-საცავების გახსნის საქმეში ის გახლავსთ, რომ ამ ჟამად ნება-რთვას ჩოხიანებიც კი თხოულობენ, ისინი კისრულობენ გაძღოლასა. მერე სწორედ ის ჩოხიანები ერევიან ამ საქმეში, რომელთაც ამ ათისა და ოცის წლის წინად მიმინოების უკან დევნა უფრო ემარჯვებოდათ... შემთხვევა მქონდა, ერთი მათგანი დაახლოვებით გამეცნო. ვინმე დ. გ—შვილია. ნება-რთვა ითხოვა თავის სოფელში წიგნთ საცავის გახსნისა. დაბრკოლება რაღაც გადაელობა მისს თხოვნასა. ამან გული არ გაუტეხა. ასწია და თავისის წიგნების რიგება დაიწყო საკითხავად. დამაარსებელი აქეთის წიგნთ-საცავისა ამ ჟამად სხვაგანა მსახურობს. და ამ წიგნთ-საცავის ბედიც ერთს ჩოხიანს აბარია. მისდა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთის ინტელიგენტის ნაკლებ არა ზრუნავს მისის კეთილ-დღეობისა და წარმატებისათვის. ესეც დროების ნაყოფი გახლავსთ, და ნაყოფიც სანუკვეშო.

გულს იმედი ჩამესახა ყოველისავე ნახულითა. ცოდვილი ვარ, უნდა გამოვსტყდე: როგორც ქართველმა ვინატრე, ნეტავ სხვა კუთხენიც ჩვენის ქვეყნისა ამ წერტილამდე მაინც იყვნენ დაწინაურებულნი-მეთქი. მოგეხსენებათ, ქართველი კაცი, როგორც საზოგადოდ ბეჩავთა და უნუგეშოთა სჩვევიათ ხოლმე, ნატვრითა სცხოვრობს, მისით სულდგმულობს.

—

დავეშვით ლამაზ სერიდან, საიდანაც ლამაზი შენობა ორკლასიან სკოლისა და მოკრძალებულის სახის საყუდარი ჩვენთა მწერალთა გონების წარმოებისა კოპწიად გადასცქერის ფერდობზე შეფენილ სოფელსა. სხვათა შორის, ერთს ღარიბულს ქოხსაც დავუმხარდამხარდით. ერმა მოსეირნეთაგანმა გვირჩია — ვასილ რუსს ვეწვიოთო. სწორე მოგახსენოთ, გამიკვირდა. აბასიდან მოვიფიქრებდი, რომ რომელისამე დათუნაიშვილის ან კიდევ—მგელაძის მეზობლად, გურიის მივარდნილ კუთხეში, ვოლოგდის ან უფრო შორეულ გუბერნიიდან გადმოტყორცნილს რუსსა ვნახავდი დასახლკარებულს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გვარია ვასილ რუსი?—გვარს მეზობლები არ ეძახიან და არც იციან, მგონი ცოლმაც კი არ იცის. როცა აკეთის ცის ქვეშ გაჩნდა, ყველამ ისა სთქვა, „რუსი“ მოვიდაო. გვარი არავის უკითხავს. როცა ცოლს ირთავდა, იქავ მეზობლის ქალს, იმასაც არ უკითხავს მშობლებისათვის — ვიზედ მათხოვებთო. იცოდა, რომ „რუსს“ მიჰყვებოდა. ლამის არის, თვითონაც დაავიწყდეს თავისი გვარი. ეს-ლა ახსოვს, ორის იმპერატორის—ნიკოლოზ I და ალექსანდრე II—ხელში მიმსახურნია, ბევრ ომებში ვრეულვარო. 1867 წელს სამსახურიდან გამოსულა. თითონაც არ იცის კარგად, აქ რა ნაირად ჩამოვარდნილა. აქაურს მებატონეს თ. ყარ. თავდგირიძეს ჯერ მოსამსახურედ აუყვანია, მერე ერთგულის სამსახურისათვის ჯილდოდ რამდენიმე დღიური მიწა მიუცია და დაუსახლკარებია. ერთხელ მოვინდომე რუსეთში წასვლა,—მითხრა ვასილ რუსმა,—ჯერ წერილები ვსწერე, მაგრამ პასუხი არავინ გამცა, ვსთქვი, ალბად არავინ დარჩენილა ჩემიანები-მეთქი, და ვარჩიე აქ დარჩენა. ბატონისაგან წყალობა არ მაკლია. ცოლიც ღვთისნიერი ადამიანი შემხვდა. დავრჩი და დავრჩი მას აქედო.

ეზოში ვასილ რუსს ლომი ეთესა; რამდენიმე ძირი ვაზი ხეზე გაუშვია. თავის შესაფარებლად ფიცრული ქოხი უდგა პატარა, ისე პატარა, რომ თაგვი კუდს ძლივას მოიქნევს. ისიც შუაში გადაუფიცრავს და ორ-თვალიანად გაუხდია. ხელის სიფართე სარკმელი კედელში გამოუჭრია, სწორედ იმ გვარი, რუსის ქოხებს რომ აქვსთ ხოლმე. ავეჯი სახლისა მეტად მარტივი და ცოტაა. ცარიელს ფიცრებზე ლარიბული ქვეშსაგები უფენია. კედელზე ხატი აქვს. როგორც დეკორაცია ყოველისავე ამისა—პატარა მაგიდაზე სამოვარი უდგას.

სახლი უფრო იმიტომა აქვს ვასილ რუსს, რომ სთქვან სახლი აქვსო, თორემ დგომით შიგ წელიწადში ერთი თვეც არა დგას. მარტო ცოლს დასტოვებს დარაჯად, კერა არ გააცივოსო, თვითონ კი თავის ნაბატონარის შვილს ემსახურება. როცა შინ არის, გაჭირვების ტალკვესია ყველასათვის. ლხინსა თუ ჭირში მეზობლებსა შველის. ამ შემთხვევაში დაუ-

ფასებელია. ეს კია, ნალხინევს, სულს არ წაიწყმენდს, და მამა-პაპათა სასმელს ღირსეულად იგონებს, რითაც მეზობლებს ათასგვარ ოხუნჯობის მასალას აძლევს ხოლმე. მეზობლები მეტად გულკეთილად ეპყრობიან: უცხო კაცია, ჩვენ თავი შემოგვაფარა, ჩამოგვესიძა და სირცხვილია, ჩვენს ხელში რამე გაუჭირდესო. ლაპარაკით ვასილ რუსი გურულად ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, მეტის-მეტი დამახინჯებითა და კილოს ქცევითა. თავისი დედაენა სანახევროდ დავიწყებული აქვს.

—

დანაშაულად ჩაგვეთვლება, აკეთში ვიყოთ და არ ვაქოთ აქაური ჰაერი და არ ვახსენოთ მის წყალობით მათუსალას ხნისად მოყრილნი მოხუცნი. მართლაც, შესანიშნავი გახლავთ სიმრავლე აქაურ მოხუცებულთა. ასი წლის კაცის ნახვა აქ იშვიათი ამბავი არ არის. ჩემს იქ ყოფნის დროს ჯერ კიდევ სული ედგა ამ ას-წლოვანთა რაზმის მამათმთავარს, აკეთელ მათუსალას, 147 წლის მოხუცს, ან, უკედ, მეორედ გაახალგაზრდავებულს, გლეხს სიმონიკა ღლონტს. თოხი უკანასკნელ ხანამდე ხელიდან არ გაუგდია და სულ მხარში ედგა თავის მოხუცს შვილებსა და შვილიშვილებს. მეორე ცოლი შეურთავს 110 წლისას და იმისაგან შვილი დარჩა 29 წლისა. ჩემს იქ ყოფნაში ავად გახდა. ეს პირველი ავადმყოფობა იყო მის სიცოცხლეში და თან გადაჰყვა კიდეც. მის ტირილზე მარტო მისნი შთამომავალნი დაესწრნენ ასი სული ქალი და კაცი. მისი უფროსი ვაჟი ოქროპირ ამ ჟამად ას წელს მიტანებულია. შვილები დარჩა სვიმონიკას 10, შვილის-შვილები—38, შვილის-შვილის-შვილები—43, შვილის-შვილის-შვილის-შვილები—9.

—

ჩვენი მასპინძლის ოჯახი ეკუთვნის ერთ იმ ოჯახთა რიცხვს, სადაც ტრადიცია ძველი, ქართული სტუმართმოყვარეობისა ჯერაც არ გადავარდნილა და ძალადაუკარგველია. აქა სცხოვრობდნენ ის ფეოდალნი, რომელთა ოჯახში ამ 30—40 წლის წინად დღეში ხშირად თითო ხარი იკვლოდა ხოლმე სტუმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათვის. ხალხს ჯერ კიდევ არ დავიწყებია ეს უხვი მასპინძლობა და დღესაც თითქო თავის მოვალეობად მიაჩნია ყველას ხშირად დახედოს ხოლმე ამ ოჯახსა. ვსთქვათ, რომელმამე აზნაურმა, გინა თავადმა გაიარა სახლის პირდაპირ: შემოვა ჭისკარში, ფართე ეზოს ერთ კუთხეში ცხენს მიაბამს, ხელში მათრახს დაიჭერს და წამოვა სახლისაკენ. მიესალმება შინაურებს, ისინიც მოესალმებიან, და ჩამოჯდება. გაივლის 5 წუთი. შემოვა მეორე—მესამე, შემდეგ—მეოთხე, და ასე, სანამ აძ მოულოდნელად მოსულ მოსადილეთა რიცხვი ათამდე მაინც არ ავა. იკვლის უწყალოდ ქათამი, მოაქვთ ყველი უზომოდ, უზომოდვე ღვინო და სხვ. ყოველივე კეთილსინიდისიერად ალაგებულ იქმნება სუფრიდან. ასე, როგორც კვირა დღეს, ისე ორშაბათს, როგორც ხსნილსა, ისე მარხვაში. სადილს ამშვენებს მშვენიერი გურული სიმღერა, კრიმანჭულებით შემკობილი, მერე ტკბილი მუსაიფი. ამასობაში მთელი დღის სიარულით დაღლილი მზეც ჩაესვენება. სიცხე ადგება ჭიქებსა, ჩაისა და შაქარსა. ჩაის ვახშამი მოჰყვება, ხოლო ვახშმის შემდეგ, გაქვს თუ არა გაქვს, ყველას საწოლი უშოვნე, გულუხვო მასპინძელო. ცოტა ხანს კიდევ გაისმის ოხუნჯობა, მოსწრებული სიტყვები, სანამ მორფეი თავის მადლიანს ფრთებს არ გადააფარებს ყველასა.

ყოველისავე ამის შემდეგ, მოდით და უსაყვედურეთ ჩვენებურს მემამულესა: რატომ შეძლებული არა ხარ, რატომ არა სდუღს და არ გადმოდის შენი ოჯახი ყოვლითა სიუხვითაო?. საიდან, როგორ, ბატონო? ასეთი ხალხის გადამკიდემ საიდან რა უნდა მოაგვაროს კაცმა? ვსთქვათ, მშრომელი ერთია და მის მონაგარის ხვავის წამრთმევი—ათასი! არ მიიღებ—სირცხვილია, თავი მოგეჭრება, რადგან შენსავით ახალმოდურად, პროგრესიულად შენვე ჰფიქრობ, სხვა არავინა. რად უნდა იფიქროს კონსერვატორმა სხვასავით, შენსავით, როცა ეს იმისთვის მავნებელია, სარფა არ არის? მისთვის უფრო ხელსაყრელია, აქოს, ადიდოს „ძველი, ნეტარი დრო“; ის დრო, როცა ყველა თავადის ოჯახში ყოველ დღე თითო ხარი იკვლოდა სტუმართათვის, „ჩხავერი“ ზღვადა სკდებოდა, სუფრა სულ მუდამ

ეროვნული

გაშლილი იყო; ის დრო, როცა ისა და მისნი მსგავსნი არცა სთესდნენ, არც მკიდნენ, ვით ფრინველნი ცისანი, გარნა მათთვის ზრუნავდა მამა ჩვენი ზეციერი. ახლა ეს სწორედ იმ ოჯახსა სეტყვავს, საცა თვითონ არაფერი ეხარჯება, საცა სხვის საბძელი იწვის და თვითონ კი ხელს ითბობს... აქვს მამის ხმალი, სატევარი, ცხენიცა ჰყავს და დადის... დღეს თქვენთანაა, ხვალ—ასიკოსთან და მ. სხ., სანამ რომელსამე ჩხუბში, რომელიც მას ასე რიგად უყვარს, ან სხვას არ შეაკლავს თავსა, ან და სხვას არ ააგებს სატევრის წვერზე და ციმბირს აქეთ დაატოვებინებენ. ესეც, ალბად, დროების მოტანილი გახლავთ.

—

ამ სხვა-და-სხვა ჯურის წარმომადგენელთა კრებულში ერთი ფრიად საინტერესო ტიპი გავიცან, ძველი დროების შთამონაკვეთი, ძველი ცხოვრების ნაშთი. იმასაც ზრუნვა არსობითის პურისათვის მეტ ბარგად მიაჩნია, ვისიც ერდო მაღალია, ის იმისი მაყარია.

ჩვენი გმირი თავის ბატონის სახლშია გაზრდილი, თავისი ულუფა უკლებლივ ჰქონია. არ აკლდა ბატონის წყალობა სილაღი, ცხენი, ტანისამოსი.

კარგი-და, სახელი არა ჰქვიან თქვენს გმირსაო?—იქნება, მკითხოს მკითხველმა. როგორ არა, ჰქვიან და სწორედ დიდებული სახელიცა ჰქვიან. მაგრამ მე მაინც ვერ გავამჟღავნებ. ვერ გავამჟღავნებ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემს გმირს გურულის სისხლი უდგას ძარღვებში, მაშასადამე, ფიცხია, თოფის წამალსავით იფეთქებს. მეორე საპატიო მიზეზიც ის გახლავთ, რომ, რა ვიცი, ცოდვის შვილნი ვართ... რომ რამე მეტი წამომცდეს, მაშინ რაღა ვქნა? ხომ მოგეხსენებათ, მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს. ეს ბრძნული ანდაზა განსაკუთრებით მაშინ უნდა გაიზეპიროს ადამიანმა, როცა ჩვენი გმირის მსგავს ადამიანის შესახებ გადასწყვეტავს ლაპარაკს. თუმცა ისიც მართალი გახლავთ, ღვთის წინაშე, ის ადგილი, სადაც ამ სტრიქონებსა ვწერ, ჩემი გმირის სამშობლო სოფელს მთელი 150 ვერსითა შორავს და შუაში შავი ზღვაცაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თქვენთვის სულერთი უნდა იყოს, ჩემს გმირს ნამდვილი სახელი ერქმევა, თუ მოგონილი! ამიტომ, მოდით, ტარიელს დავარქმევთ. საბუთი მეტი გვექნება თავის გამართლებისა.

ჰო-და, იმას მოგახსენებდით. ტარიელი პატარაობითვე თავის მფარველისას გაიზარდა. სილაღის ტარება შეიძლო თუ არა, მას შემდეგ თავის სიცოცხლის საუკეთესო ხანა ბრძოლის ველზედ გაატარა, თავის ბატონის გვერდით. იმასთან იყოფდა ჭირსა და ლხინსა. ცათა-ფრენა შეუდგება ხოლმე, როცა მოიგონებს იმ სანეტარო დროს, რომელიც მან გაატარა ჩერქეზეთში... მათთან ბრძოლა, მათთან ვაჟკაცობის გამოჩენა... რაც უნდა ილაპარაკოს, საიდანაც უნდა მოჰყვეს, უეჭველად ჩერქეზები უნდა ახსენოს, ნახევარ საათით მაინც საჩერქეზოში უნდა გადავიდეს. ჩერქეზები და საჩერქეზო მისი სუსტი მხარეა. „ეს წმ. გიორგის ჯვარი იქ მომცესო“, —გამოურევს, ვითომც სხვათა შორის, და ცალი თვალით გულზე ჩამოკიდებულ ჯვარს დახედავს. თან, ვითომ ზიზღი გამოეხატება სახეზე: „დიდი რამ კი არ გეგონოთ, მე დამსაჯეს, ჩემი ღვაწლი ვერ დააფასეს, ან შეეძლოთ დაეფასებინათო?! ერთ ჩერქეზს თავადიშვილს თავი მოვჭერი წიწილივით,—ცდილობს ტარიელი გაგაცნოთ ამ ჯვარის მიღების ისტორია,—მეორე ცოცხლად დევიჭირე და მივუყვანე „ატრიადი ნაჩალიკს“. მალადეც, ჩემო ტარიელო,—მითხრა,—გურულებმა მასახელეთო. მომცა ეს ჯვარი და მითხრა, თუ ულვაში მაქ, გადაგიხდი მაგიერ პატივისცემასო. ქე იყვნენ სხვებიც, კაი-კაი თავადიშვილები, კაი-კაი აზნაურიშვილები, მარა ჩემტენი ვაჟკაცობა არავის გამოუჩენია.“

ბოროტი, შურიანი ხალხი კი სულ სხვას ამბობს: ტარიელი მის დღეში ოზურგეთს არ გასცილებია და აკეთში რომ მოვიდოდა, გვატყუებდა, საჩერქეზოში ვიყავიო. ჯვარ და ხატზე დევიფიცავ, ჩერქეზი თვალით არ უნახიაო. ზოგი ამბობს-არა, სულ არ წევიწყმენდ, ყოფნით ქე იყო ტარიელი საჩერქეზოში, მარა ცოცხალი ჩერქეზი ისე არ დოუჭერია, რავაც მე ლომი არ დამიჭერიაო. ამასობაში მესამე გამოტყვრა, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა უნდა, ისიც ტარიელის მოწინააღმდეგე დასს ეკუთვნის. ხომ მოგეხსენებათ, გმირს მტერიც ბევრი ჰყავს. „სიმცრუეს ამბობს, ბატონო, ცოცხალს კი არა, მკტარს მოჭრა თავი და „ნაჩალიკი“ მოუატყუაო. ერთმა სულ მოსჭრა კისერი ჩვენს ტარიელს: „გვარცხვენს, ბატონო, გურულებს! ეს თუ ვაჟკაცია, ვაჟკაცები რავარი უნდა იყვეს გურიაშიო!? ჯვარი კაცის მოკვლიზა კი არა, მასხარა იყო, ყველას აცინებდა მალიციაში; უმფროსს ქე ჰქონდა, ოჯო, ერთი ჯვარი და ქე მიცა ტარიელს. ეს კი გამოსულა და ყმედობს, ვაჟკაცობისთვის მომცეს ჯვარიო. აბდალი!..“ მთელს სოფელში ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველა დაუსრულებელ ვარიანტებით დაგიწყებთ ლაპარაკს ამ ტემაზედ. მოგეხსენებათ, სოფელს პირს ვერავინ აუკრავს. ღვთის წინაშე, ტარიელიც ასეთი აზრისაა, როცა ტყუილში დაიჭერენ.

ასეა თუ ისე, ტარიელს, აკეთელ გმირს, ერთი ჯვარი ჰკიდია გულზე და იმის მიღების ამბავი ისტორიას უჭირდება დანამდვილებით მოგვითხრას. დღეს ტარიელი 80 წლისაა, ყველა მაინც ასე ამბობს. თუმცა თვითონ ხმას ავრცელებს, 42 წლის მეტი არ ვიქმნებიო. მხოლოდ წვერ-ულვაშია მისის საიდუმლოების გამტეხი. მაგრამ იმისთვისაც წამალი გამოუგონია. თვითონ ძალიანა ჰმალავს. მაგრამ, თქვენს ლხენას, ცნობის-მოყვარე მეზობლებს აბა რა გამოეპარებათ! ხომ მოგეხსენებათ, ციხე ყოველთვის შიგნიდან გატეხილა. ისიცკი იციან მეზობლებმა— რამდენი ეხარჯება თვეში ტარიელს საღებავის ყიდვაში.

ტარიელმა ცხვირი განსაკუთრებით მას შემდეგ აიწია, რაც აზნაურობა დაიმტკიცა. როგორ?!—გაიოცებს მკითხველი.—ტარიელს განა აზნაურობა საძებნელი ჰქონდაო? შორს წაგვიყვანს ამის ამბავი. თვითონ ტარიელიც გულიგულში ცოტას კი არა სწყევლიდა, ვინც ღირსება საძიებელი გაუხადა. მერე ვინ იყო ასეთი ულმერთო, არ იკითხავთ? ვინა და გურიელი! იმას მიუცია და იმასვე წაურმევია აზნაურობა და კეთილშობილება. მერე მიზეზს არ იკითხავთ? სულ უბრალოა. მოგეხსენებათ, გურიელს მწყერზე ნადირობა უყვარდა. უნადირნია და მისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხლებლებს ტარიელის მამის ყან ამოუჯორკნიათ ცხენების ფეხებითა. ამ დროს თურმე ტარიელის მამამაც მოუსწრო და დაუმტკიცა, რომ ღონიერის დედ-მამის შვილი ვარო. საცა თქვენი სთქვათ, იქ მეც ნუ დამივიწყებთო. როგორა გგონიათ, გურიელი შეარჩენდა ასეთს თავხედობას? რა თქმა უნდა, არა! ტახტის აზნაური კი იყვნენ ისა და მისნი სახლის-კაცნი, მაგრამ გურიელმა არ დაინდო. ასწია და აზნაურთა სიიდან ტარიელის მამა ამოთვხიკა. მაშინ ეს ამავი არავის გამოუძიებია, ამიტომ რომ საჭირო არ იყო. მიიცვალა გურიელი, მიიცვალა მისი ურჩი აზნაურიცა. დარჩა ტარიელი. ხარჯის აკრება შემოიღეს. ვილამაც ტარიელი დააბეზღა—აზნაური არ არისო· ჯერ იხუა, მაგრამ რაკი დაატყო, საქმე ცუდად არისო, ბედს დამორჩილდა. იხდიდა ბეგარას, მაგრამ ჩუმად, მთვარიან ღამეს. მეზობლებმა იცოდნენ, მაგრამ პირში თქმას ტარიელს ვინ გაუბედავდა!... ტარიელი იმის დასამტკიცებლად, რომ მამა-პაპათა ღირსება ისევა ჰქონდა, ლაპარაკში უეჭველად გამოურევდა: „თუ კეთილშობილის სისხლი მაქვს... თუ კეთილშობილი ვარ... ვხედავ, კეთილშობილი ბრძანდებით და მეც, „ვითარცა კეთილშობილი“, მოგახსენებთ.

მაგრამ ხმა გამოვიდა, ვინც კეთილშობილია, საბუთია საჭიროვო. იქით ეცა ტარიელი, აქეთ ეცა... მტერი ისე დაგიღონდეთ, როგორც ის დაღონდა. ყოველსავე მის იმედს კბილი მოექრა. ბოლოს, როგორც იყო, დაიმტკიცა აზნაურობა. ისტორია ამ აქტსაც სხვა-და-სხვანაირად ხსნის. რომ ჰკითხავდნენ: ტარიელ, შენ მოხუცდი, ცოლი არა გყავს და შვილი, აზნაურობა რაღად გინდოდაო?—ბოშო, რავა გეკადრება, მე ისეთაც მიცნობდნენ, მარა თუ ჩემი საცხოვრებელი გადავალიე ამ საქმეს, იმიტომ რომ ცოლს რომ შევირთამ, ჩემი შვილები ყაზახებათ არ დამირჩეს-მეთქი.

ერთი ნაკლიცა სჭირს ჩვენს აკეთელ გიდალგოს: ენაზედ თითქო ვისმე ნაღველა დაუსხამსო, არ შეიძლება ვისიმე ქება წამოსცდეს. თითქო მოვალეობად მიაჩნია თქმა აუგისა თავის მოყვასის შესახებ, რა თქმა უნდა, ზურგს უკან. დღეს თქვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან არის—არ იცის, რა სიტყვებით აგიყვანოთ ცათამდე და ანგელოზები გვერდით მოგისვათ. ზურგი შეგაქციათ—მაშინაც სიტყვებს ეძებს და ვერ უპოვნია, რომ აგყაროთ ყოველივე ღირსება ადამიანური. ქვეყნის ცოდო თქვენ უნდა მოგკიდოთ ზურგზე და გაზიდვინოთ. კიდეც ამიტომ დაარქვეს მეტ სახელად „ყია-მყრალი“. კი არ იტყვიან—ტარიელი სად არისო? მხოლოდ იმას იკითხავენ, „ყია-მყრალი“ ხომ არ გინახავთო? და საკმაოა წარმოგიდგეთ პატარა ჯოხი, გაცვეთილი ქოლგა, გულზე ჯვარი, თეთრ-წითლად შეღებილი წვერ-ულვაში, მორღვეული თვალები, სილაღი და შიგ ჩამჯდარი ტარიელი.

მარტო ზურგს უკან აუგის თქმისათვის არ დაერქვა ტარიელს „ყია-მყრალი“. განთქმულია თავის ცინიკობისათვის. გარდა ამისა, ვსთქვათ, გაუწყერით, შენიშვნა რამ მიეცით, არ გეგონოთ, შუბლ-გახსნილი შემოგხედოთ. შემოგიტევთ, კოპებს შეიკრავს და ერთი კვირა არ გაიჭაჭანებს თქვენს მხარეს. ბრძანებთ, ეგ არის, მოგვხედა ღმერთმა, ტარიელმა ამოიკვეთა ფეხიო. გაიხედავთ—გამოარჩევს ისეთ დროს, როცა სტუმრები გყავსთ, შემოვა ეზოში, ჯოხს ხეზე მიაბამს და ამოგიჯდებათ გვერდით, თითქო აქ არაფერიაო.

სახლი აქვს ტარიელსა?—როგორ არა! მაგრამ შიგ კი იშვიათადა სცხოვრობს. უმეტეს ხანს, სადაც ულამდება, იქვე უთენდება. ორ დღეს თქვენთანაა, ორ დღეს—სხვასთან და ასე დაუსრულებლივ. რა მენაღვლება, ჩემი ულუფა ყველგან მეძლევაო. ნასტავლებსავით ვერ მოგართვეს!—დაატანს ხოლმე თავმომწონედ.—მე ტარიელი გახლავართ, კეთილშობილი, მიცნობენ, ვინცა ვარ. ნასტავლები კი არ დამეტოლონ ბიჭს!... უსტავლიათ და აბა კაი კაცია-და ჩემსავით იცხოვრონ! დაუჯინიათ, „ივრისტები“ (იურისტები) ვართო.., ჰაი ბეჩა ტარიელი!... მე უნდა მესტავლა, ვაყურებიებდი სეირს, დოუფსებდი თვალებს, თვარა აბდალს და ყაზილარს გინდ ასტავლე და გინდ არა, მაინც აბდალია, იმას ვეფერი უშველის. გეიძახიან, უნივერსი გამითავებიაო. დეიქცა და დეიწვა მისანა უნვერსია, თუ რაცხა ეშმაკი!... ოჯო, თუ მე უნივერსში არ ვყოფილვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურს ვერ ვჭამ საწყალი!... ეჰ, გული მიკტება ახლანდელ წახტავლ ყაზილარებს რომ ვუყურებ...

მთელი ერთი კვირა ბედნიერება მქონდა ტარიელის თავგადასავალი მესმინა. მაგრამ ამასაც უნდა ბოლო მოჰლებოდა, ბახმაროს მთები შორიდან გვაძლევდა სალამსა, თვალსა გვტაცებდა მისი დახავერდებული ქედები. თავისკენ გვიზიდავდა.

აქეთიდან ორნი უნდა გავსულვიყავით ბახმაროსკენ. გადავწყვიტეთ ჯორიც გვეშოვნა. რადგან აღმართისათვის ეს პირუტყვი დაუფასებელია, რაშიაც მე თვითონ დავრწმუნდი.

თვითონ აქეთიდან საღამო ხანს გავედით, რადგან იმ ღამეს ბახვში უნდა დავრჩენილიყავით და მეორე დღეს დილაადრიანა უნდა შევსდგომოდით ბახმაროს აღმართსა. მშვიდობით ტარიელის სამშობლო სოფელო!

თ. სახოკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

## I

### თ˝ი ალ. ჭავჭავაძე.

(1786—1846)

ასი წლის მას აქეთ, რაც გარდაიცვალა უკანასკნელი მეფე საქართველოისა ერეკლე II, პატარა კახად წოდებული. 1798 წლის 11 იანვარს თელავში განუტევა სული საქართველოს სამხედრო გენიოსმა. მასთან ერთად, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, საქართველოს თვითარსებობამაც დალია სული და იმ კაცს ჩაატანა საფლავში, რომელსაც «დიდი ხნის გარდაუწყვიტა ბედი ქართლისა». მართალია, მის მერმე ბარე შვიდიოდე წელი იმეფა მისმა ძემ გიორგი XIII-ემ, მაგრამ იგი უფრო ალვირ-წახსნილ კარისკაცთა ინტრიგებისა და ცბიერების საბურთაო და სათამაშო იყო. დიდი ხნის ბედი ქართლისა გარდაუწყვიტა ერეკლეს და სწორედ ამ გარდაწყვეტილების შემდეგ მისი გამობრუნება ძნელი იყო და თვით მეფისაგან ამ გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, მისი მემკვიდრისაგან თავისი სამეფო უფლებების ერთი-ორად კიდევ უფრო შეზღუდვა და მერმე მთელის ერის (უფრო ერის ერთის ნაწილის) გათახსირება, გადაგვარება და ყოველივე საზოგადოებრივის ინსტინქტებისაგან გაძარცვა გვიმტკიცებს, რომ არა მარტო მეფე იყო აქ დანაშაული.

რამ მიიყვანა საქართველო ამ მდგომარეობამდის, თვით არსებობის დაკარგვამდის, რა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მიზეზმა გამოიწვია ესეთი კატასტროფა ჩვენის ერის ცხოვრებაში, თუ შე-

ძლება გასტასტროფა დავარქვათ მას, რამაც, მართალია, [illegible] ცვლილება მოახდინა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ მაინც ერთისა და ორის დღის, თუ გინდ წლის შექმნილი როდი იყო, სრულიად კანონიერი შედეგი იყო ჩვენის ისტორიისა. ეს იყო ევოლიუციის ჩვენის ისტორიისა, ეს პოლიტიკურად სულის დალევა იყო დაბოლოება, ჯერ ხანად მაინც, ამ ევოლიუციისა.

მთელი ისტორია ჩვენის ხალხისა არის მარტიროლოგიაო, მიღებულია ასე თქმად, ესე იგი ჩვენის ერის ტანჯვა წვალებისა, მოწამეობის ამბავიაო. მე მგონია, ამგვარი შეხედულება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია. არ წარმოსადგენია, რომ ჩვენი ცხოვრება ისტორიის საზოგადო კანონს გაქცეოდეს, ანა და ისეთი თავისებურება გამოეჩინოს საზოგადო კანონების გზაზე მსვლელობაში, რომ ძნელი გამოსარკვევი იყოს ისტორიის კანონების განვითარება ჩვენს ძველს ცხოვრებაში.

დიდებულმა მეცნიერმა ამ საუკუნისამ, ჩარლზ დარვინმა დაადგინა დიადი კანონი ცხვრებისა «ბრძოლა, ჭიდილი და მეტოქეობა ცხოვრებისათვის», დღეინდელ დღემდის იგი ბრძოლა შეიქმს ისტორიას ერთა და საერთა-შორისო ისტორიას. ამ ბრძოლაში გამარჯვებული რჩებოდნენ ის ერნი, რომელნიც დროისა და გარემოების შესაფერის იარაღით იყვნენ აღჭურვილნი და ყოველი ერის ისტორია წარმოადგენს ან ისტორიას გამარჯვებისას და ან ისტორიას დამარცხებისას ცხოვრებისათვის გამართულს ომში. იყო დრო, როცა ომობდა ოჯახი ერთისა და იმავე გვარისა, მეორე ოჯახთან, მერმე გვარი გვართან, მაზრა მაზრასთან და თემი თემთან და ბოლოს მთელი ერი მეორე ერთან. ამგვარად თუმც ბრძოლა სუსტდებოდა ერთისა და იმავე ერის სხვა-და-სხვა ნაწილებთა (ოჯახი, გვარი, თემი) შორის, მაგრამ სხვა-და-სხვა ერის შორის ატეხილი ბრძოლა სასტიკი ხასიათისა ხდებოდა. თვით ერში კი დარჩა ბრძოლა წოდებათა, კლასსთა შორის, ამა თუ იმ აზრისა და მიმართულების დამცველ დასებთა შორის. მაგრამ ნაციონალურის თვითარსებობისა და გაერთიანების შეგნება ამ ბრძოლას შესწყვეტდა ხოლმე, როგორც კი ასტყდებოდა ბრძოლა მეორე ერთან. ამგვარად ისტორია ჩასდგა მეორე ხანაში, სადაც ერთი ნაწილი კაცობრიობისა, რომელსაც

ერი ეწოდება, ებრძოდა მეორე ერსა. ამ ბრძოლაში მოქალაქეობა ღებულობდა მონაწილეობას, ხოლო დასვენების დროს ასტყდებოდა ბრძოლა კლასსთა შორის და ამგვარად გარეშე ბრძოლა შეიცვლიდა საერთაშორისო ისტორიას, ხოლო შინაგანი—ისტორიას ერთა.

დღეს არსებული ევროპის სახელმწიფოები ევოლიუციის ერთ გზას მისდევდნენ. იგინი ცდილობდნენ, რომ ცალკ-ცალკე ჯგუფი ერთისა და იმავე ერისა გაეერთიანებინათ, შეეწყვიტათ ბრძოლა მათ შორის. განვითარება პოლიტიკურის ფორმისა ამ გზას მისდევდა, თავისუფალის ბრბოისა და თემის ყრილობა შეიცვალა ჯერ ფეოდალურ სამეფოდ, მერე კი აბსოლიუტურ მონარქიად, რომლის მთავარი აზრი იყო შინაგანი გაერთიანება. XVII და XVIII საუკუნეში ევროპის სახელმწიფოებში ეს მიმდინარეობა დამთავრებული იყო. ცალკე ფეოდალნი, ეკლესიის წარმომადგენელნი და ქალაქის მცხოვრებნი შეზღუდულ იყვნენ თავიანთ უფლებებში—ყველანი გათანასწორდნენ მეფის წინაშე და მეფე შეიქმნა მთელის ერის წარმომადგენელი; თუ რომელიმე კლასს ანუ წოდებას რაიმე პრივილეგია ეძლეოდა, მარტო მეფის სურვილითა და ნებით.

მეფე პოლიტიკურს ხერხსა ხმარობდა, ხან ქალაქის მცხოვრებთ აძლევდა ხელს, ხან მდაბიო ხალხს, რომ თავაშვებული ფეოდალები აელაგმა და თავისი ძალი და უფლებანი განემტკიცებია და განეფართოებია. რუსეთმაც მე-XVIII საუკუნის დასაწყისში დაამთავრა ეს ევოლიუცია და აბსოლიუტური მონარქია, ფაქტიურად დიდიხნით შემზადებული პეტრე პირველისგან, საქვეყნოდ აღიარებულ იქმნა.

საქართველომ ამ მსვლელობას ისტორიისას ვერ მისდია. ქართველი ერი ისტორიის პირველ ხანას შერჩა. მართალია, საქართველო გაერთიანებული იყო თამარისა და გიორგი ბრწყინვალის დროს, მაგრამ ეჭვი არ არის იგი გაერთიანება ისტორიის მსვლელობის შედეგი კი არ იყო, ამ მეფეთა გენიოსობის ნაყოფი იყო და ამიტომაც მათის სიკვდილისთანავე იგიც გაჰქრა. არათუ იმერ-ამერეთი არ იყო გაერთიანებული, ცალკე სამეფოები და სამთავროებიც კი ფეოდალთა სათარეშო ასპარეზად შეიქმნა. თვით მეფის საგვარეულო ოჯახის წევრნი ერთმანერთს ებრძოდნენ, დიდ-დიდი ფეოდალები მეფეს ებრძოდნენ და ამგვარად სუყოველგან არეულობა

იყო. XVIII საუკ. ჩვენი მეფეების იდეალი უნდა ყოფილიყო თამარისა და გიორგი ბრწყინვალისაგან ნაანდერძევი სავანი საქართველოში ფეოდალთა ალაგმვა, ცალკ-ცალკე სამეფოების გაერთიანება და არა სამხედრო სახელის მოხვეჭა. ერეკლე II სამხედრო გენიოსი იყო, მაგრამ პოლიტიკაში კი გამჭრიახობას იყო მოკლებული. ის უფრო იმასა ცდილობდა, მეზობელ ხალხთა და ხანებისათვის შიშის ზარი დაეცა, ვინემ შინაგანი გაერთიანება შეექმნა. ამ შემთხვევაში ხალხმა წინ წაუსწრო მმართველებს და უფრო შეგნებული პირები გამოჩნდნენ ხალხში ჩვენის ბედისა. განსაკუთრებით იმერეთმა, ისტორიულად უკან ჩამორჩენილმა, ამ დროში მეტად დიდი შეგნებულობა გამოიჩინა საერთო ინტერესისა. იმერეთი, მართალი ვსთქვათ, ყოველთვის იჩენდა ტენდენციას გაერთიანებისას: სიხარულით მიეგება თამარის მეფობასაც, გიორგი ბრწყინვალესაც ალტაცებით დაუხვდა ქუთაისში და ალტაცებით მიეგება მეფის სურვილს იმერ-ამერეთის გაერთიანებისას. ამ უბედურს დროშიაც იმერეთის ხალხმა წარმოუგზავნა ერეკლეს წარმომადგენლები — შეგვიერთე თქვენს სამეფოსაო*), მაგრამ ერეკლემ თავისს შვილიშვილს ვერ აწყენია, მთელის ქვეყნის ინტერესი შესწირა უბრალო წყენინებას თავისი ოჯახის წევრისას. თუგინდ მეფეს ისიც ეფიქრა, რომ ესენი არ იყვნენ მთელის ხალხის წარმომადგენელნი, მაინც უნდა ჩაეჭიდა ამ საბაბისთვის ხელი და საქართველოს გაერთიანების განმტკიცებას უნდა ცდილიყო და ამ გვარად შინ გაძლიერებული, უნდა ჩაბმოდა გარშემორტყმულ ერებთან ბრძოლას. მეფის პოლიტიკური შეუგნებლობა კიდევ იმაში გამოიხატა, რომ ვერ იგრძნო, რა საშიშნი იყვნენ აყვავებული და ძლიერი მეზობელი სახელმწიფონი მისი ერისათვის, ვერ შეამჩნია კარგად მეზობელ სახელმწიფოთა დაუშრეტელი სურვილი თავისი კიდეების გაფართოებისა და ვერ ისარგებლა მათის ერთმანერთთან შეტაკებით. წინააღმდეგ ამგვარ სურვილისა მეზობელ სახელმწიფოთა თვით ხელი გაუმართა, იარაღი დაჰყარა და ესლა მხოლოდ-ღა იმასა ჰფიქრობდა, რაიმე ნაირად რუსეთის მფარველობა მოეპოვებინა. ზემოდაც მოვიხსენიეთ, რომ საქართველოს პოლი-

*) იხ. ი. გოგებაშვილი—„რანი ვიყავით გუშინ?“

ტიკურს სიკვდილს უფრო სხვა მიზეზები აქვს—ზნეობრივის, პოლიტიკურისა და ეკონომიურის თვისებისა. რასაკვირველია, ჩვენ მეზობელ სახელმწიფოთ წადილი ჰქონდა მთელი ქვეყანა დაეპყრო და განა თვით ერეკლეს არა ჰქონდა ეს სურვილი, მაგრამ ამ წადილს წინ უნდა შეიარაღებული დახვედროდით. რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკურად მოსპობა მიტომ შეიქმნა შესაძლებელი, რომ ქართველის ერის სიცოცხლის მაჯის ცემა შესუსტდა. და ამაში ყველაზე მეტი დანაშაულნი არიან მეთაურნი ჩვენის ხალხისა, რომელნიც ვაშა-ვაშათი ეგებებოდნენ ყოველგვარს შელახვას საერო უფლებათა; ბრალი აქვს ჩვენს მეთაურს საზოგადოებას, რომელიც მარტო იმასა ჰფიქრობდა, რას გამორჩენოდა ერის უბედურობას და დაღუპვას.

შესაძლებელი არ იყო ქვეყნის ამ გვარ საფრთხეში სხვა-და-სხვა მიმართულებას არ ებრძოლიყო, სხვა-და-სხვა ადამიანი არ გაჩენილიყო, რომელნიც საქართველოს ბედ-იღბალს სხვა-და-სხვა გვარად უყურებდნენ. ერეკლე მეფე ქართლში, სოლომონ II და სოლომონ მსაჯული იმერეთში სხვა-და-სხვა გვარად სჯიდნენ ბედსა ქართლისას. ეს ორი დასი ერთისა და იმავე აზრით იყვნენ გამსჭვალულნი, თავისი ქვეყნის კეთილ-დღეობით—თუმცა სხვა-და-სხვა გზას ირჩევდნენ თავისი აზრის მისაღწევად. ხოლო ამგვარს დრამატიულს ეპოქაში გამოჩნდებიან ხოლმე «გონიერნი» მამაცნი, რომელნიც ერის კეთილ დღეობაზე დანთებულს ცეცხლზე ხელის მოთბობას ცდილობენ, რომელნიც მარტო პირადს ინტერესსა მისდევენ, ყველგან პირადს სარგებლობასა ეძიებენ და კიდევაც იციან, სად მოიძიებენ ამ სარგებლობას, მეძებრების არ იყოს, რომელთაც იციან სად არის ხოლმე ნადირი. ამათ აქვთ საკმაო «გონიერება» (ესეც თუ გონიერებად იწოდება), სარგებლობენ თავისი მდგომარეობითა და გავლენით საზოგადოებაში კიდევ და კიდევ იმიტომ, რომ პირადი ბედნიერება აღაგონ საერთო უბედურებაზე. ამ გვარ «გონიერ» მამაცთა რიცხვს უმეტესად არისტოკრატია ეკუთვნოდა და ამ არისტოკრატიის ნერგი იყო ნიჭიერებით უხვად დაჯილდოვებული პოეტი ალ. ჭავჭავაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II

50 წლიწადი შესრულდა მის შემდეგ, რაც გარდაიცვალა პოეტი მადლ-გრძნობიერი, დიდის ნიჭით და ტალანტით აღჭურვილი. საშინელის ტრაგიზმით აღსავსე იყო მისი სიკვდილი, 3 ნოემბერს 1846 წ. იგი ვარანცოვთან სადარბაზოდ მიდიოდა, გაქანებულის ეტლიდან გადმოვარდა, სასიკვდილოდ დაიჩეხა და ამავე დღეს გარდაიცვალა.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთობას, რომელიც მთელს პანეგირიკს უძღვნის ხოლმე სრულიად უმნიშვნელო ლიტერატორებს და საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ პირებს, ივიწყებს და ყურადღებას არ აქცევს ისეთს დიდ-მნიშვნელოვან პირს ჩვენის ლიტერატორისას, როგორიც იყო თ. ალ. ჭავჭავაძე. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ თუ ერთი ნაწილი ჩვენთა ლიტერატორთა მეტად სასტიკად ეპყრობოდა თ. ალ. ჭავჭავაძეს, ვარდ-ბულბულის პოეტს ეძახოდა, უაზროსა და უშინაარსო ლექსების მომღერლად მიაჩნდა, სამაგიეროდ ისეთი თვალსაჩინო პირები ჩვენის ლიტერატურისა, როგორიც თ. ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ბრძანდებიან, ამ პოეტსა სთვლიან «ტკბილ პოეტად, ნათლის სვეტად, ტკბილ მღერალად, ამაღლებულად სულით ზეცამდე», რომლის ლექსი «შეჭყეებს სატრფოს გულ-საკლავად, ტრფობის ისრით განაწონი, ხან დაჭყურებს ღრუბლიანი დაფიქრებით გოგჩის ტბასა და ემდურის მწვავის მოთქმით დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა».

თ. ალ. ჭავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდისა და ვარამის გამომხატველი. პოეტის ამ ნაკლულევანების მიზეზი იმალება მის მემკვიდრეობაში და იმ ატმოსფერაში, რომელშიაც იზრდებოდა, იმ აზრთა ზედ-გავლენაში, რომელშიაც თავისი სიყრმე-სიყმაწვილე გაატარა და რომელსაც არ შეიძლებოდა თავისებური დაღი არ დაესვა ამ მწერალზე.

თ. ალ. ჭავჭავაძეს ბედმა არგუნა ისეთს წრეში ყოფნა, რომელიც არას დასდევდა ქვეყნის შავ-ბედობას ოღონდ კი თავისი გამოსარჩენი და სასარგებლო რამ ეშოვნა, მხრები ზიზილ-პიპილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით დაუმშვენებია, ჯიბეები ოქროს ბაჯაღლოებით გაევსო. ამგვარის პრინციპების მიმდევარი იყო ის ოჯახი, რომელშიაც იფურჩქნებოდა ძლიერი ნიჭი პოეტისა. თვით თ. ალ. ჭავჭავაძის ნაწერები გვაჩვენებენ, რომ მაღალ ნიჭიერი პოეტი ისეთს წრეში უნდა აღზრდილიყო, სადაც ან დილეტანტობასა მისდევდნენ და არისტოკრატიული ინდიფერენტიზმი მეფობდა ან და, ახალის წეს-წყობილებისაგან თავის გამოსარჩენი ეშოვათ რამე, მარტო იმაზედ ჰფიქრობდნენ.

ჩვენ ვერა ვნახავთ მის ლექსთა კრებაში იმ გარკვეულს ვაებასა და მწუხარებასა, იმ ტანჯვასა და ოხვრას საზოგადო ინტერესების გამო, რომელიც ამშვენებს შემდეგი მწერლების ნაწარმოებთ. ჩვენ არ შეგვიძლიან დანამდვილებითა ვსთქვათ, რა მიმართულებისა და აზრისა იყო ჩვენის ერის ბედის შესახებ, რაგვარს სევდასა და დარდებს ჰგრძნობდა საერო ბედის გამო. იმას ვერ ვიტყვით, რომ ავტორს «გოგჩის ტბისას», ცოტა არ იყოს, მაინც არ ეგრძნოს თავის სამშობლოის უბედურება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ შეგნებული ჰქონდეს სავსებით ეს უბედურება, რადგან მაშინ ხომ სხვა-და-სხვა დარბაზებისა და სასახლეების ქება ისე ვერ გაიტაცებდა, რომ დაევიწყებინებინა თავისი ღრმა სევდები, თუ კი ჰქონდა ამგვარი სევდები.

ხოლო ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ალ. ჭავჭავაძე დიდად ნიჭიერი მწერალია და ნიჭიერის, არა-ჩვეულებრივის ბუნების მქონია. არა-ჩვეულებრივობა ბუნებისა კი იმაში იხატება კაცთა ცხოვრებაში, რომ ერთსა და იმავე მოვლენას, რომელიც ჩვეულებრივს, უბრალო კაცზე თითქმის არავითარს გავლენას არ იქონიებს ხოლმე, ღრმა-გრძნობიერსა და ნაზ-ბუნებიანს ადამიანს ძლიერს ნიშანს დაასვამს. ალ. ჭავჭავაძე რომ უბრალო მომაკვდავი ყოფილიყო, მისი სიცოცხლე ცარიელ ჩინების ძებნაში გაივლიდა და იმ მშვენიერს ლექსებს ველარ დაგვიტოვებდა. ალ. ჭავჭავაძე რომ უფერულობასა და უნიჭოებას ვერ ასცილებოდა, მისი ლექსები ისეთი ღრმა-გრძნობიერი როდი იქნებოდა.

იმ დიდს ცვლილებას, რომელიც საქართველოს ისტორიაში მოხდა, არ შეეძლო თავისებური დაღი არ დაემჩნია ამ გრძნობიერ არსებობისათვის. არ-შესაძლებელი იყო, რომ თუგინდ ფანჯრიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახის ჭუჭრუტანიდან, ან საიდანმე არ შემოსულიყო საზოგადო-უბედურობების ხმა, რომლითაც მოცული იყო მთელი ქართველი ერი. არ-შესაძლებელი იყო, რომ სამგლოვიარო მოთქმა და ზუზუნი მის მახვილს მსმენლობას არ ესმინა. არ-შესაძლებელი იყო ადამიანთა ცრემლისა და დაღვრემილობისთვის თვალი არ მოეკრა. ყოველივე ამას ღრმა გავლენა უნდა ჰქონოდა და კიდევაც ჰქონდა ეს გავლენა. მთელს მის ნაწარმოებს დაღვრემილობისა და სევდის კვალი აჩნევია, მჭმუნვარების კოლორიტით შემოსილია. მხოლოდ აღზრდისა და ოჯახის ატმოსფერის ბრალი უნდა იყოს ის, რომ ვერ გაიგო, რის შედეგი იყო ეს გმინვა ხალხისა, რის მომასწავებელი იყო მისი გლოვა და ტირილი; მისი ტანჯვა და სევდიანი ოხვრა. პოეტი ვერ ჩაუწვდა ღრმად ხალხს გულში და ამ გულისა და სულის ნადები ვერ გვამცნო, ისე როგორც ეს ჰქნეს მის შემდეგმა პოეტებმა.

ჩვენში გავრცელებულია უცნაური აზრი, ვითომ თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე «ვარდ-ბულბულის» მომღერალი პოეტი იყოს, ეპიკურის მიმდევარი და ვითომ პირადის არა-უმაღლესის გრძნობების დაკმაყოფილების მეტი არა ახსოვდა-რა. მეტად უსამართლო არის ეგრეთი აზრი ნიჭიერისა და გრძნობიერის პოეტის შესახებ. ჯერ ერთი, ეგრეც რომ იყოს და ქეიფისა, «აშიკობისა და ლაღობის» გადაჭარბებული მიმდევარი ყოფილიყო, მაინც-და-მაინც სარჩული უნდა მოვუძებნოთ და ძირითადი მიზეზი ეგრეთის ცალმხრივობას გრძნობათა გამოქმაში, ეგრეთს გატაცებას ერთისა და იმავე გრძნობით; უნდა გავითვალისწინოთ და გამოვირკვიოთ, რატომ მოხდა, რომ ეგრეთი ნიჭიერი კაცი, ნაზ-გრძნობიერი პოეტი საზოგადო უბედურების დღეს ქეიფისა და თამაშის მეტს არას დაეძებდა.

ვსთქვათ, კაცმა თავის გასართობლად და დარდების დასავიწყებლად ქეიფსა და ლხინს, არშიყობასა და დარდიმანდობას მიჰყო ხელი. ვსთქვათ, კაცმა სიცოცხლე მოშხამულ-გამწარებულმა და გულმოწყლულმა «ღვინის ჩაღლევით» მოისურვა თავის გართობა. თუ მართლაც ამ ვაჟბატონის ოხვრა, კაეშანი ადვილად განქარდება პირველისავე ლამაზ თვალების დანახვით და გინდ პირველისავე ყან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წის გადაკვრით, მას უკვე მოუპოვებია ნავთსაყუდარი თავისი ბუნებისათვის, მისი ტანჯვა-ვაება, ოხვრა და კვნესა ქარის მოტანილი ყოფილა და ქარივე წაიღებს. მისი კვნესა გამოწვეული იყო უთუოდ არა პატივსადების მიზეზისაგან, რომელიც ადვილი მოსასპობი იყო. მისი პესსიმიზმი, ჰგავს, არა ყოფილა სულის სიღრმიდან ამონახვნეში, ძირითადი, მთელი მისი ტანჯულის ცხოვრების შედეგი ფილოსოფია.

ხოლო როცა ადამიანის ოხვრა, ვაება და გლოვა წუთიერი კი არ არის და უმიზეზო მიზეზისაგან გამოწვეული, არამედ არსებითია, რაც ამ მის ოხვრას სარჩულად უდევს, არა მარტო პირადი ბედნიერება და უბედურება, არამედ მსოფლიო, კაცობრიობისა და გინდ თავისი ერის მდგომარეობა არის მიზეზი და გამომწვეველი ეგრეთის პესსიმისტიურის განწყობილებისა და როცა ეგრეთ კაცს ამა თუ იმ მიზეზით სხვა შვებას ვერ მოუპოვებია, თუ არ წუთიერი თავის დავიწყებას, სხვა-და-სხვა ვნებათა ღელვის დაკმაყოფილებას,—მაშინ ეგრეთი კაცი, მერწმუნეთ, ვერც აქ იპოვის ვერავითარ ნავთსაყუდელს თავისი აღშფოთებულისა და უიმედოებით აღსავსე სულისათვის. მასა ჰგონია, ამითი თავდავიწყებას მიეცემა და თავდავიწყების მაგიერ ერთი-ორად იმწვავებს თავისს ტანჯვებსა. თუ აღ. ჭავჭავაძე მოქეიფეთა გუნდს ეკუთვნის, მაშინ მხოლოდ იმ მოქეიფეთა გუნდს, რომელსაც ქეიფისათვის მიუმართავს, როგორც უკანასკნელის საშუალებისათვის ტანჯულის გულის ოხვრის განსაქარვებლად. სასოწარკვეთილ პოეტთა შორისაც ორ-გვარი შეგხვდებათ. ერთს შეგნებული და გარკვეული აქვს საგანი ვაებისა. ავტორს «ქართლის ბედისას», «მერანისას» და «სულო ბოროტოსას» კარგადა აქვს შეგნებული «გონებისა და სიცოცხლის აღმაშფოთვარი» საგანი, კარგადა სცნო ავტორმა «აჩრდილისამაც» «ქვეყნის დრტვინვა და დუმილი და ამ დუმილში რა წყევლა არის»; კარგადა აქვს შეგნებული წამლით უკურნებელის თავის გულის ოხვრის მიზეზი, იმ პოეტსაც, «რომლის ჩანგს ეშხით ვეღარ უჟღერია და გულს ტკბილად არ უმღერია, რადგანაც ხედავს სატრფო მისი მტერია.» ბარათაშვილს შეიძლება უფრო საზოგადოებრივი ტანჯვა-ვაება აუწყებდეს და ილ. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს უფრო სპეციალური საეროვნო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც გარკვეული აქვთ «ოხვრის მიზეზი» მწუხარების საგანი.

ზოგიერთს მწერალს კი ვერა აქვს გამორკვეული თავი მიზეზი «სულის ოხვრისა», მაგრამ დრო, გარემოება და ისტორიული მომენტი თავისებურს დაღს ასვამს ნიჭიერსა და გრძნობიერს არსებას. ჰგრძნობს, რომ ჭაერში მეხისა და ჭექა-ქუხილის სუნია, ჰგრძნობს, რომ რაღაც ტანჯვას დაუბუდებია მის გარემო, მის ნაზ «ვარს სმენისას» ესმის კვნესა ერისა და კი ვერ გაუგია, რა არის ამ საზოგადო კვნესისა და ოხვრის მიზეზი. სიყვარული მისთვის მოწამლულია ამ საერო გოდების სმენით და ქეიფი და ლხინი მოშხამულია სამგლოვიარო ზარის სმენით. ასეთის ნაზ-გრძნობიერის ადამიანისათვის არ არსებობს არც მხიარულება, არც თავის შექცევა, ყველგანა და ყოველთვის მას ესმის სევდიანი ხმა, ოხვრა და ამის მიზეზით საალერსოდა და სამიჯნუროდ მომართული მისი ენა, საწამლავით აღსავსე სიტყვებს ისვრის. «სავსე ჭიქებისაკენ» გაწვდილი ხელი ჩამოუვარდება და, თუ აიღებს ამ «სავსე ჭიქას», მხოლოდ მიტომ, რომ ჩალიოს და ამ ჩალევას ჩაატანოს «კვნესა გულისა». მაგრამ, ვიმეორებ, ტყვილად ცდილობს ამას. ნაზი გრძნობა-გონება და სული ზეგარდმო მადლით ცხებული პოეტისა ვერ ურიგდება ვერავითარს თავის გასართობსა და გასამხიარულებელს რასმე.

ასეთს პირადობას ჩვენს ლიტერატურაში ეკუთვნის თ. ალ. ჭავჭავაძე. წარმოიდგინეთ, რომ ეს კაცი, ეპიკურიელად მიჩნეული, სწორედ ისეთს პოეტს ეკუთვნის, რომელსაც ერთხელაც არ მოუმართავს თავისი ქნარი ისე, რომ კვნესით აღსავსე ჰანგები არ დაემღერებინოს ზედა, ერთხელაც არ ჩამოუკრავს სიმები თავის ჩონგურისა, რომ ცრემლის მომგვრელი სამგლოვიარო ხმები არ გამოეცეს მის ჩონგურსა.

არ ვიცი, გარკვევით ესმოდა თუ არა, და შეიგნო თუ არა პოეტმა, რა აკვნესებდა და რა აგოდებდა ერსა, და ეს კი ნამდვილია, რომ ამ საგნებს გვერდს უვლიდა, არა სურდა შეხებოდა მას, იქნება არ მიაჩნდა «გონიერად» ამის შესახებ ლაპარაკი. ესეც ნამდვილია, რომ მის პრაქტიკულს მსჯელობას არ შეეძლო შეეცვალა მისი ნაზ-გრძნობიერება და ამიტომაც არის, რომ, შეიძლება, ძალაუნებურადაც, მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მისი ლექსები «კვნესა სულისაა» და არა მარტო ტრფობისა ნაშთი, არამედ სხვა უფრო მაღალი განწყობილების «მონაბერი», ერის სულის მიმართულებისაგან დაბადებული. ამიტომაც, თუ ალ. ჭავჭავაძე «ვარდ-ბულბულს» უგალობდა, ეს გალობა მისი გულის სიხარულით აღმავსები როდი ყოფილა, ოხვრისა და ვაების ერთი-ორად გამწვავებელი იყო. ეს სამგლოვიარო კილო მისი ლექსებისა შექმნილი იყო საზოგადოდ მთელი ერის გლოვისა და ოხვრის ზედგავლენითა, ამ სევდიანის კილოს მიზეზი საქართველოს ბედში იმალებოდა. პოეტმა თვით დაჰგმო ხელოვნური მღერა, თავის გასართობი მღერა უდარდელი აშიკისა: «როს ბულბული საამოვნოდ აღიმაღლებს ხმას და მღერობს, გწამდეს იგი, ესრედ ტკბილად, სიყვარულით არა მჟღერობს. ეს არს მისი ხელოვნება, გრძნობისაგან უმაღ ყბედობს, თვარა ჩემის გულის გრძნობა მის ყბედვასაც გარდამეტობს».

ისიც უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, თ. ალ. ჭავჭავაძეს იმის დამამტკიცებელი საბუთიც არ მოეცეს, რომ საერთო უბედურება გაიგო და ამ უბედურებამ მასაც ტანჯვა მიაყენა. მხოლოდ არ მიმაჩნია მე იგი გრძნობა გარკვეულად და მტკიცედ დაცულად. ამ გრძნობათა გამოსატვას უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პოეტი, ეს მისი სევდა არის, სევდა ფეოდალ-არისტოკრატისა, მას აწუხებს წარსულის დიდების დაკარგვა, რასაკვირველია, იმიტომ რომ ამ წარსულში ისეთი ადგილი ექნებოდა, რომელიც ზოგიერთებისაგან მოწონებულმა წყობილებამ ვერ მისცა. ჩვენ არა გვგონია, თ. ალ. ჭავჭავაძეს სავსებით შეეგნოს, ღრმად ჩაჰკვირვებოდეს იმ უცნაურს ცვლილებას, რომელმაც მთელი ერის ისტორია შესცვალა, ერის ბედიღბალის ჩარხი თვის შესაფერად გადაატრიალა. როცა ბარათაშვილი ამბობს: «რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაში დატყვევებული»-ო, რომ «სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვა-და-სხვაობდეს.» მთელს ფილოსოფიურს შეხედულებას გამოსთქვამს აქ პოეტი ერის თავისუფლების შესახებ. როცა თ. ილ. ჭავჭავაძე «აჩრდილში» აღგვიწერს საქართველოს დღევანდელს მდგომარეობას, ამით გვიჩვენებს რა ღრმა სოციალური და ისტორიული კატასტროფა მოხდა ჩვენის ერის ცხოვრება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. თ. ილ. ჭავჭავაძე წარსულზედ დარდის მოკვლასაც კი გვირჩევს, იმიტომ რომ «ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.» როცა აკაკი წერეთელი გვეუბნება: «ჩემი სატრფო მოხიბლულსა ის არი, ეშხით დამთვრალს ვერ უცვნია ისარი»-ო, გვესმის, რასაც მოსთქვამს. ხოლო ალ. ჭავჭავაძის წარსულზედ ტირილი არც კი ვიცით, რა ხასიათისაა, გოდება საყვარელის საგნის საუკუნოდ დაკარგვის გამო, თუ ჩვეულებრივი სავალდებულო ტირილი და მოთქმა ჭირისუფლისა.

## III

ერთი ლექსი აქვს თ. ალ. ჭავჭავაძეს საზოგადოებრივის ხასიათისა—«გოგჩის ტბა». მეტად მშვენიერია, მაღალის ღირსებებით და გრძნობებით აღსავსე ეს ლექსი, მაგრამ მაინც შეუძლებელია ამით გამოირკვიოთ, რა აზრს ადგა ალ. ჭავჭავაძე თავის ქვეყნის ბედის შესახებ. პოეტს დაღვრემილებითა და კაეშნით აღავსებს «ნაქცევნი ამ ტბის კიდეთ ძაძვით მმოსვილნი, სად ყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა. უდაბურება, მჩუმარება, არარაობა თვალთა და გულთა კაცისასა სევდით ავსებენ». ამის მნახველს პოეტს ასეთი სამწუხარო აზრები მოუვა თავში: «აქა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი, აქა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო, აქა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი, მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედავ ბრმობილო!» უწინ კი აქაც თურმე სდუღდა და გადმოსდუღდა ცხოვრება, ვრცელსა ვაკეზე დღეს ბნელად ქვა-ყრილზე ჰქონიათ «ტაიჭთა სრბოლა, ჩოგნის ტაცება, შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცა და ისართ სროლა». ერთხელ «ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი, ურთიერთთანა კავშირობით ამაღლებულან მკუთვნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი, ოდესმე მათში განცხრობილან და განშვენებულან». პოეტს მარტო სიკეთე და სიამე როდი ეჩვენება წარსულის ცხოვრებისა, კარგად იცის, რომ «შურსა, მტრობას აქაც უღრღნიათ გულები ხარბად, ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან გვლავ ერთმანერთთა, აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად, წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა».

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ისახება პოეტის მწარე შეხედულება ცხოვრებაზე და ეს ნაღვლიანის ფიქრებით აღსავსე ლექსშია გამოთქმული. ხოლო ეს საზოგადო აზრია პოეტისა საზოგადოდ ცხოვრების შესახებ. პოეტს ბუნებისა და სიცოცხლის მოყვარულს დარდებსა ჭვრის დღეს უდაბნოდ ქცეული ადგილი ისე, როგორც გაკაფული ტყე, ფოთლებ ჩამოცვენილი ხე, შემოდგომის სუსხით გაყვითლებული მწვანე მინდორი და დამშრალი რუ, გინდ ტბა—სხვა არაფერი. პოეტი, წარსულის სანახაობით გულ-მოწყლული, აწმყოზედაც გადაიტანს ამ დაღვრემილებას და «აწმყოზე დაბმულობას» სიბრმავეს ეშხის და სიცოცხლის მოსპობას ცხოვრების განქრობის მომავლის ნამდვილ ხატად უწოდებს. ეს სურათი პოეტს ისეთისავე თვისების დარდსა ჭვრის, ისეთის, თუ შეიძლება ვსთქვათ, ობიექტიურის ხასიათისას, როგორისასაც ალტაცებულს გრძნობებს იწვევს მაში მაგალითად, პავლე პირველის პეტერბურღის სასახლე, რომელიც «მონარხმან, დიდებისა მოყვარემან, განსაკვირვებელის საქმის შესრულების მოწადინემ ქვეყნით გამო აღმოზარდა, ველთა მდელო ვითა მზემან, რომელიც იმპერატორმა, «განაბრწყინვა მორთულებით (დიდებით) აღამაღლა ცადმდებარე, განიზრახა ქვეყნის საყდრად და ის მას გლას ესამარა».

ერთი ლექსი აქვს კიდევ საზოგადო ხასიათისა, უკეთ ვსთქვათ, საზოგადო ხასიათის შემთხვევის გამოწვეული. ეს ლექსი შეეხება ჩვენის ახალის ისტორიის ცნობილს ხანას—მეოცდა-ათე წლების შეთქმულობას, რომელშიაც იმ დროის ყველა ჩვენმა საუკეთესო კაცმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო. კარგად ვიცით, რომ თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე სრულიად გულ-გრილად ეკიდებოდა ამ საქმეს და თითქმის არავითარი როლი არ უკისრნია ალ. ჭავჭავაძეს ამ შეთქმულობაში. ვიცით, რომ იგიც დაპატიმრებული იყო, რაიცა, რასაკვირველია, შეცდომით მოხდა. ზოგი ამასაც კი სწამებს, შეთქმულთა დასმენა უნდოდა მთავრობასთან, რომ ცოლი არ ჩარეულიყო საქმეშიო. აქტებიდან ვიცით, რომ ალ. ჭავჭავაძე ურჩევდა ყმაწვილკაცებს, ნუ შვრებით მაგ სისულელესაო. ისიც ვიცით, რომ ამ საქმის გამო ისიც კი გაგზავნეს სამშობლოდან, მაგრამ ეს ხომ იმიტომ, რომ როგორც აქტებშია მოხსენებული, ამ საქმის მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლუთა შეხედულობით, «მისი დაუსჯელად დატოვება ხალხსა აფიქრებინებდა, რომ ტყვილ-უბრალოდ ჰყავდათ დაპატიმრებული». და რათა ამ გვარის სამდურავის საფუძველი არ მიეცათ საზოგადოებისათვის, საჭიროდ სცნეს მისი ასტრახანში გადასახლება. ყოველს შემთხვევაში უეჭველ ფაქტად ის უნდა იქმნეს აღიარებული, რომ ალ. ჭავჭავაძე ისეთის მხურვალებით არ მოეკიდებია ამ საქმეს, როგორც საუკეთესო ნაწილი მაშინდელის ახალ-გაზდობისა: თ. ორბელიანები, ყიფიანი, ერისთავები და სხვ. და ეს სრულიად ადვილი გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რა ოჯახში და რა ზედ-გავლენათა ქვეშე იზრდებოდა ჩვენი პოეტი.

ჭო-და ალ. ჭავჭავაძეც შეპყრობილი იყო და ამ დროს დაწერილი ლექსიც განსხვავდება მისი სხვა ლექსებისაგან. მაგრამ მაცთური მახით დატყვევებულს პოეტს თავის დღეში არ უგრძვნია და, თუ უგრძვნია, არ გამოუხატავს ლექსით ის, რამაც გრ. ორბელიანს ათქმევინა: «გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა, სადა იხილოს ცა მშობლიური, რომლის გული ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა, მაგრამ მოთქმით ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა.» ალ. ჭავჭავაძეს არც კახ. ორბელიანის დარდისა და სევდისებური რამ წამოსცდენია: «თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო, ვინ ჰკითხავს: რისთვის აღარ ხარობ და ხმები, ნერგო? სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს, გულსა დამშვრალსა სწყურხარ, როგორც სწყურს ცის ნათელი, სხივი ბნელს თვალსა», თუ, ვიმეორებ, თ. ორბელიანები ამ კილოზე ლაპარაკობენ ერთისა და იმავე საგნის გამო, ალ. ჭავჭავაძეს აწუხებს მხოლოდ ის, რომ «დრომან დაუდგრომელმან აშორა მოყვასთ, თვარა არც გზობით, არცა პყრობით არც ჰსლბების გული» და ამას ემუდარება მოყვასთ, «გვედრით პყრობილი, გულ-პობილი ჭმუნვის ლახვრით, გახსოვდესთ მწირი მომჩივარი საწუთოს რებით!»

## IV

დანარჩენი ლექსები ალ. ჭავჭავაძისა საამიგო ლექსებია, «ვარდ-ბულბულის» გვლობაა, როგორც უწოდებენ. დიდი უმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა სამიჯნურო ლექსებია, მაგრამ თანაც გასაოცარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისაა, ასე ერთ-შინაარსიანი ლექსები თავს როდი გაბეზრებენ, სიამოვნებით კითხულობთ, ნამდვილს ესტეტიურს კმაყოფილებაში ხართ მისი კითხვით იმიტომ, რომ საოცარის სხვა-და-სხვაობით არის გამოთქმული ერთი საგანი, ათასგვარი სამოსელი შეუკერავს პოეტს ერთისა და იმავე საგნისათვის, ერთი მეორეზე უმჯობესი, ერთი მეორეზე უმშვენიერესი. ასე გეგონებათ, თ. ალ. ჭავჭავაძემ აზრად დაისახა ქართულის ლიტერატურას სამუდამოდ გამოაცალოს ხელიდან ეს საგანი — სიყვარულის მღერისა, — რადგან იშვიათად შეხვდებით პოეტსა, ამაზე მეტი რამე გამოეთქვას სიყვარულის შესახებ.

სიყვარული პოეტისათვის «მღერად ოხვრა, ლხინად გლოვა» შეუქმნია, დანაგულს მგოსანს მკურნალად სიყვარულისათვის მიუმართავს, მას კი წამლის წილ დანა გულს მიუპყრია; პოეტის გული საცეცხლურია, რომლითაც სიყვარულის ალი სურვილს აკმევს და «გლას-პყრობილი ამას ვაებს, ვალალებს, ვერ განერა ქსრედ ვითარ მალე ებას». ახა დაავკვირდით ერთს ადგილს ამ ლექსისას და მიბრძანეთ, თუ შესაძლებელია უფრო მხატვრულად გამოსახვა სიყვარულისაგან დატანჯულის გულისა, რომელსაც პოეტი საცეცხლურს ადარებს, საცეცხლურს, რომლის საკმეველი სიყვარულის სურვილია და მკმეველი კი სიყვარულის ალი.

„გული ჩემი მუჯამარი (საცეცხლური) ახალი
სურვილს აკმევს სიყვარულის, აჰ ალი! (გვ. 1) *)

მისი ბულბული, ვარდის სუნით თრობილი, მოსთქვამს: «ამაყო და ზვაო (გულდიდო), შეუბრალეო გულქვაო, ხელი რად უფრო მახელე, ჭოი, ჭირზედ ჭირის დამრთაო? სისხლითა ჩემით ღებულო, მარქვ ეკლოსანობ ასე რად, თუ არ გულისა სასერად?» მისი ვარდი კი გულგრილი და გულქვა ამაზედ ბულბულს ასეთს ნუგეშს აძლევს: «შეიმცერ ცრემლთა მრავლობა და ვალალებით გლობა! ნიავმან გბეროს, გაგიქროს, თუმც არ სახმილი მთვრალობა!» სიყვარულს თავისი მშვენების «მშვილდნი მისად საწყვლელად», «მისად სიკვდად, განსანსვრელად უხმარია», პოეტი უწყალო სიყვარულით «ძნელად კოდვილი საუკუნოდ მკვნესელად მღერალია» (გვ. 17) და «ცრემლნი მისნი ალს გულისას ვერად აკლებს ძალსა წვისას,

*) ალ. ჭავჭავაძე. ლექსები. ტფილისი 1881 წ.

ქსე ცეცხლი ვერვინ აქროს, თუ არ მანვე აღმგზნებელმა» (გვ. 19). სადაც გინდ იყვეს მგოსანი, სატრფოსთან არს მისი გული, ვისაც უნდ სჭვრეტდეს, იგი უდგას თვალ-წინ. «რაზომ ელტვის, უფრო ეტრფვის სახილველად სასურველ მიჯნურს», «ცნობა მელევის, მნათობო»,—მოსთქვამს პოეტი,—და სად არს პოვნა? «აწ რქვი პურობილს, მნათობო, ვერ ერჩის ხვედრი» (21). ყოველის კეთილისაგან გაწირული პოეტი ზის და სტირს ბედსა «ცრემლით თვალ-ვნილი, სურს მდუმარება, უნდა შესწყვიტოს გულ-ამოსკვნილი ტირილი, მაგრამ გლახ გულმან ველარ დამალა». სატრფოს იგი სანთელს რომ შეადარებს და არც თავს ფარვანას, ფარვანას შეუძლიან სანთელი ვერ ნახოს და თავის დღეში ფრთები არ დაიწვას, აგრეთვე აქ ფარვანას წვა წუთიერია, მიჯნური კი მთელს სიცოცხლეს იტანჯება. არა, მისთვის სატრფო, საყვარული უფრო დიდი რამ არის, უფრო ძლიერი, უფრო მიუცილებელი. «ყოველის სულიერისა და უსულოსათვის შენ არა ხარ სანთელი,—ეუბნება პოეტი სატრფოს,—კრულ ვარ, თუ მას გადარო, არც მე ფარვანა, რომე დამწვა, რა გეკარო, შენ ხარ მზე, მქონე სხივთა ჩემთა მაცხოველეთ მე—ხე, რომელი ვჴსმე, თუ მათით არ მომზარო.» მაგრამ ტყუილად მგოსნის გოდება, კვნესა და მოთქმა და თვითონაც კარგად ჰგრძნობს ამას: «არ გესმის ოხვრა, ოხვრის მიზეზო,—ჩივის პოეტი,—სასმენთა კარნი ჩემთვის გხშომია! თუ აწც ვერ გპოვო შენ ჩემს მკურნალად, ვსცნო, რომ მე ბედი სრულად მწყრომია: რისხვამან შენმან სიცოცხლის ძაფი შემწყვიტოს, რადგან შესაწყუდომია» და ბოლოს დუმილი ურჩევია პოეტს: «ენა მდუმარებს, გული მწყულია, სევდა მხშომია, ტრფობავ, მარქვ, კვალად ჩემად საგნად რადა გრჩომია?» თუმც «დუმილს რაცხს უმჯობესად», «მაგრამ მერწმუნეო,—ეუბნება სატრფოს საგანს,—გეტრფვი საზომის უადრესად».

მთელი სიმწარე და სიმწვავე ამ გრძნობისა სავსებით შეუგნია თ. ალ. ჭავჭავაძეს და იშვიათად თუ ვისმე უგრძვნია ასეთი სიღრმით მთელი მტანჯველობა ამ გრძნობისა. ხოლო ისიც კი არ ავიწყდება პოეტს, რომ ამ გრძნობას სასიამოვნო ძალაცა აქვს, რომელსაც ყველა ჰმონებს, ყველა გულსა ტახტად ოხვრას ხარკად აძლევს ამ გრძნობას, ძალსა მისსა ყოველი ჰგრძნობს არსებს რაცა, სჯულსა მისსა

ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა. «ეს გრძნობა ხელმწიფესა [illegible] მპყრობელი, ტახტი მზა აქვს გიებს საცა, გულები ჰყავს ქვეშევრდომად, ამას ის გრძნობს და თვით სხვაცა.» მაგრამ განუსაზღვრელს ძალს ამ გრძნობისას არავინ არ ეწინააღმდეგება, ყველანი სიამოვნებით ემონებიან და ემორჩილებიან, ან კი «მისის უღლისაგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რაღმე ვის? თუ არს ვნების მიზეზი, ლხენაც მისგან არ გვეძლევის?» კარგად ესმის ეს პოეტს, კარგად ესმის, რა ვაებასაც ჰბადებს ეს გრძნობა და თანაც რა შვებასა და ლხენას აძლევს კაცს. ამგვარი ყოველმხრივი შეგნება სიყვარულის ძალისა პოეტმა შეუდარებელს ლექსში გამოხატა, რომელიც არ შეგვიძლიან მთლად არ მოვიყვანოთ:

უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ ძნელად;
რისთვისა მყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესელად?

რად მაჩვენე შვენება გულის დასატყვევნელად,
სახე სხვათა სახეთა შობილი დამჩაგვრელად?
ვიცი,—მისი იხმარენ მშვილდნი ჩვენად საწყლველად,
და ჰინდელნი ლესულნი საკვდად, განსაისრველად.
უწყალო სიყვარულო და სხვ.

გრძნეულთა მათ მახვილთა ესე რა ჰსჭირებიან,
ყოვლნი მათგან კოდოვილნი მათვე ემსჭვალებიან?
გული მიწყლეს, გრძნობანიც სრულიად მათკენ ჰრბიან,
ესზომად ჰსწყურთ სიახლე, რაზომთაც ივნებიან.
თვით გონებაც მათ მისდევს, ვაი რჩომილსა ხელად!
უწყალო სიყვარულო და სხვ.

მათ მოსისხლეთა ჩემთა ოდეს განვიცდი თვალით,
მიზიდულ ვარ მათდამი უხილავითა ძალით.
ხან ალმიტაცებს თრთოლა, ხან შმაგი ცნობა მყარით,
უძრავად ვმდუმარეობ და ვიწვი წვლილის ალით,
ოხვრალა მაქვს სიცოცხლის ნიშნად, შესამცნეველად.
უწყალო სიყვარულო და სხვ.

ოდეს ვჰშორავ მას მიზეზს ჩემისა ვალალების,
სოფელი მჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკვდრების;
ვჰრბი და მსდევენ დასები სევდის და მწუხარების.
მასვე საგანს ვეძიებ, გარნა ვერსადა მხვდების;
სულთქმა ჰქუხს, ჰსწვიმენ ცრემლნი, დღე შემექნების ბნელად.
უწყალო სიყვარულო და სხვ.

ბედნიერნო ჭაბუკნო, თუ გწადსთ მრთლად დაცვა გულთა,
ეკრძალენით ვარდთ, ზამბახთ, საროზედ აღზარდულთა!
თვარა თვალთავე თქვენთა, მათ მიერ მიზუდულთა,
ძალუძსთ მონად ქმნა თქვენი ვითა ტყვედ მისყიდულთა;
ვერღა გკურნოსთ ჩივილმან, გინა ჰსხდეთ ჩემებრ მთქმელად.
უწყალო სიყვარული და სხვ.

პოეტსა და ფილოსოფოსს, საზოგადოდ, ცხოვრების უმთავრესს საგნებზედ მღერა და მსჯელობა უყვართ. უმთავრესი საგანი ფილოსოფოსისათვის არის ცხოვრების დასასრულისა და დასაბამის საგანი, კაცთა და ქვეყნის შემქმნელის ძალის შორის დამოკიდებულება, დამოკიდებულება კაცთა და ბუნების შორის, მათი ერთიერთმანეთზედ ზედგავლენა და აგრეთვე საგანი ადამიანთა შორის ურთიერთობისა და კავშირისა, მათ შორის განწყობილებისა. პოეზიაც ყოველთვის ამ საგნებს შეჰხებია, ეს საგნები გაუხდია სამღერლად და საკვირველად. პოეზიაშიც გამოთქმულა შეხედულება ქვეყნის დასაბამისა და ცხოვრების შემქმნელის ძალის შესახებ, თუმცა უფრო იშვიათად. მთელი კილო პოეტის ლექსისა წარმოსდგება ცხოვრებისა და ცხოვრების დასასრულის შესახებ ამგვარისა თუ იმგვარის შეხედულებისაგან. ხოლო ეს კი არის, მაშინ როდესაც ფილოსოფოსი უფრო ობიექტიურად ეხება საგნებს, უფრო განყენებულს, განუსაზღვრელსა და ზოგადს პრინციპებს ეხება და ყოველსავე საგანში იძიებს არსებითს, ზოგადს მხარეს, ზღუდე-ფართოსა და აბსტრაქტულს ტეზისებს განასხვავებს, პოეზია საგნის ერთ მხარეს ეხება, საგანს უფრო ვიწრო საზღვარით შემოფარგლავს, უფრო სუბიექტიურად ეხება და ამიტომაცაა, რომ ხშირად პოეტის პირადს განწყობილებაზე არის დამოკიდებული მისი სხვა-და-სხვა შეხედულება ერთისა და იმავე საგნის შესახებ.

თუ პოეზია ცხოვრებას ეხება, საგალობელ საგნად აიღებს ხოლმე ცხოვრებაში უფრო ინტენსიურს ძალას, ცხოვრების განმაცისკროვნებელს, ცხოვრების განმამძლიერებელს, მის შემქმნელსა და განმამშვენიერებელს სიყვარულს და ამ სიყვარულის სხვა-და-სხვა გვარს: სიყვარულს უძლიერესს, სიყვარულს, რომელშიაც მოთავსებულია ფიზიოლოგიური ძალა და იდეალური, რომელსაც ცხოვრებაში აქვს დასაბამი და დასასრულიც, რომელიც ამ ცხოვრების წყაროა და მისივე დამამთავრებელი—სიყვარული ორ სქესთა შორის. უფრო იშვიათად პოეტი დამღერის სიყვარულს მშობლიურს, მეორე გვარს გრძნობას, რომელშიაც ფიზიოლოგიურს მხარესაც აქვს ადგილი, როგორც სისხლის დამოკიდებულებას შობილთა და მშობელთა შორის. პოეზია შეჰხებია აგრეთვე სიყვარულს მეგობრულს სრულიად გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულნებულსა და იდეალურს, რომელშიაც არავითარ ფიზიოლოგიას არა აქვს ადგილი და მხოლოდ გრძნობათა და აზრთა კავშირია, კავშირი სულიერი. სიყვარული სქესთა შორის არის, ვამბობ, დასაბამი ინტენსიური ცხოვრებისა, ორ სქესის წარმომადგენელთა ერთმანეთისადმი ლტოლვა არის მიუცილებელი პირობა წარმოშობისა, გვარის განგრძობისა და როგორც ეგრეთი ცხოვრების მიმდინარეობის განუწყვეტელობისა. ცხოვრებისა და პოეზიის ამ უმთავრეს საგნის შესახები შეხედულება ჰბადებს ამგვარსა თუ იმგვარს აზრს პოეტში სხვა საგნების შესახებ. იმ პოეტს, რომელსაც სიყვარული ჯოჯოხეთად მიუჩნევია, მშობლიური სიყვარული ოცნებად და მეგობრული კავშირი ეგოისტურს ანგარიშებზე აგებულს გრძნობად, თავის მოსტყუებლად და თავის გასართობად გამოგონილად, არ შეუძლიან იქონიოს სამხიარულო და სასოებით აღსავსე აზრი მთელი ცხოვრების შესახებ. მას, ვისაც არა სწამს კეთილი მხარე სიყვარულისა, ვისაც არა სწამს ადამიანთ გრძნობათა სიმტკიცე და სიმშვენიერე, არ ძალ-უძს იქონიოს ბუნებასა და კაცს შორის განწყობილების შესახებ ბრწყინვალე აზრი. სულიერი და გრძნობით აღსავსე არსება, მისი აზრით, უგრძნობელია და უგულო, მით უმეტეს ბუნება უტყვი-უგრძნობელი იქნება, გაქვავებული და გაყინვებული.

თუ ფიზიოლოგიურადა და სულიერად დაკავშირებულ არსებათა კავშირი მტკნარი ოცნების ნაყოფია, სიზმარია და არა ცხადი, მით უმეტეს, რაღა იქნება კავშირი და განწყობილება სხვა ადამიანთა შორის, რომელთა შორის არ არსებობს არავითარი დამოკიდებულება არც სულიერი და არც ხორციელი.

რასაკვირველია, მრავალ-ფეროვანი და მრავალ-აზროვანი ხელოვნება და მისი დარგი პოეზია ვერ მოიმწყვდევა რომელსამე კალაპოტში, მისთვის, როგორც თვით ცხოვრებისათვის, ვიწრო იქნება ყოველივე წინდაწინ შემოფარგლული წრე, და ესევე ითქმის ზემო მოყვანილს აზრზედაც, ხოლო ეს აზრი შეიცავს და განზომავს უმეტეს ნაწილს პოეტურ ნაწარმოებთა და დღევანდელი ჩვენის ბაასის საგნად აღებული პოეტიც ამართლებს ამ ჩვენს შეხედულებას, რასაკვირველია, თუ კი დაუწერია ლექსი ყველა ამ საგნების შესახებ, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სიყვარული ალ. ჭავჭავაძისათვის ისეთი რამ არის, ურომლისოდაც კაცი ემსგავსება გვამს, რომელსაც «სული თვალ-და-თვალ ექცევა», ურომლისოდაც სხვა «ნიჭთა კეთილთა» ქონება არ არის ხელ-საყრელი, რადგან «მგრძნობელობა სჯობს ყოველ თვისებათ, ცით მოვლენილთა, მშვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს!» თანაც «აშიყთ მტანჯთა» «სევდათ გუნდის მომსვლი» და «კისრად მონების ჯაჭვის დამდებია.» ამგვარი საწამლავით შეზავებული შარბათი არის პოეტისათვის სიყვარული და აღარც სხვა რამეა სამხიარულო ცხოვრებაში ადამიანისათვის, რომელიც «ახით ნაშობია და ვაებით კვდება.»

«გლახ ბედისაგან სასტიკად დასჯილის» პოეტისათვის ბუნებას გარეგანი მნიშვნელობა აქვს, როგორც დეკორაციას, როგორც სცენას. ბუნება მაშინ უცინის, თუ სატრფო უცინის, ბუნებაც მოდუშულია, თუ მისი გული სევდით აღვსილია სატრფოს გამო. თუ სიყვარულის მლოდე გზის გუშაგად მდგომარე—«ხან ფოთოლნი შერხეულნი შრიალით სცემენ ზრზენას»; ღამის წყვდიადი გიშრის თმას მოაჩვენებს, ცის გაელვება ბროლის ფიცრით შუქთა ფენას, ნიავთა ნელი ქროლვაც კი სუნთქვას ტკბილსა. როცა სატრფოს უყვარდა «ნიავნიცა დილეულად მქროლველნი, მისით მომართ ჰბერდენ ნეტარებასა, ცისაც მანათობელი სხვა სიამით სცემდა შარავანდედსა, დროდ მაისი ედგა უცვალებელი, მარად ვარდთა და ზამბახთა მენოსველსა».

როს სატრფოს უყვარდა სურვით შეყვარებულსა, მასაც სიცოცხლე უღირდა ძვირად, გაშორდა და ლხინი, შვება, სიამე, ყველა წარხდა, ნანვა-ღა დაშთა. როცა მიზეზს მის კაღაღებისას შობავს, სოფელი უჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკვდრებისა.

ამგვარად იგი ბუნებაში არც სანუგეშოს რასმე ჰხედავს, როგორც ბარათაშვილი, არც მტრობით და შურით აღსავსეობას ამჩნევს, იგი მას გულგრილ და გულცივ უტყვ ქმნილებად მიაჩნია. ბუნება ასეთს თუ ისეთს შთაბეჭდილებას იწვევს პოეტში, იმის მიხედვით, თუ თვით რა განწყობილებაზედ ან რა გუნებაზედ არის; თუ სატრფოსაგან დაჯილდოვებულია, «მაისი უდგას უცვალებელი», თუ არა და სუსხიანი და ქარბუქიანი ზამთრის დღე, ისიც უცვალებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარს სანუგეშოსა და საიმედოს არ წარმოადგენს პოეტისათვის არც დასასრული ჩვენი ცხოვრებისა «სისხლის მწყურვალე შეუბრალი სიკვდილი, რომელსაც «რაგინდ ვინც რავდენ ევედროს, იგი მითც დაუხვალია, ყურ-დახშობილი დაივრინავს, ხელად უძს ბასრი ხმალია, მტირალთა ცრემლმა ვერ აღმოს, მან ჰყოს, რაც მისი ვალია.» ასე ახასიათებს პოეტი სიკვდილს ყმაწვილი ქალის საფლავის ქვაზე წარწერილს ლექსში. და მართლაც, უკეთესი აზრიც რომ ჰქონოდა სიკვდილზედ, თვით ეს ქვა და ამ ქვის ქვეშე მდებარე არ აძლევდა საბუთს უკეთესი რამ წარეწერა. დამარცხებული სიყმაწვილე და სინაზე, სიცოცხლით ავსებული ერთი მხრით და მეორე მხრით კი გამარჯვებული ულმობელობა სიკვდილისა; ერთი მხრით მოსპობილი მშვენიერება და მეორე მხრით მოდღესასწაულე დაღრეჯილობა სხვას რას ათქმევინებს პოეტს, თუ არ იმას, რომ «მშვენიერ იყო, მარა რა? ამა სოფლისა ყოველი გინა ვით იყოს კეთილი, მაშინცა დაუყოვნელი.» პოეტისათვის სიკვდილშიაც კი აღარა არის-რა სანუგეშო, იქაც ვერა ჰპოებს სულის დამამშვიდებელსა და დამაამებელს რასმე, მან იცის მხოლოდ, რომ «ახით ნაშობნი ვკვდებით ვაებით», სიცოცხლეც მოწამლული გვაქვს და სიკვდილიც მოშხამული.

ასე რომ ალ. ჭავჭავაძის პესსიმიზმი რადიკალურია, არსებითი მხარეა მისი პოეზიისა, ეს პოეზია მოწამლული სულის ნაშობია. სიყვარული მომხიბვლელია, მისის აზრით, გრძნეულის მახვილით არის აღჭურვილი, «რომელთაგან კოდვილნი მათვე ემსჭვალებიან.» მაგრამ მისთვის ეს მომხიბვლელობა სიყვარულისა მტანჯვი იყო და სრულით აღმავსებელი, რადგან თავის დღეში ვერ დაკმაყოფილებულა. სიკვდილი გულგრილი და სასტიკი აღმასრულებელია ბუნებისაგან მისდამი მიჩენილი ვალისა და მომსპობელია სიცოცხლისა გინდ სიამოვნებით იყოს ეს სიცოცხლე ავსილი და გინდ სიმწარით, ეს მისთვის სულერთია. ბუნებას არავითარი ნუგეშისა და იმედის მოცემა არ შეუძლიან, რადგან თვით უაზროა, უშინაარსო და უგულო; მაშინ ახარებს ადამიანს, როცა უიმისოდაც მხიარულია და მაშინ ატირებს, როცა უიმისოდაც ცრემლის მღვრქვეველია.

სოფელი და მისი მდგმურნი მისთვის ბოროტებისა და სიცრუის ჭურნი არიან, კეთილ-მოყვარების დათრგუნვის მსურველნი. პოეტის პესსიმიზმი იქამდის მიდის, რომ კაცთ უბედობას, თუმც სატირე, გასაკვირველად არ მიაჩნია, რადგან ამა სოფლისა დიდი და მცირე არს ცვალებისა მზიარე. გლახ ბედისაგან დასჯილი, მოშორებული მოყვასს, რომელსაც უწოდებს ძალს ცხოვრებისას, იმედოვნებას უწოდებს ფარად და ეს ფარად მიჩნეული იმედიც კი ელტვის პოეტს.

ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ ამ უსასოებისა და უიმედობის, ამ სევდით აღსავსეობისა, კაეშნისა და გოდების მიზეზები უფრო ღრმაა, ვიდრე პირადი გრძნობები. ძნელი წარმოსადგენია, რომ თ. ალ. ჭავჭავაძე უხვად დაჯილდოვებული იმ ღირსებებით, რაც საჭიროა «სულოვნებით მაჯნურთათვის» მაინცა-და-მაინც ასე დასჯილი ყოფილიყო ამ საგანში. მხოლოდ თვით ეს გრძნობა მოწამლული იყო მისთვის, და თუ გარკვევით ვერ გამოხატა მიზეზი მისი დაღვრემილებისა, თუ მას სხვა ჩვენ პოეტებსავით არ «დასწვია გული», როგორც აკაკი ამბობს, ამაში დანაშაულია ის წრე, რომელშიაც აღიზარდა და ის აზრები, რომელთა გავლენის ქვეშ იფურჩქნებოდა ახალგაზდა პოეტის ნიჭი.

ჩვენს ლიტერატურაში ეპიკურიელის სახელი უწოდეს ამ პოეტს და, შეიძლება, ამის საბუთად ერთად-ერთი და საუკეთესო მის ლექსთაგანი მიიჩნიეს—«ლოთებო, ნეტავი ჩვენა». მაგრამ მეტად ბრმა უნდა იყოს კაცი და ცალმხრივი, რომ ამ ლექსში «იარალის» მხილის მეტი არა დაინახოს-რა. უიმედობითა და უსასოებით მოცულს პოეტს ერთ დროს უნდოდა თავისდამვიწყებელს ქეიფს გაჰყოლოდა, რადგან ყოვლის მკურნალ წამლად მიიჩნია, ომში გამამხნევებლად, ღვინითა და ლხინით დროს გატარებით მაინც ფიქრობდა ქეიფზედ მოსულიყო. კარგად ხედავდა პოეტი, რომ ბრძნულად ცხოვრების განმსჯელი სულ სიკვდილზე უნდა ჰფიქრობდეს, და ამისათვის ლოთობას მიჰმართა, ლოთი ხომ სულ გამარჯვებასა ჰფიქრობს. პოეტი-ბულბული, რომელიც ნიადაგ ვარდის მომთქმელი იყო, რომელსაც ვარდი თავის სისხლით უღებია, რომელიც ნიადაგ უიმედო სიყვარულით არის სიცოცხლე-გამწარებული, თითქო თავის თავს აძლევს რჩევას ამ ლექსში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ჭოი, საყვარლისა ვერ მნახო, როდემდის იგლოვო ახო, აბა შენც ჩვენთან ჩადლივე, თუ რომ შენც არ შემოსძახო.» კარგად ვინც ჩასჭვრეტავს ამ ლექსს, შეამჩნევდა, რა მოწამლულის გულის ოხვრა ისმის შიგა, გულის, რომელიც ცდილობს ეს თავის დატანჯულება სხვას არავის დაანახოს, მერე ჩვენი პოეტისა არ იყოს, რომელიც ამბობს, «თუ ხალხში ვარ, ძალათ ღრუბელს ვადარებ, რომ არა სთქვან ჩემზედ, «რა ოხერია!», მაგრამ ამ თავის შეკავებაშიაც, ამ სტოიკურს მოთმინებაშიაც გამოსჭვრივს მისი სულის განწყობილება.

ამგვარად, ბატონებო, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე ძლიერის ნიჭის პოეტია. ეს არის უკანასკნელი პოეტი, ქართველი პოეტი, რომელიც სპარსეთის ლიტერატურის ზედგავლენის ქვეშე იყო, ეს ემჩნევა მის ლექსთა თხზვას, ლექსის სახელებს, სიტყვებს, თვით აზრს და სხვა-და-სხვა პოეტურს ხერხს ლექსებში. სპარსული და აზიური გავლენის ბრალია, რომ მისი შეხედულება სიყვარულზე მეტად ხორციელია, «მგრძნობელობის ყოველ ნიჭზედ უფრო მაღლა აყენებს», ამ გავლენის ბრალია ის სინამდვილითი გამოხატვა გრძნობათა, რომელიც ამას სჩვევია. იგი რომანტიკია და ლირიკოსი, როგორც პირადი გრძნობების გამომხატველი. საზოგადო კვნესა-ვაების გარდმოცემა კი ვერ შესძლო, თუმცა საზოგადო, საერო გოდების ბრალია, რომ მთელს მის ლექსებს, პირად გრძნობათა გამომსახველს, სამგლოვიარო კილო აქვს.

პირადი გრძნობის—სიყვარულის და მის ხორციელის მხარის გამოხატვა დიდი ნიჭით და ხელოვნებით აღასრულა თ. ალ. ჭავჭავაძემ. ამ გრძნობის, ამ მხარის გამოხატვაში სხვა ჩვენს ლიტერატორთ ახალი სათქმელი ბევრი აღარა დარჩათ-რა.

საზოგადო გრძნობათა, ვაებათა და კვნესათა გამოსახვა კი თ. ალ. ჭავჭავაძემ სხვა ჩვენს პოეტების (თ. ორბელიანს, ბარათაშვილს) დაულოცა და მათ შემდეგ ჩვენი პოეზია მტკიცედ და შეურყევლად ადგია ამ გზას.

კიტა აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ორმოცდა ათი წელიწადი ბესარიონ გრიგოლისძე ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ

„Ты насъ гуманно мыслить научилъ,
Едваль не первый вспомнилъ о народѣ,
Едваль не первый ты заговорилъ
О равенствѣ, о братствѣ, о свободѣ...“

ნ. ნეკრასოვი

მდგომარე წლის მაისის მიწურულებში შესრულდება ორმოცდა-ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელოვანი კრიტიკოსი ბ. გ. ბელინსკი გარდაიცვალა (26 მაისს 1848 წ.). რუსეთის სატახტო-ჟურნალ-გაზეთებში უკვე აღძრეს ბაასი და იბეჭდება მრავალი სტატიები, რომლებშიაც ავტორნი ახასიათებენ და არკვევენ იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ბეს. ბელინსკიმ მშობლიურ ლიტერატურას დასდო.

მე მსურს ამ წერილში შევეხო რუსეთის უნიჭიერესს კრიტი-კოსის სახელს, რომელმაც დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება იქონია არა მარტო რუსულს, არამედ, მგონია, ქართულს ლიტერატურაზედაც და, თუ მაისის გასულს პეტერბურგში იმის გარდაცვალების დღეს რამენაირად იდღესასწაულებენ, საჭიროა, ამ დღესასწაულში მიიღოს მონაწილეობა ჩვენი ლიტერატურის და ინტელიგენციის წარმომა-დგენლებმა და ახლანდელმა სტუდენტობამაც, რომელიც, დარწმუნე-ბული ვარ, უყურადღებოდ არა სტოვებს ბელინსკის ნაწერებს.

ვინ იყო ბეს. გ. ბელინსკი? ჩვენ თუ ამ საკითხს შესაფერი პასუხი მივეცით, ბელინსკის საზოგადოებრივი და მორალური მნი-შვნელობაც გარკვეული გვექნება.

ბეს. ბელინსკიმ ისეთივე სახელი დაიმსახურა და ისეთივე ზედ-მოქმედება იქონია რუსეთის ლიტერატურასა და საზოგადოებაზე, როგორც შესანიშნავმა პოეტმა პუშკინმა და უწარჩინებულესმა მწერალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოლმა. ბელინსკიმ ისეთი ვრცელი და ღრმა კვალი გაავლო მთელ რუსეთის ლიტერატურას, რომლის მსგავსი შემდეგ არ შეხვედრია წილად არც ერთს რუსის კრიტიკოსს. ნიკოლოზ დობროლიუბოვის გავლენა და ზედ-მოქმედება, მაგალითად, ძალიან დიდი იყო, მაგრამ იგი ისეთს დროს შეესწრო, რომ მის შესანიშნავს კრიტიკულს წერილებს უფრო მომეტებულად პუბლიცისტური ხასიათი დაეტყო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რასაკვირველია. ამასთანავე იგი გარდაიცვალა თითქმის სიყმაწვილეშივე, სულ რაღაც ოც და ოთხი წლისაც არ იყო, და ის დიდი, თითქმის გენიოსური ტალანტი, რომელიც, რა თქმა უნდა, დროთა ვითარების გამო, უნდა გაშლილიყო მთელის თვისი სიღრმე-სიგანით, უდროოდ თან ჩაიტანა შავს და ტიალს სამარეში. დიდი გავლენა ჰქონდა ერთს დროს დიმიტრი პისარევსაც, მაგრამ სიცოცხლე არც იმას დასცალდა. გარდა ამისა, იგი იყო ფრიად გატაცებული ნიჭის კაცი, მის გატაცებას არა ჰქონდა საზღვარი, სულდათქმულობა, დიდი სიფრთხილე არაფერში არ ეტყობოდა და, ბოლოდროს ძლიერ ცალ-მხრივს მიმართულებასაც დაადგა. იგი ხან პირველ კაცად, პირველ ლიტერატორად სთვლიდა თავას თავს, პუშკინს, ბელინსკის და, ასე გასინჯეთ, დობროლიუბოვსა და ნ. ჩერნიშევსკისაც კი უბღვერდა; ხან კი უვიცად სთვლიდა თავის თავს, რადგან ბუნების მეცნიერებისა (თვითონ ფილოლოგი იყო) არა გაეგება-რა და ეს მეცნიერება უნდა შევისწავლოო. უკანასკნელ შემთხვევაში, ჩემის აზრით, იგი მართალიც იყო, მაგრამ ამ დიდ-დიდი სურვილების ზღვაში ბრძოლამ მოღალა ეს შესანიშნავი «შენანებული აზნაური», ტვინით დაქანცა და, ბოლოს, საცოდავათ დაიღუპა უბედური ერთს პატარა ტბაში... აპოლონ გრიგორიევიც ძალიან საფუძვლიანი და გამჭრიახი კრიტიკოსი იყო, მაგრამ იმას არა ჰქონია თითქმის არავითარი გავლენა რუსეთის ლიტერატურის და ინტელიგენციის წარმომადგენლებზე, უფრო იმიტომ, მგონია, რომ მას მხარს უჭერდნენ და ექომაგებოდენ ლიტერატურაში კონსერვატორები და სლავიანოფილები...

თვით ეს ამ წამსვე ჩამოთვლილი კრიტიკოსებიც, რომელთაც შეამუშავეს სხვა-და-სხვა მრავალგვარი მხარეები რუსეთის ლიტერატურისა და ცხოვრებისა, ბევრში, ძლიერ ბევრში, მადლობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყვნენ ბესარიონ ბელინსკისა. ბელინსკი რომ არ მოვლენოდა და არ დაბადებოდა მაშინდელ რუსეთის ღარიბს ლიტარატურას, არც ერთი შემდეგი კრიტიკოსის მოღვაწეობა თვალ-საჩინო და ნაყოფიერი არ იქნებოდა. როგორც პუშკინმა დაასვა ბეჭედი რუსეთის მთელს სამხატვრო, ხელოვნურს ლიტერატურას, ისე ბელინსკიმ გაავლო ღრმა და წაუშლელი კვალი რუსეთის კრიტიკას. ბელინსკი რუსეთისათვის სწორედ იგივეა, რაც ლესსინგი გერმანიისათვის. თუმცა ბელინსკიც საშინელი გრძნობიერი და გატაცებული კაცი იყო, მაგრამ იგი არას დროს გადაჭარბებულ უკიდურესობამდე და აბსურდამდე არ მისულა, შემდეგი კრიტიკოსები კი ვერ ასცდნენ გადაჭარბებულ უკიდურესობას... ახლანდელი რუსეთის კრიტიკოსებიც, როგორც მაგალითად, ნ. მიხაილოვსკი, სკაბიჩევსკი, მ. პროტოპოპოვი მარტო და მხოლოდ რუსეთის ძველი, განსაკუთრებით ნ. დობროლიუბოვის კრიტიკის ტრადიციებით სულდგმულობენ. მართალია, ვოლინსკიმ სკეპტიკურად შეხედა რუსეთის კრიტიკას, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი დაინთქა ჰეგელის, უფრო ნოვოკანტიანელების უნიადაგო იდეალიზმის ზღვაში, რომლიდან გამოსვლა მას ამიერიდან აღარ ეხერხება. როგორც ვხედავთ, რუსეთის კრიტიკა დღევანდლამდე ხელმძღვანელობს მხოლოდ ბელინსკისა და დობროლიუბოვის კრიტიკით და ყურადღებას არ აქცევს მთელს ევოლიუციას, რომელიც მოხდა კრიტიკის და ფსიხოლოგიის სამფლობელოში სპენსერის, ვუნდტის, ლეტურნოს, იპოლიტ ტენის, ემილ ჰენეკენის, ბრანდესის, ბრუნეტერის, ლემეტრისა და სხვების წყალობით...

მართალია, ბელინსკისაც ხშირად გაიტაცებდა სხვა-და-სხვა, ახალი აზრები და საგნები, მაგრამ იგი არას დროს დაღვრემილ დოქტრინერად არ გახდებოდა ხოლმე. იმის გატაცების საგანი იყო ყოველთვის ჭეშმარიტება, სიმართლე, რომლის შეგნება-შეთვისებას დააწუდებოდა ხოლმე მთელის თვისი ძალ-ღონით, სულით და გულით, „волнуясь и спѣша“.—პირველად ბელინსკი საშინლად გაიტაცა ჰეგელის ფილოსოფიამ, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მეტაფიზიკამ, რომლის წარმომადგენელი იმ დროს რუსეთში იყო სტანკევიჩის წრე. ბელინსკიმ ამ დროს გაიცნო რუსეთის ცნობილი ავანტიურისტი რევოლიუციონერი ბაკუნინი და ბოტკინი, რომელთა გავლენის ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელინსკიმ უარ ჰყო საფრანგეთის ენციკლოპედისტების მოძღვრება, უარ ჰყო ის კრიტიკოსები, რომელთაც არა სწამდათ თეორია «ხელოვნება ხელოვნებისათვის» და დაჰგმო ახალი ცხოვრება, უკეთესი საზოგადოებრივი ფორმები და მომავალი. ხელოვნებას შეიქმნა ბელინსკისათვის რაღაც უადრესი, ცხოვრებაზე გაცილებით უდიდესი, უწმინდესი და განსაკუთრებული სფერა, რომელიც ეწაფება საუკუნო, გარდუვალს ჭეშმარიტებათა. «ასეთი მდგომარეობიდან ბელინსკი გამოიყვანა პეტერბურგმაო», ამბობს მეტად პატივცემული ლიტერატორი პიპინი. მაგრამ ესეთი აზრი, რომელიც გავრცელებულია ლიტერატურაში დღეს, არ არის მართალიო, ამბობს ბ. ნ. კამენსკი „Новое слово“-ში (იხ. სტ. „Судьбы русской критики“). ბელინსკის ლოღიკამ და გამჭრიახობამ თავისთავად შეიგნო შემდეგ იდეალისტური მხარე ჰეგელის ფილოსოფიისა და იმავე გატაცებით და ჭეშმარიტების, სიმართლის მხურვალე სიყვარულით, როგორც წინად, შეებრძოლა ცხოვრების ბოროტებას და სისაძაგლეს, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და უფლების დაცვას.

ისე გარეგნულად რომ შევხედოთ, მართლაც, გეგონებათ, რომ ბელინსკის აზრები, შეხედულებანი და მისწრაფებანი სულერთიანად გამოცვლილან, გადასხვაფერებულანო. მაგრამ ნამდვილად კი, მისი, როგორც პირველი პერიოდის, ისე მეორე პერიოდის სტატიებში, არის ერთი საერთო სული—ეს არის ცხოველი მისი მღელვარე გული, აღტაცებული სიყვარული ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, რომელიც წინად მოსკოვში ემსახურებოდა პირადი ცხოვრების და წმინდა ხელოვნების იდეალიზმს, შემდეგ კი საზოგადო ბოროტებას და კაცის უფლებათა ცხოველს ბრძოლას. «კრიტიკა ბელინსკისა ვითარდებოდა თან-და-თან და ნელ-ნელა»—ამბობს ავტორი „Очерковъ Гоголевскаго періода русской литературы“. ამგვარად ბელინსკის ჰეგელისათვის არც შემდეგ უთქვამს უარი. მხოლოდ იმის სალიტერატურო მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი გვეუბნება იმას, რომ მისს ნაწერებში გამეფდა ისტორიული და საზოგადოებრივი ელემენტი, ესე იგი, უარჰყო «აბსოლიუტური» შეხედულობა და დადგა დიალექტური შეხედულობის ნიადაგზე. ფრიად საინტერესოა ბელინსკის მოღვაწეობის ეს უკანასკნელი პერიოდი, პეტერბურღში მისი მოღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეობა. მაგრამ ჩვენ ვერ გავყვებით აქ სავსებით ამ ვრცელს და საქებურს მოღვაწეობას... მხოლოდ ზოგიერთს საყურადღებო ადგილებს კი შევეხებით, რომელნიც მკაფიოდ აღნიშვნენ მის კრიტიკაში საისტორიო და საზოგადოებრივს ელემენტს.

ბელინსკი ერთს ადგილს შეჩერდება დიდი ბრიტანიის მგოსან ბაირონის პოეზიაზე და სამართლიანად გამოსთქვამს, რომ უდიდესი პოეტი იმიტომ არის უდიდესი, რომ იგი ორგანოა და გამომხატველი თვისი დროის, თვისი საზოგადოების სურვილების და, მაშასადამე, მთელი კაცობრიობისა... «რომ გამოვიცნოთ ღრმა გამოცანა ისეთი უდიდესი—კოლოსალური მგოსნის ჩაწყვდიადებული პოეზიისა, როგორიც ბაირონისაა, საჭიროა პირველად გამოვარკვიოთ საიდუმლოება ეპოქისა, რომელიც მან გამოხატა, და ამისთვის კი საჭიროა ფილოსოფიის ფარანით გავანათოთ ისტორიული ლაბირინტი მოვლინებათა, რომელთა შემწეობით კაცობრიობა მიდიოდა თავის დიდ დანიშნულებისაკენ—გახდეს განმახორციელებელი საუკუნო გონებისა და აგრეთვე უნდა გამოვარკვიოთ ფილოსოფიურად სიგრძე-სიგანის გრადუსი იმ მანძილის ადგილისა, რომელზედაც პოეტი შეხვდა კაცობრიობას თავის ისტორიულს მსვლელობაში. უამისოდ კი ყველა ამბავთა და მოვლინებათა დასახელება, მთელი ანალიზი ზნეობისა და დამოკიდებულებისა საზოგადოებისა პოეტთან და თავის საკუთარ თავთანაც სრულიად ვერაფერს ვერა ხსნიან.» ამიერიდან ბელინსკი საფრანგეთის ლიტერატურასაც უცქერის უფრო კარგის თვალით და, საზოგადოდ, იგი იმ რწმენაზე დგება, რომ ტალანტის განვითარება სრულიად დამოკიდებულია გარე-შემორტყმულ საზოგადო მდგომარეობაზედ. ამიტომაც იმისი საკუთარი კრიტიკა თან-და-თან, მართლაც, ისტორიულ ნიადაგზე დგება.

შეურყეველი ესტეტიური კოდექსი ბეს. ბელინსკისა არის მხოლოდ ხუთი მუხლი. პირველი მუხლი თითქმის კანონად არის აღიარებული, რომელიც გვეუბნება, რომ პოეტი უნდა გვიჩვენებდეს და არა გვიმტკიცებდეს; მხატვრობა — სურათებით უნდა აზროვნობდეს და არა სილლოგიზმებითა და დილემმებით ბჭობდეს. «ფილოსოფოსი საუბრობს სილოგიზმებით, პოეტი — მხატვრობა — სურათებითო.» უდიდესი სიმშვენიერე ჭეშმარიტებასა და მარტივობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შია, სიმართლე და ბუნებრივი, არსებითი მხარე არის აუცილებელი პირობა ჭეშმარიტი შემოქმედობისა. პოეტმა უნდა დახატოს ცხოვრება ისე, როგორც არის უჭრელა-ჭრულოდ და უფერ-უმარილოდ. ეს მეორე კანონია ბელინსკის ესტეტიური კოდექსისა. მესამე კანონი ამბობს, რომ იდეა, რომელიც საფუძვლად დაედვა ხელოვნურს ნაწარმოებს, უნდა იყვეს კონკრეტული იდეა, რომელიც უნდა გვიხატავდეს საგანს სრულად, უმეტნაკლებოდ, მთლად და არა ერთს რომელსამე მხარეს ამ საგნისას. აქ არის საჭირო დიდი ერთობა მხატვრული ნაწარმოებისათვის. მეოთხე კანონის ძალით, ხელოვნური ნაწარმოების ფორმა უნდა უდრიდეს, უნდა პირწმინდად შეეფერებოდეს მასში დახატულ იდეას და იდეა—ფორმას. მეხუთე და უკანასკნელი კანონით, ყოველი ნაწილი ხელოვნური ნაწარმოებისა უნდა წარმოადგენდეს ერთს ჰარმონიულად ასხმულს მთელს, სრულს საგანს, მთელს ნაწარმოებს. აი, ეს ხუთი მუხლია სულ ის საფუძველი, რომელზედაც იშლება და ვითარდება ბეს. ბელინსკის მთელი კრიტიკა.

სულ უწინ, როგორც ვიცით, ბელინსკი პოეზიას სთვლიდა ცხოვრებაზე ერთს უაღრეს რამეთ. შემდეგ კი იგი ებრძვის წმინდა ხელოვნების თეორიას. სახელოვანი კრიტიკოსი ახლა ამტკიცებს, რომ აზრი ხელოვნებაზე, რომელიც დაშორებია ცხოვრების სინამდვილეს, «არის განყენებული აზრი,» ჰაერში მოყიალე, უსისხლ-ხორცო, რომელიც უნდა დაბადებულიყო გერმანიაში, ესე იგი, ისეთს სახლში, რომელიც განყენებული აზროვნების და უნიადაგო ფანტაზიის საფერაში დაწრწის და მოკლებულია ვრცელს და ცხოველს საზოგადოებრივს მოქალაქეობას. წმინდა ხელოვნება, მხატვრობა არსად და აროდეს არ ყოფილა. პოეტი მოქალაქეა თვისი ქვეყნისა, შვილია თავის დროისა. ამ დროის სული პოეტზედაც ისე მოქმედობს, როგორც დანარჩენ მის თანამემამულეებზედაც. აი, ამიტომაც, მხოლოდ და მარტო ერთად ერთი ესტეტიურმა კრიტიკამ, რომელიც არჩევს და განიხილავს პოეტურ ნაწარმოებს, და არ აქცევს კი ყურადღებას პოეტის ეპოქის ისტორიულ ხასიათს და იმ გარემოებას, რომელთაც უმოქმედიათ პოეტის შემოქმედობაზე, დაჰკარგა ყოველი ფასი და მოკვდა იგი საუკუნოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ყოველთვის უთითებენ ხოლმე შექსპირსა და, განსაკუთრებით, გეტეზე, ვითომც იგინი ყოფილიყვნენ წარმომადგენელნი წმინდა, თავისუფალი ხელოვნებისა, მაგრამ ეს ერთი უმსგავსი მითითებათაგანია — ამბობს ბელინსკი. შექსპირი ყოველისფერს ხატავს პოეზიით, მაგრამ ის, რასაც გვიამბობს და გვიხატავს პოეტი, მხოლოდ და მარტო ერთს პოეზიას როდი ეკუთვნის». გეტეს დასახელებაც მოკლებულია სიმართლესა. ხშირად «ფაუსტზე» უთითებენ, როგორც ნამდვილ წმინდა მხატვრულ ნაწარმოებზე და ავიწყდებათ კი, რომ «ფაუსტი» სრული სარკეა მთელი მაშინდელი ნემეცების საზოგადო ცხოვრებისა. «ფაუსტში» დაიხატა მთელი ფილოსოფიური მოძრაობა, რომელიც ატეხილიყო იმ დროს გერმანიაში. «სად არის აქ წმინდა ხელოვნება?» გვეკითხება ბელინსკი. ბელინსკის აზრით ძველი საბერძნეთის ხელოვნება – მხატვრობა უახლოვდებოდა უფრო, შედარებით რასაკვირველია, წმინდა ხელოვნების სახეს; მაგრამ იქაც ეს ხელოვნება თავის შინაარსს იღებდა სარწმუნოებისა და მოქალაქეთა ცხოვრებიდანა. თანამედროვე, აწინდელი ხელოვნება ხომ პირდაპირ ემსახურება ჩვენს დღევანდელს საკაცობრიოთ, ხალხთა ინტერესებს, დარდს, სურვილებს და ვარამსა. აი, აქ და ამდროს ბეს. ბელინსკი უძღვნის ერთს ძლიერს სტატიას შესანიშნავს რუსეთის მგოსანს პუშკინს და იმის ნაწარმოების «პოეტის» შესახებ გამოსთქვამს მეტის-მეტად მკაცრს მსჯელობას. ეს მსჯელობა უფრო უარესი სიმკაცრით გაიმეორეს რუსეთის, ეგრედ წოდებულმა, მთელმა «განმანათლებლებმა». თავი რომ დავანებოთ ნ. ჩერნიშევსკის, შეგვიძლიან დავასახელოთ ნ. დობროლიუბოვი და ნამეტურ დ. პისარევი. პისარევმა ამ მხრივ ჩვეულებრივად გადააჭარბა რუსეთის ყველა კრიტიკოსებს და პუშკინს მოეპყრო მეტის-მეტად უსამართლოდ და რაღაც დაუზოგველის სიმკაცრით. შესანიშნავი ამბები ხდებოდა მაშინ ლიტერატურაში. პისარევს 1865—1866 წლებში, თუ მახსოვრობა არა მღალატობს, მგონია ბ. Incognito-მ გასცა სამართლიანი პასუხი „Отечественныя записки“-ში, მაგრამ პუშკინის გამოსარჩლებას მაშინ დარჩა სრულიად უყურადღებოდ, რადგან მთელი ინტელიგენცია და ახალგაზდობა შესანიშნავს ფალავანს პისარევს უჭერდა მხარს და დასახელებული ჟურნალი კი ვერ იწვევდა თანაგრძნობას იმ ხანებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა შარშან „Ново слово“-ში ბ. ნ. კამენსკიმ, რომელიც სდგას ისტორიულ მატერიალიზმის ნიადაგზე, თავის სტატიაში „Судьбы русской критики“ განიმეორა ეგევე აზრი „Отечественныя записки“-სა, და ბელინსკისა და ნამეტურ პისარევს სრულს უვიცობას უკიჟინებს. დასახელებულ სტატიაში ბ. კამენსკი არკვევს რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსის ბელინსკის ლიტერატურულ შეხედულებას და ვრცლად განიხილავს უკვდავი კრიტიკოსის აზრებს და დამოკიდებულებას იმ დიდ საგანთან, რომელსაც ლიტერატურის ისტორიაში უწოდებენ «ხელოვნება ხელოვნებისათვის». ბ. კამენსკი ბევრს საგულისხმო შენიშვნებს გამოსთქვამს და განსაკუთრებით ჩვენთვის საყურადღებოა ის ადგილი, სადაც იგი გარდაწყვეტით ამბობს, რომ ბელინსკის არ ესმოდა სავსებით რუსეთის ლირიკოსი პუშკინიო და სულ უსამართლოდ და გაუგებრობისა გამო, უსაყვედურებდა პუშკინს ბელინსკიცა და პისარევიცო. საქმე ის არის, რომ ბელინსკიცა და პისარევიც იმიტომ იქცეოდნენ ასე, რომ თვითონ იგინი იდგნენ შემცდარ ნიადაგზე, საზოგადო განყენებულ მოსაზრებათა სფეროდან იცქირებოდნენ და, ამიტომაც, მათი დახასიათება პუშკინისა იყო სიცოცხლეს და სიმართლეს მოკლებულიო. შემდეგ ბატონი კამენსკი აღნიშნავს შესანიშნავს კრიტიკულს შორს მხედველობას ბელინსკისას, რომელმაც დაახასიათა პუშკინი, ვითარცა აზნაურთა წოდების პოეტი და «ონეგინის» იდეები დაუკავშირა რუსეთის საზოგადოებრივს პირობათა განვითარებას. ბოლოს, კამენსკი გამოსთქვამს თავის საკუთარ აზრს, რომ ის დიდი საკითხი, არსებობს თუ არა კანონი შვენიერებისა (изящнаго), უნდა გარდასწყვიტოს ხელოვნებათა ისტორიის გულდასმულმა შესწავლამ, გამოკვლევამ და არა საზოგადო განყენებულ მოსაზრებათა გამოთქმამ და წარამარა უმნიშვნელო ფრაზების სროლამო...

ბელინსკი არა თუ შესანიშნავი ნიჭის, გონების და გამჭრიახობის პატრონი იყო. ბელინსკის მთელი არსება, სულიც შესანიშნავი ჰქონდა. ეგ სული, ის დიდი და ენტუზიაზმით აღსავსე გრძნობა-გონება, რომლითაც გამსჭვალულია ბელინსკის სტატიები, მუდამ ძვირფასი, მუდამ უკვდავია და, ამიტომაც, ძლიერაც მოქმედობენ მკითხველზე. კრიტიკოსის პირველი პერიოდის სტატიებიც რომ ავიღოთ, ისინიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე არიან ღრმა და სასარგებლო აზრებით, რომელნიც მკითხველს აღუძრავენ დიდ სიყვარულს ჭეშმარიტებისა და სიმართლისას. რუსეთის ლიტერატურაში ბევრს ვერ მოსძებნით ისეთს წიგნს, რომელიც ისეთი სასარგებლო და სასიამო საკითხავი იყოს, როგორც ბელინსკის ნაწერი წიგნების. რასაკვირველია, ბევრი ტემები იმისი სტატიებისა დღეს დაძველებულია, ბევრი საბაასო საკითხი, რომლის პასუხის მიცემაზე სიცოცხლით სავსე კრიტიკოსი თავს იხეთქდა და ასკდებოდა მთელი თვისი ნიჭითა და ენერგიით, ამ ჟამად არავისთვის საინტერესო აღარ არის. მაგრამ ის აღტაცებული, მღელვარე სული, ვრცელი და გაბედული შეხედულებანი, რომლებითაც გამჭვალულია იმისი ნაწერები, ყოველთვის ცოცხალია და სიჭაბუკის ცეცხლით აღსავსე. ლიტერატურის მხრით ხომ ბელინსკიმ დასტოვა ისეთი დიდი რამ, რომ თუ იმისი ნაწერები კარგად არ იცით, თქვენ არ შეგიძლიანთ ნამდვილი და უტყუარი ცოდნა იქონიოთ, საზოგადოდ, რუსული ლიტერატურისა...

რუსეთის ყველა საუკეთესო მწერლების სახელი, რომელნიც ამ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამშვენებენ რუსეთის ლიტერატურას, მჭიდროთ შეკავშირებულია ბელინსკის სახელთან. პირველად მან მიუთითა და გაარკვია დიდი მნიშვნელობა პუშკინისა, ლერმონტოვისა, კოლცოვისა, გოგოლისა, მან აღნიშნა და ხელი დაადო მაშინდელ ლიტერატურის ასპარეზზე ახლად გამოსულ ნიჭიერს მწერლებს—გონჩაროვს, გერცენს, დოსტოევსკის, ტურგენევს, აპოლონ მაიკოვს, ნეკრასოვს, პოლონსკის, ფეტს, გრიგოროვიჩს და სხვებს. ბელინსკის ჰქონდა საოცარი კრიტიკული ნიჭის ალღო, ძლიერი სიყვარული ლიტერატურისა და იგი ყოველთვის მაშინვე შეატყობდა და აღნიშნავდა ყოველს საიმედო და ნათელს მოვლენას ლიტერატურაში.

იმის უდიდეს საზოგადობრივ მოსიყვარულე გულს ჰარმონიულად შეერთებული ჰქონდა უმაღლესი სიყვარული მხატვრობა-ხელოვნებისა. პირველი მხარე იმისი მოღვაწეობისა შემდეგ ვრცლად გაარკვია და შესანიშნავის ნიჭიერებით განავითარა დობროლიუბოვმა, მეორე მხარეს ემსახურებოდა აპ. გრიგორიევი, მაგრამ არც ერთს ამათგანს მაინც ისეთის ჰარმონიით არ შეუერთებია გულის უდიდესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი აღტაცება მხატვრობა-ხელოვნების უმაღლეს, უძლიერეს სიყვარულთან, როგორც ბელინსკის. და ამიტომაც, საკვირველიც არ არის, რომ მას დიდი გავლენა და ზედმოქმედება ჰქონდა რუსეთის ლიტერატურასა და საზოგადოებაზე. ბელინსკი აღვიძებდა ძილში ღრმად ჩაფლულს ძალებს, შესანიშნავის გულწრფელობით და მხურვალე, ძლიერი ენერგიით იწვევდა ყველას სამოქმედოდ და, საერთოდ, ლიტერატურასა და ცხოვრებაში შეჰქონდა მოძრაობა და ნაყოფიერი შრომის დიდი სიყვარული. ბელინსკი რუსეთის ლიტერატურაში განხორციელებული სულის სიწმინდეა და გულწრფელი მოსამსახურე იდეალების.

ამ წლის მარტის „Русское Богатство"-ში დასტამბულია სტატია ბ. ვენგეროვის „Великое сердце", სადაც ავტორი ახასიათებს მთელი 40-იან წლების მოძრაობას რუსეთში. ბ. ვენგეროვიც აღნიშნავს არა ჩვეულებრივს, საოცარს ენტუზიაზმს ბელინსკის ყველა სტატიებისას და ამბობს: «და ვით მორწმუნე სულის ნუგეშის ცემის ძიების წუთებში დავითნში ჩაიხედავს და ჰპოებს ხოლმე სულის დამამშვიდებელს სიტყვებს, თუმცა ეს სიტყვები გამოწვეულია სულ სხვა მიზეზების გამო, ისე ბელინსკის ნაწერებიც, სადაც კი უნდა გადაშალოთ, წარმოადგენენ დიდად დამატკბობელ წყაროს იმისათვის, ვისაც აღელვებს მორალის უდიდესი საკითხნი, ლიტერატურის დანიშნულებანი და ადამიანის არსებობისათვის ჭეშმარიტ სარჭვევთა ახსნანი. უსაზღვრო სულის აღტაცება ბელინსკისა მიაქანებს მის მკითხველსაც სულის უმაღლეს მთის მწვერვალისაკენ. არიან მცირედი რჩეულნი, რომლებთან შეხვედრა ყოველ კაცს ზნეობრივად გარდაქმნის ხოლმე და სადაც შორს-შორს მიმალავს ყველა თავის წვრილმან ანგარიშებს... ბელინსკიც ერთი ამ რჩეულთაგანია»...

ზოგიერთი დოქტრინერი ბელინსკის უსაყვედურებს, რომ მან უღალატა მხატვრობა-ხელოვნებას და ტენტენციების ზღვაში ჩაიფლა. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ იყო არავითარი ღალატი მხატვრობა-ხელოვნებისა, არც ტენდენციების ზღვაში ჩაფლულა იგი. ზოგიერთს ვაჟბატონს ყოველი კეთილი გრძნობა, განზრახულება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი საქმის სამსახური დაწყევლილი ტენდენცია ჰგონია და ჩინებულ მწერალს პირს უგმაყოფილოდ მოარიდებს ხოლმე. მაგრამ ასეთს უაზრო და უმნიშვნელო საყვედურებზე, აი, როგორი პასუხი გასცა კრიტიკოსმა: «შემოქმედობის თავისუფლება ადვილად ეთანხმება თანამედროვე მწვავე საგნების სამსახურს: ამისათვის საჭირო არ არის ძალა დაატანო თავს, რომ ამა და ამ ტემებზე წერო და ფანტაზია აცოდვილო; ამისათვის საჭიროა მხოლოდ იყო მოქალაქე, შვილი თავის საზოგადოებისა და ეპოქისა, შეიგნო მისი ინტერესები და შენი სულის მისწრაფებანი შეუერთო მის მისწრაფებათა; ამისთვის საჭიროა სიმპატია, სიყვარული, საღი პრაქტიკული გრძნობა ჭეშმარიტებისა, რომელიც რწმენას საქმისაგან არ განყოფს ცალკე და ნაწერებს—ცხოვრებიდან...»

იმ დროს, როდესაც ბელინსკი სწერდა და მოღვაწეობდა, რუსეთში საზოგადოება ათვასებდა პოეტებს და რომანისტებს, მაგრამ პუბლიცისტიკისა და კრიტიკის ცხოველ-მყოფელობაზე კარგად და ნათლად წარმოდგენაც არ ჰქონდა. ბელინსკის სტატიებს, რასაკვირველია, ერთი-მეორეს ხელიდან სტაცებდნენ, ახალგაზდობა და ლიტერატურის წარმომადგენელნი აღტაცებაში მოდიოდნენ ამ სტატიების კითხვით, მაზე იზრდებოდნენ, ვითარებოდნენ გონებით და ზნეობით, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ ვერ გრძნობდნენ კარგად, რომ ამ სტატიების უნიჭიერესი ავტორი არის ერთი უდიდესი მესვეური მთელი ლიტერატურისა, ერთი უწარჩინებულესი მწერალთაგანია რუსეთში. ბელინსკიმ ბევრს ჟურნალს შთაბერა უკვდავი სული, განაცხოველა და მოსდო მთელ მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ თვით კი ეს შესანიშნავი კაცი გარდაიცვალა საშინელს სიღარიბეში მყოფი და ვოლკოვის სასაფლაოზე რუსებმა კინაღამ არ დაჰკარგეს იმის სამარე! აი, მუხთალი წუთი-სოფელი!..

მაგრამ ბელინსკის სახელი მაინც წმინდაა და უოველს პატიოსანს მუშაკს ახსოვდა იგი, ყველას გულში ჰქონდა ამ კაცის პატივის ცემა ღრმად დამარხული და 50—60-იან წლებში იგი, რუსეთის ლიტერატურის ერთი ბრწყინვალე და დიდი შემქმნელთაგანი, სასახელოდ იყო შეგნებული და დაფასებულიც. უნდა მივიღოთ მხედვე-

ლობაში ის გარემოებაც, რომ ბელინსკის იმ დროებში არ შეეძლო ყოველიფერზე პირდაპირ, გადაჭრილი პასუხი მიეცა და ამიტომ კრიტიკოსის სრული შეგნებისათვის ჩვენ მიგვაჩნია მშვენიერი წიგნი ბ. პიპინისა: „В. Г. Бѣлинскій въ перепискѣ съ друзьями“, სადაც ბელინსკის ბევრი საინტერესო წერილები დასტამბული.

**ხომლელი**